

114
1953

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

მნათობი

193

1

0368360



1953



ბორის ჩხიძემ — თამალოელი ბრიგადირი, მოთბრობა	
ალექსანდრე ტყეშელაშვილი — ვასილ ტიორაძის, პოემა, დასასრული, თარგმანი	
ოთარ ჭელიძისა	18
ბორის ჩხიძემ — მრისხანე თსტატი, მოთბრობა	41
ი. ბრეჯვიანი — ლენინის ხსოვნას, ლექსი	55
შაჰრო საგაძაშვილი — ილიის ელნათურები, ლექსი	56
ალექსანდრე ტყეშელაშვილი — საახალწლო, ლექსი	57
ბორის ჩხიძემ — სტალინის დროშით, ლექსი	58
ილია ხოშბარია — ახალი წელი, ლექსი	59
ზოსტა ლომსაძემ — ფონტელი მახარა, ლექსი	60
ხან სარ ია — გამოთხოვება, მოთბრობა, თარგმანი მ. აგიაშვილისა	61
ვახტანგ ბორჯაღანი — სიმღერა სივრცულზე, პოემა	70
დემოკრატიული გერმანიის კომუნისტი — რუდოლფ ლეონარდი — ტუსალი; ეტხა — ასე იტყვიან ჩვენს დღეებზე შთამომავალნი; სტეფან ჰერმელინი — ბალდა, თარგმანი გერმანულიდან ვახტანგ ბეჭუაშვილისა	75
ლევან იბანიძემ — ი. ბ. სტალინი სოციალისტური ერების შესახებ, წერილი	79
დ. მინსურაძემ — კაბიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის შესახებ, წერილი	92
ანა ნიკოლაძემ — ნ. ნეკრასოვი და ქართული ლიტერატურა, წერილი	108
ლავროსი კალანდანი — შენიშვნები ბ. ჟღენტის წიგნზე „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“, წერილი	117
ბ. მარბეშელაშვილი — ეფე-ფშაველა რუსულ ენაზე, წერილი	132
მ. ჯინეშელაშვილი — მონოგრაფია დიდი რუსი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ბიბლიოგრაფია	148
შ. მადანკორია — ბალზაკის ნაწარმოებთა კრებული ქართულ ენაზე, ბიბლიოგრაფია	150
ნოდარ ჩხიძემ — მოთბრობა მამაცი ახალგაზრდობის შესახებ, ბიბლიოგრაფია	155
ვლ. ჯინეშელი — ახალგაზრდა მეზღვაურთა ცხოვრების ამსახველი წიგნი, ბიბლიოგრაფია	156
პ. შაღაძემ — გერმანული ანდაზები ქართული შესატყვისებით, ბიბლიოგრაფია	159
ახალი წიგნები	გარეყანის მე-3 გვ.

რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), დიმიტრი ბანაშვილი,
ნიკო პეტროშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი შიშკანი.

ხელმოწერილია დასაბუთად 31/1-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10
უც 01246 შეკეთის № 18. ტირაჟი 5200.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

გნათობა



ქველთვიური ლიბერატურულ-მეცნიერული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საბარტველოს საბჭოთხ მწიკრების კავშირის ოკგანი

წელიწადი ოცდამეათე

82201



1

★

ი ა ნ ვ ა რ ი

19

სახელწამი
თბილისი

საბჭოთხი მწიკრების
კავშირი
საბარტველო
გ ი ზ ლ ი ო თ ე ა

თავალაოლი ბრიგადირი

★

[...]

ახალგაზრდა ქალი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ეზოში იდგა. ლურჯ, წიწველ თვალებს აცეცებდა, ხან ცას შეხედავდა, ხან მიწას. ერთ ადგილზე ვერ დგებოდა, ფეხი არ უჩერდებოდა, სადღაც მიეჩქარებოდა, „ვის ეგონა, თუ ასეთი დარი გამოვიდოდა, თორემ როგორ მოვცილდებოდი თამალოს“, — ესაყვედურებოდა თავის თავს.

მართლაც, ისეთი დილა იყო, როგორც ხანდახან იცის ზაფხულობით ცივ-გომბორის ფერდობებისა და მის ქვეშით გაშლილ მინდვრებში, იალნოს მთიდან ჩაბრუნებული ნიავით და ღამის წვიმით შეგრილებული. შუა ზაფხულის ის დღეები იყო, როცა გომბორსგადაღმელები ან გადმოღმელები გადაწყვიტენ ხოლმე: შეიძლება ქერის მკა დაეიწყოს. ბოლოს გამოჩნდა ის, ვისაც უცდიდა ახალგაზრდა ქალი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სახელოსნოდან ეზოში გამოვიდა დირექტორი, ჩასუქებული, ციყვის კუდივით გაპრებილი და გაბუჩქული უღვაშიანი ბაჯბაჯა კაცი — სოლომონ ბეგაშვილი. მას ერთი ნაბიჯის მოშორებით, გვერდით მოჰყვებოდა ბუხპალტერი, რომელმაც (ახალგაზრდა ქალმა ეს კარგად გაიგონა) დირექტორს უთხრა:

— დართეთ ნება, დართეთ! თუ გამოვიდა, ხომ კარგი, ჩვენი სახელი იქნება, არ გამოვა, და ამისათვის ხელმძღვანელს არ სჯიან.

— სასჯელის მე არ მეშინია, — მიუგო ბუხპალტერის სოლომონ ბეგაშვილმა. — მე ის მაღიქრებს, რომ ვიცი, მაგ ჩხირკედლაობიდან ნამდვილი საქმე არ

გამოვა. ესეც არ იყოს... მე, მასთან, სანდრო დოდაშვილთან, საკუთარი ანგარიშიც მაქვს. და, რაც მთავარია, არა მესმის-რა მისი, არა მესმის-რა!

— დიდი გაგება არ სჭირდება მაგ საქმეს, — შეუბრუნა სიტყვა ბუხპალტერმა, — მიეცი დასტური, ოთხი ან ხუთი ცალი დაამზადოს.

— ჩემი ცოცხალი თავით მაგას ვერ ვიქმ. არ მიყვარს ეგ კაცი. რად არ ფიქრობ, ქარხანაში ამოდენა კომბაინი ააწყვეს და მაგ მოწყობილობის დაადგმა დაავიწყდეთ? პირდაპირ გეუბნები, არ მიყვარს მე ეგ კაცი!

— ძია სოლომონ, ვინ არის ის, ვინც აგრე გულით არ გიყვარს? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა დირექტორს.

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ერთი კომბაინერი გვყავს, სანდრო დოდაშვილი.

— ეპ, როგორ მინდა ვნახო, გავეცნო მაგ კომბაინერს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შორიდან ვიცი, როგორ იღებდა შარშან მოსაყვას. მოწინავეთა შორის პირველი იყო ჩვენს მხარეში, მეორეც იმიტომ, ძია სოლომონ, რომ დაცდილი მაქვს, ვისაც შენ ცუდად ამოიღებ თვალში, სწორედ ის მომეწონება ხოლმე.

— სანდრო დოდაშვილი, მართალი გითხრა, დასაწყისი კაცი არ არის. მას უმალღესი განათლება აქვს. ოღონდ, გარდა სხვა მოსაზრებისა, რაც არ ითქმის. მიზეზი ისიც არის, რომ მე ის არ მომწონს. რად მინდა დოდაშვილი კომბაინერად მანქანა-ტრაქტორთა სადგურში? მე მას ისეთი კაცი მიჩვენია, რომელმაც ოთხი მოქმედება კარგად

იცის. ამასთან კიდევ უნდა გითხრათ, რა თქმა უნდა, საყვედური, ქალბატონო, აჯობებდა მოგწონდეთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი! დოდაშვილისაგან რა ხეირს უნდა მოელოდე! — თქვა სოლომონმა და თავის უკანასკნელად თქმულ სააშიკო სიტყვებზე ხრინწნარევი ხარხარი აუტყდა, იგი უკვე ორმოცდაჩვიდმეტ წელიწადს გადაბიჯებული კაცი იყო.

— არ შეგარჩენთ, სოლომონ, ასეთ ლაპარაკს. თქვენს შვილებთან გაგამხელთ, ისინი თქვენს მეუღლეს ეტყვიან და მაშინ ვაი თქვენი ბრალი! რა გაწყენინათ დოდაშვილმა?

— არ ვიცი. არ ვიცი, — შეღალადა სოლომონმა. — აბა განვაგრძოთ გუშინ დაწყებული დავა. წუხელ თათბირზე თქვენს წარმოთქმულ სიტყვებში, ქალბატონო, მუქარაც გამოსტყვივოდა. გამაგებინეთ, თამალოელი ბრიგადირო, ელისაბედ ალუღიშვილო, რას მიპირებ! კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაინც იყო, ჰა!

— მამ პირდაპირ გეუბნები, — დაიწყო ქალმა. — გინდა მუქარად ჩათვალე, გინდა საქმედ. ჩემებურად საქმეა, თქვენებურად, დაე, მუქარა იყოს! შარშანდელი მოსავლის აღების კამპანია მოიგონე, სოლომონ! წლებანდელი გამოცდილება არ შექონდა, თორემ ადვილად ვერ გადამირჩებოდით. წელს კი თავს აღარ დაგაჩაგრინებთ. თამალოს და ზიკილის მინდვრები თქვენ ხუთი ან ოცი ჰექტარი ხომ არ გგონიათ. ათიოდე მაგისტანა მინდორი მომეცით და ერთ პატარა სახელმწიფოს გამოვკვებავ პურით, საქონლით. სარწყავიც თუ მექნება, ხილ-ბოსტნეულითაც.

— შარშან ვითომ რაო?! — გაიკვირვა სოლომონ ბეგაშვილმა.

— სამოცისათვის მგონია ჯერ არ გადაგიბიჯებია, მეხსიერება ჯერ არ უნდა გლაღატობდეს, მაგრამ, რაკი არ გახსოვს, გაგახსენებ: შარშან თქვენ ჩამიშალეთ მოსავლის აღების ალოები. ტრაქ-

ტორი სწორედ იმ წამს გაჩერდა, როცა ის-იყო ყანაში შეეუშვით. ერთი კი არა, ორი, სამი. იქ კომბაინებსა და აგრეგატზე კბილანები გაცვეთილი აღმოჩნდა, ტარაბუებსაც ტარაბუა ესხმოდა, ხედვრებიც ტყუოდნენ, დავიტანჯეთ, დავიტანჯეთ! წელს ასეთ რამეს აღარ მოვითმენთ. თუ ყველაფერი, მანქანებიდან დაწყებული — საოხამდე, წესრიგით არ მოვა თამალოზე, თუ კიდევ დადგა ტრაქტორი, კომბაინის რამე გაუფუჭდა მექანიკოსების მოუხერხებლობით, ან ცუდი რემონტის გამო, მაშინ ტელეფონით პირდაპირ ოლქს დაველაპარაკებთ.

— ქალო, შენ მართლა ხათაბალა არ გამიხდე. ვინ იცის, რა მოხდება, — შეშინდა დირექტორი, კანი აეწვა სიბრაზით, როგორ მიბედავს, ჯერ ასე ჩემთან ბრიგადირს კი არა, რაციონის მდივნებსაც არ ულაპარაკიათო. აღმაცერად გახედა ქალს.

— აგრე ნუ მიყურებთ, სოლომონ! ვიცი, რასაც ფიქრობთ. მე, თამალოელი გოგო, პატივისცემის ღირსი იქნებ სულაც არა ვარ, მაგრამ, რაკი ეს ასეა, მეც არ შევიწვევ ვალს. რაც შეეხება საქმეს, ნურც შენ დამხოვავ და არც ჩემგან მოელოდე დაზოგვას. თორემ, სხვა არ იყოსრა, ორთავეს საქმე ცუდად წაგვივა.

— ერთი ამას დამიხედეთ! გამოდის. მე შენზე ნაკლებ ვზრუნავ მოსავლის აღებისათვის, — ჩაიბურტყუნა დირექტორმა და ახლა ზიზღის გამოსახატავად სქელი ქვედა ტუჩი ჩამოაგდო, თან გულში გადაწყვიტა: „რახან აგრეა, გიჩვენებ სეირს — ისეთი ვინმე გამოგიგზავნო მინდორში, სული არ მოგათქმევინოს,“ — და ხმამაღლა თქვა: — ათი წელიწადია, მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექტორი ვარ. აქ გადმომიყვანეს. ჯერ ჩემთვის კაცს არ უთქვამს, სოლომონ ბეგაშვილს კარგად არა აქვს მომზადებული მანქანა-იარაღები მოსავლის ასაღებადო. თამალოელები რა

ეგრეთი წითელი კოკები გამოდქვით? შარშან დაგაყოვნეთ, შარშანვე იტყოდით, ამით გათავდებოდა!

— შარშანაც ვთქვით, — არ დანებდა ელისაბედ ალუღიშვილი. — კარგად მოიგონე სექტემბრის პლენუმი. დაგამტვრიეთ თუ არა თავზე მაწვნის ქილა! წელს, — ელისაბედი მოლბა, — ამინდი მიმწარებს სიცოცხლეს, წვიმს, წვიმს. თამალოში თთხმოცდათი წლის ხალხი ამბობს, ასეთი წვიმიანი გაზაფხული ჯერ არ გვინახავსო. ცა დარდად გადამექცა, არ ვიცი, როგორ ამინდს დაიჭერს პურის გაჭრის დღეებში. იქნება საათებს და წუთებს ექნეთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაშინ რაღა ვქნათ?! არა-და, როგორი პური მიდგას! თავთავი, აჰა! — ელისაბედმა შავი ნაწნავის ბოლო მტკავლით გადაზომა და ხელში აათამაშა. — ამას წინათ ცხენით შევედი პურში. მეგონა, დავიკარგე-მეთქი. ის დალოცვილი თავთავები ტახტზე შემომესივნენ, — ასეთი მოსავალია. მოდი-და, ნუ იქნები ფრთხილად, ნუ იფიქრებ ათას საფიქრალს. ყველაზე უფრო ის მაფიქრებს (ელისაბედმა ცას ახედა) — ემე, ღრუბლები!

ცას ბეგაშვილმაც ახედა.

დმანის-კოჯრის და მანგლისის მხრიდან ღრუბლები თამალოსაკენ მოაწვედნენ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურში კი ბრუზენტგადაფარებულ აგრეგატებს ოხმივარი ასდიოდა. ღამით ნაწვიმს სწრაფად ამრობდა ცხელი მზე.

ელისაბედმა ერთხელ კიდევ დაათვალიერა ეზო. მანქანები და აგრეგატები მზად იდგნენ. ყველას პირი გასავლისაკენ ჰქონდა მიქცეული. მანქანები ისე იყო ჩამწყვრივებული, გეგონებოდა, სადაცაა მოვა ვინმე, გასცემს ბრძანებას და ეს სხვადასხვა მარკის კომბაინები, სალუწები, სათიბები, სამკელები და ტრაქტორები მიხდორს მტვრად აქცევსო.

— აქ რომ ასეთი მაგარ-მაგრებით შემუქრები. იჰ, ქალბატონო. თამალოში

როგორღა გაქვს საქმე? შოამზადე თუ არა ხორბლის დასაყრელი საშრობი ფარდულები, ტომრები, სასწორები, კომბაინის დამხმარე კაცები?!

— ასეთი კითხვა მომწონს, — გაელიმა ელისაბედს. — თუ მე გამომეტვებიხარ, ნურც შენ დამზოგავ. დაგარტყი? დამარტყი! ოღონდაც პური არ ჩაგვიცივდეს. ოღონდაც მოსავალი რიგიანად ავილოთ. თვითონ მიწა მოგვეხმარა წელს, ხალხი რად უნდა აღმოვჩნდეთ უგერგილო, რად უნდა დაგეარგოთ თუნდაც ერთი მარცვალი!

— რა მეთქმის, სწორს ამბობ! — დაუდასტურა სოლომონმა. — ერთი შენისთანა ჩემს სახლშიც დამიდიოდეს ვინმე. მაშინ ვინ იცის, როგორი ბედნიერი ვიქნებოდი.

— შენც ბედს ემდურები! — გაიოცა ელისაბედმა. — შენი ქალები... ერთი ექიმი იქნება, მეორე აგრონომი. მე კი რა ვარ? ერთი მივარდნილი მინდვრის სოფლელი გოგო — ბრიგადირი. ჩაეციე-ბივარ ყველას: ეს გააკეთე, ის არ წახდეს, აქ მოხანი, იქ ჩაფარცხე, იქ ბოლოკას ებრძოლე, იქ ყაყაოს. ვინ არ დაეფრთხე. ასე მგონია, სოლომონ, მერიდებიან. თუნდაც ორი დღის წინანდელი მაგალითი რად ღირს. ზიკილას ქალი გავათხოვეთ. გავიქციე ქორწილში, ნეტავ რა მომარბენინებდა! ერთი დავიდარაბა ამიტეხეს ბიჭებმა. მე ლეკური მინდა დაეუარო, მათ კი... ვინ მომცა საშუალება, ხელები გაეშალა... დააღეს პირები, დასძახეს ღამისყანიდან თამალოს მოტანილი მოსათვალავი:

ტახტისპირელი საბედა
ღამში იყო ავბედა,
კოცნა ვერაფერს ვაბედა,
გაუთხოვარი დაბერდა.

სოლომონმა გადაიხარხარა...

— შენ იცინი, ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედე, — ნალვლიანად უსაყვედურა ელისაბედმა.

სოლომონმა კი ხარხარს უმატა, თან ცდილობდა, ელისაბედის დარდიანი თვა-

ლებისათვის თვალები გაესწორებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ხნიერი იყო. იმოდენა შინაგანი სიძლიერე დიდი ხანია, აღარ მოეპოვებოდა, რომ ახალგაზრდა ქალი შეხედვით გაეოგნებინა, დამოწრჩილებინა, წინ გაძლოლოდა, თვინიერად წაეყვანა იმ გზით, საითაც სურდა. ამიტომაც მამაშვილური კილოთი ლაპარაკი არჩია.

— ისე, როგორც საქმეში იცი პირდაპირობა, ამ კითხვაზედაც პირდაპირ მომიგე. გინდა გათხოვება?

— მაშ, აბა რა უნდა მინდოდეს. ეს თავიც მომკვდომია, თუ თამალოს მინდორზე ნაკლებ მოეუარო, ვინც წილად შემხვდება.

სოლომონი წაპით დადუმდა. არ იცოდა, რა ექვია. ამ ხუმრობანარეც სიტყვებში ელისაბედის გულის იარა მოჩანდა. დარდიანად ჩაილაპარაკა:

— რა ვქნა, ვაჟი არ მყავს... თორემ მე ვიცოდი... შენს თავს არავის დეანებდები. ნებით თუ არა, ძალით მოგიყვანდი შინ.

— გამდლობთ! — აღმოხდა ელისაბედს და კანის წიწკნა იგრძნო, წარბები აუთამაშდა, ძნელი შეიქნა გაჩერება და საუბარი. იფლად ავტომობილის დუგდუგი გაისმა. მიიხედა. საწვავის ბაზაში ბენზინის მისაღებად წასული ტონანახევრიანი სატვირთო ავტომანქანა სადგურში დაბრუნდა, ეზოში წრე გააკეთა და ელისაბედის მახლობლად ჩაქრა.

ზემოთ, ძარაში ჩაქედელ გრძელ სკამზე, სოლომონის ქალები — ექიმი და აგრონომი ისტდნენ. ისინი სულ რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდნენ თბილისიდან მამის სახლში ზაფხულის გასატარებლად. წუხელ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში დამთავრებული თათბირის შემდეგ, სოლომონის ქალებმა ელისაბედი შინ წაიყვანეს. ახალგაზრდა ქალებმა ზემოსართლის ოთახი აირჩიეს დასაძინებლად. მაგრამ აივანზე გამოვიდნენ თუ არა, გაშლილი ლოგინები დაავიწყდათ. იმ ხნის განმელობაში, განთიადამ-

დე, რა დროსაც სოლომონი და მისი მეუღლე ქვემოსართულში მშვიდად ხერინავდნენ, მთვარის მუქი სიკვანთებულ მინდორს ახალგაზრდა ქალები გასანდობ ჰიმნს ეუბნებოდნენ. პირობაც დადეს, თავიანთი ტონანახევრიანი მანქანით თამალოს წასულიყვენ.

ელისაბედს ადგილი შოფერის გვერდით შესთავაზეს. მან ცივი უარი თქვა. ზემოთ ძარაზე ავიდა. დების შუაში მოეწყო და მანქანა გასათხოვარი ქალების კისკის-შეძახილებით ეზოდან გავიდა. მოასთაღლებული შარავნით თამალოსაკენ გაეშურა.



როცა მანქანა გორაკს მოეფარა, სოლომონ ბეგაშვილი ისევ მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოში შევიდა. იქ ქლიბების ხახუნის ისმოდა. მკის დაწყების გამალებულ სამზადისში იყო სახელოსნო. ხვალ თუ არა, ზეგ კომბაინები მინდვრებისაკენ გასწევდნენ. ხელოსნები სოლომონს მიესალმნენ, გამოელაპარაკნენ. მარტო დოდაშვილს არ მიუქცევია ყურადღება შესულისათვის. მან დირექტორი ვერ დაინახა. თავჩაღუნული იჯდა ყუთზე. მუხლებზე რაღაც მოწყობილობის ჩონჩხი ედო. მთელი ყურადღება მისთვის მიეპყრო, თვალებს არ აცილებდა, არ ინძრეოდა, თითქოს არც სუნთქავდა. დირექტორი თავს წაადგა სანდრო დოდაშვილს. და როცა ვერც ასე მიიქცია კომბაინერის ყურადღება, სუფთად გაპარსული სქელი ქვედა ტუჩი კვლავ მოლრიცა და ჩამოუშვა. სოლომონს დიდი ხანია არ მოსდიოდა თვალში სანდრო დოდაშვილი. ამის მიზეზი მას მრავალი ჰქონდა. ბოლო დროს რაიკომში, რაიადმასკომში და საოლქო კომიტეტში ყური მოჰკრა, ადვილად შესაძლოა სანდრო დოდაშვილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დააწინაურონო. ეს პირველი და მთავარი მიზეზი იყო.

ამ გაზაფხულს ამას სხვა მიზეზიც დაე-

მატა, რაც სოლომონს არანაკლებ აბრა-
ზებდა. სოლომონის უფროსმა ქალმა,
საექიმო ფაკულტეტის მეხუთე კურსის
სტუდენტმა სოლომონს და მის მეუღ-
ლს ანიშნა, სანდრო დოდაშვილი მომ-
წონს, თუ დათანხმდება, ცოლად გაუყვე-
ბიო. ამ ამბავმა კომბაინერის ყურამდეც
მიადწია. დოდაშვილმა არც ავი თქვა,
არც კარგი. უარის გამოხატველი დუმი-
ლი არჩია. სოლომონს გული უსკდებო-
და. ვინ არ ხდიდა პასუხის ღირსად დამ-
სახურებულ მეურნეს, მანქანა-ტრაქტო-
რთა სადგურის დირექტორს, საპასუხის-
მგებლო თანამდებობით მთელ სიცოცხ-
ლეში უზრუნველყოფილ კაცს — სოლო-
მონ ბეგაშვილს? გუშინდელი ბაღი —
ოცდაოთხი თუ ოცდაექვსი წლის კომ-
ბაინერი!

— სანდრო, დილა მშვიდობისა, მანც
არ ეშვები, ჰა?! — გამოელაპარაკა სო-
ლომონი. სანდრო წამოდგა, დაიხია, დი-
რექტორის გვერდით დადგა.

— არც მოვეშვები. — ცოტა არ იყოს
უკმეხად მიუგო სანდრომ.

— შე კი მანც ამას ვამბობ. — ახლა
მაგის დრო არც არის, კეთილ! ავიღოთ
მოსავალი, ფიჭვისთვის და ცდებისათ-
ვის მეორე მოსავლამდე საკმაო დრო
გექნება.

— წლევანდელ მკაში მინდა გამოე-
ცადო და გამოვიყენო კიდევაც! — აღ-
შფოთებისაგან აჯანკალებული ხმით
წარმოთქვა კომბაინერმა. — ისეთი ჩაწო-
ლილი პური, როგორც წელს არის, ჯერ
არ მინახავს! დარწმუნებული ვარ, მოწ-
ყობილობა ხედერს კარგადაც აქვს მორ-
გებული და კიდევ უკეთ იმუშავებს კომ-
ბაინი, ვიდრე შარშან და შარშანწინ!

სოლომონი შეტრიალდა, სახე მოარი-
და კომბაინერს, რადგან სქელი ქვედა
ტუჩი ძალიან ჩამოეკიდა, მოკუმული არ
უჩერებოდა.

დოდაშვილის მოწყობილობა კომბაინ-
ზე დასადგმელ ნაწილს წარმოადგენდა,
რაც ჩაწოლილ პურს წამოსწევდა და ხე-
დერს მიაწვდიდა მოსაჭრელად.

— კონსტრუქტორების მიერ გამოგო-
ნებულმა და ქარხანაში დამზადებულმა
მოწყობილობამ არ ივარგა ჩვენს მანო-
ბებში, ვერ იქნა, ვერ წამოაყენა ჩაწო-
ლილი პური და ნავთულ-ვაზიანის მინ-
დვრებზე გაზრდილმა ბიჭმა გააკეთა ის,
რაც მეცნიერებმა ვერ შეძლეს? არა,
ამას ვერ დავეჯერებ, — ამბობდა სო-
ლომონი.

— სანდრო, დამიჯერე, ეგ შენი მოწ-
ყობილობა აგერ მალა შეინახე. პირო-
ბას გაძლევ, ხელს არავინ ახლებს. შეუ-
დექი მოსავლის აღებას. მოამზადე მოძ-
რავი სახელოსნო, გაუძევი მოსავლის ას-
აღები მანქანების კოლონას და თამალო.
ზიკილას მინდვრებს მიაშურე. დიდი
სამუშაო მოგელის. ოცნების დრო არ
არის. ელისაბედ აღუღიშვილს ამ დი-
ლით შეუუთანხმდი, მექანიზმებს ჩქარა
გამოგიგზავნი-მეთქი. მაშ, გასწი, და-
ბანაკდი თამალოს მინდორში. იქ უცადე
ალოს, ამინდს და ერთბაშად შეუდექი
მოსავლის აღებას.

— წავალ! — უგუნებოდ დაეთანხმა
სანდრო დოდაშვილი.

— ელისაბედ აღუღიშვილს იც-
ნობ? — ჰკითხა სოლომონმა.

— თვალც არ მომიკრავს. ისე კი შო-
რიდან მსმენია, გამიგია, ვინც არის.

— კარგი ყანები უდგას. — უჭო სო-
ლომონმა.

კომბაინერი დუმდა. ჩაწოლილი პურის
წამოსაყანებელ თავის მოწყობილობას
დაჩერებოდა. ქვეყანაზე ბევრი ელისაბე-
დია, რომელთაც სანდრო ზედაც არ შე-
ხედავს. დაე, მათ შორის ელისაბედ აღუ-
ღიშვილიც იყოს. სანდრო ბრძანებას
ემორჩილება. წავა, მაშ რას იზამს, დაბ-
რუნდება კიდევაც იქიდან. გაასწორებს
ანგარიშს მანქანა-ტრაქტორთა სადგურ-
თან და სოლომონის მის კვალსაც ვეღარ
იხილავს. ბოლოს, თანხმობის ნიშნად
დირექტორს თავი დაუქნია. სახელოსნო-
დან მოწყობილობა გაიტანა. თავის კომ-
ბაინზე შემოსდო, დაამარგა, მოტრიალ-
და და გასცა ბრძანება:

— მივდივართ!

ხელოსნები მოძრავ სახელოსნოს ეცნენ, მექანიკოსები ტრაქტორებს და აგრეგატებს დაუტრიალდნენ. სულ მალე ეზო მანქანების გუგუნსა და ბენზინის ბორიალში გაეხვია.

თამალო საკმაოდ შორს იყო, სადღაც მთა-გორაკების დასასრულსა და ტრამაის დასაწყისში მდებარეობდა. მანქანატრაქტორთა სადგურიდან იქამდე პირდაპირი გზა არ იყო. მანქანებს ჯერ საავტომობილო გზით მოუხდებოდათ სიარული, შემდეგ კი მინდვრებით. ზაფხულის ცხელ შხეს შარაზე ასფალტი დაეღობო. მანქანების კოლონა იოლად მიდიოდა. მოძრაობა გართულდა, როცა მთავარი გზატკეცილიდან სარაიონშორისო მოუქვეშავ ვიწრო შარაზე გადაუხვიეს. თვლები ედებოდა ქვებს, ხტოდა ოღროწოლორებში. მექანიკოსები ხშირად გადმოდიოდნენ, ათვალეირებდნენ კომბაინებს, ზომ არაფერი გაუფუჭდაო. მანქანების ჭარავანმა მთელი ორი დღე და ორი ღამე ცის ქვეშ გაათენა, მესამე დღეს მიაღწია თამალოს. სოფლელებმა შორიდან შენიშნეს მათეენ მიმავალი კოლონა. ბავშვები კალიის გუნდივით შემოესიგინენ კომბაინერებს, სანდროს მანქანას ყოველი მხრიდან წრე გაუკეთეს და სოფლამდე მიაცილეს, კომბაინერებს თამალო არ მოეწონათ, სოფელში მარტო სახლები და დამხმარე შენობები მოჩანდა. ერთი ხეც არსად იდგა. თამალო ერთი იმ სოფელთაგანი იყო საქართველოში, რომელიც დაბალი მთაგრეხილის დასასრულის ძირას უწყლო ადგილას გაეშენებინათ პირველი ბარის დამკვრელებს. სანდრომ სოფელში შესვლამდე მისი ძველი და ახალი ამბების გაგება მოასწრო.

ბავშვებმა შეატყობინეს სანდრო დოდაშვილს, რომ თამალოელები აქ დაესახლნენ ორმოციოდე წლის წინათ, — რომ მამაკაცებმა უმრავლესობა ახლა ცხვარშია და მხოლოდ სექტემბრის მიწურულში დაბრუნდებიან. სოფლად

მეტწილად ქალები, მოხუცები და მოზარდები დარჩენილან — რომ ბოიგადირი ელისაბედ ალუღიშვილი მესამე დღეა, დაბრუნდა სტუმრებითურთ მანქანატრაქტორთა სადგურიდან და სოფლის ქალებთან ერთად თამალოდან სამოცი კილომეტრის მოშორებით იმყოფება ყანების დასათვალეირებლად.

— სამოცი კილომეტრის მოშორებით რათა? — იკითხა სანდრო დოდაშვილმა.

— რათა! — გამოაჯავრა ბავშვმა. — საქმე ცუდად აქვს თამალოს. განა ვერა ხედავ, როგორი პური დგას! სამი ათას ოთხასი ჰექტარი უთესია ჩვენს კოლმეურნეობას.

აბა როგორ არ იქნება საქმე ცუდად ვინ მოერევა ამოდენა ყანების აღებას?

— აჯერ, მანქანები მოვიყვანეთ! — მიუგო ბავშვს ნასიამოვნებმა დოდაშვილმა.

— საქმე მაინც ცუდად არის, — დივინა ბავშვმა და მხარი სხვებმაც მისცეს, — ჩაწოლილ პურს რას უზამთ, ხელით აყენებთ? ვერა, — ამ სიტყვებით ის ბავშვი, რომელიც უკვე კომბაინზე იყო, საფეხურიდან ძირს ჩახტა, გზისპირას ჩაწოლილი პურის თავთავს მისწვდა, ხელის გულზე მოიფშენა, სულის შებერვით გაანიავა, კომბაინერს ცხვირთან მიუტანა და დაუმარცვლა: — შეხედე, კარგად დააკვირდი, ეს პური კი არა, შვინდია, შვინდი!

— ყველგან შემოსულია? — იკითხა ბავშვების შეხვედრით აღტაცებულმა დოდაშვილმა.

— ჯერ მარტო ჭერია შემოსული თუმცა პურის ამორჩევა და გაჭრაც შეიძლება, რაღა ჭერი, რაღა პური, ზუთ დღეში ყველა მწიფე იქნება!

— ესე იგი, ყმაწვილებო! — გამბიარულდა კომბაინერი, — თუ თქვენ ახრს კარგად მივხედი, მკა კი არა, ომი მოგველის, ჰა?!

— ომი აბა, დიდი ომი. — გააზვიადეს ბავშვებმა. დოდაშვილმა გადაიხარხარა. კომბაინის საფეხურზე შემომდგარი ბავ-

შვი გვერდით მოიყენა. ამ ბავშვმა უჩვენა ის ადგილიც, სადაც შარშან, მოსაველის აღებისას, საფლიდან რაღაც ორი კილომეტრის მოშორებით საღვწი მანქანა იდგა, არტეზიანულ ჭასთან. ნაკალოვარზე დამპალი და შემდეგ მზისაგან გამომშრალი ბუჩო ეყარა. კოლონამ სწორედ ამ ადგილზე დაიდო ბანაკი. სანამ მანქანებს დააყენებდნენ, მზეც ჩავიდა. ტრამალზე საღამოს ჩრდილი ჩამოწვა. აგრძელდა. გზებზე მტერის კორიანტელი დაცხრა. ჩქარა კიდეც დაღამდა. ცა მოიკვდა/ ვარსკვლავებით. ბავშვებმა სახლებს მიაშურეს.

— თქვენ, პეი, ყმაწვილებო! უთხარით თქვენს ბრიგადირს — ელისაბედ ალულიშვილს — მნახოს! — დაბარა მათ დოდაშვილმა და, როგორც კი მექანიკოსებმა აკუმულატორის ლამის შუქზე მანქანების დათვლიერება დაიწყეს, ყანაში შევიდა. მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ საქმე მართლა ცუდად იყო. დიდი და ფრთხილი მუშაობა მოელოდა კომბაინერებს ჩაწოლილ ყანებში.

მექანიკოსები მანქანებს ათვლიერებდნენ. კმაყოფილი იყვნენ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან, მინდვრამდე ეს დიდი მანძილი კომბაინებს დაუზიანებლად გამოეველოთ. გვიან ღამით ყველანი ერთად შეგროვდნენ, საფლაგმანო კომბაინთან თავი მოიყარეს.

— თამალომდე უავარიოდ მოვედით, — უთხრა მათ დოდაშვილმა. — ეს ძალიან კარგია. მაგრამ მთავარი საზრუნავი წინ გვაქვს. თვითონ ხედავთ, როგორი ბურიც დგას ყანებში. მუშაობა კი არა, ბრძოლა დაგვეჭირდება. გახსოვდეთ დიდი ბელადის დარიგება, ჩვენ გვეულისხმობდა, როცა ამბობდა:

„მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე იიღებ — მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას — წააგებ“. ეს სიტყვები გვითხრა და თან ეს მანქანებიც მოგვცა. ახლა ჩვენი ჩვენ უნდა ვილონოთ. აგერ მინდორი და აგერ ჩვენა, ჩავაბაროთ გამოიყდა.

მექანიკოსები გატაცებით უსმენდნენ კოლონის მეთაურს. დიდი ბელადის სიტყვები, წითელ ნარმაზე ფეთქისფერ წარწერილი, გაკრული იყო ყოველ აგრეგატზე.

— ჩვენ ის ხალხი ვართ, — განაგრძობდა დოდაშვილი, — რომელიც პურს მანქანებით ვთესავთ და ვიშკით, რადგან ეს ასეა, ყოველი ჩვენგანი გავუფრთხილდეთ ნდობას, მანქანა მოვიხმაროთ ისე, როგორც გამრჯე აღამიანებს შეჭფერის. ერთი ცალი თავთავი რა არის, არ ავაცდინოთ ხედვრს, ერთი მარცვალი არ დაგვეკარგოს, ბელლის თვალში მივიტანოთ.

დოდაშვილი კიდეც აპირებდა რაღაცის თქმას, რომ უეცრად ცხენის ფლოქვის ბრაგუნი მოისმა. მას ფრუტუნიც მოჰყვა. ყველამ იქით მიიხედა, საიდანაც ხმაური ისმოდა. დაბანაკებული მანქანების კოლონას უახლოვდებოდა ახალგაზრდა ქალი. ის შარაბანზე იჯდა. მტერიან მინდვრის გზაზე მოერეკებოდა წითელ ფაშატს. ახალგაზრდა ქალი ძირს ვადმოხტა, ღვედ-აგშრები კოფოზე რკინას გამოაბა და მექანიკოსებთან მივიდა.

— ვინ არის აქ უფროსი? — იკითხა.

— მე ვარ! — წარუდგა მას სანდრო დოდაშვილი. ახალგაზრდა ქალმა ახედახედა კომბაინერს. მოხდენილ სახეზე წარბი შეიკრა, თითქოს არ ესიამოვნა, რომ სახელი და გვარი არ უთხრა კომბაინერმა.

— კარგი, შენ იყავი. ჩვენთვის სულ ერთია, ოღონდ მოსავალი აიღეთ უდანაკარგოდ.

— რა გჭია? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალს დოდაშვილმა და განაგრძო. — ჩვენთვისაც სულ ერთია, ვის ყანებს მოვშკით, ოღონდ კარგად მოგვკოთ.

— ელისო მქვია! — ამაყად თქვა თავისი სახელი ახალგაზრდა ქალმა.

— ელისო! — გაიმეორა კომბაინერმა, — მაშ მე სანდრო დოდაშვილი ვარ.

ამ სახელისა და გვარის გაგონებაზე ახალგაზრდა ქალს სახეზე ნათელმა გა-

უთამაშა. წარბი გახსნა, ისევ შარაბანზე ავიდა. იქიდან ხელი დაუქნია ერთ ყველაზე ახალგაზრდა მექანიკოსს, მერე რაღაც ტვირთს ხელი მოაგლო, ასწია, შარაბანის ნაპირზე დადო და, როცა მექანიკოსი მასთან მივიდა, ტვირთი მსრებზე დაადო. მექანიკოსმა ტვირთი კომბაინის შუბლზე ანთებულ ელექტრონის სინათლესთან მიიტანა. ტვირთი იყო ზურჯინი, რომლის ერთი თვალიდან კამეჩის რქასავით მოკაყვული შოთის წვერები ჩანდა, იქვე თვალიდან თავი ამოეყო ტიკტორის მაგრად მოკრულ უელს. მეორე თვალში ცხვრის მოხარული ხორციით სავსე მოზრდილი კალათა იდგა.

შარაბანზე გაჩერებულმა ქალმა ბოლოს ქალაღში კოხტად შეკრული მარილიც მიწაში დააბრუნა ახალგაზრდა კომბაინერს.

— გვეგონა, ხვალამდე ვერ მოაღწევდით თამალოს, — თქვა ელისომ, — ამაღამ ეს იყოს, ნუ დაგვემდურებით, ხვალაღიდან საუზმე და ცხელი კერძი გექნებათ დღეში ორჯერ. შშრომელი ხალხისათვის თამალოელებს არაფერი ენანებათ.

— ეგ კარგი და პატიოსანი, მაგრამ, გვერჩია, გული არ დაგნანებოდათ, — გაეხუმრა დოდაშვილი.

— რაზე მეტყობა ვითომ?

— სასეტყვე ღრუბელივით მოგქუშვია ეგ წარბი და... აბა სხვარიგად როგორ გავიგო.

— საქმე გვიჩვენეთ სასახელო და განა გული თან არა გვაქვს, — გაეხუმრა ელისოც, შარაბანიდან კვლავ ძირს ჩამოხტა, დოდაშვილის ავრეგატს მიუახლოვდა, აკუმულატორს შეერთებული ელექტრონის ლამა ალმასის შუქს აბნევედა.

დოდაშვილმა ახლა კარგად შეათვალიერა ქალი. ელისო საშუალოზე მაღალი ტანისა იყო. მას შავი გრძელი ნაწნავები და მაღალი შუბლი ამშვენებდა. წითელვარდებიან კაბაში გამოყვანილი წიელი და ლამაზად ჩამოსხმული ფეხები

ქონდა. ყველაზე მშვენიერად დოდაშვილს მაინც თვალები ეჩვენებოდა.

— გადაეცით ჩვენ მაგნიტის მანქანადირის მადლობა. — უთხრა დოდაშვილმა ელისოს. — უკეთესი იქნება, თუ ხვალ დილით ადრე გვნახავს. მოსალაპარაკებელი, შესათანხმებელი საკითხები გვაქვს.

— როგორ! — გაიკვირვა ელისომ. — განა არ იცნობთ ბრიგადირს?

— როგორ არ ვიცნობთ, ბევრი რამე გვსმენია ელისაბედ ალუღიშვილზე. ისე კი, მართალი გითხრა, პირადად არ მინახავს.

— ამბობენ, ავი ვინმეაო! ჩვენს დირექტორს კრიტიკით ქალაჩა გაურიაო, — ჩაურთო იმ ახალგაზრდამ, რომელმაც ელისოს ზურჯინი გამოართვა. ქალს სახეზე უსიამოვნო ფერმა გადაჰკრა. ნაწნავს სწვდა, ხელზე დაიხვია, შეურაცხყოფილი კილოთი ჩაილაპარაკა:

— ბრიგადირი აბა, თაფლი ხომ არ იქნება. დილით კი ადრე მოვა. ამას შეთვლა არ უნდა. თავის საქმე თვითონაც კარგად იცის. ავი კი რატომაა, არ ვიცი!

— ავი თუ კარგი, ეს პური ამ ყანებში ჩინებულად მოუყვანია, — ჩაურთო დოდაშვილმა ერთადერთი აზრით: საამური შესახედაობის ქალი აქიდან ამ დამით გულდაწყვეტილი და ნაწყენი არ გაესტუმრებინა.

— ჰო, ჰო, — დაეთანხმა მას ელისო და გადაიკისკისა. ისედაც მოზიბლული კომბაინერი ამ კისკისმა მთლად აიტანა. სხეულს და გონებას მაამებელი სისუსტე მოედო. ამ სისუსტის შეგნობამ კომბაინერს გონება აურია. ამიტომ გრძნობების შემორტევისაგან თავდასაცავად უხეშობის მოშველება გადაწყვიტა.

— ელისო, გასწი შინისკენ, ჩვენ აქ მოსავლის ასაღებად მოვედით. ლამაზებთან სამასლაათოდ არა გეცალია. გასწი და, რაც უფრო იშვიათად მოხვალ, მით უკეთესი იქნება!

— რა დაგიშავეთ, სწორედ, არ ვიცი.

რატომ მაგდებთ? — ჩაილაპარაკა ქალმა და კვლავ გადაიკისკისა. მერე კომბაინზე შემოდებული გრძელი მილის ტანზე დაგებულ მოწყობილობას ხელი შეაბო.

— ეს კიდევ რაღაა? ასეთი რამ კომბაინზე არ მინახავს!

ახლა კი მთლად მოიშალა დოდაშვილი. მიუხტა ახალგაზრდა ქალს, ხელი იდაყვში წაატანა.

— გასწი, გასწი, ეს შენი საქმე არ არის, თუ მოხმარება გინდა, უთხარი ბრიგადირს, დილით ადრე მოვიდეს, ბევრი საქმე მაქვს! —

ელისო შეხტა შარაბანზე, წითელი ფაშატი მოატრიალა და სოფლისაკენ გარეკა.

ვასშიშა კომბაინერები გაამხიარულა. ცხერის ხაშლამა თონის შოთს მადის მომგვრელად ეწებებოდა. დიდხანს შეიყოლიეს თავი შევიდოდე ლიტრა ლეინით. პატარა ქიქით შეექცეოდნენ. როცა ლეინო მთლად შესვეს, მანქანიბთან ბუჩოზე ქეჩა-თექები დაიგეს, მგზავრობით და გემრიელი ვასშიშის სიამოვნებით მოლლილებმა ბანგდალეულებით ჩაიძინეს. მარტო სანდრო დოდაშვილს არ ეხუტებოდა თვალი. ასჯერ მაინც გაიაზრა მოსავლის აღობის გეგმა. არც ერთი ნაზრევი არ მოსწონდა. დადიოდა მინდორში, ყანის ნაპირის ბალახიანში. ელისაბედ ალუღიშვილისა და აღმოსავლეთით ნათლის გაჩენის მოლოდინში ცას ხშირად შეხედავდა ხოლმე. მინდორში სიჩუმე იყო. ხანდახან მხოლოდ სიწყნარეს არღვევდა ღამის ფრინველის გამყივანი ხმა და პურში ბუდიდან დაბნეული მწყრის ჩოჩრების კუტკუტი და დედა-მწყრის ქოთქოთი. თრიალეთიდან წამოსული ღრუბლებით აივსებოდა ხოლმე ველები, ღრუბლები რატომღაც მაღლა იწევდნენ და კვლავ იკარგებოდნენ ჩრდილოეთით აყუდებულ კავკასიონის ხეუბებში. უმიზეზოდ როდი გაუტყდა

ძილი კომბაინერს. წლებანდელი მოსავლის აღების სიმწედე წამდგინდად აწუხებდა. თითქმის ყოველ მერე დღეს მოდიოდა წვიმა გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში. პურს ლეროზე გამოშვინება და ხმობა ეჭირებოდა. დარი კი არ გამოდიოდა. ყანებს მეტი ნაში მოუვიდა. ჩაწვა პური, რაც ათჯერ აძნელებდა ისედაც დიდძალი მოსავლის აღებას. სანდრო დოდაშვილს შრომის შემსუბუქების იმედი აღარ ჰქონდა. ჩაწოლილი პურის წამოყენების მოწყობილობა, რაც ერთი მისი ნაცნობი შოფერ-კომბაინერის მიერ იყო გამოგონებული და სანდრომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში დაამზადა, გამოუყენებლად უნდა გდებულყო. ვერ დაიყოლია სოლომონ ბეგაშვილი, ვერ გააბედვინა, რომ მოწყობილობა მინდორში გამოეცადათ. აქ კიდევ ეს ელისოც ჩაეჩხირა აქეთ გულს, იქით გონებას. განსაკუთრებით სადარდელოდ გადაქცეოდა ბეგაშვილი. ახსოვს, ანდა როგორ დაეიწყებდა სანდროს, მისგან მიყენებული შეურაცხყოფა.

— გაუშვი, ძმობილო, რის მოწყობილობა, რა მოწყობილობა! თუ პოეტობა გინდოდა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური აქ რა შუაშია, აჰანდე ქალაღი, აჰანდე კალამი, წერე და ხეირი ნახეო!

რამდენჯერაც არ აღძრა სანდრომ მოწყობილობის გამოცდის საკითხი, სოლომონ ბეგაშვილმა არც ერთხელ არ დაუქინა მხარი, თავიდან აიჩრია საზრუნავი. ახლაც ვერ დაიყოლია. რადროს ეგ არის, ადექ, გასწი თამალოს მინდერებზეო, უთხრა და აგერ აქ, თამალოს მინდორზეა, ახლა სანდრო დოდაშვილი კოლმეურნეობის ყანებში. სანდრო იმასაც მიუხედა სოლომონ ბეგაშვილს, რომ მიყრუებულ ადგილს გაგზავნა ის ელისაბედ ალუღიშვილის განკარგულებაში. ამ სადარდებელში ღამე მიიღია. ბოლოს კომბაინერი თავისთავის ტუქსევას შეუდგა: შე ოხერო ჩემო თავო, რად შეცდი, რა ჩემი საქმე იყო სოფლის მეურნეობა, შეესულიყავი სად-

მე ქარბანაში, იქ სოლომონები წინ ვერ გადამელობებოდნენო.

სანდრო დოდაშვილი თბილისელი იყო. მის მამა-პაპას არ ახსოვდა, საიდან იყვნენ მოსული ჩუღურეთის უბანში დოდაშვილები. მამა ფოსტის მოხელე იყო, დედა რვა შვილის მოვლით მოქანცული სახლის საქირველს გარეთ ველარ აბიჯებდა. როგორ მოხდა, რამ ჩაუვლო გულში ქალაქელ კაცს მინდვრის საყვარული? ალბათ ეს მოწაფეობის დროს მოხდა. სანდრო ხშირად დაიარებოდა ბაღიაურში რკინიგზის მოხელე ბიძასთან. იქ შეუყვარდა მას ფართო ველები, პურის ყანები, ცხვრის ფარები. როცა საშუალო სკოლა დაამთავრა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე გამოცდას აბარებდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ბაღიაურის მინდვრები ელანდებოდა. უსაზღვრო სიერცხეებზე სასახლეებს აგებდა. ასე ეგონა, პროფესორს კი არა, თამალო-ზიკილას აბარებდა გამოცდას. ახლა კი სწორედ იმ მინდორზეა, რომლის სამსახურიც ჭაბუკობისას ამოიჭრა გულზე, მაგრამ რა გამოვიდა? სასახლეების აგებას ვინღა დაეძებს, ჩაწოლილი პურის ასაყენებელი მოწყობილობის გამოყენებაც ვერ მოახერხა. სანდროს ასპირანტურაში დარჩენაც შეთავაზეს. სანდრომ თავის კანდიდატურა მოახსენებინა პროფესორს: თუ მე ინსტიტუტში ოდესმე ლექციას წავიკითხავ, ჯერ სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მერე წინა და უკანა მხრის ველების აკადემიებს გავივლი, მერე ოქტეწი ხმალი და ჩემი კისერო.

ესეც თამალო-ზიკილას ველების აკადემია, და სოლომონ ბეგაშვილის პირით მას შეთავაზეს ლექსების წერა, ქალაქი და კალამი. მაგრამ მოტყუვდნენ სოლომონები. სანდრო აგრე ადვილად არ დანებდება!

ამ ფიქრების ჭიდილში ღამე დააღია, ცა აღმოსავლეთით სისხლივით გაწითლდა, თამალოში მამლებმა იყივლეს. ყანებში მწყერი ადგა. ბანაკშიც ფუსფუსი

შეიქნა. სანდრომ მანქანებს მათურა. პურში სამკელად შესესლამდე წინ, ორი დღე ჰქონდა. ამ ორ დღეში მას უნდა შეერჩია გასაქრელად შესასვლელი ყანები, შეედგინა კომბაინების დამხმარე გუნდები, გაენაწილებინა მანქანები. ორი დღე არც თუ დიდი დრო იყო. მოწეულ ქერს უკვე მარცვალი სცვივოდა. ამიტომაც ფეხს აუჩქარა. ის იყო ბანაკთან მივიდა, რომ ნაცნობი შარაბნის ხმაური კვლავ შეესმა. უსათუოდ ელისაბედ ალუღიშვილი მოდისო, გაიფიქრა დოდაშვილმა, კვლავ გაბრუნდა შესაგებებლად და რას ხედავს, რა ესმის: შარაბანზე ისევე ელისო ზის, მოერეკება წითელ ფაშატს, წუხანდელივით წითელვარდებიანი კაბა აცვია.

— გამაგდეთ წუხელ, მე მაინც არ გეშვებით, ისევე მოვედი, — ამბობს ქალი.

სანდროს უნებურად ეცინება, გრძნობს, რომ ელისოს დაუნახავად ამ დილის მზის ამოსვლას ჩირის ფასი არ ექნებოდა. გაიქცა, შარაბანზე შეუხტა ქალს.

— ცხენს ვინ გიკაზმავს? — ჰკითხა პირველი, რაც გონებაში მოუვიდა.

— მე თვითონ!

— ელისაბედ ალუღიშვილი, ბრიგადირი კი არ გვეკარება, ჰა? ამბობენ — სტუმრიანობა აქვსო, ჰა? — ჩაულაპარაკა სანდრომ. იცოდა, სოლომონ ბეგაშვილის ქალები გამოჰყვნენ სტუმრად თამალოში ბრიგადირს.

— სტუმრები ბრიგადირს ხელს ვერ შეუშლიან. სტუმარი თავისთვის, ბრიგადირი თავისთვის...

— რას მეშალება ის თქვენი ბრიგადირი, დამენახოს — როგორია!

— ჩვენი ბრიგადირი ისეთია, როგორიც მე ვარ, — უთხრა ელისომ — არც მეტი, არც ნაკლები!

— არც მეტი, არც ნაკლები, დაა თქვენი, დედა თუ მამიდა?

— დაც არის, დედაც და მამიდაც. ჩემთვის ყველაფერია, შენ თუ არ გინდა, არ მოგწონს, არავინ გადალებს!

— სიმართლე გითხრა. ელისო, გამო-

გიტყდე, სოლომონ ბეგაშვილმა მე მაგ ბრიგადირთან გადმომაგდო, — მზიარულად უთხრა სანდრომ. — მე კი მგონია, წაგებული არ აღმოვჩნდები. ამ ყანების ყოველი ჰექტარიდან ოცდახუთ ცენტნერ ბრინჯივით დაჩრეულ ზორბალს გამოვლევავ. კომბაინერს მეტიც არ უნდა. სხვა საქმე მე თქვენს ბებერ ბრიგადირთან არცა მაქვს.

— ჰო, მართლაც, დიახ, ავი დედაბერი, ბუზღუნებს, ყვირის, ყველას სიტყვას აწყვეტინებს, ყველას სისხლს უშრობს თამალოში, არც თვითონ სძინავს და არც სხვას ძძინებს, შინაბერაა და შეფუნდოთ, რა გაგვეწყობა თამალოელებს, არც სოფელი გვივარგა, არც ბრიგადირი.

— არც დღეს მოვა?

— მოვა, მოვა, მის მოსვლამდე, რასაც იტყვი, მე შეგისრულებ, მე მოგეხმარები, აკი გითხარი — დედაჩემია-მეთქი.

— და რად აგინებენ მას, იმ თქვენს ბრიგადირს, თუ ყანებიც თავის ქალივით ნაჯარგები აქვს?

უნებურად წამოცდა კომბაინერს და ელისოს ანთებულ სახეს და თვალებს შეხედა უკრად. მერე შარბანი ბანაკთან შეაჩერა, გადმოხტა, ცხენი გამოაბა მოძრავი სახელოსნოს თვალს.

კომბაინერების ბანაკი იღვიძებდა. ვაეკაცები წყლით საესე კასრთან იდგნენ და ერთმანეთს წყალს უსხამდნენ.

— შენ ამბობდი, — გაუხსენა კომბაინერს ელისომ, — საშუალოდ ჰექტარზე ოცდახუთ ცენტნერს ავიღებო... გამოდის, რომ ჩვენი კოლმეურნეობა, რომელშიაც ბარე ექვსი სოფელია გაერთიანებული და 3400 ჰექტარი გვითესია, — 185000 ცენტნერ პურს მიიღებს. მეც ამ ანგარიშით მაქვს ნაგარაუდები მოსავლის აღება.

— შენ ვინა ხარ? — შეეკითხა სანდრო დოდაშვილი.

— ელისო ვარ, — თქვა ქალმა და განაგრძო: — მე საშუალოდ ოცდაშვიდ ცენტნერსაც ვანგარიშობდი, მაგრამ...

— ორი ცენტნერი ვინ შეჭამა ჰექტარზე? — გაიკვირვა დოდაშვილმა.

— პური, აგე, ხედავ, ჩაწოლილია იმ ორ ცენტნერს დანაკარგს ვვარაუდობ.

— მაშინ, ლამაზო, ეგ თქვენი ნაგარაუდები დანაკარგი 6800 ცენტნერი გამოდის, — გამოიანგარიშა სანდრომ. — მეც ეგეთი ცენტნერები მაწუხებდა, როცა კომბაინის იმ მოწყობილობას ვაკეთებდი, ჩაწოლილ პურს რომ აყენებს და პირში უმარჯევებს ხედერს.

— ასეთი რამ მოწყობილობა არ არსებობს, რად მატყუებ!

— არსებობს! — აენტო სანდრო დოდაშვილი. — როგორ თუ არ არსებობს, აკი ნახე წუხელ გრძელი, მილის ტარზე დაგებულ სპილენძის ჩანგლებიანი სახოპავი, აგერა, იქ. კომბაინზე დევს.

ელისომ მიიჩინა კომბაინთან, მოწყობილობა ასწია, ძირს გადმოიღო, შეათვალიერა.

— ამას კომბაინზე დავამაგრებთ! — აუხსნა სანდრომ. — იტრიალებს, ჩაწოლილ პურს მინანებით მოხვევს ხელს. წამოაყენებს, მიუმარჯევებს პირში მანქანას.

— ყანაშიც გამოცადე? — ჰკითხა ქალმა.

— არა, მაგის საშუალება ვინ მომცა?

— კომბაინზე მის დამაგრებას დიდი ამბავი უნდა?

— არაფერი მაინცდამაინც.

— თუ ასეა, ჩვენ გამოვცადოთ! — ჩაილაპარაკა ქალმა. სანდროს ეს სიტყვები სასიამოვნოდ ჩაესმა ყურში. სიხარულმა აიტანა.

— ოღონდაც შენ ეგ გამოიკეთე ბრიგადირთან. გამომატდევინოს და... ის ბრიგადირი, დედაშენი, როგორი ავიც არ უნდა იყოს, დედაჩემიც იქნება! შენ კი ვინ იქნები ჩემთვის, არ ვიცი!

სანდრო დოდაშვილმა თავი მოიბრუნა. აქ სირცხვილი არ ვჭამო, ელისომ არ შეგმინშნოს საქალამნე ტყავივით დაღობაო.

— აქედან სამი კილომეტრის მოშო-

რებით, ქარაფზე, დედაჩემს ორი ჰექტარი ადრე მოშრიფებული პური უდგას. იქ კსინჯოთ ეგ შენი მოწყობილობა. თუ გამოდგა, ხომ კარგი. ჩვენი კოლმეურნეობა ექვსი ათას რუბლს ცენტნერ პურს მირიგებს. თუ არა და, ბევრს არაფერს დაეკარგავთ. შენ კომბაინი წაიყვანე, მე ზედერის გასწვრივ ვივლი.

სანდრო მოძრავი სახელოსნოს ჩრდილში ჩაცუცქულ ოსტატებს მიუვარდა, საჩქაროდ პირები დააბანინა და კომბაინთან ერთად წამოსვლა უარქმანა. თვითონ კომბაინზე ავიდა, დასძრა მანქანა. კომბაინი ახლა მაღალი ბალახით შემოსილი გზით მიდიოდა. პური ჩაწოლილი იყო. თავთავის წაწვეტილი ბუსუსები მიწას უხეციებდნენ. კომბაინის წინ შარაბანით ელისო მიდიოდა. ქალმა შეაჩერა ცხენი, უჩვენა კომბაინერს გაჩერების ადგილი. სანდრომაც ნაჩვენებ ყანის პირად მიიყვანა მანქანა. აქ ოსტატებმა ხელდახელ შოარგეს ხედერს მოწყობილობა. როცა ხედერი უკვე პურს მოედო და ბზის ჭრის ხრაშუნე შეესმა, კომბაინერმა უცბად მოიხედა უკან. ხედერთან შენიშნა ელისო და მერე დიდხანს აღარ მოუხედავს, სანამ ბოლომდე არ გავიდა. აქ შეჩერდა მცირე ხნით.

— რა ამბავია? — გადმოსძახა ზემოდან.

— მოატრიალე კომბაინი, გაბედულად მიჰყე, — შესძახა ქვემოდან ქალმა.

სანდრო ამ ხმამ გაამხნევა. მანქანას სიჩქარე მისცა. მერე დიდხანს ერთმანეთს აღარ დალაპარაკებიათ არც ელისო, არც ოსტატები და არც კომბაინერი. რა ხდებოდა ძირს ყანაში, სანდრო არ კითხულობდა. შინაგანი ხმა ჩასძახოდა, რომ მოწყობილობა კარგად მუშაობდა. კომბაინი მშოლოდ შუადღეზე შეაჩერა, როცა სასინჯად დანიშნული ფართობის მკა გაათავა და გზის პირას გაშლილ ბრუნენტზე დახევებულ პურის მარცვალს შეხედა.

— აქ ყანა თხელიც იყო და ნაკლე-

ბიც. ოცდარეანახევარი ცენტნერი გამოვიდა ჰექტარზე, — განუცხადა ნასიამოვნებმა ელისომ კომბაინერებს და ხელში მკიდროდ ჩაწული თმის ნაწნავი აათამაშა, თითქოს იმ თმაში ეგულეება ის ძალა, რამაც ეს სიტყვები ათქმევინაო.

— შემდეგ რაღა ვქნა? — იკითხა სანდრომ. პასუხის მაგივრად ელისო თავისას მოჰყვა.

— და როგორ მომკო, პა? ერთი თავთავი რა არის, არ დარჩენილა ნაწვერალში, ერთი მარცვლიც არ ჩაბნეულა!

მაღე თავი ერთად მოიყარეს. მოედვნენ ნაწვერალს. ეძებდნენ ჩაწოლილ თავთავს. ვერსად პოულობდნენ. მოწყობილობა რომ კარგი იყო, ამას თქმა აღარ უნდოდა, და ამაზე არც არავინ ლაპარაკობდა.

მზის გადახრისას ელისომ კვლავ გააბა შარაბანში ცხენი, გასწია თამალოში და სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ ავტომანქანით დაბრუნდა კომბაინთან. კაბინიდან თავი გადმოყო, დაუბარა დოდაშვილს, კომბაინი აქედან არ დაძრა, აქ მელიოდო, და სადღაც გაეშურა.

წინა ღამის უძინარი და მთელი დღის ნამუშევარი, თან ნერვებდაკიმიული, სანდრო დოდაშვილი იმ დღის გამონალეწ ბზეზე წაწვა და ისე ტყბილად ჩაიძინა, რომ ვახშმისთვისაც ველარ გააღვიძეს. ამხანაგებმა მას მარჯაო წაახურეს; თვითონაც იქ დაწვენენ. დილით ყველაზე ადრე გაიღვიძა სანდრომ. გაიხსენა ყველაფერი, რაც უნდა მოეშადებინა მოსაელის ალების დაწყებისათვის, მაგრამ ხელმოცართული უგერგილო კაცივით ველარაფერს ახერხებდა. ახირებულმა გრძნობამ შეიპყრო. მას აღარ უნდოდა, მის მახლობლად დაენახა თუნდაც ერთი სულიერი, გარდა ელისოსი. ის კი არსად იყო. მანქანით გაქროლდა წუხელ ფართო და გრძელი მინდერების გზით. აი იმ გზით წავიდა, მის წინ რომ გაწოლილა, და ვინ იცის, ახალგაზრდა გოგოს

თავში რა უტრიალებს? იქნებ აღარც დაბრუნდეს?

სწორედ ამ დროს მან შორს მტერის კორიანტელი შენიშნა. კარგად რომ დააკვირდა, ორი მანქანა გაარჩია, კომბაინისაკენ მოდიოდნენ. სანდრომ ამხანაგები გააღვიძა. უკვე მოახლოებულ მანქანებს ფეხზე დაუხვდა.

მგზავრობისაგან მოღლილი ელისო მანქანიდან მძიმედ გადმოვიდა. მანქანიდან მეორეც გადმოვიდა, მაგრამ სანდროს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ელისო ბირდაპირ მივიდა კომბაინერთან.

— კიდევ მომკე რამე? — ჰკითხა ქალმა.

— როდის-ღა მოვასწრებდი!

— აი ვინ მოვიყვანე! — უთხრა ბავშური მიაშიტობით ელისომ კომბაინერს და წარუდგინა შავვრეშანი, კარგად მოყვანილი ვაჟკაცი, რომელსაც საზაფხულო ქუდი ეჭირა ხელში და კომბაინის მისჩერებოდა.

— ვინ არის? — იკითხა დოდაშვილმა.

— საოლქო კომიტეტიდან არის, — ხმადაბლად ჩასჩურჩულა ელისომ. — როგორ მოვიყვანე? მე ეს აზრადაც არ მქონია. ადგა და წამოვიდა. ჩემი თვალით ვნახავო, თქვა. მეც მაშინვე მივხვდი, რომ, თუ მართლაც წამოვიდოდა, ამას არა აჯობებდა რა.

— აბა, მიჩვენეთ როგორ იღებთ პურს, — უთხრა მოსულმა ელისოს. სანდრო მაშინვე ავიდა კომბაინზე, მიაგლბოველო თვალი არემარეს. მხოლოდ ახლა შენიშნა სოლომონ ბეგაშვილი, რომელიც ერთი თუ ორი ნაბიჯის მოშორებით საოლქო კომიტეტიდან მოსულს ბატკანივით დასდევდა უკან. სოლომონს ცალი თვალი მიეპყრო კომბაინისათვის. ბებერ იაბოსავით ჩამოშვებოდა სჭილი ქვედა ტუჩი და უკანკალვდა.

კომბაინი დაიძრა. საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი და ელისო უკან მიჰყვებოდნენ მანქანას, მისჩერებოდნენ

ახალ მოწყობილობას. კომბაინმა გაიტანა კაბდო, შემოტრიალდა ასე მღუბდნენ პურს კარგა ხანს. საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ბოლოს კომბაინზეც სანდრო დოდაშვილთან ავიდა. ხან რას ეკითხებოდა, ხან რას. სადილობა იქნებოდა, როცა შეჩერდნენ. ნაწვერალში ახლა თითქმის მთელი თამალოს მოსახლეობა მოსულიყო. აქ იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სოლომონ ბეგაშვილის გასათხოვარი ქალებიც. არსად ჩანდა მხოლოდ თამაშქალარებული, შავკაბაში გამხმარ სხეულგამოკრული, შინ გაუთხოვრად ჩამუტყუებული, შინაბერა ელისაბედ ალულიშვილი. თამალოელი ბრიგადირის გარეგნობა ასე ჰქონდა წარმოდგენილი დოდაშვილს. ბრიგადირის ასეთი პორტრეტის ხატვისას კომბაინერს ყოველთვის გული მოსდიოდა თავის თავზე: „ეჰ, რას ვერჩი, ვინც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა იყოს, უკეთესი პურები მთელ მხარეში არავის აჭვს. მე რა მაწუხებს, მე რა მესაქმება, გინდა მახინჯი იყოს, გინდა ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი“. იქვე ნაწვერალში თამალოელები ამაოდ ეძებდნენ ჩარჩენილ თავთავეებს, ან კომბაინის მიერ დატოვებულ, ჩაწოლილ პურს.

სალამომდე კიდევ რამდენიმე სასინჯი ჰქეტარი აიღო სანდრომ. არც ჰამა გახსენებია ვისმე, არც დასვენება. სოლომონის ქალებიც კი მთელი დღე იდგნენ მინდორში, გავარვარებული მზის სხივების მტხუნვარებას სხვებთან ერთად ისინიც უძლებდნენ.

— ასე გვინდა ავიღოთ მოსავალი, — უთხრა საოლქო კომიტეტის წარმომადგენელს ელისომ.

— ასეც აიღეთ! — დაუდასტურა მან. მანამ ეს ორი სიტყვა ითქმოდა, სანდრო დოდაშვილი მიუახლოვდა სოლომონ ბეგაშვილის უფროს ქალს და გამოელაპარაკა:

— თქვენ ავი ელისაბედ ალულიშვილთან ხართ სტუმრად!

— დიახ, ვართ! — მიუგო მან.

— შერმე სად არის ელისაბედი? რად არ მოდის? — იკითხა კომბაინერმა.

— ელისაბედი თუ ელისო — გააკვირვა ბეგაშვილის ქალმა. — ელისაბედიც ეგ არის, ელისოც და ბრიგადირიც.

კომბაინერმა მძიმედ ამოიხვნეშა. ქალებთან ურთიერთობაში რომ მოუხერხებელი ვინმე იყო, ეს კარგად იცოდა კომბაინერმა. მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა მეტისმეტად ეჩვენა. მაინც როგორ მოხდა, რომ თვითონ ბრიგადირთან იყო და არც კი იცოდა. სირცხვილმა აიტანა.

— თუ თქვენი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სახელოსნო იკისრებს კომბაინისათვის ამ მოწყობილობის დამზადებას, ერთ კვირაში რამდენი ცალი შეგიძლიათ დაამზადოთ? — ეკითხებოდა საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი სოლომონ ბეგაშვილს. სოლომონმა ავი თვალით გადახედა სანდროს და მხოლოდ მერე მოახსენა საოლქო კომიტეტის წარმომადგენელს.

— ეგ მოწყობილობა ჩემი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სახელოსნოში დაიბადა. გამოიგონა იგი ერთმა შოფერ-კომბაინერმა, რომელიც ახლა ჩვენთან აღარ მუშაობს. რთული არა არის რა. თუ ქალაქიდან თორმეტითდე ბალონ მკაფადს მომცემთ, ერთ კვირაში თუნდაც მთელი რესპუბლიკის სამყოფს დამზადებთ.

— სად არის ახლა ის კომბაინერი? სად მუშაობს? — ჰკითხა მას საოლქო კომიტეტის წარმომადგენელმა.

სოლომონი ამ კითხვას არ მოელოდა. სახეზე სისხლი აუვარდა, ენა ვეღარ დასძრა, ცალი უღვაში ნერვულად აუთამაშდა.

— ჰა, სად არის გამომგონებელი, რა მოუვიდა? — კვლავ გაუმეორა კითხე.

— ერთი თავნება კაცი იყო. მანქანა-ტრაქტორთა სადგურში განერება... არ ზოისურვა. სხვაგან სამუშაოდ გადასასვლელად თავი გაითავისუფლა. შეცველარ დაევიკირე...

— ისე, დაუნანებლად მოგშორდათ, წავიდა და უკან აღარ მბრუნდვს... ჰა! — გადაუკრა საოლქო კომიტეტის წარმომადგენელმა სოლომონს და სანდრო დოდაშვილს მიუბრუნდა. — შენ რაღას იტყვი? წავიდა, ჰა?

— ეგ მოწყობილობა მართლაც შოფერ-კომბაინერმა გამოიგონა. გამოიგონა და თავი მიანება. სამაგიეროდ, მე ვერ დავანებე თავი. ვგრძნობდი, რა სასაოგებლო საქმეც იყო. — მოუგო თავისი მხრით სანდრომ საოლქო კომიტეტის წარმომადგენელს.

— უხელმძღვანელებთ ყველგან კომბაინზე ამ მოწყობილობის გამართვას, — უთხრა მან კომბაინერს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

— მესმის! — აღმოხდა სანდროს.

სტუმარი ყველას გამოემშვიდობა. ჩაჯდა მანქანაში და თბილისისაკენ გასწია. იქ დარჩენილები სანდროს ვინ ხელს ართმევდა, ვინ კონცხდა. ხელი ჩამოართვა სოლომონ ბეგაშვილის უფროსმა ქალმაც. ხელის ამ ჩამორთმევის წაშს იგრძნო სანდრომ, რომ თავისი სიცოცხლის რაღაც არსებობითი საკითხი უნდა გადაეწყვიტა და უნებურად ელისოსაკენ მიიხედა. მიიხედა და საბოლოოდ დარწმუნდა, ელისო იყო მისი ყველაზე ახლობელი ნათესავი და მეგობარი.

კომბაინერს ხელი ელისომაც ჩამოართვა. სწორედ ნანატრივით გამოვიდა. ახლოს არავინ იყო.

— ელისო, დღეიდან ჩემი სიცოცხლე შენ გეპარებოდეს! — პირდაპირ უთხრა ქალს კომბაინერმა.

— ასე ჩქარა! — წამოიძახა ელისომ და, სახეზე აღმურავარდნილი, სირბილით გასცილდა კომბაინერს.

გვიანამდე აღარ დაუსვენია სანდროს. ადგენდა კომბაინის დამხმარე კოლმეურნეების ჯგუფებს. თვალს ადევნებდა მანქანების დახეთვას და მინდორში გასვლის წინა სამზადისს. საკმაოდ დაღლილი იყო, როცა ყველანი ბანაკში გაუშვა და თვითონ მარტო, თავის ფიქ-



რებთან დარჩენა არჩია. ის-იყო თვალიც მოატყუა, რომ ცხენის ფეხის ხმაურმა გამოაფხიზლა. კომბაინთან მივიდა ელისო ალულიშვილი. სანდრომ ქალს ცხენი ჩამოართვა. სანამ ვაეი ცხენს მოუვლიდა, ქალი კომბაინის გვერდით დაგროვებულ განაღწეზე ჩამოჯდა. სანდროც იქ მივიდა, გვერდით მიუჯდა ქალს, რომელიც ახლა ხმას ვერ იღებდა.

— რაც გითხარი, ელისო, იმ სიტყვაზე ვდგავარ, სანამ ცოცხალი ვიქნები. უბედურს ნუ გამხდის, მითხარი, ხომ არაფერი გაწყენინე?

— არა, არა მწყენია რა, ოღონდ კიდევ მითხარი, რამე, — თქვა ქალმა. სახეზე ხელები მიიფარა და თავი მუხლებ-

ზე დაიდო. — არა, არა მწყენია რა, კიდევ მითხარი... კიდევ.

— ელისო, ჩემი და შენი შეიღებს მოვლით მომალე, ეს მაქვს სათქმელი, მეტი არაფერი.

— არა მწყენს, არა მწყენს! — კვლავ ჩაილაპარაკა ელისომ.

— არა გწყენს, ჩემო სიცოცხლე? — თქვა კომბაინერმა. ქალს მხრებში მოაელო საქის მართვით გამძლავრებული ხელები, წამოაყენა, მკერდში ჩაიკრა.

— არა მწყენს, არა მწყენს! — ისმოდა ელისოს ნაზი ხმა და ისე ეკვროდა დოღამეილის მკერდს, თითქოს შიგ გულში ჩაძრომა გადაუწყვეტიაო.

Handwritten numbers: 5367



ვასილ გიორკინი*

★

სიკვდილი და ჯარისკაცი

შორს იწევდა, ბორცვებს იქით
 მძიმის ალი, ცეცხლის ალი,
 ნატყვიარი ტიორკინი
 თოვლში იწვა ფერმიმერთალი.
 ძირს გაწოლილს ტანზე სისხლი
 შეჰყინვოდა — არ მოჩქეფდა.
 თავს დაადგა მას სიკვდილი:
 — ჯარისკაცი, წამო ჩემთან.
 მე ვარ შენი მეგობარი,
 წამო, ცოტას გაგაცილებ.
 თეთრი ბუქით, თეთრი ბუქით
 კვალს წაგიშლი, დაგაძინებ,
 შეირხევა ტიორკინი,
 ითოშება თოვლში მწოლი.
 — როდის გიხმე, შე მურდალო,
 ჯერ ცოცხალი ვარ მებრძოლი.
 დაიხრება ძირს სიკვდილი
 და სიცილით ეტყვის ვასილს:
 — ვიცი, ვხედავ: შენს სიცოცხლეს
 აღარა აქვს ფეტვის ფასიც.
 მაგ ლოყებზე გამოვლისას
 დაგაფინე ჩრდილი შევი,
 ვერც კი ამჩნევ, შენს სახეზე
 აღარ დნება ფიფქი მშრალი.
 ღამის რატომ გეშინია?
 ვიცი, ველი შენგან დასტურს...
 — არა, ერთი ეს მითხარი,
 შენ პირადად ჩემგან რა გსურს?
 სიკვდილს თითქოს ხმა ჩაუწყდა,
 უხარხულად განზე მიდგა.
 — შენგან მინდა... სოლ ცოტა რამ, —
 უმნიშვნილო რამე მინდა.
 ნიშანს მომცემ თანხმობისას,
 სულს რომ დაღვე. იტანაები

და სიკვდილზე რომ ლოცულობ...
 — ხელკერილი გინდა ჩემი?
 — ხელს მოაწერ, მერე რაა,
 ასეთ ყოფას ძილი არ სჯობს?
 — არა, თავი ძვირად მიიღოს.
 — ო, ძვირფასო, რისთვის ვვაჭრობთ...
 მაინც კვდები, სულ ერთია,
 ასე რატომ მეურჩები?
 დამიჯერე. ახლა ჩქარა
 ქვად გექცევა ვგ ტუჩები.
 თანახმა ხარ?
 — არა, არა!..
 — გაიხედე, ბნელი ღამე
 როგორ მოდის ცივ კლანჭებით,
 მოვრჩეთ ახლა. ნულარ მაცდენ,
 და შენც ნულარ იტანჯები.
 — მე გავუძლებ.
 — შე სულელო,
 გაყინული გაქვს სხეული.
 განა არ სჯობს საუკუნოდ
 იწვე ქურქში გახვეული?

ვხედავ, გჯერა. ირომლი მოგდის,
 გრძნობ, შემტკიცა შენთვის გული?
 — რომე, ეტირო ყინვისაგან,
 განა შენი სიბრალულით.

— სულ ერთია, რა მიზეზით
 წევხარ ახლა ცრამლიანი.
 ველზე სუსხი დამძვინვარებს,
 შენი პოვნა ძნელი არის.
 რომ გიპოვნონ, რისთვის გინდა
 სულ ვაგლახი. სულ წამება?
 დაინანებ. რომ არ მოყვდი
 ამ ადგილას, უწვალებლად.

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 10.

— მეხუმრები! — მხრის შერხევით
უპასუხა ჩრდილს ვასილმა. —
ახლა მინდა მე სიცოცხლე,
ჯერ ხომ არც კი მიცოცხლია...

მას სიკვდილი კვლავ სიცილით
შიგ თვალებში ჩააქცევდა:
— ცოცხალს გელის ისევ ყინვა,
ისევ ჯაფა, ჰაბანწყვეტა.
მამ განსაჯე, რა მოგელის:
ისევ შიში, ისევ დაღლა,
— რა განვსაჯო, — მე — სიცოცხლე
გეომები სიკვდილს ახლა.
— სახლზე დარდი მებრძოლს მზითვად
თან დაჰყვება გამუდმებით.
— ფაშისტს როცა დავამარცხებ,
მეც ოჯახში დავბრუნდები.
— კარგი, ვთქვათ და შინ დაბრუნდი,
რას გააწყობ, რას გახდები?
გაძარცული მიწის გარდა
სულ წაიღეს წასაღები.
— შინ ყველაფერს მოვახერხებ,
საქმეს უნდა ვემსახურო.
— სახლი დაწვეს.
— მე ვარ ხურო.
— ღუმელია დანგრეული.
— ღუმელს დაედგამ. რომ ოჯახში
კერის ცეცხლი გაეახურო.
ქვეყანაზე ყველაფერი
მემარჯვება. არა ვხუმრობ.
— ერთი ესეც უნდა გკითხო,
რომ დაკარგო ცალი მალავი?
სახიჩარი რომ დაბრუნდე,
შეგძულდება მაშინ თავი.
შავ სიკვდილთან საკამათოდ
ალარ ეყო ვასილს ძალა,
შეშდებოდა. კაცი ლამის
სისხლისაგან დაიკალა.
— შენ. სიკვდილო, თუ ნამდვილად
შემისრულებ ერთ სათხოვარს,
მხოლოდ ასე, ამ პირობით
ელირსები ჩემს თანხმობას.
სიმწრისაგან გულდამდნარი
წვეს ულონო. წამიბს ითილოს.
იგი თხოვნიო. თან ყვედრებით
ეუბნება შეებნელ სიკვდილს:

— ვიცი, ომში მშობელ მხრეს
ჩემებრ ბევრი ელუბება
მაგრამ ბოლოს ხომ მათგან
შენ ერთი დღის შევებულებას?
ნებას მომცემ, ომის ბოლოს
მოვილხინო, როგორც მინდა,
გამარჯვების სალუტების
ხმა მომესმას მოსკოვიდან.
ნებას მომცემ, რომ ცოცხლებთან
გავიარო გუგუნისას?
ნებას მომცემ ერთ სარკმელზე
ფრთხილად დაკაენებისას?
კიბებზე როცა ავალ,
აი, დამრთე მაშინ ნება
ერთი სიტყვა რომ ვთქვა მხოლოდ,
მხოლოდ ერთი?
— არ იქნება...
შეირხვეა ტიორკინი
გათოშილი, თოვლში მწოლი.
— გამეცალე, შე ოხერო,
ჯერ ცოცხალი ვარ მებრძოლი.
აქ ვიტირებ ტკივილისგან,
აქ მოვკვდები, აქ ვეგდები,
მაგრამ ჩემით. უბრძოლველად
არასოდეს დაგნებდები.
— მალე სხვა გზით შემოგივლი,
მალე მომცემ ალბათ ნიშანს.
— ჩუ, მოდიან. მე შეძებენ.
— აბა საით? არავინ ჩანს.
— ბილიკს ხედავ გადათოვლილს?
აქ სიკვდილი აღებს ხახას,
მთელი ძალით იწყებს ხარხარს:
— დამმარხველთა რაზმი არის,
ხა, ხა, ხა, ხა...
— სულ ერთია ჩემთვის ახლა,
ცოცხალ ხალხის
მინდა ნახვა.

თოვლი ახლოს იწყებს ხრამუნს,
ნიჩაბს ხედება რკინის კეტი.
მოდის ორი მეგობარი,
— აი, ხედავ, მეომარი
დაგვრჩენია, — იტყვის ერთი.
დავიღალეთ, მცდრობის ზიდა
ახლა ალარ გამაგონო.
მოდის, დავსხდეთ ამ ცხედარზე

და უზმოზე გავაბოლოთ.

— ნეტავ ახლა ცხელი კერძით

სავსე ქვაბი გვემოდის, ბიჭო

— ზედ არაყი ერთი წვეთი,

— ერთი ყულუბი.

— ორი გვიჯობს...

ამ დროს ოდნავ გასაგონად

უზმობთ კაცი, თოვლში მწოლი:

— მომამორეთ ეს დიაცი,

ჯერ ცოცხალი ვარ მებრძოლი.

— აი, მართლაც საოცრება:

ცოცხალია ჯარისკაცი.

— რაღას ფიქრობ!

— აბა ჩქარა!

— ჩავაბაროთ სანიტნაწილს,

დინჯად ეტყვის ერთს მეორე:

— ამას ჰქვია საოცარი —

განა მარტო სხეულია,

მასთან ერთად სულიც არი.

— ძლივს იმაგრებს სულს სხეული,

— გათოშილა ტიალ თოვლში.

ჩვენ გეინდოდა, ძმაო, შენი

წაბრძანება მიწსახკომში.

— რაღას მსჯელობ. წუხს დაქრილი,

ვერ გაუძლებს დიდხანს ლოდინს,

მოაქერი მაგ მაზარას

გაყინული სისხლის ლოდი.

სიკვდილი კი იტყვის გულში:

— მეც გავყვები უკან, მოდი.

კარგად ვიცნობ — სულ სხვა საქმეს

შესჩვევიან ეს ბიჭები.

დაქრილს გზაზე შეანჯღრევენ,

და დამრჩება მსხვერპლი ჩემი.

წყვილი ჭამრის. წყვილი ნიჩბის,

წყვილ მაზარის საკაცეში

ჩააწვენენ დაქრილს ფრთხილად,

— იწექ ძმაო, მოითმინე.

— ჯარისკაცი, მოუფრთხილდი
თანამებრძოლს გასსაცდელში.

მათ დაქრილი მიყავთ ნელა,

მზრუნველობით და სიფრთხილით,

თოვლში დინჯად აბიჯებენ,

უკან მისდევს კვალს სიკვდილიც.

ტრიალ ველზე გზა გზას არ ჰგავს,

თოვლი მებრძოლთ მეტრდზე წვდება,

— კარგო, ცოტა შეგესვენათ, —

მათ დაქრილი ეხვეწება.

ერთმა უთხრა: — ნუ გვიცოდებ.

დრო იმისთვის შემოგწირეთ,

რადგან შენთან შედარებით

მკვდარი არის ორჯერ მძიმე.

მეორემ თქვა: — ეს სწორია,

მაგრამ ერთიც უნდა ითქვას:

ცოცხალს მალე უნდა შეველა,

მკვდარი ლოდინს მუდამ იტანს.

იმსჯელებს და ბოლოს მაინც

ასე ასკენის თვითიული:

— ყველაფერი შეჩვევაზე

არის დამოკიდებული.

— ხელთათმანი არ გაქვს, ძმაო?

— ჰა, მოირგე თბილზე თბილი...

— დალონდება, ჩაფიქრდება

და ჩალუნავს თავს სიკვდილი:

ერთმანეთთან რა საოცრად

არის ყველა შეწყობილი.

ერთთან თუ ვერ მოვახერხებ

განზრახულის შესრულებას,

ახლა ძალაუწებურად

უნდა მივცე შევებულება.

ჩამორჩება მათ სიკვდილი,

ოხვრით სხვაგან შებრუნდება.

ტიორკინი წარს

შემიძლია გაცნობით

ჩემი პალატიდან,

რომ სიცოცხლის მოყვარულს

წოლა აღარ მინდა.

დამეზილა ფერდები,

სარეცელში ვერ ვძლებ.

მაგრა: ფეხი მექნება

უკეთესი ძველზე.



და ვაპირებ ხელახლა,
უყვარჯნოდ, ძმებო,
ორთვე ფეხით ბალახი
ძველებურად ვჯეგო.
მხოლოდ ესლა მაწუხებს
(მიმიხედვებით, ალბათ),
ჩემს მშობლიურ ნაწილში
მინდა მოვხვდე ახლად.

მასთან ერთად ვცოცხლობდი,
ომის კურსი განველე.
მტერში ერთად ვიხვედით,
თოვლში ერთად ვუტყვედით,
ერთად ვივლით მალე.

იგი ჩემთვის ამქვეყნად
ჯველაფერი არის:
ჩემი ქოხიც, ოჯახიც,
და მშობელი მხარეც.
მასთან შედღეობება
მწყურია და მშოია,
ნეტავ იმ დღეს მომასწრო,
მასთან ერთად ვიხილო
ჩემი სმოლენშჩინა.

ერთად ვჯეგოთ საზღვარი,
მასთან ერთად მოვიმცა
გამარჯვება ტყბილი.
მე გამზარდა ნაწილმა,
მისი ჯარისკაცი ვარ,
მასთან ერთად სუყველგან
უსასრულოდ ვივლი,

და თუ ტყვია მესამედ
სასიკვდილოდ მიიხველტს,
მასთან ვინ რას გახდება,
თქვენ ხომ ჩემთან იქნებით,

სიკვდილის წინ გავხვდავ
ჩემს მეგობარ ბიჭებს,
მაგრამ სიკვდილს არასდროს
არა ვჩქარობ, ძმებო,
ძლიერ მიყვარს სიცოცხლე,
როგორც გწერდით ზემოთ.

რადგან ასე ძალიან
მინდა თქვენი ნახვა,
ამავ სიტყვებს გენერალს
მივწერ აი, ახლა.
გენერალი, მგონია,
შემისრულებს, რაც მსურს.
თვითონ მომცა ორდენი,
ვფიქრობ, მომცემს დასტურს.

ალბათ, მალე კვალდაკვალ
გამოვყვები წერილს...
გადაეცით მზარეულს
თქვენ მოკითხვა წრფელი.
მსუყე კერძი ამზადოს,
ისე, როგორც იცის.
ქვაბში მუდამ სმენაზე
იდგეს ხოლმე ციცხვი.

ბოლოს ერთსაც გაცნობებთ:
მინდა თქვენთან მოსვლა,
რადგან ზეალის დიდ ბრძოლებს
დღეს წინასწარ ვუნოსავ.
როგორც ცხენი გრძნობს ხოლმე
მხედრის ქორწილს აღრე...
იმ დიდებულ დღეს ნეტავ
უყვარჯნოდ ავღგე-
ლამით, როცა ვიძინებ,
ამბავს ველი დილით...
გწერთ და გკოცნით თქვენი ძმა
ვასილ ტიორკინი.

ტიორკინი — ტიორკინი

ვის ღუმელში და ვის ქოხში
ვის საჩუხეს სწავავენ დაშლილს,
ვინ დაეძებს... მიდი, გათბი, —
თუგინდ მთელი ღამე დარჩი.
ვის ქოხში ხარ, ვინ კითხულობს,
ცეცხლთან მიდით, ძმებო, ახლოს.

მიდით, გათბით, გაიხარეთ,
თავმოყრილო, კრელო ხალხო.
იატაკზე გიცდის თივა,
დაწეწ — როცა იწყო თვლემა.
არც სიღედრთან, არც შინა ხარ,
არც სამოთხის სტუმარი ხარ,

მაგრამ ერთი უნდა გითხრა:
 ძმომ, აქაც სიცოცხლეა.
 ერთი შიშველ ფეხს დასცქერის,
 შექნე სინჯავს და იზილავს,
 რომ დარწმუნდეს მორჩენილი,
 ფეხი მართლა თავისია?
 ერთი ბერტყავს ძველ ფარაჯას
 და იქაჩავს ხალათს მაღლა.
 ლამის ცეცხლში შეყოს თავი,
 — შენ აქ მარტო ხომ არა ხარ?
 — ბნელა. შექს ნუ ეფარებით,
 გაიწიეთ განზე ძმურად.
 — მართლა, რას იქმს მტერი ახლა?..
 — ველარ იბრძვის ძველებურად.
 — მაგრამ მაინც გვიშენს ისევ.
 გვიშენს ისევ, განა ძუნწობს.
 — ცალი ჩექმა გაუხდია.
 — უფრო კარგად რომ გაკურცხლოს.
 — ეჰე, ომი არის, ძმებო.
 — მართალს ამბობ? არა ზუმრობ?
 — რა სჯობს ახლა ქაფ-ქაფ ჩაის.
 — სტყუი ძმომ, ცხელმა ჩაიმ
 როგორ უნდა გაგახუროს.
 — მაგ შაშხანას ცეცხლთან ნუ სდებ.
 — რომ იცოდე შენ, რა არის
 ცხელი ჩაი, ზედ ნამცხვარი...

სიამისგან მოთენთილი
 ტიორკინი წევს გულადმა,
 არ ერევა საუბარში,
 ომში არის იგი ახლაც,
 ესე იგი არის სახლში...

მორჩენილი ჯარისკაცი
 პოლკში როცა დაბრუნდება —
 სხვა გარემო, სხვა ადგილი,
 სულ სხვა ხალხი დაუხვდება.

ალარ ისმის ოხუნჯობა,
 სხარტი სიტყვა. თქმა ლამაზი...
 — სად გვყავს ვასილ ტიორკინი? —
 ეს ჩაესმა უცხად ვასილს.
 იგი ჩალის შარბურით
 დგება, უცდის რა მოხდება.
 გაუკვირდა უცნობ ხალხში
 მასზე სიტყვის ჩამოგდება.

ცეცხლთან დულდა ქრამულდუნდუნ
 და ხმაური მზიარულდუნდუნდუნ
 აღარ იყო ყურთა სმენა.
 ვასილს ესმის ხმა ახალი:
 — ეს ვინ იყო, რომ მახსენა?
 — შენ გახსენეს? იგი ისევ
 იმეორებს ხელად, სწრაფად.
 — რა თქმა უნდა, მე მახსენეს,
 ტიორკინი მე გახლავართ...

ამას ისმენს ჩემი გმირი,
 უცნაური რაღაც სდება,
 ათასგვარი ფიჭვი მოქრის.
 ხალხი უზმოდ მიბრუნდება
 და გახედავს იმ ტიორკინს.

თითქოს ყველა წუთით შეერთა.
 — ტიორკინი შენ ხარ?
 — მე ვარ.
 — მართალს ამბობ?
 — მართალს ვამბობ.
 უცებ ერთმა
 დაიჭექა: ჰე, ბიჭებო,
 — ტიორკინი არის ჩვენთან!
 — წეკოს მოსწევთ? —
 მას ვილაცამ
 სთხოვა როგორც მეგობარმა.
 მას მეორე ტიორკინი
 უპასუხებს:
 — წეკოს? არა.
 ჩემი გმირი ცხილ ლუმელთან
 მივა წყრომამორეული,
 უმზერს: სახემწითურია
 კაცი, მისი ორეული.
 მწარე წეკოს თუ მოსწევდა
 ის მეორე ტიორკინი,
 ალბათ, კრინტსაც არ დაძრავდა
 ტიორკინი — ჩემი გმირი.

მაგრამ ცხადად როცა ხედავს,
 ჯარისკაცი ცხვირს წევს მაღლა,
 ჰკითხავს ჩემი ტიორკინი:
 — მომაწოდებთ „ყაზბეგს“ ახლა?
 ვასილს გვიან უპასუხებს,
 წაუყრუებს იგი თითქოს:
 — თუ ასეა, მაშინ ნადავლი

სიგარეტი მიირთვითო.
 რიგიანად ვერ გაკენწლა
 და ეს იგრძნო ჩემმა გმირმა:
 იმ ტიორკინს მწარე სიტყვით
 გული ოდნავ ვერ ატკინა.
 არ უყვარდა მას ყოყოჩა,
 მამლაყინწა ხალხის მზერა.
 ბოლოს უთხრა ამოხვრით:
 — ტიორკინი მაინც მე ვარ...
 — კიდევ ერთი ტიორკინი...
 ამ ხმაურში და ხარხარში
 — ორი ერთად! — ვილაც ყვირის.
 — ხუთი როცა შეგროვდება,
 გამაღვიძეთ აბა მაშინ.

ხუმრობს, ძმაო, მას ახალი
 ტიორკინი ეტყვის უცებ,
 თან მოკუმავს იგი ტუჩებს:
 — ტიორკინი მე გახლავარ,
 — ვინ რა იცის, გვარი კი არ
 გაწერია, ძმაო, შუბლზე.

— როგორ? — ეტყვის თავმომწონედ,
 და მწითლური ტიორკინი
 ამოიღებს წიგნაკს ხელად.
 — ტიორკინი არის სწორედ.

— ტიორკინი კი ხარ, მაგრამ
 ვანო გქვია შენ სახელად.

დამცინავად გადახედავს,
 იგი სიტყვას უჭრის ვასილს:
 — თომასაც კი დაგარქმევენ
 ერთი რითმის გულისათვის.
 — კარგი, ერთი ესეც მითხარ,
 ტიორკინს ხომ გმირი ჰქვია?
 ის ფარაჯას გადიღელავს,
 — ორღენებიც მიმიღია.
 ამას გეტყვით, მე ვარ სწორედ
 ტიორკინი, ჯავშნის მხერეტი,
 მტრის მანქანა დაეამტერიე
 ერთი-ორად შენზე მეტი.
 ცეცხლთან მდგარი ტიორკინი
 თითქოს წოთით დაიბნაო,
 — აი, მაშინ გამოგციდიდი,
 თუ ვიშოვით სადმე გარმონს.

დაიძახებს ხალხი ამ დროს:
 — ათისთავი მოგცემს გარმონს
 — ნუ ეხები, მეგობარო.
 გაიღვიძებს...
 — გაიღვიძოს,
 — ახლავ მოგვემთ, ძმებო, გარმონს!

მან შეახო ხელი სამ მწკრივს,
 მეგარმონე იცნეს ხელად.
 თეთრ კლავიშებს, წესისამებრ,
 დაბლა ჩაჰყვა თავპირველად.
 ნალღლიანად დაირხევა
 ხმა უნახეს, ნარნარ ჰანგის,
 ტყავზე ლოყამიყრდნობილი
 უმღერს ტრფობას და წყლის ნაპირს.

ხელს ჩაიქნევს ტიორკინი:
 — გაქვს უფლება ლაპარაკის.

ტიორკინს რომ მწითურობა
 არ უხდება, ესა გლუპავს.
 — არ გკოდნია, ქალიშვილებს
 მწითურები უფრო უყვართ.

ახლა თვითონ ტიორკინიც
 ახარხარდა გულიანად.
 ტიორკინი სხვაც რომ არის,
 არა სწყდება გული, არა.

ოდნავ სწყინს და კმაყოფილიც
 არის მსგავსი კაცის ნახვით,
 ვერ გაერკვა, მაგრამ მაინც
 ხომ გაერთო ღამით ხალხი.

ტიორკინი ეტყვის მწითურს:
 — უნდა-გთხოვო ერთი რამე:
 შენ ნამდვილი ტიორკინი
 იყავ, ძმაო,
 შე — მოგვეარე...
 ის პასუხობს:
 — ასე რატომ?
 — მაშ ვინ არის ტიორკინი?
 — აი, მართლა საოცრება,
 და ამბავი უცნაური.
 ქუხს ხარხარი, ქუხს ხმაური.

უცხად ზეზე წამოდგება,
დაიყვირებს ათისთავი:
— სმენა იყოს, გაგონება!
ეს რა აღრზაურია,
ხელს ერთმანეთს რაზე უშლით?!..
წესით თითო ტიორკინი
იყოს ყოველ ასეულში!

გესმით? წესი ნათელია?
გაქვთ შეკითხვა? არ გაქვთ? არა?
დაიშალეთ, აბა ჩქარა!

დაიძინეთ სწრაფად ახლა,
და მეც მკაცრი ათისთავის
ბრძანებისა ვარ თანახმა:
მე რომ მკითხონ, არა მარტო
ამ ბრძანებას დაეცავები.
მათ სუყველა ათეულშიც
სათითაოდ ჩაერიცხავები,
რომ არ დასწყუდეს ვისმეს გული.

ეს ამბავი, ჩემო ძმებო,
სხვათაშორის იყო თქმული.

ამტორისაბან

ის მდინარე უნდა აქო,
რომელშიაც ცურავ, კარგო...
ომის პირველ მწარე წლებში
მტვრის ეკვეთე მეომარი,
მშობელ მიწის განსაცდელში
გნახე ძმა და მეგობარი.
მაგრამ განა ეს მეგონა,
მაშინ განა ეს ვიცოდი,
თუ გაზეთის სვეტებიდან
ხალხის გულში შეხვიდოდი.
შენ ომამდე ძლიერ ახსოვდი
ხალხს რუსეთში - სამშობლოში
ვინ გიცნობდა? დღეს იკითხე,
შენ გიხსენებს ყველა ომში.

— ვიცნობთ, ჩვენთვის ძვირფასია.

— ერთი სიტყვით, ჩვენი ვასილ
ტიორკინი ის კაცია,
ვინც ბრძოლაში მარჯვე არის,
ლხინშიც კარგი მომღზენია,
სადაც გინდა, უკარ თავი,
სულყველაფრის მოხელეა.
— რა შეეშობხვა? ახლა მისი
ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის.

— ალბათ, შავი დღე დაადგა.

— ეს არასდროს არ მოხდება.

— არა მკერა.

— ტყუილია —

ყველას ასე აღმოხდება.

— ეს ამბავი ვილაც შოფერს
გაუგია გზაზე სხვისგან.
ერთად იყვნენ, თურმე ვასილს

მკერდი როცა გაესისხლა.
ერთად იწუნენ. ტიორკინი
წამომდგარა ზეზე უმაღლ.
სწორედ მაშინ ჯაჟუნის მხვრეტი
ჭურვი მასთან დაცემულა.

— არა, ჭურვი ასცდენია,
თურმე ნაღმი დასცემია.
გადმოცემა ასეთია,
— ტყვიით მკერდი დასეტყვია.

— მე გავიგე, რომ ფუგასი
დასცემია ლომგულ ვასილს.

— ტყვია, ნაღმი თუ ყუმბარა —
სულ ერთია, მას რაც მოხვდა.

მთავარია, ეს ვიცოდეთ:
სიკვდილის წინ რა აღმოხდა?

— გამარჯვება რომ ახსენა, —
გაუგიათ ეს ნამდვილად.
ასე უთქვამს: — უზმო მოკვედი,
ნეტავ ადრე მესაღილა.

ჯერ არ ვიცნობ საიჭიოს,
იქით ძალად გამისტუმრეს,
ატესტატი რომ არა მაქვს,
ხომ არავეინ დამიწუნებს?

— არა, დაჭრილ მებრძოლს ვკითხე,
ასე მითხრა მოწმემ თვითონ:
ვასილს უთქვამს: მე და ომი
ერთდროულად მოკვედებიეთო.
მაშ ხმებისა ნულარ გგერათ,
რადგან ასე თქვა ვასილმა.
ის იცოცხლებს, ომს ნამდვილად
სანამ ვადა არ გასელია...



ამნაირი მითქმა-მოთქმა
 ზმირად ესმის ხოლმე ავტორს,
 ზმები ხმებად დაირხევა
 და სიმათლევ რჩება მარტო.
 არა, ძმებო, ამდენ ჭირში
 გამოვლილი ჩემი გმირი
 დღეს მწუობრიდან გაიყვანო?
 არა! ცოცხლობს ტიორკინი!

ჯანმრთელია, — თავს გრძნობს კარგად,
 მოკედეს? არა! მე პირიქით
 ვიმედოვნებ, ძმებო, ახლა
 ჩემზე მეტხანს გასძლებს იგი.
 მან დაკარგა მშობლიური
 ტბილი მხარე, ახლობლები,
 ერთი პოლიტსაუბარი
 ახსოვს — ნულარ დაღონდები.
 ომის პირველ მწარე წლებში
 იგი სულით არ დაეცა,
 ქუხდა ვასილ ტიორკინი:
 — ჭირს გაუძლებთ, განსაცდელსაც.
 ვარამს უძლებს. დიდ დანაკარგს,
 არად აგდებს ტანჯვას იგი,
 მეგობრებო, მას თუ არა,
 ვის ჭირდება აბა წიგნი?

ამხანაგო, თვით განსაჯე,
 სად ხარ ახლა, რით სადილობ:
 ხან ისვენებ, ფათას ხარშავ,
 ხან სოფელში ღრღნი სტაფილოს.
 წყურვილს გიკლავს, ძმაო, ახლა
 წყალი რომელ მდინარისა!
 სად ბრატუნობს შენი ჩექმა
 და ბორბლები თვითმავლისა.
 გარეშემო გაიხედე,
 წამოგიწყებს გული ფართხალს,
 ორი ზამთრის და ზაფხულის
 წინ ეს მხარე თუ გინახავს.
 იგი ეიდრე მოსკოვიდან
 დედა-ვოლგის სათავემდის,
 დნებრის გაღმა და გამოღმა
 შორს გაშლილა დასავლეთით.
 მხარე სისხლით დაეთმეთ უწინ.
 მასზე დარღით ვალამებდით,

მის მიწაზე, ტბილ მიწაზე
 სისხლისფასად გადავედნო
 ახლა, სადაც მოჩანს მტკიცე
 ჩვენი ქობის შუქი არის,
 ალი ჩვენი კოცონისა.
 სად არ მოჩანს, სად არ არის.
 ყველგან ჩვენი ცულის ხმაა,
 სადაც ისმის ტაკა-ტუქი.
 საითყენაც მიდის ტვირთი, —
 ჩვენი გზაა და მარშრუტი.
 მამ მანქანა გააქროლე,
 გზა ფართოა, გზა დიდი,
 წინსვლის დრო და ამინდია
 გული ბრძოლად მოიმართა.
 მშობელ მიწის სიგრძე-განი
 ფეხით მოვლო გოლიათმა.

ჩვეულებრივ წრთობის არის
 კაცი ფორმაგადაცმული.
 არ გეგონოთ ბუმბერაზი,
 უზრუნველი და ზღაპრული.
 ზოგჯერ ცეცხლში, განსაცდელში
 უკრთის ხოლმე მასაც გული,
 ფხიზელია ტიორკინი,
 განა არაყგადაკრული.
 ღირს სიკვდილზე ლაპარაკი,
 სანამ პირში სული უდგას
 იბრძვის. ცოცხლობს, მზიარულობს
 ტიორკინი — ეს ეშმაკი,
 დგას ვარამში, ჭირში მაგრად.

დასავლეთით გაიხედე,
 ჰე, რუსეთო, ტბილო დედაც.
 სად წასულა შენი მცველი.
 შენი შეილი, დედა, ხედავ?

ხან გულდინჯად, ხან ხუმრობით
 ცეცხლში იწვევს გაოფლილი,
 არად აგდებს თოვლს და წვიმას
 კაცი წმინდა და ცოდვილი.
 ხმად მოედოს მთელ ქვეყანას,
 ხმად გავარდეს ქვეით, გრგვინით:
 კვლავ გამოჩნდა ჩემი ძველი
 მეგობარი, ჩემი გმირი.



პაპა და დიდება

ომის დღიდან სამჯერ იდგა შემოდგომა და ზაფხული, ნახნავ-ნათეს ველ-მინდვრებზე სამგზის მოდის გაზაფხული. შუა ომში ჩვენნიანებს გავიხსენებთ ალალ გულით.

გავიხსენოთ, ვინც იბრძოდა, ჩვენთან ერთად ვინც იხვედა, ვინც დაეცა, ვინც დაეკარგეთ და ვინც ერთხელ მაინც შეგვხვდა. ყველა, — ვინც კი გვაცილებდა, ვინც გაუქლო დიდ გამოცდას, წყალი ვინც კი მოგვაწოდა, წრფელი გულით ვინც დაგვლოცა. გავიხსენოთ ზამთრის ბუქი, ფრონტისპირა ხაზი, სადაც ქოხში პაპას და დიდებას უმართავდა კაცი საათს. სწამს, მომავალ ომამდისაც ივარგებდა ის საათი, — ფაშისტს რომ არ წაეწერა — ზედ ახალი მისამართი. — მან საათი თუ ჩათვალა ძვირფას ნივთად, კურანტებად, ალბათ, როგორც ფერად ლითონს მიაქცია ყურადღება.

სულ ცოტა ხანს რომ ეცოცხლათ, ფრიკმა მოხუცთ ნება მისცა. ქუხდა ომი შორს, გრუხუნით ირყეოდა დედამიწა. შენს მშობლიურ ნაკადულში, ზურგში მტერი ტანს იბანდა, შენს კიბეზე იჯდა მშვიდად, თითქოს შენთან გაიზარდა. საკუთარი კანონებით მოაიწამლა მტერმა გული, შენს მიწაზე აამწიანა მან სალათა გერმანული. სულ უჩუმრად უნდა გველო, გზაზეც მისი სახე აიდგა. ხითათს რომ არ წაწყდომოდი, სუნთქვაც კი ვერ გაგებდა.

დარჩნენ პაპა და დიდება მტრების ზურგში, უსაათოდ, კედელს ახლა ანათებდა ლაქა სუსტად, ულაზათოდ. ბერიკაცი ჩვეულებრივ ბჭობდა, ედგა გვერდზე ქალი. დიდი ომის კამპანიის საკითხს ჭრიდა პაპა, როგორც გადამდგარი გენერალი. ქოხის ახლოს, სოფლის გზაზე ატარებდა ჯოხით ხაზებს და სახავედა ახალ ბრძოლებს, ზურგში რეიდს, ფლანგებს, სოლებს... — რად შეჩერდნენ, — ხალხი ჰკითხავს, ბერიკაციო, ხელს რა უშლით? პაპა წამით ჩაახველებს, იტყვის:

— გადაჯგუფებაა... თან ჩაიკლავს ოხერას გულში. ხალხს სწყუროდა სინამდვილე, სწორი სიტყვა — პირდაპირი, პაპა თითქოს ამოკანის პასუხს ყველას უმაღავდა, როგორც ძუნწი, სიტყვაძვირი. — როდის მოვლენ, პაპავ, როდის? — ზემის დღე აღარ მოდის? როცა აღმოსავლეთიდან შემოესმა ხმა განგაშის, — დრო დადგაო, — იმ წუთშივე განაცხადა პაპამ მაშინ. იმ წუთშივე გაარჩია ხმა რუსული ზარბაზნების. რბოდა, ზტოდა იგი ნიშნად ახლო მომდგარ გამარჯვების. კანონდა რომ წყდებოდა, რომ ქრებოდა უმაღ ცეცხლიც. — რატომ შეწყდა? — უნდა მიხვდე, ახლა მთავარ უბანს ესვრის.

და ეგონა პაპას, თითქოს თვით განაგებს ბრძოლის საქმეს, ბრძოლის ბედზე სუყველასთან თითქოს პასუხს თვითონ აგებს.



მოხუცს სევდა აწუხებდა,
ქვეყნად არვის არ უმხელდა;
შეფერხების ყოველ მიზეზს
არ ტოვებდა აუხსნელად.

როს ნანატრი დადგა ჟამი
ნომარმა ძველმა კაცმა
სიცოცხლეში დღეს პირველად
ერთი სიტყვაც ვეღარ დაძრა.
ყველა ფიქრი, საზრუნავი
ერთ ტაფაში მოხვდა მაშინ:
გამარჯვების საათამდე
არ მოგვედეთო ტყვეობაში.

ბერიკაცი მეუღლით
ძირს, ორმოში ჩახოხდა.
ომი განა შორს იყო, —
მომდგარიყო მათ ქოხთან.
სიბერისეაშს ორთავეს
ავი რამ დაემართა:
საიქიოს კარებთან
მოელოდნენ ნებართვას.
მათ ლატნებში, ტომრებზე
დინჯად მოიკალათეს,
ბოხჩით, ქოთნით, ნახშირით
და ქათმიან კალათით.
სიკვდილს გადაჩინნია
ჯარისკაცი ორ ომში.
ქურვო, დღე არ ჩაუქრო
მას მშობლიურ ორმოში.
თავზე გადაუსტვინე
და იკმარე დასტვენა,
თუნდაც ჩვენი იყავი, —
არ გაბედო დაცემა.
ქალი აფეთქებისას
პირჯვარს იწერს მაშინვე,
ისე დაძრწის სიკვდილი —
ძველ მეგრძოლსაც აშინებს.
ბოლოს, როცა გრუხუნე
შეწყდა შუალამისას,
კანაფებთან უეცრად
ნაბიჯის ხმა გაისმა...
კარტოფილის მწკრივებში
ღამით ვიღაც მორბოდა,
— აქ ჩავრჩებით, მოხუცო,

ვეღარ ავალთ ორმოდან. *ეროვნული*
ადგა პაპა, ხელისგულზე *ინგლისური*
დაიფურთხა გლეხაკურად,
ცულს მარჯვენა წამოავლო,
ცოლის სიტყვამ შეაძრწუნა.
ბერიკაცმა გადაწყვიტა,
(თუმცა მწარე ჟამი მოდგა),
მოსულ სიკვდილს ცულით ხელში
საბრძოლველად დახვედროდა
ნაბიჯის ხმა ისმის — შესდექ!
და მოხუცებს ქურჭზე მიწა
კედლებიდან დაეყარათ,
დედაკაცი სმენად იქცა.
— აქ კვალი ჩანს სიცოცხლისა.
გულში ჩასწვდა ამ დროს ბებრებს
სითბო რუსულ სიტყვებისა:
— ძმებო, დახეთ მაცხოვრებლებს!
— ო, შეილებო! ვაჟაკებო!
დაუვარდა ცული მოხუცს.
— ჩვენ ვართ მხოლოდ დახვერვაზე,
იმათ შეხვდით, მამი, გზაზე,
ვინც კვალდაკვალ, უკან მოქუხს.
სულ რჩეული ბიჭებია,
ჩამოჰგვანან მზერით არწივს.
აპარატთან მდგომ მეთაურს
თითქოს იცნობს ბერიკაცი.
— მოსწვევ? დაჯექ, გაახვიე.
შეიმშრალა შუბლი პაპამ.
— ხმა რომ დროზე არ გაგელოთ
გვექნებოდა დაკა-დაკა.
მეთაური მას სიცილით
ეტყვის: — ომში ესეც ხდება,
მამი, ზოგჯერ მტრის მაგივრად
შენიანი გემსხვერპლება.
— სწორედ აგრე არის, — თქვა და
შეეშვალა პაპა მაშინ
წყოს ტკბილად მოსაწევად
საუბარში, სჯა-ბაასში.
მაგრამ მეგრძოლთ სად სცალიათ,
არ გამჭრალა ბრძოლის კვამლი.
— ჯერ ჩვენ საქმეს მოვრჩეთ, მამი,
და გვაცალე ერთი წამი.
მეთაურმა თვალის ჩაკვრით
მოხუცს როცა გადახედა,
პაპამ იგი ყველა ნიშნით
იცნო, უცბად გაახსენდა

და შესძახა: — ეს შენა ხარ?
ნაცნობები შეხედნენ ახლად.

განმეორდა წამი ძველი:
სტუმარს შეხვდა მასპინძელი.

— მოიხედე, დედაკაცო,
ნაცნობ არწივს ველარა სცნობ?
ყოფილ სტუმარს რომ შეხვდა,
დაიძახა ქალმა:

— შეილო,

ჩემო მტრედო! ომში დაღლილს
ლორის ქონი გინდა იქნებ,
გამოგიტან ამ წამშიო?
უპასუხებს ის ხუმარა:

— გეახლები, დიდად გმადლობთ,
მაგრამ თუ გაქვთ ლორის ქონი?

— შენთვის? შეილო, ჩემო მტრედო,
ქონს ქვისგანაც გამოვადნობთ.

— ჯანზე კარგად ხარ, არწივო?

— არა მარტო კარგად, მამი,
მებრძოლს შემხვდა ომი ძნელი,
მომაპყროთ აბა თვალი
უკვე გავხდი ოფიცერი.

— ოფიცერი? ოჰო, მესმის, —
იტყვის პაპა თავის ქნევით, —
მაგრამ უკან გაქუსვლისას
კვლავ რიგითად გადიქცევით?..

— არა, მამი, რასაც ამბობ,
აღარ არის გასამხელი:
არც მალაღს და არც დაბალ ჩინს
გზა არა აქვს დასახევი.
პურის ნატეხს ნუ მომაწვდი,
ღამიკეტე სახლის კარი,
ტიორკინი თუ ვერუობდე.
დაიჯერე, რაც ვითხარი.

— მეჯერა შენი და ვამაყობ
ჩინიან კაცს რომ გიცქერი,
რა გიწოდო დღეს: ბატონი,
პორუჩიკი თუ უბრალოდ —
ამხანაგი ოფიცერი?

— წლებმრავალი, მზერასუსტი
ნაომარი ბებერი ხარ,
ამ ორ წელში ბატონებთან
მიმართვასაც შესჩვევიხარ...

გაათურთხებს ბერკიაცი,
ბებიას კი ცაციაზე
მკენარი სახე დაუყრდენია
და მეორე ხელი მოხრილს
მოხვეული აქვს იდაყუზე,
სტუმარს უმზერს, როგორც დედა,
სიხარულით არის საეხე.

— ქამე, შეილო, ჩემო მტრედო, —
ეხვეწება ვასილს ასე.

თუმც ჩქარობდა, მაინც ტკბილად
წაივახშმა ტიორკინმა,

გადუწოდა პაპას წეკო.

— გამარჯვებით, მოხუცებო, —
თქვა და მებრძოლთ გადასძახა:
— წამომყევით ახლა, ძმებო!

კარებამდე რომ მივიდა,
მას რალაცა გაახსენდა:
ზღურბლთან მდგარმა ეს იკითხა:
— საათი ხომ არ გაჩერდა?
— არა, შეილო, — თქვა დიდდამ,
და მიზეზი კარგი ნახა,
რომ ეღვარა ცრემლი წმინდა.
— ნულარ წუხხარ, დედი, ახლა,
მე ორ საათს, ახალთახალს,
ჩამოგიტან ბერლინიდან.

დნობარე

უკან დარჩა უგრის წყალი,
ის დროც უკვე ჩაქროლილა,
როცა ვასილს გენერალმა
უსძარა: — ერთი გზა გვქონია...

ბედი კართან ედგა თითქოს
და ფიქრობდა კაცი მაშინ,
რომ გვარდიულ ნაწილს ბრძოლით
შეპყვებოდა თავის სახლში.



მაგრამ განა ჩემს ტიორკინს —
 ათას ჭირში ნამყოფ მებრძოლს,
 ლხინში ყოფნა ან „ყაზბეგი“
 ექნებოდა საოცნებოდ...
 და რაც უფრო ახლოს გრძნობდა
 მშობელ კუთხეს წინ წასვლისას,
 ჩვენებური უფრო მწვავედ
 იხსენებდა წმინდა მიწას.
 შესვენების დროს თუ ძილში,
 გზაზე, ფიცხელ ბრძოლის აღში,
 მშობლიური კუთხის მიმართ
 სიტყვა ცეცხლად ენთო მასში:
 — დედა, მიწავ მშობლიურო,
 რომ ჩაფლულხარ ნაძვის ტყეში,
 დნეპრისპირა მხარეე ჩემო,
 გაგიმარჯოს, დახედი შენს შვილს!
 გაგიმარჯოს, კრელო ვერხვო,
 შემოდგომის ხარ მშვენება,
 გაგიმარჯოს, ელნიაე, გლინკაე,
 და ლუჩესაე. ლურჯჩქერებაე.
 შენი ძალა შენიგრძენია,
 მშობლიურო მიწავ. დედაე.
 შენზე ფიქრით ჩემი სული
 შორით შენსკენ მოიწვედა!
 რა შორი გზა მოვიარე
 და რა სიურცე გადმოვლახე,
 რა არ ენახე. ვერ ჩამოვთვლი
 ამდენ ვარამს, დარდს და ნალველს.
 მიწავ, დედაე მშობლიურო,
 პაპის ფუძეე, შეკვამლულო,
 არ ვიხსენებ, რაც გადამხდა,
 არ ეტრებახობ, ჰე, მამულო,
 შენსკენ აღმოსავლეთიდან
 მოვიჩქარი, ისეე გნახე,
 ჩაისუნთქე ღრმად ჰაერი,
 მხარეე. დამხედი მე ხელახლა.
 მიწავ, დედაე მშობლიურო,
 საზეიმო დღის გულისთვის
 მაპატიე, ეს არ ვიცი,
 პატიებას შუგთხოვ რისთვის...
 ყველგან. გზაზე. ცხარე ომში,
 ფუსფუსში და სხვა გარჯაში
 ეს სათქმელი თუ სიმღერა
 სულ ცოცხლობდა ამ ვაეკაცში.
 ომი წვადა ერთიანად,
 რაც კარგია, ლამაზია:

მის მშობლიურ სმოლენშიჩინას,
 უკრაინას, კავკასიას. საქართველო
 დიდ-პატარა მდინარეებში მწიგნობრობა
 სძლევდა ფონით თუ ხიდეებით,
 მიიწვედა დივიზია
 მის მშობლიურ კუთხის გვერდით.
 შემოდგომის დამდეგს, როცა
 წუხდა მიწა ბელტებმშრალი,
 მაშინ გმირის სოფლად, მარცხნივ,
 იდგა სულ სხვა გენერალი...
 წყალდიდობას ჰგავდა ფრონტი —
 სიგრძე-განი გავსებოდა
 და დნეპრისკენ გაჭრილ ცხენებს
 აღვირები აწყდებოდა.
 ოფლით სახედაეკენილი
 ფრონტელები იცინოდნენ:
 კარგად მიდის ფეხოსანი,
 რომ გაუსწრო რკინის ბორბლებს.
 რა უშავს, რომ ხშირად ისე
 ღლიდა ხოლმე მათ დიდი გზა, —
 ხელში კოვზის დაკავებაც
 ვერ შეეძლოთ სადილისას.
 გატაცებით, ახალ ძალით,
 წამებულის ნატანჯ სახით
 მიჰყვებოდა შარას ჯარი —
 სიცხისაგან ხახამშრალი.
 მარცხნივ, მარჯვნივ, წინ — ჩვენები
 მოიწვედნენ ჩქარი მარშით.
 თბილი ფაფით სავსე ქვაბი
 მიატოვა მტერმა ბაღში.
 — ფრიცი წყალში ჩავისროლოთ!
 — ძალის ლეკვი ნაპირს ეკერის!
 — მტერი თურმე დასახლებულ
 პუნქტს მიადგა — თავის ბერლინს...
 და ზაფხულის მიწურული
 რჩება ჩვენი ჯარის უკან.
 უცებ დნეპრის დიდმა ბრძოლამ
 გარიყრაჯზე დაიქუხა.
 იქნებ სხვა დროს, ამ მდინარის
 კალაპოტის გაწმენდისას,
 ნახავს კაცი, რაც კი ახლა
 დაუფარავს ტალღებს წყლისას.
 ნახავს კაცი ფსკერის შლამში
 კვალს მრისხანე დღეებისას,
 აღმოაჩენს მუხის სისხო

ლუღებს ჩაფლულ ქვემებისას.
 აგი ფსკერზე ხაზავს ქვეყნის
 რკინას, რეზინს, ფოლადს, ტყვიას,
 მტრის ტანკს რუსულ ტანკის გვერდით,
 ერთი ზვედრი რომ რგებიათ.
 ჩაძირული პონტონების
 ჯართი ყრია დღეს ტალღებში
 და უტარო ცულის პირი, —
 შესანგრეს რომ ეპყრა ხელში..
 ჩემზე ცოცხლად იქნებ რამეს
 ამ ცულზედაც იტყვის ვინმე
 მომავალში, როცა დნებრზე
 სიმღერები დაიგრგვინებს.
 ამ სისხლიან განსაცდელზე
 მოგვითხრობენ ლექსით გვიან,
 მაგრამ მჯერა, რომ ჩემს სათქმელს
 ჩემს მაგიერ ვერ იტყვიან.
 საბოლოო სიმღერის თქმა
 დე, არ იყოს ჩემი ვალი,
 მწამს, მომავალ მომღერალზე
 მდიდარი ვარ ერთი რამით, —
 რომ ვცხოვრობდი იმ დროს ქვეყნად,
 ფეხით განველე ცხელი კვალი.
 და ის ცეცხლი. ის დღეები
 მაშინ ვნახე ჩემი თვალით.

მანქანების ქარავანი
 უკან რჩება მძიმე ტვირთით,
 მიაქვს ხიდი პონტონების,
 მდინარისკენ იძვრის ხიდი.
 ცეცხლში მიდის ფეხოსანი, —
 მუხლს ასრულებს ბრძანებისას.
 ვით დესანტი ნაევებისა
 ალაყაფი ბორნის ნაცვლად
 ცურავს წყალში და ფიცრები
 გასაცურის გასაწყობად
 ჯარი გასდებს ხიდს ამაღამ.
 გაღმა მხარე წყალში ბუჩქებს
 ჰკიდებს ხალხის დასანახად.
 მიდი, სტაცე ბუჩქს მარჯვენა,
 როგორც ფიცი ცხენის ფაფარს,
 ხრამში ყოფნა დაგასვენებს
 ცეცხლისგანაც თაფარაგს.
 რა ეტყობ, რომ ხალათიდან
 წყალი დაგდის ნაკაღულად...
 ტიორკინიც გაღმა მხარეს

სწორედ ასე გადასულა.
 კვამლნარევი, გაძენილი
 მოსდებოდა ნისლი ზემო
 ნაპირს საღდაც მიპყვებოდა,
 ვით მდინარე მშვიდ მდინარეს.

სწორედ ბრძოლის შუაგულში,
 შეიძლება, ახლა, ამ დროს
 აფეთქების მძლავრმა ტალღამ
 აიტაცოს მიწა მაღლა,
 ხალხი წყალში გადაყაროს.

ომში თუ ხარ კაცი, უკვე
 სუყველაფერს ეგუები,
 რას არ ნახავ. ვინ რა იცის,
 საზღერის საყარაულოდან
 მოსკოვამდე და პირუტყუ
 მდინარეებს ვინ დაითვლის!

აი, ბოლო მეომარი
 ნაპირს ხოხვით რომ ამოჰყვა,
 მდინარესთან გაწვა უცებ,
 ხმელა სუხარს უწყო ლოდენა.

მის გალუმპულ შარვალს დახეთ!
 არა უშავს! უფრო მეტი
 გაპირვება ელის დესანტს.
 ეუტევთ, დნებრი გადავლახეთ
 ბრძოლა ელის ლეიტენანტს...

ხიდის გაღმა ბრძოლა ატყდა,
 ქვემოთ, ოღნაჲ სამხრეთისკენ —
 მტერი გვიან შეტრიალდა
 მარცხნივ — დნებრის ტალღებისკენ.
 გზები უკვე შეიყარა,
 ტიორკინი ამბობს მკვახედ:
 — ტყვედ დანებდნენ დაე მარცხნივ,
 ჯერ მიღება არ გვაქვს აქეთ.
 მტერს გზადაგზა უსწრებს ხიშტი, —
 აწვებიან უმოწყალოდ,
 მტერს აგდებენ წყალში, წყალში,
 შენ იდინე, ჩემო წყალო...
 და ჯერ კიდევ ნაპირთ შორის,
 განურჩევლო. ალაღბოთღ
 ცაცხლი ჩაინი ზარბაზნების
 მტერს ფანტავდა, გრაგანებდა.



თხრილებიდან, ბუჩქებიდან,
ტყის სიღრმიდან ნატანჯ სახით
გზის პირებზე კვლავ გამოჩნდა
მშობლიური ჩვენი ხალხი.

შტაბისაკენ ბილიკ-ბილიკ
მიდიოდა გაღმით ფრიციც,
მოდიოდა გალუმპული,
ზედ აყრიდა ხალხი სიცილის.

— გადმოცურე?

— გადმოცურე!

გადმოვლახე დნეპრი ახლა.

— ალბათ მისთვის იბანავე,
რომ ზომაზე მეტად დაგცხა.

ჰე, შე წინდა ჯიშის ქაჯო!
შინ გაქცევას ტყეობა სჯობს?

ტყვედ ჩავარდნა დღეს გენება,
როგორც წუთით შესვენება?

ხალხს უსმენდა ტიორკინი —

კაცი — სიტყვამოსწრებული,
არ ხუმრობდა საყვარელი
მეთაური ოკულის.

წყოს მშვიდად წევდა იგი

და ფიქრობდა კაცი ასე:

გზა ზურგს უკან გამოვლოლი
გრძელი იყო ხელის გზაზე.

დუმდა, განა სამღურავე
ჰქონდა ვასილს ვინმეს მიმართ,
მეტი ნახა, გამოცადა,
დაკარგა და შეიძინა,
მეტი იგრძნო, ვიდრე წინათ.

— სმოლენშიჩინავ, მშობლიურო,

ტყბილო მიწავ, მაპატიე,
მაპატიე, თუმცა რისთვის
გთხოვ შენდობას, — ეს არ ვიცი,
მაგრამ მაინც მაპატიე.

მხარევე, განა ტყეობაში,
ფრონტის გზაზე გტოვებს გმირი,
შორს მშობლიურ ქვეყნის ზურგში
გტოვებს შენი ტიორკინი.

ის დრო დადგა, რომ დაატყდეს
შურისგება გადამთიელს...

— შენ ჰე, ძმო, ტიორკინო,
თითქოს ტირი?..

მაპატიე...

ოზოლი მებრძოლის გამოს

დღეს ხუმრობის დრო არ არის,
ბერლინზე გვაქვს საუბარი.

ჩავიბაროთ ჯერ ბერლინი

და ქალაქი გარდასული

დროის ციხე, ძველი კლინი.

განა ოდერს სიბერისას

გაიხსენებს, მოიგონებს,

ნახევარი წელიწადი

ვინც გაუძლო ბორკის ბრძოლებს.

ბორკის ახლოს, თითო ლოდი,

თითო ზოლი, რაც კი იყო,

მე და ჩემმა მიწის შეიღმა

სამჯერ მეტხანს რომ ვიცოცხლოთ,

ის ადგილი, ის ქაობი

როგორ უნდა დავივიწყოთ?

არც ხნიერი, არც ჯეველი

იყო ჩემი მიწის შეილი.

ჩემთან ერთად რომ იბრძოდა,

ჩემნაირი ენატყბილი,

ჩემნაირი მხიარული

იმთავითვე ომში მოხვდა.

თუმც იხვედა, ვაგაკის გული

ჰქონდა, როგორც წმინდა რვალი.

„დასაველეთით, წინ!“ — ყიოდა

აღმოსავლეთს მიმავალი.

სხვათაშორის, უკან სელისას,

მტერს ქალაქებს რომ უთმობდა,

მაშინ უფრო მეტად ქუხდა,

მაშინ იყო მისი მოდა.

უცნაური რამ ხდებოდა.

პატივს მართო მას-ლა სცემდნენ,

ზოგჯერ თითქოს გენერლებსაც

ანგარიშში არ აგდებდნენ.

ძველთაგანვე ომში შრომა

ნაწილდება ასე დღემდის:

მებრძოლები თმობენ ქალაქს

და იღებენ გენერლები,

გატანჯული, გარუჯული,
 ომის პირველ მწარე ჭლებში
 ნაალყარი, ნატყვიარი
 მიდიოდა მეომარი.
 იგი უცნობ მხარეებში
 მიდიოდა, როგორც სხვანი,
 „ჰე, რუსეთო, რა ვრცელი ხარ,
 სად თავდება შენი ზღვარი“...
 ომის გზაზე კაცი ოჯახს
 ტყვეობაში რომ ტოვებდა,
 რას ფიქრობდა. არ ემკითხაობ,
 სულს რა ცეცხლიც უშფოთებდა.
 რაგინდ ჰირდეს, ტყუილ-მართალს
 მაინც არჩევს გულსისყური.
 შორს ვიხედვით, უკან სწრაფად,
 დამარცხება არა გეწამდა.
 ვიძახოდით: — სტყუი, სტყუი!
 აბა, დედა-ქალაქიდან
 დღეს სამშობლოს გადახედეთ,
 იგი რკინის კედლებს შუა
 ჩვენ ტყუილად არ ჩაეკეტეთ.
 წმინდა მიწა ტყვეობიდან
 გამოხსნილა დღეს მთლიანად,
 იგი განა ღმერთის ძალამ
 დაგვიბრუნა ერთიანად,
 ის დაიხსნა ჩვენმა ძალამ,
 ჩვენმა დიდმა რუსმა ხალხმა.
 საით უტევ დღეს რუსეთო,
 რომელ კართან ქუხხარ ახლა!
 საუკუნოდ დაეკარგა
 მტერს ხალისი ჩვენთან ბრძოლის.
 დღეს, რუსეთო, მერამდენე
 დუშმანს ზედავ ძირს დამხობილს!
 რომელ ქვეყნის სატახტოში
 შლი, სამშობლოვ, დროშას შენსას!
 ამას ზუსტად მაშინ გეტყვით,
 ძლევის სასმისს როცა შეევსავთ.
 სხვა ეამია, სხვა თარიღი.
 ტვირთი მძიმე არის მართლაც...
 მაგრამ ისევ ვავაგრძელებ
 ამბავს. ჯარისკაცზე ნათქვამს.
 შენ მშობლები სახლი, ცოლი,
 შვილები თუ ახლობლები
 სუყველა გყავს — წერილს მაინც,
 მისწერ. აღარ დაღონდები.
 მაგრამ ჩვენი ჯარისკაცი

ბ.რათს განა სადმე გეყენს,
 მას რადიოს გარდა, მტერი,
 არ ჰყავს ახლო ნათესავი.
 ერთადერთი საარკმელია
 ყველაფერზე კარგი ქვეყნად, —
 ფრთხილად დაკეუნებისას,
 ფრთხილადვე რომ გაიღება.
 ლაშქრობისას, სხვის მიწაზე
 შორ მხარეში, საზღვარგარეთ
 იმ საარკმელზე ფიქრს, ოცნებას
 რა სათუთად დავატარებთ!
 ომი წყდება, მაგრამ ჩვენი
 ჯარისკაცი დარჩა ობლად,
 არც საარკმელი ეგულება,
 არც კერა და ოჯახობა.
 ჰყავდა ცოლი, შვილიც ჰყავდა, —
 ფანქრით ქოხებს რომ ხატავდა...
 სმოლენსკს ქვემოთ შეტყვისას
 შეისვენა ჯარმა გზაზე,
 მაშინ ჩემი მიწის შვილი
 მეთაურთან განჩნდა წამსვე.
 მოახსენა: — გთხოვთ გამიშვათ,
 სულ ცოტა ხნით წავალ ახლა,
 აქვე ესაზლობ, ორ ნაბიჯზე,
 მინდა ჩემი კერის ნახვა.
 ნება დართეს... გაჰყვა იგი
 ბაღლობიდან ნაცნობ მხარეს,
 მაგრამ თითქოს სულ სხვა არის
 ახლა გზაც და არემარეც.
 ჩანს ბორცვები, ნაქადული,
 ეკალ-ბარდით დაბარდული,
 უღაბური მკვდარი ველი.
 ბოძს ფიცარი აჯრავს — სოფელ
 „წითელ ხიდის“ აღმნიშვნელი.
 და შეიტყო მგზავრმა მათგან,
 ვინც ცოცხალი ნახა სოფლად,
 ქვეყანაზე ჯარისკაცი,
 რომ ნამდვილად დარჩა ობლად.
 კარზე მიკრულ ფიცრის ახლოს
 იდგა იგი ქულმონხილი,
 როგორც მშობლის სამარესთან
 ღვიძლი შვილი მუხლმოყრილი.
 კაცი, ომში მიმავალი,
 რომ ტოვებდა სამოსახლოს,
 რას ფიქრობდა, რა სტანჯავდა,



რა ვთქვა, როგორ გამოვსახო...
 დაუბრუნდა ბატალიონის
 უსახლკარო კაცი ობლად,
 სუყველაზე გვიან იგი
 ჰამდა ცივ კერძს და ტიროდა.
 ჩამშრალ არხთან ჩამომჯღადარი
 ქვითინებდა, როგორც ბავშვი,
 მარჯვენაში კოვზი ეპყრა
 ობოლს, პური — ცაციაში.
 ალბათ, ცოლს თუ დასტიროდა,
 ან ბიჭუნას — მამის იმედს,
 თუ თავისთავს დასტიროდა,
 რომ ვერაფერს დაიტირებს.
 რადგან შორი გზა მოელის,
 რადგან მალე არ ეცლება,
 ბოლომთ საესე ჯარისკაცსაც
 უნდა ძილი, წაზმსება.
 საბჭოეთის კარიბჭემდე
 მოდიოდა ამ გზით ომი.
 ახლა ვუტევეთ. უკან გვრჩება
 ჩვენი სამზარეულონი.
 კაცი შიმშილს გადივიწყებ,
 იერიშზე თუ გადემევი,
 ლომის ძალას გრძნობ მარჯვენაში,
 ძმებო, განა ხუმრობაა:
 დღეში თითო ქალაქს ვიღებთ,
 საოლქო ცენტრს — ორ ღამეში!
 სხვა დრო არის, სხვა თარიღი
 დასცხე დუშმანს,
 არ გაუშვია!
 უკვე თავისუფალია
 მიწა ბელორუსიისა,
 ოჭროს მხარე — უკრაინა,
 მტარვალს აღარ უკავია.
 ომში განა მარტო შიმშილს,
 ხალხი წყურვილს ივიწყებდა.
 განა ყველა ლუდსა სვამდა,
 ლუდის ქარხნებს ვინც იღებდა!
 ასე ჯიქურ, როგორც იყო,
 გადავცილდით მშობელ მიწას.
 საზღვრის წყლების ქვიშას დარჩა
 ნატერფალი ბრძოლებისა.
 ანგარიშის გასწორების,
 შურისგების დგება ჟამი,
 მაგრამ ობოლ ჯარისკაცზე
 მოვათავოთ ჯერ ამბავი.

სად აბარებს ის გამოცდას, —
 ალბათ, დაჭრეს ან დაეცა,
 და ფიცარზე მისი გვარი
 მდნარმა თოვლმა გადაარცხა?

ხელმეორედ თუ დაიჭრა, —
 აქ იქნება ახლა ისიც,
 ბრძოლის ველზე, ჩვენთან ერთად
 აიღებდა, ალბათ, ტილზიტს.
 იგი რუსეთს რომ ტოვებდა
 და ომს როცა ეწეოდა,
 რას ფიქრობდა, არ ემკითხაობ,
 გული რისგან ეწეებოდა.
 იქნებ უფრო მწვევედ იგრძნო
 მან ტკივილი მწუხარების.
 არ იქნება დავიწყება
 იმ უწმინდეს, მღვლარ ცრემლის.
 მას რომ პეშვით მოეტანა
 ელბის ქვიან ნაპირამდის
 წმინდა ცრემლი, ცხელი ცრემლი
 ამოწვავდა ქვას ძირამდის.
 ანგარიშის გასწორების,
 შურისგების ჟამი დგება.
 იმ ვაების ხსოვნა გულში,
 ძმებო, განა გაგვიქრება,
 არ იქნება იმ ობოლი
 ჯარისკაცის დავიწყება.

მრისხანეა, საშინელი
 შურისგება მილიონთა.
 ახლა უნდა დაისაჯოს
 წმინდა სისხლით, ვინც ილოთა,
 მტერს მიეუზლოთ, იმ მებრძოლის
 ნაცვლად ომში რომ დაობლდა.

მცირეა თუ დიდი გზაა, —
 არ იკითხო ბერლინამდის,
 მასწე ორჯერ ნაკლებია,
 რაც ვიარეთ ჩვენ კლინამდის,
 ომის გზაზე დიდი ქვეყნის
 შურისგების ცეცხლი დადის.

დილა მოდის ღამის ნაცვლად,
 ხიშტით გაეჭრაო, ძმებო, ზღვარი.
 გამარჯვების სალუტისას,
 გავიხსენოთ საუბრისას,
 ჩვენი ძმა და მეგობარი
 ის ობოლი მეომარი...

ბერლინის ბზაზი


 ქართველთა
 მწიგნობართა

გზას ეხვევა ბერლინისას
 ლეგა ბუმბლი ლეიბისა.
 დაღუმებულ მავთულხაზებს,
 ცაცხვის ტოტებს ნაადარალს,
 მანქანების გვერდებს ბუმბლი
 ზედ მიჰკერია ჰირხლის დარად.
 რკინის თვლები გუგუნებენ,
 თოვლში, ლაფში ბუმბლს ურევენ,
 ბუმბლს ფანტელის მსგავსად ასე
 გაყრის ქარი მზაზაზე.
 უქმურია, მოსაწყენი
 დარი საზღვარგარეთული,
 მხარე წითელაგურება.
 ომი გაქუხს. იძვრის მიწა,
 სახურავი კრამიტისა
 ილეწება, ნადგურდება.

ჰე, რუსეთო, ღვიძლო დედავ,
 ჩვენ ხმელეთის ნახევარი
 განვვლეთ. ცეცხლი მრისხანებდა,
 სადღაც, უკან ჩამოეტოვეთ
 მუხლი წყალუხვ მდინარეთა.

მოგვეყვებოდა უკან დიდხანს
 გუნდი გზისპირ აყრილ ხეთა.
 უცხო მხარეს გვაცილებდა,
 ბოლოს გზიდან ჩამოგვცილდა
 შეჭი მაგ შენ არყისხეთა.

ძველ მოსკოვს და დედა-ვოლგას
 რა შორს უვლის დღეს საზღვარი.
 ახლა ჩვენსა და შენს შორის
 სამი უცხო ენა არის.

დილა — არამშობლიური
 უქმურ მხარეს გვიან ღდება.
 ნატეხები კრამიტისა
 კედლის ახლოს გუბებში
 ენჭებოვით ყრია, ლბება.

ვევლგან ნიშან-წარწერები
 ისრებია და აბრები,
 მავთულხლართთა ხვეულები.

კარადები, დარაბები,
 ლობეები, გალიები.
 ყველაფერი მოჩანს, როგორც
 სევდის განგებ გამღვივები.

ჩვენო მიწავ, ჩვენო დედავ,
 შენზე წმინდა და ნათელი
 სხვა რა არის ჰირშიც, ლხინშიც
 შენზე კარგი, სანატრელი.

ომში ვის არ ჩააფიქრებს
 ჯარისკაცის მკაცრი ბედი.
 სიკვდილის წინ შენში გაჭრილ
 საძმო საფლავს ავირჩევდი.

მაგრამ შენთან კვლავ შეხვედრას.
 დაბრუნებას სახლში რა სჯობს.
 შინ მოსული შემოგძახებ:
 ჩემო მხარევ, გაგიმარჯოს!

ხალხის მსახურს, შენს ჯარისკაცს
 შეუძლია მოგახსენოს:
 უბრძოლია ოთხ წელიწადს,
 ლაშქრობიდან საცხოვრებლად
 სტუმრებია მშობელ მიწას.
 მას პირწმინდად მოუხდია
 ეალი შენი დროშებისა,
 მაგ საბრძოლო დროშებისა,
 მაშ უფლება ვის აქვს მეტი
 შენზე ფიქრის, ოცნებისა!

დღე და ღამე ცეცხლში იდგა
 შენი შეილი ერთი მიზნით,
 ქუდს თვეობით ვერ იხდიდა,
 შენ გიცავდა მკერდი მისი,
 შენსკენ, შენსკენ იქპაროდა
 ჯარისკაცი ბერლინის გზით...
 შარავზიდან ბერლინამდის
 ბუმბლი ღრუბლისფერი ადის.

და ნანგრევებს ქალაქისას
 სუნი დაჰკრავს დამწვარ ფრთოს

კანონადის ყრუ გრუხუნში,
 ვით ჯოჯოხეთს გაქცეული



ჭისკენ, აღმოსავლეთისკენ
ზოდის ხალხი წამებული.

ზარდაცემულ, თმებშერუჯულ
და სხვადასხვა ტომის, სისხლის
ტვირთიანი ხალხი ფეხით
გზას მიჰყვება, როგორც მზის სხივს.

ქვარტლის, კვამლის ფარდას არღვევს
ერთ დიდ ციხეს გაქცეული.
შინ ბრუნდება დღეს ევროპა,
და ეხვევა თავზე ბუმბლი.

რუს ჯარისკაცს ბრიტანელმა,
ფრანგმა ძმამ თუ პოლონელმა
ჩამოართვა ყველამ ხელი.
მათ თვალებში რაღაც ენთო
დამნაშაეის, მაგრამ ყველას
აშუქებდა, როგორც ელვა
მეგობრული მხერა წრფელი.

აი, უცნობ ჯვარედინზე
თბილ შეხვედრის დგას წუთები,
უნებლიეთ მიდის თმისკენ
ხელი ტანჯულ ქალწულების.
მათი ღიმი, შეძახილი
მებრძოლს ჰმატებს გულის ღელვას:
ევროპაში დღეს მადლობას
ტბილ რუსულით უხდის ყველა.
დგას მებრძოლი ხალხთა მხსნელი,
ვარსკვლავიან ქუდით თავზე,
— შევლას როგორ დაგზარდებით, —
იმეორებს გულში ასე.
ჩვენ გვაქირებს სამსახური
ხალხი ვიხსნათ, მივეშველოთ.
— ჰე, საითკენ მიხვალ, დედი?
— უკან, სახლში მივალ, შვილო.

მგზავრი თავშალმოხვეული,
ხანდაზმული, არც თუ ისე
პოტეხილი ქალი ჩანდა.
ტანზე ბეწვის ქურქი ეცვა
და სამგზავრო ჯოხი ეპყრა,
ვადეკიდა მხარზე ჩანთა,

და სოფელი, სულ უბრალო
ჩენი რუსი, გამრჯე დედა

მებრძოლს, თავის მიწის პირშოს
მიესალმა და შეჩერდა.

წმინდა არის სახე დედის
იმ უჩინარ მშობელთ შორის,
ვინც უპაანი სუიმა ჭირში,
ვინც უღელი ზიდა შრომის,
ვინც უძილო ღამით პირშოს
დასტრიალებს, აკვანს არწევს.
ბოლოს ხეედრი მეორდება:
გვზრდის და გვკარგავს ჯარისკაცებს.

დედა გულხელს არ დაიკრეფს,
ერთი რწმენა აფოლაღებს.
ფიქრობს: „იქნებ შვილთა ნაცვლად
შვილიშვილებს გამოვადგე.
სადღაც შორეთს, უცხოეთში
დადის წმინდა დედა ახლა!
— შორს მიხვალ თუ აქვე სახლში?
— სახლში? შვილო, სად მაქვს
სახლი, —
ერთ დროს მქონდა — დნებრს
გადაღმა...“

არ ივარგებს, მშებო, ასე
არ იქნება, არა, არა,
რომ მშობელი ჯარისკაცის
გადავიდეს ჩვენს საზღვარზე
ფეხით, ჯოხის ანაბარა.
არა, დედი, ხელს ნუ გვიშლი,
ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ.
აჰა — ცხენი მოკაზმული,
სამუდამოდ მოგაბარებთ.

ჰა, სადავე, უნაგირი,
ჭრელი ნოხი, აჰა, დედი!
სულ წინ გველოს წარმატებით.
აჰა, ძროხაც და ეს ცხვარიც.
ჩაიბარე დამატებით.

აჰა, ტოლჩა, ჩაიდანი,
ვედრო გქონდეს თადარიგში.
შენ გქირდება, მტერს ამძიმებს
ეს ლეიბი და ბალიში.

— რისთვის მინდა, გენაცვალეთ?
— დაგჭირდება დედი, აღბათ.
ველოსიპედს აჩუქებენ,

შიართმევენ კედლის საათს.
— მაშ ნახვამდის, გზა მშვიდობის.
ქალი მებრძოლთ დააცქერდა,
თითქოს რაღაც გაახსენდა,
გაიციანა, ჩაახველა,
გაიქინია თავი დედამ.

— ძვირფასებო, შორი გზა მაქვს,
უკან ზომ არ დაებრუნდები,
რომ მომიკითხონ, რა ვუჩვენო?
არ მაქვს ცხენის საბუთები.
— ეს ამბავი ნუ გადარდებს,
წადი, გასწი ფრთხილად გზაზე.
საკუთარი თავის გარდა
ვინ უფროსობს წინახაზზე.
გაემგზავრე, ფიცხლად გასწი,
ასე, დედი, ამგვარადო...
და თუ რამე გითხრა ვინმემ.

შენ ახსენე ტიორკინი, —
იმან მომამარაგა-თქმარკინულნი
დნებრს გადაღმაც მცხეტმცხებრს,
შეამოწმე ჩენი მადა:
მოგვიტანე შენი ხელით
გამომცხვარი ცხელი ქადა.
— ო, უფალმა გადღეგრძელოთ,
ო, სიკვდილი არ გეწეროთ...
ბერლინის გზით მიდის დედა,
თვალბს ჭუტავს ცრემლით საესეს,
და რუსული არყისხენი
მიძყვებიან უცხო გზაზეც.
რა ტკბილია და თან მწარე:
სხვის მხარეში ტანის რხვეით,
რომ გხედებიან არყის ხენი,
საზღვრის პუნქტო საკონტროლოვ,
სამშობლოში გაატარე,
გადაუშვი ქალი ცხენით.

აბანოში

გერმანიის გულში, სადაც
გადის ომის კიდე-ზღვარი —
აბანო! ქვეყნად განა
მისი მსგავსი კიდევ არი
უცხოეთში ტბები კაცი
ბუნებრივი აბანოთი.
და საქები ჩენი სიტყვა
წამოვიწყოთ ახლა, მოდით.
ციხე არის თუ სახლია,
სულ ერთია, თქვენ განსაჯეთ:
მისი ორთქლი, როგორც ნისლი
საბურველად სწვდება ფანჯრებს.
კართან, გვერდზეც სკამებია, —
ვიღაც გრაფის უნდა იყოს.
კაცი საცვალს რომ გაიხდის,
წეკოს მოწვევს უბანიკოდ.
გააბოლებს. ბოლოს ხალათს
მხრიდან თავზე გადიქაჩავს.
ბანაობის ამბავს მოვყვით,
დავაკვირდეთ გახდილ ვაჟაკს.
მკერდმაღალი და ძვალმსხვილი
იგი განა მალაღია.
კანთერთია, — ტანსაცმელში

იხარშება რა ხანია.
ტანზე თუმცა ახლა ფორმა
არ აცვია, ზედ ნიშნებით,
მაგრამ ცეცხლთან ნაცნობობას
უცხად, ხელად შეამჩნევდით.
იგი სიკვდილს რომ გადურჩა
საოცრება არის მართლაც,
იხილავდით თეთრ სხეულზე
ამობეჭდილ ნამდვილ ვარსკვლავს.
თუმცა მრუდე არის, მაგრამ
ნათელია ნატყვიარიც,
რა ვუყოთ, რომ წინ კი არა, —
უკან, ბეჭისთავზე არის.
მოდით, თავით-ფეხებამდე
გადავალოთ ატლეტს თვალი:
ტანზე ბეკრგან უჩანს ვაჟაკს
მკაცრი ომის ნატერფალი.

ეს ნიშნები ბჭკარებია
დაუვიწყარ ფურცლებისა.
აი, ბჭკარი მშობელ მხარის,
მასთან არის გართიმული
კვალი საზღვარგარეთული.
სხეულზეა გაბნეული
მჭკარი ელნის თუ დესნისა.



მან რაც ნახა, რა მანძილიც
 განვლო ტანჯვით, — არ ივიწყებს,
 იგი ახლა ტანჯახდილი
 გასაორთქლად ორთქლში იწვეს.
 ვნახოთ იგი ოხშივარში
 როგორ შედის ტანშიშველი.
 მიაბიჯებს ისე, თითქოს
 ქვეშ ყინული ეგოს თხელი.
 ნაბიჯს თითქოს ძლივს-ღა ადგამს,
 — უჰ, უჰ! — ოხრავს და ბანცალებს,
 კაცი, ორთქლში შემავალი,
 ნეტარებით ნაბავს თვალებს.
 წყლის ტლამუნში, შეძახილში
 თალი ისერის ორთქლის წვეთებს.
 მობანავე ხელგაწედილი
 ჯერ წყალს არა, ორთქლს დაეძებს.
 ცხელი ორთქლი ადის თალზე,
 აბა, მარდად ახტი ტახტზე!
 მშვიდობისას თუ ომის დროს,
 სულ ერთია, სად და როდის,
 ზორცი ჩვენი, სული ჩვენი
 დიდად ტკბება აბანოთი.
 არა უშავს, — შენ ბუნებით
 რუსი რომ ხარ წმინდა წყლისა
 და ზედ ისხამ აბანოში
 წყალს უცხოურ მდინარისას.
 უფრო ლახავს ჯანმრთელობას
 წელიწადის ყოველ დროში,
 მოსკოვს ახლო მდინარესთან
 უოფნა ომის აბანოში.
 რე იშურებ, რა მოხდება —
 მეტი ორთქლი გამოუშვა!
 ცოცხი მინდა ჩვენებური,
 ლიტერურ ცოცხსაც არა უშავს.
 ზენს სამნეო ნაწილს ვაშა
 ქების ღირსი არის ისაც, —
 ენიგსბერგში მოგვაშველა
 ცოცხი ჩვენი არყისხისა.
 ჰე, სლავებო, დონიდან ხართ,
 ვოლგიდან თუ ირტიშიდან,
 აბანოში მალღობები
 დაიკავეთ, მოდიოთ მშვიდად!
 რა კარგია, ძმებო, როცა
 ტახტზე წევხარ გახვითქული
 და გეცლება რუსულ ცოცხით
 ჭუჭყი საზღვარგარეთული.

ცხელ ფიცარზე ტანი გეწვის,
 მალლა ორთქლი ადის ღრუბლად,
 ჰე, მოგვხედე ელვაცელო,
 შენებურად, გვარდიულად!
 მოგვეშველე, შევიღირსებთ,
 გადმოგვიგდე ერთიე ბარემ.
 აი, ახლა გმადლობთ, ძმაო,
 დაისვენე. დღეს ვიკმარებ.
 ჩვენი წრთობის ვინც არ არის,
 მას ძირიდან განა თოკით
 ამოიყვან მალლა ტახტზე, —
 ღაჯკირდება ალბათ ბლოკი.
 ასეთ ორთქლში, ვინ იქნება,
 რომ ორ წუთზე მეტხანს დაყოს.
 ცოცხალი თუ გადარჩება,
 მშობლად აღარ ევარგება,
 რადგან ველარ მოგვეცემს ნაყოფს.
 აბა გასძელ ოხშივარში,
 როცა ტახტი გაცხელდება,
 ჯარისკაცთან ორთქლში მაშინ
 ქაჯიც ველარ გაჩერდება.
 განა სხეულდაძარღვეული
 დადის ვინმე მასზე მძლავრი?
 ჯარისკაცთან ორთქლში მაშინ
 არის შემწვარ-გამომცხვარი.
 არ არსებობს, მაგრამ მასზე
 გამოცდილი არის ქაჯი?
 აბა სცადოს, — შეეჯიბროს,
 ქაჯს დასჯაბნის ჯარისკაცი.
 წევანან ომის ოსტატები,
 მკიდროდ წევანან ისევ ტახტზე,
 მიდი-მოდის ცხელი ცოცხი
 მათ ფოლოსფერ, წითელ ტანზე.
 კაცი მღერის და თან კენესის,
 ითხოვს: — მეტი ორთქლი, მეტი
 ოხრავს, კენესის, ისევ ითხოვს;
 — მეტი! მეტი! ორთქლი-მეთქი!
 ზორბად თუ არ გაიორთქლა
 ჯარისკაცი აბანოში —
 იგივეა, რომ გერმანელს
 არ შესდიოს სატახტოში.
 დიდხანს ვყავართ მტარვალს ქვაბში,
 დღეს მოვამწყვდევეთ ზღვასთან
 ფაშისტს.
 ზღვაში ვუქრათ თავი დუშმანს,
 შიგ ვისროლოთ, არ გაუშვავთ!

დღეს პირველად დგას წუთები, —
რომ წინ მტერი აღარ გიდგას,
დაიქუხებს სალუტები
ჩვენი დედაქალაქიდან.
დაიქუხებს ბათქი მძლავრად,
ნიშნად მტერზე გამარჯვების.
მაშინ ომის სხვა კიდისკენ
დინჯად წავლენ ზარბაზნებიც.
წინ დაძრული კოლონები
გზიდან ბერლინს შენიშნავენ.
ჯარისკაცი მომდგარ ცრემლებს
ხელისგულით შეიმშრალებს.
ვიღაც დასტვენს, დაიყვილებს,
დარდი უცბად აორთქლდება.
სხვაგვარია ომი, როცა
ზეიმის დღე ახლოვდება.
სხვაგვარია მაშინ ომი, —
ცეცხლში შესვლა გეხარება.
თითო ხიშტზე როცა სამი
თვითმფრინაეი გეხმარება.
სხვაგვარია მაშინ ხალხიც,
როცა ბლომად გაქვს ტანკები
და ფართობი ვერ გინახავს
ზარბაზნეშის დასატევი.
ძალამ ძალას დაუმტკიცა,
რომ ყოფილა ქვეყანაზე
ცეცხლი — ცეცხლზე საშინელი,
რვალი მტკიცე ყველა რვალზე!
კურანტები ფიქრენ კრემლის,
აგონებენ გულშაუ ბერლინს
დგას განკიცხვის ქამი მკაცრი...
სანამ ქამი დგას განკიცხვის.
აბანოში რიგიაჩად
გაიხვითქა ჯარისკაცი.
გაიხვითქა და გაითბო
ძელები — ყინვაგამოვლილი,
იგი თავით-ფეხებამდე
შეცვლილიყო გაოთლილი.
ძირს ტახტიდან ჩამობრძანდა
დათენთილი, კმაყოფილი.
დაბლა სუფევს მყუდროება,
ხალხი შხაპს და აბაზანას
დასევია, კვლავ განაგრძობს
ნანატრ საქმეს — ტანის ბანას,
ზოგი უკვე გაორთქლილა,
ირგელივ ტკბილი ფუსფუსია:

ერთი ებრძვის მოლელილობას,
ერთს მეორე ზურგს უხრიავენ.
ზოგი მექანიკოსია,
ილწვის, შუქის ხაზს ასწორებს,
სხვა კეფაზე ისევამს საპონს,
წყალში იღობს სხვა მაზოლებს.
ერთიც ნადავლ კრელ ხელსახოცს
გამალებით სანაფს თასში,
ავლებს მუქთა აბაზანის
მუქთა წყალში, ნადავლ წყალში.
ჩვევმა ბიჭმა ცხელი ტანი
ოღნავ როცა გაიგრილა,
ჩააყენა თასში ქაფი,
ზურგიც, ფრონტიც დაიზილა...
არც ფლანგები დაიწყია,
არც რამე სხვა დანარჩენი,
თავზე წყალი გადაივლო,
მისი წასვლის დადგა ჯერი.
და გასწია ჩასაცემლად,
უქან გაპყვა ვაეკაცს ყველა
ვანა მისთვის, რომ გასული
სინით მაღლა იდგა მათზე, —
მისთვის გაპყვენენ, რადგან იგი
ლომკაცურად იწვა ტახტზე.
რუს ძმას უყვარს ყოველგვარი
გამარჯვება კაცის ძალის.
იგი ჩხუბშიც და შრომაშიც
სხვაზე მტკიცე ამით არის.
მას სჩვევია ძველთაგანვე
მთელი გულით აღტაცება,
ყოველგვარი სიყოჩაღის
წრფელი გულით დაფასება.
მას უმზერენ მოკრძალებით,
უნდათ მასთან ლაპარაკი,
კვლავ ჩაიცვა უბანიკოდ
მან პერანგის ამხანაგი.
ასე მშვიდად, უგანგაშოდ
კვლავ ჩაიცვა მან შარვალი
და ჩექმები, ათისთავის
თვალსაზრისით, მთლად ახალი.
ხალათში რომ შეძერა კაცი,
გადაავლო ყველამ თვალი;
ორდენები და მედლები
მწკრივად ენთო, როგორც ალი
— ძმაო, ალბათ, სამხეპრობამ
თუ მოგყვია ნარდად ყველა?

ჯარისკაცთა ხუმრობაზე მან ღიმილით ჩაახველა, უბასუხა: — ეს რა არის! თან არა მაქვს ახლა ყველა. — კარგი, მაგრამ, ეს გვითხარე, აბა, სად გაქვს დანარჩენი?

— სადაც ახლა მტერი იბრძვის, საითყენაც გზაა ჩვენი. *ერკონულში მშვიდობითო*, — თქვა *დნარტოცომისა*. უკვე გარეთ იყო გამირი, ხალხს აღმოხდა: — აი, კაცი! — აი, მართლაც ტიორკინი.

ამტორისაბან

მოვარე ნათობს ნათელ ცაზე, გამოცლილა თასი სავსე. ტიორკინო, ტიორკინო, ომი შეწყდა, და ჩვენ, თითქოს, ახლა უკვე დრო მოვკმამეთ, თითქოს მართლა დაძველდითო. თითქოს სმენა დახშობილი გამეფებულ სინთეში საბტად დაერჩი მომღერალი, შეჩვეული მღერას ცეცხლში. არა უშავს, სასიმღერო ჩემი ლექსი რომ მოთავდა, ახალია დღეს საჭირო, — მოვა, მომე ოღონდ ვადა, მეტყვი მკითხველს, ძმას, მეგობარს, რომ სხვა რამის თქმა მინდოდა. მე შენს მიმართ, ვით ყოველთვის ვიცი, ალბათ, მაწივებს ცოდვა. მეტს შევძლებდი, არ მეცალა, მაგრამ ერთი დაგახსოვდეს, რომ ვერუობდი სახუმაროდ, სიცრუისთვის — არასოდეს. რად დავმალო, ზოგჯერ ოხვრით რომ ვიკლავდი გულის ტკივილს, მოთქვამს სიტყვა ჩემი გამირის, ჩემი ვასილ ტიორკინის. უფრო კარგად გამოვთქვამდი, მაგრამ სათქმელს შევინახავ, უფრო კარგად დაუთქრავდი, რომ შემძლოს მეტი ახლა. მომღერალმა მშვიდობისას ეგებ მკითხველს უძღვნას ლექსი, შექმნას ლექსი ჯარისკაცულ პოემაზე უკეთესი. ეს წაგნია ჩემს წიგნებში სუყველაზე ამო, ტკბილი, ვით ძე, განა განცხრომაში.

კირ-ვარამში გამოზრდილი. ომის ცეცხლში, სისხლის თქეშში მტერს ეკვეთე მეომარი, ტიორკინო, ვპოვე შენში გულითადი მეგობარი. დავიწყების არ მაქვს ნება ქარიშხლიან დღეებისა, მახსოვს, როგორ მომეც ხელი განსაცდელში შეხვედრისას. რა არ ვნახეთ სტალინგრადის და მოსკოვის კართან ძმებმა; ტკივილო და შევბავ ჩემო, შესვენებავ, წარმატებავ. ეს პწკარები, ეს ფურცლები ომის დროს და მანძილს თელიან, დასავლეთის საზღვრებიდან ჩვენ დიდ დედაქალაქამდის, ვიდრე დედაქალაქიდან ფაშისტების ბანაკამდის — მტრის სატახტო ქალაქამდის გზა ბრძოლების გაგვივლია. გაზაფხულებს წაუშლია კერის ფერფლი, რომ გვათბობდა, ახლა ხსოვნა გვათბობს მხოლოდ. სად და ვისთან არ ვყოფილვარ, არაყს ვისთან არა ვსევამდი, პირველად და საბოლოოდ ვისთან არა ვმეგობრობდი, ყველგან გული დამხვდა ღია. რამდენ სულსა ვკირდებოდი, უიმათოდ არად ვღირვარ. ზოგი ქვეყნად აღარც არის ვინც, პოეტო, წაგიკითხა. ეს საწყალი წიგნი თითქოს არსებობდეს დიდხანს, დიდხანს. მას არასდროს არ სკირდება ბეერი ქება და დიდება.

არც ზობრძენო კრიტიკოსი,
რომ კითხულობს რაღაც ივეით,
ექებს, თუა შეცდომები,
ვაი, თუ ვერ ნახა ზინჯი.
განა მისთვის ვოცნებობდი
კაცი ტყბილად მოიძვდე
ომში, ტიალ ქოხის ჭერ ქვეშ,
გზებზე, სადაც დრო ვიხელთე,
რკინის თვლებთან განუყრელად
შევხვედრივარ წვიმას, ღვართქვაფს.
ზამთრის სუსხში მე კბილებით
გავიძრობდი ჩემს ხელთათმანს
და რვეულში ეწერდი ხოლმე
ცოცხალ ბუკარებს, ხალხში ნათქვამს.
ვოცნებობდი სასწაულზე,
ეგებ ნატვრა ამხდარიყო,
ეგებ ხალხი, ომში მყოფი
ჩემი ლექსით გამთბარიყო,
მოულოდნელ სიხარულით
გასთბობოდა მებრძოლს მკერდი,
ვით იმ ძველი გარმონისგან,
სადმე გზაზე რომ შეხედები.
რა თქმა უნდა, გარმონს სულში
თადარიგად ხშირად რჩება
მხოლოდ ორი საცეკვაო,
მაგრამ დიდად იქაჩება.
ხმა გაკმინდეს ზარბაზნებმა,
და ვთქვათ ახლა, ალაღბედად
მიყრუებულ ლუდხანაში
სამი ტოლჩის შესმის შემდეგ
ცალხელ მებრძოლს გავახსენდეთ,

რომელიმე ფრონტელს კვი,
ტიორკინო, ტიორკინო,
დე, ხუმრობით უთხარ ხალხში.
ტიორკინზე სიტყვას იტყვის
ღვაწლმოსილი გენერალი,
ის კი იტყვის უეჭველად,
ვინც უბოძა მას მედალი.
დე, მკითხველმა წიგნით ხელში
თქვას პირდაპირ ალალ გულით:
აი, ლექსი, ჩემს ენაზე
გასაგებად, ლაღად თქმული.
მე ამაყი არ გახლავართ,
ეკმარებდი ამ მკირედსაც,
სხვა სახელი, სხვა დიდება
არად მიღირს, არ მკირდება.
სამახსოვრო წლებზე თხრობა,
ლექსის წიგნი მეომარზე,
ახლა ხალხში გადასული
მე შუადან წამოგაწყე,
დავასრულე, ძმებო, ასე,
და არა აქვს დასასრული.
თამამ ფიქრით, თამამ ზრახვით
საყვარელი ჩემი შრომა
მიუძღვენი ძმების ხსოვნას,
ვინც სამშობლოს შეეწირა,
ყველა წრფელი გულის თრთოლვას,
ყველა ფრონტელ ჩემს მეგობარს,
ვისი აზრიც მიღირს ძვირად.

1940 — 1945

თარგმანი ოთარ ზილიძისა

მრისხანე ოსტატი

მოთხრობა

★

დავაშაკივა

ივანე გორბაჩოვი თვალუბგაბრწყინებული შეპყურებდა ფარნაოზს. ფარნაოზი მარდად დაქროდა მარტენის გავარვარებული ღუმელის ირგვლივ.

— მარჯვე ვაჟაკია, — ფიქრობდა მგენიტოგორსკში ფოლადის ღნობის ძველი ოსტატი და თავის აღფრთოვანებას წვერებზე ხელის ჩამოსმით გამოხატავდა.

— კმაყოფილია ჩვენი მუშაობით ივანე, — იტყოდნენ ხოლმე ბრიგადის წევრები.

შუბლშეკრული გორბაჩოვი მოღიმა რე არავის უნახავს. არც ისე მოხუცი იყო, მაგრამ თმაში ჭალარა სჭარბობდა. მის ფართო მხარ-ბეჭს ოდნავ მოხრილობა ეტყობოდა. ფოლადისფერი სახე ნაოჭებს დაეღარა. მგენიტოგორსკელი მგფოლადეები მას მრისხანე ოსტატს ეძახდნენ. ფარნაოზი პირველ ხანებში ამ მოღრუბლულ ადამიანთან მუშაობას ერიდებოდა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, გორბაჩოვი გულჩვილ ადამიანად ეხატებოდა მას. ამ ჯამუხი, უფ-მური მოხუცის გულიც თითქმის მარტენის ღუმელში გადამდნარა, გადახარშულა, ფოლადად ქცეულა. ურყივი, უო-რეცი გამხდარა, მაგრამ მცირეოდენი სითბოს შეხება და... სიმკვრივეს კარგავდა, ლხევებოდა, მგრძნობიარე ხდებოდა, ფოლადის გული ჩვილდებოდა.

მრისხანე ოსტატს ნიჭიერი და შრო-მისმოყვარე ფარნაოზი შეიღივიტ შეოყ-ვარდა. მათ დამეგობრებაზე სხვა საამქ-როებშიც ლაპარაკობდნენ. ივანე გორ-

ბაჩოვი პარტიისცემას იმით ამქლავნებ-და, რომ ს.ხლში ეპარტიებოდა და, დღე არ გავიდოდა, უიმიოდ ლუქმა ჩადო პირში.

გორბაჩოვი ცოტათი მოტყუდა მას შემ-დეგ, რაც ვაჟიშვილი სამამულო ომში დაეღუბა. უთქმელი კაცი არ ამქლავნებ-და დარდს. მტერმა მრავალი დედა აატი-რა, მრავალი მამა დააღონა, ბევრს კარ-მიდამო დაუნგრია. ყოველივე ამან კი გორბაჩოვი ნაადრევედ დააბერა, მაგრამ მის მქლავს ძალა ვერ დაუკარგა. მშობ-ლიურ ზრუნვას იჩენდა ფარნაოზი-სადმი, ასწავლიდა, ჭკუას არიგებდა და წრთენიდა.

ოსტატის ხასიათი აცვიფრებდა ფარ-ნაოზს: უბრალო ამბებზედაც ბრაზდებოდა, თუ არ მოეწონებოდა შესრულე-ბული სამუშაო, ბუზღუნებდა, შუბლს შეიკრავდა, არავის აპარტიებდა, არავის მოვალერსებოდა. ასეთ გუნებაზე იყო დღესაც ივანე გორბაჩოვი, საამქროშიც შენიშნეს ოსტატის უგუნებობა, მითქმა-მითქმა დაიწყეს:

— წესიერად იმუშავეთ, არაფერი გაა-ფუქოთ, ივან პეტროვიჩი განრისხებუ-ლია, — არავინ იცოდა რაზე, ან ვისზე ბრაზობდა ოსტატი, მაგრამ ამბის გამო-კითხვასაც ვერ უბედავდნენ. მთელ დღეს შუბლი არ გაუხსნია.

გორბაჩოვმა ნიშანი მისცა ბრიგადის წევრებს — ღუმელისათვის ლარი დაე-ყენებინათ, ფოლადი ციცხვში გადაეშ-ვათ, როდესაც ამწეზე დაკიდებულ ლარს ერთი მუშა ძირს უშვებდა, ზედმეტი

ბიძგით გამოაქანა და ფარნაოზს თავში მოხვდა. ფარნაოზი შებარბაცდა და დაეცა. იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საექიმო პუნქტში. როდესაც მოსულიერდა, დაინახა, ოსტატი თავზე ადგა, ცრემლი ჩასდგომოდა თვალებში.

ფარნაოზს გაელიმა.

გორბაჩოვმა ექიმს შეხედა... საშიში ხომ არაფერიაო, ეკითხებოდნენ მისი თვალები. როდესაც ექიმს სახეზე ღიმილი შეამჩნია, შუბლი შეიკრა, ულვაშებზე ჩამოისევა ხელი და გავიდა.

— მკაცრი მოხუცი ყოფილა, — ჩაილაპარაკა ექიმის თანაშემწემ.

გულუბრყვილო სიყვარული

ურალის მთების მიღმა მზე იძირებოდა. მაღალ მწვერვლებზე ცეცხლმოდებული ღრუბლები ბობოქრობდა. გავარვარებული მზე თანდათან სუსტდებოდა და მკრთალდებოდა, მთებზე წამომდგარ შავ ღრუბლებს ალისფრად-ღა ანათებდა. ფარნაოზი დიდხანს შესცქეროდა დღისა და ღამის ამ გაათრებულ ჭიდილს. თვალწინ დაუდგა მარტენის გავარვარებული ღუმელი, თითქოს ურალის მთები ჯართად და თუჯად დაზვიანებულან და ცეცხლის ალში იხარშებოდა, აი, სადაც არის, ჩამოდნება, უსაზღვრო ღველფად გადაიქცევა და ნიაღვრად გადმოეშეებაო. თვალს არ ამორებდა ამ წარმტაც სანახაობას.

— ოპო, — გადაიკისკისა გოგონამ და წინაქებით მზესუმზირა გაატკაცუნა, — ახლა კი უთავო მხედარს ჰგავხარ... არა, არა, უფრო სწორად, უთავო მდნობელს, ხა, ხა, ხა... — და თითქოს მის ხარხარს საზღვარი არა ჰქონდა... რა აციენებდა?... რას ხედავდა ასეთს?... თვითონაც არ იცოდა, მაგრამ მაინც იცინოდა მარია. საკვირველი ის იყო, რომ სიცილთან ერთად მზესუმზირას მტვრევასაც ახერხებდა.

— ეგ როგორ, მარია, უთავო მდნობელი? — გაიკვირვა ფარნაოზმა. — მა-

— არა, იგი მკაცრი არა ჩანს, — გამოესარჩლა ექიმი ოსტატს.

— მართალი ხართ, მტვრევი ხელით წარმოთქვა ფარნაოზმა, — იგი საყვარელი მოხუცია. გუშინ მასთან უნდა მივსულიყავი, ამხანაგებთან გავერთე, დამავიწყდა. დღეს კი, რომ არ დავშავებულიყავი, ვინ იცის, როდის შემიროგდებოდა.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე, — სიცილით თქვა ექიმმა და ფარნაოზს ბანდით თავის შეხვევა დაუწყო, — არაფერი გიჭირთ, დარტყმა ძლიერი არ ყოფილა, იოლად გადაჩნით.

შასადამე, დამცინი ხომ? — შეუმჩნეველი აღერსით უთხრა ფარნაოზმა.

— ჰე! — მზესუმზირის მტვრევას მოუხშირა მარიამ შემდეგ უცერად შეწყვიტა, პეშეში დარჩენილი ბრახმორეულმა გაიქნია და გადააბნია. რა შუაშია აქ დაცინვა, მე ხომ გეხუმრები... „დამცინი“, „დამცინი“, — გააჯავრა მარიამ და უფრო მეტი სიბრაზის გამოსახატავად ხელები ზურგზე შემოიწყო, ვითომც ნაბიჯს აუჩქარა, ნამდვილად კი მიწას ძლიერად უტყაპუნებდა ფეხებს.

ქარგა ხანს ხამამოულებლივ მიდიოდნენ.

— მამატიე, მარია, — დაუყვავა ფარნაოზმა. — იქნებ სხვისგან ნათქვამი აინუნშიც არ ჩამეგდო, — სცადა მკლავი მკლავში გაეყარა, მარია...

— საჭიროა რუსულ ხასიათებსაც მიეჩვიო, — უთხრა მარიამ. მოუჩქარე ნაბიჯს, თორემ ივან პეტროვიჩი გაგირისხდება. — კაბის ჯიბეში ხელი ჩაიყო, დიდხანს ქეჩა, შემდეგ მიმქრალი, გამოფიტული მზესუმზირას უფარვისი მარცვალი იბოვა, ხელში დიდხანს ატრიალა. როცა დარწმუნდა, რომ მისი გაენატუნებით მხოლოდ პირს გაიმწარებდა, ბრახმორეულმა — გადააგდო.

ფარნაოზს არაფერი უპასუხნია.

მკრთალად გაწითლებულ ზეცას შეხე-
და და თვალი აღარ მოუშორებია. ფარ-
ნაოზის მშვიდმა სახემ და გაბრწყინე-
ბულმა თვალებმა მარია გააკვირვა
თვითონაც იქით დაიწყო ცქერა.

— იცი რა, მარია, — წარმოთქვა მან,
— ანთებული ღუმელიც აი ამ ფერისაა.
განა ისიც მზეს არა ჰგავს? ღუმელი გა-
ნუწყვეტლივ ვარვარებს, არასოდეს არ
ქრება, — მკლავში მკლავი გაუყარა
მარიას.

წყნარად მიაბიჯებდა ორივე... ბნელ
ღამეში ხანგამოშვებით საგლინავი საამ-
ქროდან ბლუმინგის წივილი მოისმოდა.

ფარნაოზმა ფრთხილად დააკაუნა კა-
რებზე.

— შემოდი! — გამოსძახა გორბაჩო-
მა და, როდესაც შევიდა ფარნაოზი, ოს-
ტატმა ხშირ წარბებში ჩამალული წვრი-
ლი თვალებით აღმაცერად შეხედა, ფან-
ქრით ანიშნა დამჯდარიყო. რალაცას
წერდა, ხაზედა, გაანგარიშებებს ახდენ-
და. გორბაჩოვის მეუღლემ ახლადმოწ-
ველილი რძე შემოიტანა, რძე ევდროში
გადაუშვა თუ არა, ფარნაოზს მშობლიუ-
რად მიესალმა.

მოუსვენარი ღამე

ურალის მდუმარე ღამეში გაჩირალდ-
ნებული მაგნიტკა ქუხდა, სადღაც ელექ-
ტროშემდუღებლები მუშაობდნენ. დენ-
მა გაიელვა, სივრცე თეთრად გაანათა
და კვლავ გაქრა. მარტენის მალალი
მილებიდან კვამლი სვეტებად ავარდნი-
ლიყო.

ფარნაოზი მოუთმენლად ელოდა გა-
თენებას. დღეს ახალი დილა თენდებო-
და, ახალი იდეებით, მისწრაფებებითა
და ცნობისმოყვარეობით ცეცხლწაკიდე-
ბული ფარნაოზი საბნის ქვეშ მოუსვენ-
რად ტრიალებდა.

მტრედისფრად ინათა. ფარნაოზი წა-
მოდგა, სწრაფად ჩაიცვა. ხშირი ხეივან-
ებით დაბურული, ლამაზად მოკირწყლე-
ლი ქუჩით ფარნაოზი ქარხნისაკენ მია-

— აი, აი, შე ონავარო, სიმაგრეს ხომ
არ უსინჯავდი ფოლადს? სინდონილია
საჭირო, შვილო, სინდონილი; — ფარ-
ნაოზი სკამზე დასვა და საუბარი განა-
გრძობ.

— როგორ დარდობდა პეტროვიჩი.
ლუკმა არ ჩაუღვია პირში, რომ არ მო-
სულიყავი, თვითონ აპირებდა წამოსე-
ლას. ალბათ ცუდად შეიქნაო, გუშინაც
არ მოხვედი, ხომ იცი, რომ შეიღვიეთ
უყვარ...

— კმარა! — შეუბღვირა მეუღლეს
გორბაჩოვმა და ფეხზე წამოდგა. ამ გეგ-
მის მიხედვით ხვალ დნობის ხანგრძლი-
ვობა ორი საათით უნდა შეეამციროთ, —
დახაზული ქალღიწინი დაუდო, ფარ-
ნაოზი დიდხანს ათვალეერებდა მას,
ოსტატის ჩანაფიქრს ოდნავ აუღო ალღო
და ამიტომ არაფერი შეეკითხა.

— ჯერ შეენაყრდეთ, დანარჩენი შემ-
დეგ; — გორბაჩოვმა წვერზე ხელი ჩა-
მოისვა, კმაყოფილებით გადახედა მაგი-
დას, სადაც უკვე მის „ბებრუხუნას“ აქა-
ფქაფებულნი ბორშით საესე თეფშები
დაელაგებინა.

ბიჯებდა. ბლუმინგის წივილმა შეაყრთო,
საათს დახედა. ჯერ კიდევ დიდი დრო
იყო სამუშაოს დაწყებამდე.

— ახლა კი დაეასწარი მარიას, ვინ
იცის, იგი ჯერ კიდევ ღრმა ძილშია, —
ფიქრობდა ფარნაოზი და ნაბიჯს მოუჩ-
ქარა. საამქროში შესვლისთანავე მისი
გამბული ხარხარი მოესმა. შემკრთალმა
მიმოათვალეირა, ვერსად დაინახა. გაი-
ფიქრა, ალბათ ის არ იქნებოა, მაგრამ
აი, აქვე, ახლოს, შაშივივით ჰახუახებდა
მარია... ჩამტეირთავ მანქანას იბარებდა.
რალაცაზე ელანზიანდარებოდა მსუქან-
ლოყებიან, ჩასკვნილ ზახარს და თანაც
ენას უყოფდა.

— ვერ მოგართვი, მოტყუება ვინდო-
და? კეთილი ინებე და გაწმინდე ხორთუ-

მი. რა, გეშინია? მართლა სპილო ხომ არ გგონია. ხა, ხა, ხა...

— ახირებული ლაპარაკი იცი, — სერიოზულად ეუბნებოდა შახარი და მახუთიანი მიჩრით მანქანის წინგამვერილ ვეებერთელა ხორთუმს წმენდდა. — აბა, ამას რად უნდა გაწმენდა! — აღელვებით ლაპარაკობდა იგი. მარიამ ფარნაოზი შეამჩნია, მიეპარა ზურგიდან, თვალებზე ხელები ააფარა.

— გიციანი, გიციანი, შე კუდრაქავ, — უთხრა ფარნაოზმა და მარიას თითები თვალებიდან მოიცილა.

— ეგ არის შენი ბაქიბუქი, დილაზე ვერ მომასწრებო? მტვერი აადინე, ხა, ხა, — დიდი ხმით გაიძახოდა მარია.

— კარგი, კარგი, გესლი ნუ დაანთხიე! იქნებ შენ მთელი ღამე არ გეძინა. — აღერსით უთხრა ფარნაოზმა.

— მაშ, მაშ, ახლა დედაჩემს ჰკითხე! შენგან წავედი თუ არა, პირდაპირ საწოლს მივეარდი.

გორბაჩოვის სხვა ბიჭებიც ჩვეულებრივზე ადრე მოსულიყვნენ. სამუშაოს წინ ოსტატმა ხანმოკლე თათბირი ჩაატარა, დღევანდელ ახალ სამუშაო გეგმას დაძაბულად უსმენდნენ. სიტყვაძუნწი გორბაჩოვი აზრის განმეორებას ლაყბობას ეძახდა. „ყოველი ორი წუთი ერთი ტონა ფოლადია“, რამდენსაც ბევრს ვილაყბებთ, იმდენად ბევრი ფოლადით ვაზარალებთ სახელმწიფოს. ალბათ არ მისმენდით, სხვა რამეზე ფიქრობდით. ქალთან ხართ, სიყვარულზე იფიქრეთ, მარტენის ლუმელთან—ფოლადის ხარშვაზე, რომელი ქალი მოგიწონებთ, ის მეგრდზე გეზუტებოდეთ და თქვენ კი ფოლადის დნობაზე ებაასებოდეთო“. საამქროში მანქანების მომამზერებელი ხმაური არ წყდებოდა. გორბაჩოვი კი მშვიდად, აუჩქარებლად და დაბალი ხმით ლაპარაკობდა. მის დალაგებულ აზრს ამ ორიანცელში კარგად გებულობდნენ ბიჭები.

მრისხანე ოსტატი მაშინ იმ მებრძოლთა მეთაურს ჰგავდა, რომელიც მძაფ-

რი შეტევისათვის ამზადებდა თავის ჯარისკაცებს.

მოუსვენარი, მაგრამ შინაარსიანი დღე თითქოს სწრაფად მიქროდა, ქუხდა და პიქდა მარტენი, ელვასავით თავს ევლებოდნენ გორბაჩოვის გაწრთვნილი შეგირდები.

ფარნაოზს ხშირად შეუმჩნევია ოსტატის ტუჩების მოძრაობა, იღუმალი ჩურჩული. სხვა დროს ყურადღება არ მიუქცევია, დღეს კი რატომღაც დაინტერესდა და ყური მიუგდო.

— სიკვილი ფაშისტებს, უხვი ფოლადი ფრონტს! — ჩურჩულებდა მოხუცი ფარნაოზი უფრო მეტი ინტერესით უგვებდა ყურს ოსტატის ჩურჩულს.

— აი თურმე დნობის დაჩქარებას რა ბრწყინვალე მიზანი ჰქონია: მეტი ფოლადი მიეწოდებინათ სახელმწიფოსათვის, დაეჩქარებინათ ფაშისტებზე გამარჯვება, — ფიქრობდა ფარნაოზი. გორბაჩოვს ეგონა, არავინ მისმენსო და ბუტბუტს განაგრძობდა.

— ასე, ასე, ბიჭებო, დნობა დაეაჩქაროთ, ამით მტერზე გამარჯვებას დაეაჩქარებთ. ასე, ასე, — არა ცხრებოდა მრისხანე ოსტატი, გვერდით ვილაყიგრძნო, პირი მოკლეა, მოილუშა, მოიღრუბლა, როგორც ზეცა ჭექა-ქუხილის წინ, განრისხდა, მგელივით მოღრიცა კისერი და ფარნაოზს შეღრიალა, შეუტია.

— რას დაგიღია პირი, გასინჯე ფოლადი! — ფარნაოზი დაიბნა, გავარეარებული ლუმელისაკენ გაეჭანა, თითქოს ფოლადის ღველფის პეშვით ამოღებას ცდილობსო. მაღალი ტემპერატურისაგან თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. ლურჯი სათვალეები ჩამოიფარა, გამდნარ ფოლადს ჩააცქერდა, მხიარულად მოაშორა სახე და ოსტატს შესძახა:

— ივან პეტროვიჩ...

— ნუ ლაყბობ, სასინჯი! — ფარნაოზმა სწრაფად წამოავლო ხელი გრძელი ლითონის ღეროს, რომელზედაც პატარა ციკხვი იყო მიმაგრებული. ამობოქრე-

ბულ მარტენში შესტყორცნა და ფოლადის ხსნარი გამოიღო. გორბაჩოვს თვალები აუციმციმდა, გვერდზე შეკრული სატინის ხალათი გაიხსნა, უბეში შეიყო ხელი და დიდი ძეწკვიანი საათი ამოიღო, ნასიამოვნებმა წვერებზე ჩამოისვა ხელი, შემდეგ გორბაჩოვს შეხედა ფარნაოზს და აღფრთოვანებით შესძახა:

— შხად არის!

ფარნაოზმა ამწე მემანქანეს აცნობა. საამქროს ჰერმა მოძრაობა დაიწყო. ამწე მანქანას გოლიათური ციციხე მიჰქონდა ღუმელთან. ღარიდან ფოლადის ხსნარი ვეებერთელა ციციხეში ფართო ნაკადად ჩქეფდა.

ორი საათით შეამცირეს ფოლადის დნობის ხანგრძლივობა.

მთელ საამქროს ელვის სისწრაფით მოედო გორბაჩოვის ბრწყინვალე გამარჯვება. ოსტატი როცა შეამჩნევდა, რომ ამხანაგები გამარჯვების მისალოცავად ემზადებოდნენ ხელს ჩაიქნევდა და ბუტბუტით არიდებდა თვალს.

გამოწმვილობება

მას შემდეგ ორმა წელმა განვლო. მოულოდნელმა ამბავმა არა მარტო მარია და მისი დედა, არამედ გორბაჩოვი და ფარნაოზის ბევრი სხვა რუსი მეგობარიც დაალონა.

ფარნაოზი საქართველოში ბრუნდებოდა. ახლადმოხილ მეფოლადეთა ქალაქში მარტენის მიღები აღმართულა. რუსთავი ელოდა ფარნაოზს — ფარნაოზი ისწრაფოდა საქართველოსაკენ, ოცნებობდა ქართული ფოლადის დაბადებაზე.

მაგნიტკას ლამაზად მოკირწყლული საღვურის მოედნის წინ მეფოლადეებს თავი მოეყარათ. მათ სხვებიც ემატებოდნენ. ისინი დღეს მაგნიტოგორსკში აღზრდილ ქართველ ვაჟაკებს საზეიმოდ ემშვიდობებოდნენ.

— ჰოდა, ჩამოვალ, წაგიყვან. იქ ჩემთან ერთად იმუშავენ. რომ იცოდე, რა

მირიამ გაასუფთავა თუ არა მანქანის კუთხე-კუნძული, ფარნაოზისაკენ გაიქცა და თავისებური ხმაურით შეიჭრა თავმოყრილ ამხანაგებში.

— მომილოცავეს... მომილოცავეს, — კისკისებდა იგი, — ოჰო, რას იბღვირები. შენ იცი თუ არა, რომ ჩატვირთვის დრო ნახევარი საათით შევამცირე.

— ეიცი, — უბასუხა ფარნაოზმა. — მერე რა გინდა მაგით თქვა?

— ის, რომ გამარჯვებაში...

— ვიცით, ვიცით, რომ წველილი გაქვს, — შესძახეს სხვებმაც.

— ფარნაოზს კი ჰგონია თავიანთი ვაჟკაცობით გაიმარჯვეს. თუმცა, — სერიოზული სახე მიიღო მირიამ, — სიმართლე უნდა ითქვას, ყოჩაღად იმუშავეთ.

— კარგი წყვილი ხართ ჩემმა მზემ: რუსი გოგონა და ქართველი ჰაბუკი — იოხუნჯა ორთქლმავლის მემანქანემ. მისი სიტყვები ყველას მოეწონა და სიცილხარხართან ერთად ტაშიც მიაყოლეს.

ლამაზია ჩვენი მზარე, მარია, — ფარნაოზს გული აუთრთოლდა, ეძნელებოდა მარიას დატოვება, ეს ლამაზი და მოუსვენარი მაგნიტკაც შეუყვარდა, მაგრამ... მარია მის ფართო გულ-მეკრდს თითებს უფათურებდა და ცრემლმორეული თვალებით უხმოდ შესცქეროდა. უნდოდა რაიმე ეთქვა, სიტყვას ვერ პოულობდა. ფარნაოზმა მარიას ცრემლები შეამჩნია.

— კარგი, კარგი, მარია, პაატარა ხომ იღარა ხარ, ფიცი დავდეთ, მე ხომ ვაგიყვებით მიყვარხარ...

— ტყუი, ტყუი! — სლუკუნებდა მარია, — არ გიყვარვარ. მეც წაგეყვანე. შენზე ნაკლებად ვიმუშავებდი? „უნდა მოვემზადო წინასწარ შენ მისაყვანად...“ საქართველოს დედოფლად ხომ არ მამზადებ? თუმც ეს შენი სიტყვები... ჩემი ხელფასიც მეყოფოდა... განა ოთახს არ მოგვცემენ?...

— ეგრე არ შეიძლება მარია, დამცი-
ნებენ.

— მაშინ დარჩი აქ, ჩვენთან. დედა-
ჩემს ხომ არაეინა ჰყავს. შენ უყვარხარ,
ფარნაოზ... დარჩი ჩვენს მაგნიტკაში...
ვიმუშაოთ, შეეჭმნათ ოჯახი. როგორ
მინდა, ფარნაოზ, ოჯახი...

— ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია,
პარია.

— შეუძლებელია! — შეაყრყოლა მა-
რიას. ტუნები გაულურჯდა, ცრემლებს
ძლივს იკავებდა. ქვევითა ტუჩი კბილე-
ბში მოიმწყვდია. შემდეგ ამაყად წახედა
ფარნაოზს და შესძახა:

— არ გყვარებივარ, ფარნაოზ, არა...

— ჩემს გულწრფელ სიყვარულში
ეკვი არ უნდა შეგეპაროს, მარია, იქ მე-
ფოლაღები უქირთ. აბა, დაფიქრდი,
ჩვენს სიყვარულს არაფერი არ უშლის
ხელს, ჩვენ მხოლოდ ფორმალური მხარე
უნდა მოვაგვაროთ. ეს ხომ უმინაშე-
ნელო, პატარა საქმეა. მაგრამ საქართვე-
ლოში მარტენი გუგუნებს, მარია. განა
არ იცი, რომ მისი ჩაქრობა წუთით არ
შეიძლება? ეს საქმე დიდია, ვეებერთე-
ლა, ბუმბერაზი. პატარა ღუმელში, სა-
დაც გული ფეთქავს, ნეტავი შეიძლე-
ბოდეს ჩაიხედო შიგ და ამოიკითხავედ,
რა წერია. აი აქ, — ფარნაოზმა მკერდ-
ზე ხელი დაიდო, ზოგიერთმა მახლობ-
ლად მდგომმა ამხანაგმა ეშმაკურილი-
მით გადმოხედა, — ორი მზე მიყვარს
მარია, ერთი მარტენის ღუმელშია, მეო-
რე შენა ხარ, შენ, ჩემო გოგონა. მარტე-
ნის მზე გარედან მწვავს, შენ კი სულში
მეხუტები: გულს მითუთქავ. აბა დაფიქ-
რდი, რუსთაველი ოთახი არა მაქვს, მარ-
თალია, მოგვეცემენ, მაგრამ ბინების სა-
კითხი კიდევ ვერ ყოფილა კარგად,

აშენებენ, დაცდაა საჭირო. საერთო
საცხოვრებელში მომიხდება ცხოვრება.
შენც ხომ იქ არ შემოწვევები. ბინას
მომცემენ, მშობლები ჩამოვლენ, მო-
აწყობენ, მოამზადებენ და აი მაშინ კი...

— მერე-და, ყოველივე მაგას ხომ დი-
დი ღრო დასჭირდება.

— არა, არა მარია, სულ მალე, მალე
გესტუმრები, ფიქრი ნუ გაქვს...

მატარებელი ჩამოდგა. მარიას აღარ
აეცილდნენ გამოშვებობებს მაგნიტო-
გორისკელი მეგობრები.

გორბაჩოვმა და მისმა მეუღლემ, სირ-
ბილით დაქანცულებმა, როგორც იქნა,
მოუსწრეს ფარნაოზს. ოსტატმა მის და-
ნახვავზე ნაბიჯი შეანელა, ვითომც ჩვე-
ულებრივ ამბად თვლიდა ფარნაოზთან
დაცილებას. მაგრამ გულით კი დარდობ-
და, რომ მისი საყვარელი შეგირდი ტო-
ვებდა მაგნიტკას, ტოვებდა ივანე გორ-
ბაჩოვს.

ფარნაოზი შეეგება, ბებრუხუნა კი გა-
იძახოდა:

— რამდენს ნაღვლობს, ჯიუტია, არ
ამელანებს, მის თვალბზე ცრემლი არ
მინახავს, ახლა კი...

— ემარა! — გაუწყრა გორბაჩოვი
მეუღლეს.

ორთქლმავალმა იკივლა. ახლა კი
გადაეხვია ოსტატი ფარნაოზს, შეილი-
ვით ჩაიხუტა გულში თავისი აღზრდილი
და დაბალი ხმით აბუტბუტდა:

— მომწერე, მომწერე ხოლმე, შეი-
ლო/წერილი, იქნებ პირველად გაგი-
კირდეს, არ შეგებუოს მარტენის ღუ-
მელი, ყველაფერში დაგეხმარები.

მატარებელი დაიძრა.

პირველი დამარცხება

შემოდგომის ღამე იყო. ღრუბელი
ღრუბელს ჩაჰკვროდა, დასაუღეთიდან
ქარავენებად დაძრულნი მძიმედ დასწო-
ლოდნენ დედამიწას. მეფოლაღეთა გა-

ჩირაღდნებელი ქალაქი ახალი სიცოცხ-
ლით სუნთქავდა. გუშინდელი ტრამა-
ლები დღეს ახალი სახლებით დამშვე-
ნებულა, ისინი გულდაგულ აზიდულან



მალა, სივრცისაკენ და თითქოს ადამიანებს სამყაროს სხვა პლანეტებთან ხარაზობის მისასვლელები მოუწყვიტათო. სიბნელეში მკრთალად მოჩანდნენ მარტენის მაღალი საკვამლე მიღების სილუეტები. ეს მეფოლადეთა ქალაქი რუსთავია. ხარაზობთან ქარი წიოდა, ველარ ნავარდობდა ისე, როგორც უწინ. მას ადამიანები გადაეღობნენ... და აი, ახლაც შეუწელებლივ ქრის. ფოლადის მდნობელთა საამქროში შეიჭრა, ფარნაოზს თმები აუჩეჩა და სადღაც გაქრა.

ფარნაოზის ბრიგადის ჩამტვირთავი მანქანის მძღოლი ცვლისაგან მანქანას იზარებდა. როდესაც მან დაძრა მანქანა, რელსებზე დაყრილი ნიჩბები ვერ შეამჩნია და ზედ გადაუარა. ამ დროს ფარნაოზი ლუმელის ფსკერს აცქერდებოდა, ედლებს ათვალეირებდა.

მუშაობა დაიწყო.

დღეს პირველად უნდა მიიღოს ფარნაოზმა ფოლადი, მაგრამ საიდან დაიწყოს? თითქოს ყველაფერი დაავიწყდა, აღარც მრისხანე ოსტატის მუშაობის მეთოდები აგონდებოდა. იგი მხოლოდ იმით იყო გატაცებული, რომ, რაც შეიძლება, მალე ჩაეტვირთათ ლუმელი. პირომეტრისათვის არ შეუხედავს, როდესაც ფსკერზე შეამჩნიეს დნობის შემდეგ დარჩენილი პატარა ორმოები ამხანაგებს, შესძახა, სასწრაფოდ შეეყარათ ჰაგნეზიტი. ისინიც ქუდმოგლეჯილი დარბოდნენ, ნიჩბებს ეძებდნენ. მაგრამ ვერ იპოვეს. ბოლოს თვითონ ფარნაოზმა შეამჩნია. ბორბლებთან ჩამსხვრეული საამქროს საწყობიდან გვიან მოიტანეს ნიჩბები, მაგნეზიტის შეყრა, რომ დაამთავრეს, საკაზმე ეზოს ნიშანი მისცა წამოსულიყო ორთქლმავალი. იგი სწრაფად შემოვარდა საამქროში, მულები დაუპირისპირა, ჩატვირთავც მალე დამთავრდა, მაგრამ... პირომეტრს დახედა ფარნაოზმა. და ქირის ოფლმა დაასახა.

ჩატვირთვა 1200 გრადუსზე მოხდა. ასეთ ტემპერატურას მეფოლადეები გა-

ცივებულ ლუმელს ეძახიან. დნობის დაჩქარებისათვის მალაღობ ტემპერატურაა საჭირო, 1600 მაინც, ახლა კი ისედაც დაგვიანებით ჩატვირთული ჯართის დნობას გაახანგრძლივებდა. ფარნაოზმა იგრძნო, რომ მან დღეს დნობა დაავიანა. მარტენის ლუმელის კარებთან აბრიალებული ციცილი უფრო მეტად აკაშკაშებდა საამქროს, აქვე საპულტესთან ჩამოკიდებული შავი დაფა გააშუქა.

„ლუმელი № 3. მდნობელი ფარნაოზ კახაბრიშვილი. დნობის ხანგრძლივობა 10 საათი და 30 წუთი“, — ეწერა დაფაზე.

ფარნაოზს თავბრუ დაეხვა, კედელს მიეყრდნო. დიდხანს იდგა, გაუნძრევლად, მდუმარედ შესცქეროდა წარწერას, თვითეული ასო მრისხანე ოსტატის თვალეზად ეჩვენებოდა, თვითეული სიტყვა გორბაჩოვის მკაცრ შეძახილად მოესმოდა... საყვარელი ოსტატის გახსენებაზე შერცხვა, გაფითრდა, „ვერ გავამართლე ოსტატის ამაგი, მშობლიური მზრუნველობა, სწავლა, დარიგება. რა ღმერთი გამიწყრა, რა!“ — კიცხავდა თავის თავს...

ქარის წივილი მარიას ხარხარად მოესმა, თავის თავისადმი ზიზლი იგრძნო. გაშმაგებით შესცქეროდა ლუმელს, რომელიც დამცინავად ციცილის ენას უყოფდა მას.

— რას ჩაფიქრებულხარ? — მხარზე ხელი დაარტყა ცვლის უფროსმა, — ხე. ლისთვის იფიქრე, გაითვალისწინე დღევანდელი დაბრკოლებები და ყველაფერი რიგზე იქნება. ახლა კი წაივადეთ, ვუპატაკოთ საამქროს უფროსს. დანაკლისი სხვა მდნობელებმა შეავსეს.

ისინი ნელი ნაბიჯით გაემართნენ საამქროს წითელი კუთხისაკენ. უმრავლესობას მოეყარა თავი და თათბირის დაწყებამდე სხვადასხვა სახის თამაშობით ერთობოდა.

— არ უნდა მოგველა პაიკი, დიდად გეხმარებოდა შეტევის განვითარებაში. ერთმა პაიკმა თამაში წაგაგებინა, ჩემო

ოთარ. — წელში გაიმართა გივი, მხიარულად გადახედა დამარცხებულ მოწინააღმდეგეს.

— უმნიშვნელოა... დაუფიქრებლად მომივიდა, — იმართლებდა თავს ოთარი.

— უმნიშვნელო? — გაიკვირვა გივიმ.

— ლაზიერით უპირატესობამ გამათამაშა, — აღელვებით წამოიძახა ოთარმა და წაგებულ პარტიას აკვირდებოდა.

— ჰოდა, ფარნაოზსაც ასე დაემართა, წინადაუხედავობით განიცადა დამარცხება.

— პირველი დღეა, — ჩაერია მესამე ამხანაგი.

— აბა, როგორ გგონია, დღეს წააგო, ხვალ მოიგებს. მოგება და წაგება ძმები არიან, დღევანდელ შეცდომას ხვალ აღარ გავიმეორებ და, თუ ბიჭი ხარ, მომიგე.

— ნუ იქაღნი, შეიძლება დღევანდელი შეცდომა ხვალ გამოსწორო, მაგრამ ისიც შეიძლება, თუ ჰკუთით არ მოიქეცი, უფრო დიდი შეცდომაც დაუშვა, ამიტომ საჭიროა ყოველ სამუშაოს შესრულებისას და ჰადრაციის თამაშსაც გულისხმიერად უკვირდებოდე.

საამქროს უფროსმა დააკაკუნა. ყველა მაგიდის გარშემო შეგროვდა. სხვა მდნობელთა ბრიგადებმა გუშინ და დღეს ხელმძღვანელობას წარმატებები უპატაკეს. ფარნაოზმა კი დამარცხებაზე უნდა

ილაპარაკოს. „რა იქნებოდა, რომ არ მოვსულიყავი?“ — ფიქრობდა ფარნაოზი, — „დანამაულის პლიარებაშიც სილაჩრე გამოვიჩინე? ეს ხომ არ უსწავლებია ჩემს მრისხანე ოსტატს?“

— პირველი ნომერი! — წყნარად დაიძახა საამქროს უფროსმა. სახელაწილო ფარნაოზი ფეხზე წამოდგა... თავი მალა არ აუწევია, იატაკს დაუწყყო ცქერა

— ლუმელი მწყობრშია, — ძლივს წარმოთქვა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო: — დნობა დაეგვიანეთ.

— მიზეზი?

— მიზეზი?... მიზეზი?... — აღელვებით გაიმეორა ფარნაოზმა. ჩემი უფროსის მუშაობა.

— ნუ ღელავთ, — დაამშვიდა საამქროს უფროსმა და ახლა პირველ მოადგილეს გამოუძახა.

— დაბალ ტემპერატურაზე მოგვიხდა ჩატიერთვა, — უთხრა ოთარმა.

— მეორე მოადგილე!

— დაგვიანდა მაგნეზიტის შეყრა.

— მიზეზი?

— ნიჩბები არ აღმოჩნდა ადგილზე, ფარნაოზს ბუნდოვნად ესმოდა უფროსის საყვედურები.

— სირცხვილია ეს, სამარცხვინოა.

— დიახ, სირცხვილია, — უნებურად წამოიძახა ფარნაოზმა.

ყველამ მისივე მიხედდა.

ოსტატის მეთოდით

რაც დრო გადიოდა, ფარნაოზი უფრო და უფრო იწაფებოდა შრომაში, ოსტატდებოდა. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი შეღებული ავტორიტეტიც. ფართოდ დანერგა გორბაჩოვის მეთოდი, გონიერულად ინარჩუნებდა ლუმელში მალალ ტემპერატურას, მოხერხებულად საზღვრავდა ყველა მოსალოდნელ მოვლენებს, — იბრძოდა დნობის ხანგრძლივობის მაქსიმალური შემცირებისათვის, ზუსტად ჰქონდა გამოანგარიშებული ყოველგვარი ოპერა-

ცია, წუთობით საზღვრავდა დნობისათვის დამხმარე მანქანების მოძრაობას. გონებაში არ სცილდებოდა რუკის ოსტატი და მისი გამბედაობის, მტკიცე ნებისყოფა და ახლა მისი ნიჭიერი ორგანიზებულობის ათვისებით ზუსტად აღლევდა მითითებას თავის დამხმარეებს.

კარგა ხანია ფარნაოზის ბრიგადა მშვიდობის სტახანოვერ ეახტხეა. უფრო მეტად დაურაზმავს ბიჭები, ყოველდღიურად ახალი წარმატებით სურს განამტკიცოს ხალხთა შორის მშვიდობა ომის

გამჩალებელთა საპასუხოდ, უფო მუ-
ტად შეასციოებს დხოიის ხასკალივი-
ბას, უხვად თისცემს საშობლოსა მალა-
ხარისხოვას ფოლადს. ახლა ზგი დაჯოის
ღუმელის იოგვლივ და მოისხაიე ოსტა-
ტივით ჩურჩულებს:

— მშვიდობა გაიმარჯვებს... უხვი
ფოლადი ჩვენს საშობლოს... ჩქარა...
ჩქარა, ბიჭებო! რამდენადაც ბევრია
ფოლადი, იძღენად ძლიერია მშვიდობის
ბურჯი. მისი გული მოუსვენობს...
მკერდიდან ამოხტომას აპირებს, ყველ-
გან უნდა მისწვდეს, მეგობრული დახმარება
მისცეს, ყველას გულისცემას შე-
უერთდეს. აი, ორთქლმავალი ქშენით
შევარდა საკაშმე ეზოში, ფარნაოზს არც
ეს გამოჰპარვია. ხიდურ ამწე მანქანის
გრეიდერებს პირი დაელოთ და კირქვას
ნთქავდნენ. ვეებერთელა ელემტრომაგ-
ნიტურ ფოლადს აუარებელი ჯართის
და თუჯის შოთები მიჰკეროდა, მასაც
მულდებისაკენ მიიქნევდა და შიგ ხმაუ-
რით უშვებდა. ორთქლმავალმა კაშმით
დატერითული ეშელონი საამქროსაკენ
გაიტაცა. ფარნაოზმა ეს აღრევე შეამ-
ჩინა და ამიტომ იყო, რომ ფრქვევანას
ონკანს მოუშვა, გავარვარებულ ღუმელ-
ში მახუთი ორთქლის წნევით მხუილით
შეიჭრა და ალაყარდნილმა მარტენმა
გუგუნნი დაიწყო.

პირომეტრი 1650 გრადუსს აჩვენებდა.

— აბა, ბიჭებო, მაგნეზიტი! — შესძა-
ხა მესამე მოადგილეს ფარნაოზმა და
ოსტატური თვალთ ღუმელს შეხედა.
დნობის შემდეგ ფსკერი ზოგიერთ ადგი-
ლას ჩაღრმავებულყო. დამხმარეები
მაგნეზიტის ხრეშს ფართო ნიჩბებით
მარჯვედ სტყორცნიდნენ გავარვარე-
ბულ ფსკერს, ამასობაში კაშმით დატ-
ვირთული მულდები ცეცხლმოდებოლი
ღუმელის კარებთან განლაგებოლიყვნენ.

— დაიწყოთ, — ხელით ანიშნა ფარ-
ნაოზმა ჩამტვირთავ მემანქანეს. მემან-
ქანემ სახელურები თაღისკენ მოიზიდა,
თითქოს საბრძოლო ქვემეხის მილიათ,
მალა ასწია წინ გამგერილი გოლიათუ-

რი ხორთუმი, რელსებზე შემდგარი
მომცრო კაბინით უკან დაიხიწა და შემ-
დეგ მძლავრად მიიწვა გვერდზე გადახს-
ნილ მულდებს.

რკინამ ღუმელში შიშინი დაიწყო.
ჯერი ჯერს მისდევდა, ჩამტვირთავი
მანქანის ხორთუმი მოუსვენრად ტრია-
ლებდა, აბრიალებულ ღუმელში უშიშ-
რად იჭრებოდა, მის სიღრმეში შეჰქონ-
და ჯართი, თუჯი და კირქვა. მარტენიც
ხარბად ნთქავდა შებნეულ კაშმს, რო-
მელიც თეთრად ვარვარებდა.

სიცხისაგან აქარხლებული ფარნაოზი
ღუმელის ირგვლივ გარასავით ტრია-
ლებდა, მზრუნველობით ათვალერებ-
და კუთხე-კუნჭულს, ოპერატიულ მი-
თითებებს აძლევდა დამხმარეებს.

ცეცხლის აღში ბოხოქრობდა მარტე-
ნის ღუმელი. დამდნარი ფოლადის ლავა
მის კედლებთან მშვიდად ირხეოდა. აქ
იბადებოდა ქართული ფოლადი. გულ-
დაგულ მისეოდნენ ლომგული ვაკეცე-
ბი, მათ გაბრწყინებულ მკერდზე აგიზ-
გიზებული ცეცხლის ნაპერწყლები
იფერფლებოდა.

ფარნაოზმა გრძელი ლითონის ღერო-
ზე მიმაგრებული ციცივით გამდნარი
ფოლადი გამოიღო, ფოლადი საამურად
ლიეღივებდა, ლურჯი სათვალეებით
დასცქეროდა ფარნაოზი გამდნარ ლი-
თონს და მხიარულად შესძახა:

— ფოლადი მზად არის!

გაისმა სტვენა.

სტვენა აქ ფოლადის დაბადების მაღწ-
ყებელია. უცნობს ეს ხმა იქნებ შემზა-
რავად მოესმას, მაგრამ მეფოლადეები-
სთვის ეს ხმა ირუნარტლის მომგვრელია,
სასიხარულო წუთების წივილია, მეფო-
ლადეთა გამარჯვების ნიშანია, და ფარ-
ნაოზის გოლიც სიხარულმა მოიცვა.
ამოდრავდა მარავენა მხარეს მთელი ჰე-
რი. საჩამომსხმილო ხიოლრი. ამშის
მომანქანემ ელოის სისწრაფით დაძრა
მანქანა და ლითონის მძიმე ღერი გაახ-
რინა ღუმელის კართან. აქ კი ოთარისა
და გივის მძლავრი მკლავები შემოეგე-

ბათ... ღარი მოარგეს ღუმელს და გოლიათურ ციციხეში დაქანეს.

საპულტეში ფარნაოზი გაფაციცებით აღევნებდა თვალ-ყურს მარჯვე ბიჭებს, ელექტროლილას თითოთ დაეყრდნო და... მარტენის ღუმელმა პირი დაალო, ფოლადის ღვეღვის ხორხი გადმოაგდო და ცეცხლოვანი ნაპერწყლების კორიანტელში საამქრო აგიზგიზდა. ფოლადი შეუწყვეტელად ჩქეფდა. ციციხე ფოლადის ხსნარით გაივსო, ნახშირის ნიჩბებით აყრიდნენ, რათა ზედაპირზე წვა მოეხდინათ და გადატანისას არ გაციებულყო. ცხელ ლავაზე დაყრილი ნახშირი აფეთქებულ ალად ვარდებოდა სიერკოში. შემანქანემ ვეებერთელა კავები შვიდროდ მოურგო 120 ტონამდე ფოლადით სავსე ციციხეს და ჰაერში აიტაცა. — ოსტატურად მიაქანებდა. უბრალო შერხვეით მოსალოდნელი იყო

ხსნარის გადმოღვრა. შემანქანემ მშვიდად მოათავსა ის ბოყვეზს შორის. ციციხეის ჩამკეტი ახსნეს და მოყუებიდან შავი კორიანტელი ამოვარდა. ფოლადი ფორმას ღებულობდა. ბოყვები ფოლადით ივსებოდა.

ალმრიცხველმა ცარციო წააწერა:

„ღუმელი № 3. ფარნაოზ კახაბრიშვილი. დნობის ხანგრძლიობა 7 საათი და 35 წუთი“...

საამქროში აშრიალდნენ „ელვის“ ფურცლები, სადაც კითხულობდნენ:

„კახაბრიშვილის ბრწყინვალე გამარჯვება. დღეს დნობის ხანგრძლივობა 2 საათით და 25 წუთით შემცირდა“. მეორე დღეს ფარნაოზის და მისი ბრიგადის წევრთა პორტრეტები გაზეთების ფურცლებიდან მხიარულად გამოიციკრებოდნენ.

წრფელი სიყვარული

ელმთავალი შავი ზღვის ნაპირებზე მოქროდა... ერთხანს თითქოს ამობოჭრებულ ტალღებში შექრას ლამობსო. მაგრამ მალე შემოუხვევედა ფერდობებს და ნაძვნარებში შეიჭრებოდა. ზღვა კი კვლავ ბობოქრობდა, კლდოვან ნაპირებს ეხეთქებოდა, ზოგჯერ შხეფვად აიზიდებოდნენ მალლა და მძაფრი შხილით უკან ეშვებოდნენ. მძვინვარებდა და გოდებდა შავი ზღვა.

— საშინელი ყოფილა აღელვებული ზღვის ნახვა, — თქვა ქალიშვილმა და ფეხზე წამოდგა, სარკმლიდან გახედა ზღვას.

— ასე გგონიათ? — ჩაილაპარაკა გრძელთმიანმა ქალმა და გაშლილი გაზეთი მოკეცა.

— მართალს ამბობს, მერი, — გამოე-სარჩლა მეორე ქალი.

— მე კი ვიტყვოდი, რომ რამდენადაც უფრო საშინელია სტიქია, იმდენად მიმზიდველი და წარმტაცია იგი. აი მიპასუ-

ხეთ: ორი ვეფხვია. ერთი ზანტად მიგდებულა და თვლემს, მეორეს კი აბრიალებული თვლებიდან ცეცხლის ნაპერწყლები სცივია, გააფთრებული აწყდება რკინის ბადეს, სურს გაანგრისო, ღმუის, ბობოქრობს, მოუსვენრობს და ნახტომებით კედლებს აწყდება, რომელი უფრო მეტ შთაბეჭდილებას დატოვებს? — და თვითონვე უპასუხა: — რა თქმა უნდა, გააფთრებული ვეფხვი, — დუმილი ჩამოვარდა. აღფრთოვანებულ ქალიშვილს თვალები გაუბრწყინდა.

— აბა გაიხსენეთ, ამას წინათ უკრაინელმა მასპინძლებმა დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ქარხანა რომ დავვათვალაიერებინეს. აი იმ ვეფხვივით არ ღმუოდა მარტენის ღუმელში ამოვარდნილი ციციხე? მეფოლადებოც ვეფხვივით ებრძოდნენ ცეცხლს, რომელსაც თავიანთ ნება-სურვილს უმორჩილებდნენ, გასასვლელს უბშობდნენ და აიძულებდნენ მოეცა ფოლადი. ღუმელი გავარვარებულ ნაპერწყლებს ისროდა,

ჩვენ შეგვეშინდა, შორს დაედევით. აი ცხოვრება, აი სიცოცხლე...

— მართალია, ქეთინო, — ღუმლის შემდეგ დაეთანხმა მეორე ქალიშვილი.

ყოველი საქმე უნდა წარმოვიდგინოთ აი ასე, ამოპოქრებულად. თუ იგი მღორეა, წყნარია, აღუშფოთებელი, შენ უნდა ააღლეო. აი თუნდაც ჩაის კრეფა, როდესაც ჩაი გაცრეცილია, გამარცული, გასხეპილი ტოტებით, მაშინ რა ფასი აქვს მის შეხედვას? უგუნებოდ შესცქერი, უხალისობას გრძნობ. მაგრამ როდესაც მოვევლით, ვუპატრონებთ, ვაფურჩქნით, ავაყვავებთ, მაშინ იგი წარბაცია, სახალისო საყურებელი. მაშინ ჩვენი შრომაც გამაფრებელია. ჩვენ იგი გვიყვარს. რომ არ ვეჯიბრებოდეთ ერთმანეთს, ახალი წესები და გაუმჯობესებანი არ გვიქონდეს, საშინელი შიშა-ხედავი იქნებოდა იგი. მაშინ ჩვენი შრომაც უხალისო და ცივი იქნებოდა. რაც შეეხება მეტალურგობას, მომავადოვა ამ საქმემ, ამიტომ გადავწყვიტე ახლოს გამეცნო მეფოლადეები.

— შენ ხომ რუსთავეში ქართველ მეფოლადეს მისწერე წერილი, პასუხი მიიღე?

— მივიღე... მივიღე, გოგოებო...

— ფარნაოზ კახაბრიშვილს, არა? — შეეკითხა მერი.

მათ მახლობლად მჯდარმა ქალიშვილმა მოსაუბრეთ გაოცებული შეხედა და თავისდაუნებურად წამოიძახა:

— ფარნაოზი?

მერიმ გაცივრებით შეხედა უცნობს და ცნობისმოყვარეობით მიმართა:

— იცნობთ?

ქალიშვილმა არ უპასუხა.

— მოიცათ, მოიცათ, გოგოებო. ერთი შეხედეთ, ხომ ჰგავს? — გაოცებით წამოიძახა ქეთინომ და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ფურცელი გადაკეცა იმ მხარეს, სადაც ქალის პორტრეტი იყო დაბეჭდილი.

— რა დიდი მსგავსებაა, ქალებო! —

შესძახა მერიმაც და გაზეთი ხელიდან გამოსტაცა.

— საიდან მობრძანდებოდათ? — შეეკითხა თხა უცნობ ქალიშვილს ქეთო.

— მაგნიტოგორსკიდან, — წყნარად უპასუხა უცხო ქალიშვილმა.

— სწორედ ის არის, — დაბალი ხმით იძახდა ქეთო და, როცა წაიკითხა, რომ მაგნიტოგორსკის მეფოლადე ჩამტვირთავი მარია ტაჩოვი იყო, შესძახა: — ის არის, გოგოებო...

— მაპატიეთ, თქვენი გვარი და სახელი?

— მარია ტაჩოვი.

— მარია ტაჩოვი!.. მარია ტაჩოვი! — შესძახეს განცვიფრებულმა გოგოებმა და მარიას შემოეხვივნენ.

— ჩვენ მეჩაიეები ვართ, უკრაინაში ვიყავით, უკან ვბრუნდებით, ეს ამხანაგი, — მიუთითა ქეთოზე, — შრომის გმირია.

— რა საჭიროა ჯილდოების ჩამოთვლა, — იწყინა ქეთომ. გაზეთს წამოაგვლო ხელი და გაიქცა. — გიორგი ესტატოვიჩი, გიორგი ესტატოვიჩი...

— რა დაგემართა, ქეთო, რა ამბავია? — გამოეხმაურა ჩაის მეურნეობის დირექტორი გიორგი ბერძენიშვილი, რომელიც მეურნეობის სხვა თანამშრომლებთან ერთად ჭადრაკს თამაშობდა.

ახალმა ამბავმა ისინი გაახარა, მიატოვეს თამაში და სათითაოდ ეცნობოდნენ მარიას, რომელსაც ჯერ კიდევ ღიმილი არ ეკარებოდა და მისი ფიქრები სადღაც შორს, შორს მიჰქროდა. მარია გულდასმით უსმენდა სამი ქალიშვილის ლაპარაკს, ყველაფერი თავისი ყურით გაიგონა, მას ფარნაოზმა ასწავლა ქართული. გაიგონა ისიც, რომ მას ფარნაოზისთვის წერილი მიუწერია.

— სად მიბრძანდებით? — ჰკითხა ქეთომ.

— თბილისში, ბიძასთან, — დინჯად უპასუხა მარიამ.

— თქვენ იცნობთ ფარნაოზ კახაბრიშვილს?

— გაზეთებიდან. თქვენ? — შეეკითხა, მარია ყურთასმენად გადაიქცა.

— ძალიან კარგად, ქართველ მეფოლადეებს თითქმის ყველას ვიცნობ, მათ წერილებს გაზეთში ვკითხულობ, თუკი რამე ეწერება რუსთავის მეტალურგებზე.

— რუსთავი შორს არის თბილისიდან?

— ცნობისმოყვარეობით შეეკითხა მარია.

— ორმოც კილომეტრზეა...

— მერე რა მოგწერა ფარნაოზმა? — ჰკითხა მერიმ.

— არა, ჯერ ისა თქვი, შენ რა მისწერე...

— სირცხვილია, ამდენ ხალხში რას მალაპარაკობთ, — სახე აღწითლდა ქეთოს. შავი წარბები მოხდენილად ასწია.

— თქვი, თქვი, არაფერია.

— რას მივწერდი, გულწრფელად ვეფიცებოდი მეგობრობას.

— რომ არ გინახავს? — შეეკითხა გიორგი ესტატესძე.

— გაზითიბიდან მისი სურათების ამონაქრები შევავაროვე, სიმაღლეც კი

წარმოდგენილი მაქვს, დედას გეფიცობით. მალე მივიღე მისი მხატვრული სიხარულით ცას ვეწიე... ჯერ არც კი წამეკითხა და ქვეყანა შეეძარი, — უცრად მოიღუშა ქეთინო, მკერდზე დაიხედა, გაღვლილი ფიჯაკიდან ოქროს ვარსკვლავი მოუჩანდა. შემდეგ მხიარულად აწია თავი, კისერი მოიღერა. — კეთილშობილი ადამიანი ყოფილა, გულმართალი. მას სწამებია ნამდვილი, ჩვენებური წრფელი სიყვარული. იგი მწერდა...

— მოქალაქენო, გაამზადეთ ბილეთები! — დაიძახა გამცილებელმა და ქეთო შეჩერდა. ერთმა მოხუცმა მგზავრმა ვიწვიში დაიწყო, ბილეთი დაეკარგეო. ყვილა ფეხზე წამოაყენა, აქ ხომ არ დამივიარდაო. აღმოჩნდა, რომ ხელში სჭერია... სიცილ-ხარხარმა მოიკცა მთელი ვაგონი.

— თქვენმა საუბარმა შემაცდინა, — თავს იმართლებდა მოხუცი მგზავრი და ეცინებოდა...

დაწყნარდა ყოველივე, მაგრამ უცრად ყველას განცვიფრება დაეტყო. მათ კუბეში მარია აღარ იყო.

ოცნება და სინამდვილე

— თამრიკო, გენაცვალე, სასწრაფოდ მომამზადე გასამგზავრებლად, როგორც იქნა, გავბედე და შევედი ქარხნის დირექტორთან...

— მარიას ჩამოსაყვანად მიდიხარ? — სიხარულით შესძახა თამარმა და ფარნაოზის გასამგზავრებლად სომხათისს შეუდგა. დიდასაც როგორ უნდა შორეული საპატარძლოს ნახვა. ხომ ისეთი თვალეზი აქვს, ფარნაოზ, როგორც სურათში?

— ისეთი, ისეთი, ჩემო თამრიკო, — იძახდა ფარნაოზი და ტანსაცმელს იცვლიდა. — რა თქმა უნდა, ისეთი...

— ცისფერს უნდა ჰაიადეს. წარბები თითქოს დახატული აქვს? ხელით ხომ არ იკეთებს, ფარნაოზ?

— აბა, რას ამბობ, ახალგაზრდა გოგონაა.

— ოჰ, როგორ მინდა მისი ნახვა. რამდენ ხანში ჩამოხვალ?

— ათ დღეში.

— უჰ, რა თიდი ღროა. თვითმფრინავით გადაფრინდი.

— არა, არა, მეტარებელი მირჩევნია. გაამზადე?

— აი, ვამზადებ. ჩემზე მაღალია?

— კარგი, ნო მომამზერე თავი, ჩამოვიყვან და დაეტოლეთ.

— მაინც, მაინც?

— დედას გეფიცობი, არ გამიზომავს. როცა ჩვენ ერთად ვიდექით, აი აქამდის მწვდიბოდა, — ფარნაოზმა მხართან დაიღო ხელი.

— მე კი დაბალი ვარ... იცი, რა, ფარნაოზ? — ჩათიქრდა თამრო. შემოვეკვლე განაგრძო: — საშუალო სასწავ-

ლებელს რომ დავამთავრებ, მარია მაგნიტოგორსკში არ წამიყვანს?

— ამოდენა გოგო ხარ და ჯერ კიდევ სულელური ჰქვია გაქვს.

— მაშ ერთი წელიც და პერი მაგნიტკაში... იქაური მეფოლადეები ასე არ ეძახიან?

— ჰო, მაგნიტკა... მზად არის?

— კბილის საწმენდი?

— დამჭირდება... აბა, მე მზადა ვარ...

— იქნებ არ წამოგვყვეს, ფარნაოზ, დედამ არ გამოუშვას. თუმცა საბრალო გოგონა, რა ნაღვლიან წერილებს გიგზავნის! გამოგყვება.

ფარნაოზს გაელიმა, არაფერი უპასუხა.

— ათი დღე, ათი ღამე! რა დიდი დროა, მე კი როგორ მეჩქარება ჩემი მაგნიტოგორსკელი საპატარძლოს ნახვა.

კარებზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით, მობრძანდით! — შესძახა თამრიკომ და კარებთან მიიბინა.

— ფარნაოზ კახაბრიშვილი აქ ცხოვრობს? — იკითხა სამმა ქალმა

— დიახ, აქ ცხოვრობს. მობრძანდით, — მეორე ოთახში შეიბრძინა თამარმა.

— ფარნაოზ, ქალები გკითხულობენ, მათ შორის ერთი შრომის გმირია, — ფარნაოზს გაეცინა, თმა გადაივარცხნა და სტუმრებისაკენ გაემართა. ქალები მიესალმნენ, ფარნაოზმა თავაზიანად შემოიპატიჟა.

— ვერ მიცანით? ქობულეთელი მეჩაიე.

— ოო, ეს თქვენ ბრძანდებით? მობრძანდით, ამხანაგებო! სტუმრები მეორე ოთახში შევიდნენ.

— დიდი მადლობელი ვარ პასუხის დროზე მოცემისათვის. ჩვენ მოვედით...

— ქეთინო შეჩერდა, ამხანაგებს გადახედა და კვლავ თამამად განაგრძო: — იმიტომ, რომ დაგიმეგობრდეთ, ძმასავით შეგიყვაროთ...

— დიდად მოხარული ვარ.

— წერილში მწერდით, რომ მე დავგვიანე და მალე გექნებათ ~~ქორწილი~~ ჩვენ მზადა ვართ, თქვენს მტკნარებას მონაწილე გავხდეთ.

ფარნაოზმა საათს დახედა.

— დღეს სწორედ... — რალაც უნდა ეთქვა, უადგილოდ ჩათვალა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა: — ჩემი ქორწილის დღეს ყოველ მიზეზს გარეშე გაცნობებთ. ახლა კი მაპატიეთ; მცირე დრო დამრჩა. თუ ჩემი მეგობრობის სურვილი გაქვთ, არ მაწყენინოთ და, აი, ჩემს დასთან ერთად გაატარეთ დრო, იგი გიმასპინძლებთ, არ მოგაწყენთ. ეს, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა ჩემთვისაც, მაგრამ მეტი გზა არ არის. უღრმესად გთხოვთ, მაპატიოთ.

— თქვენ მიდიხართ? — გაკვირვებით შეეკითხა ქეთო.

— დიახ, ეს-ეს არის ემზადებოდა! — წამოიყვირა თამარმა.

— მატარებელი ნახევარ საათში გავა. აბა, თამრიკო, შენ იცი, სტუმრები არ მოაწყინო. ვფიქრობ, ჩვენს ქარხანასაც დაათვალიერებთ.

— ხელმძღვანელობა იქ დავტოვებ, ჩვენ კი თქვენსკენ წამოვედით. სამუუხაროა... რას იზამთ, — დალონებით თქვა ქეთომ. გოგოებმა განცვიფრებით შეხედეს ერთმანეთს.

— დიდ ბოდიშს ვიხდი. დაბრძანდით. აბა, თამარ, დატრიალდი. — ფარნაოზი ის იყო უნდა გასულიყო, რომ კარებზე კვლავ დააკაკუნეს.

— მობრძანდით, — მკვირცხლად შესძახა თამარმა და კარებისაკენ გაიქცა. ღია კარებში უცხო გოგონას თვალები დაღვრემილი შესცქეროდნენ თამარს. თამარი განცვიფრდა, სახე აუწითლდა. თითქოს იცნო. სიხარულით ხელები შეათამაშა, აღარ იცოდა, რა ეთქვა და დაბნეულად შეიპატიჟა. სწრაფად შემოტრიალდა, ხელები ერთმანეთს შემოჰკრა და მეორე ოთახისაკენ გაიქცა.

— ფარნაოზ, ფარნაოზ... ის არის, ის არის... დედას გეფიცები...

ფარნაოზი მეორე ოთახიდან გამოვიდა, გაოცდა, თვალებზე ხელი გადაისვა, შემდეგ ფართოდ გაახილა და გახარებულმა შესძახა:

— მარია!... — გადაეხვია, თავდავიწყებით კოცნიდა, მარია კი შუბლშეკრული იცილებდა ფარნაოზს. „მე ხომ მასთან დასამშვიდობებლად მოვედი, გასაკიცხავად, წმინდა სიყვარულის ლალატისათვის. და ეს კი ასე თვალთმაქცობს, მოურიდებლად მეხვევა“, ფიქრობდა მარია და მის სახეს უფრო მოლუწულობა ეტყობოდა.

— თამარ, აი, მარია, გოგო, მოდი, გაიცანი.

მეორე ოთახიდან ქალშვილები გამოცვიდნენ, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მატარებელში დაკარგული ახლადგაცნობილი მეგობარი იპოვეს.

— მეგობრებო, გაიცანით ჩემი... — ველარ დაასრულა ფარნაოზმა, კვლავ მარიას გადაეხვია. ყველა მას ეხვეოდა, კოცნიდა, ბედნიერებას ულოცავდა. მარიასაც შუქი ეფინებოდა, სიხარულით თვალები უბრწყინავდა. გადაეხვია ფარნაოზს და კარგა ხანს არ მოსცილებია.

— ჩვენს დაქორწინებამდის არსად არ გაგიშვებთ, მეგობრებო, — სიხარულით უთხრა ფარნაოზმა გამხიარულებულ გოგონებს და მარიას მიერ მოტანილი მრისხანე ოსტატის ბარათის კითხვას შეუდგა.

ი. ზრიზაშვილი

ლენინის სმოვნას

★

ის მარად ცოცხლობს. მას ჩვენი ხალხი
ჭირში თუ ლხინში მუდამ იგონებს!
ის მარად ცოცხლობს. აქ არის ახლაც
და მიყარნახებს ლექსის სტრიქონებს.

ის ყველგან არის — დნებრზე, ვოლგაზე,
ყარაყუმისკენ გასცქერის სივრცეს,
დუმილი მოსაეს... მაგრამ სტალინი
ლენინის დროშით მიგვიძღვის მტკიცედ.

ორი სახელი, ორი გენია
ჩაუქრობელი სხივით ანთია,
ლენინის სუნთქვა, სტალინის შხერა
დედამოსკოვის განთიადია.

მტერი არ ცხრება. ჩვენსკენ მოძვრება.
სისხლი სწყურია ბოროტს და ჯალათს...
მაგრამ ამოდ! ვზას გადაუტრის
სტალინის ნების დიადი ძალა.

ისმის მშვიდობის ტალღის გრიალი,
აზვირთდა ხალხი, ვით წყალდიდობა,
და ორი სიტყვა გაისმის ყველგან:
„სტალინი — მშვიდობა!“ „სტალინი — მშვიდობა!“

1953 წ.
20 იანვარი

ილიჩის ელნათურები



ლენინი... აი წმინდა სახელი —
მარად ძვირფასი და ახლობელი
დიდი ილიჩის ელნათურებმა
შუქში გახვიეს ჩვენი სოფელი;
ფრთები შეისხა, კრემლში გაფრინდა
ხალხისგან თქმული სამადლობელი...

ჩვენ ეს ბრიალა ელნათურები
დიდი სტალინის ზრუნვამ გვაჩუქა;
გვრავნავს, გვამხნევეს მისი ბრძნული ხმა
გამარჯვებათა მახარობელი;
მან განა მართო ჩვენს ცხოვრებაში? —
სულშიაც მძლავრად შემოაშუქა
სინათლე მარად ჩაუქრობელი.

საახალწლო



მოხველ მშვიდობით, წელო ახალს,
დიდი მომავლის ღია თვალებით,
ჩვენი ქვეყანა რომ გააზარო
ახლადშობილი დღის ბრწყინვალეობით.

ახალ ოცნების და იმედების
მოგაქვს გაშლილი წითლად აღმუბი.
ესაში აფრენილ თეთრი მტრედების
ფრთების შრიალით მოგესალმებით.

ჩვენ გასული წლის ვართ მადლობელნი,
მან შეგვისრულა დანაპირები,
ჩვენი სიცოცხლის შემამკობელნი
ხარაჩობებზე დგანან გმირები.

ახალ სოფლებს და ახალ ქალაქებს
გააქეთ კაშკაში დღითა და ღამით.
მშვიდობიანი შრომა გვალაღებს
და ჩვენ საქვეყნოდ ვამაყობთ ამით.

გასულმა წელმა უფრო მდიდარი
შემოქმედების ნდობა აღგვიძრა
და ბევრი თესლი, უქმად მძინარი,
საგაზაფხულოდ გამოაღვიძა.

დიდ საქმეთათვის ამ მცირე დროში
მან შეძლო მალალ დონეზე ასვლა
და სტალინური ხუთწლეულის რგოლში
თვისის თარიღი ზეიმით ჩასვა.

მალა ასწია კრემლის ვარსკვლავი,
აანთო ზეცა შორ ქვეყანათა,
სტალინის სიტყვა ცის ელვასავით
კაცობრიობას გადაანათა.

და შენ გადმოგცა, როგორც საძეო,
ესოდენ დიდი მემკვიდრეობა,
რომ მსოფლიოდან გამოაძეო
კაცისმკამელთა ძალმომრეობა.

შენც ემსახურე მშვიდობის საქმეს,
ადიდე მადლი ჩვენი შრომისა,
რომ არ მიაღგეს ვარდისფერ აყენებს
გულშემზარავი ჩრდილი ომისა.

გალმა ნაპირზე ვხედავთ, რა ხდება,
ვიცი, მუხანათს გულში რაც უღვეს.
ომის ბანაკი იარაღდება, —
მტრების განზრახვა უნდა გაცუდღეს.

მტერი საომარ ადგილს დაეძებს,
ცოფიან გულის წადილს არ მალავს.
მშრომელთა რისხვა უნდა დაეცეს
სისხლიან ოქროს ბინძურ ამაღას.

ხალხთა მშვიდობას დაუდგი ტახტი,
იყავ ჩაგრულთა სიმართლის მცველი
და მომავალ წელს შენც ისე დახვდი,
როგორც შენ დაგხვდა გასული წელი.

სტალინის დროებით



თორმეტჯერ დაკრა კრემლის საათმა,
მოდის ახალი, დაგვშორდა ძველი.
გული საამო განცდებით გათბა, —
მომილოცნია ახალი წელი.

ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში
ახალწლის დილა მტრედისფრად დგება.
წინ, წინ მივდივართ სტალინის დროებით,
სტალინის დროებით სულ გამარჯვება.

კვლავ აღიმართოს ხარაჩოები.
კვლავ აბიბინდეს მინდორ-ველები;
ჩემო ქვეყანავ, მე სასოებით
შენს ჰორიზონტებს გადავევლები.

რომ მივულოცო ყველას გულწრფელად
სიცოცხლე, წინსვლა დაუღალავი,
რომ უფრო მედგრად და გაბედულად
ხალხს უმღეროდეს ჩემი კალამი.

შენ, მეგობარო, ასწიე კიჭა,
ეს ჩვენი წინსვლის იყოს, დალიე!
დე, გაისმოდეს ძლევის ყიყინად
შორს გატყორცნილი მრავალყამიერ.

ტკბილად შეგერგოს: ხარ მშენებელი,
ხარ მეცნიერი, ყანის მთესველი,
ხარ მეჩუქურთმე, თუ ქვეყნისმცველი,
მომილოცნია ახალი წელი!

ჩვენო იმედო, ჩვენო სიცოცხლე,
ოქტომბრის დროშავ ცადატანილო,
შენ გაგიმარჯოს, შენ იდღეგრძელო,
მრავალ ათას წელს, ჩვენო სტალინო!

ილია ხოშბაძე

ახალი წელი

★

თოვლზე ხეების
საოცნებო
ჩრდილები გაწევა,
ზამთრის ბუნებაც
სილამაზით ცხოვრებას ამკობს,
დიდ ნაძვის ხესთან
ქარი არხევს
გოგონას ნაწნავს,
თითქოს ეს ქარიც
ახალი წლის სიმღერას ამბობს

შემოხვევია
ცად აშოლტილ
ბოძს მათულები,
ქვეყნის გმირები
ულამაზეს
ქალაქს აგებენ,
თვალმიუწვდენელ
ხარაჩოებს ელნათურები
ვარსკვლავებივით
შესევნიან და ციაგობენ.

სამშობლო მხარე
ეგებება
ახალ წელს ტკბილად,
მას ამაგრებენ,
აკაეებენ მილიონები,
მშრომელთ ოჯახებს
ლხენით ავსებს
იანვრის დილა,
ახალ შრომისთვის
შზად არიან ლეგიონები.

იანვრის დილა
ახლა ბალში
ნერგებს არ თოშავს,
და მზეს დიდება,
ახალი წლით გვმატებს სიმზნევს
ხვალ მშენებლები
უფრო მაღლა
ასწევენ დროშას
და ძვირფას სტალინს
უმღერებენ
ახალ სიმღერებს.

ურონგული მაზარა



რამ დამავიწყოს შპრეეს ხსენება,
ბრძოლით განვლილი ველები ფართო?
ცეცხლოვან დღეთა გასახსენებლად
მე ეს მაზარაც მეყოფა მარტო.

ჩემი მაზარა, ნამყოფი ჩემთან,
ტყვიით დაქრილი და დათუთქული,
დღესაც ენახე და ჯიბეში შემხვდა
ერთი გახვევა ხმელი თუთუნნი.

ხმელი თუთუნნი, მცირე ქალაღლით,
რა სათქმელია იგი ამჟამად,
მაგრამ ბრძოლაში მაინც რად არ ღარს,
რომ გააბოლო ყინვით გამზრალმა?!

სანგარში ცეცხლის გულზე მომნთები
ყველას გვეკიდა თითო მათარა;
შემოვიარე ბრძოლით ფრონტები
და ნაომარი მომყუა მაზარა.

მომყუა მაზარა და ჩემი ბავშვი
ეთამაშება ნატყვიარ კალთას,
ზოგჯერ ნატყვიარ ადგილებს გაშლის,
მეძახის „ვიტას“ და თითქოს მართობს.

რა იცის ბავშვმა, რომ ეს „ლამაზი“
დიდი ლაქები სისხლია მამის,
ან რა იცოდა ფიქრი მამაზე,
როდესაც მდგა სიკვდილის დამე?

ასე ჰგონია, ვითამაშე და
ჩემი მაზარა დავუკერი თვითონ,
ნატყვიარ ადგილს ღიმით დახედავს
და შიგ ატოლებს პატარა თითებს.

მერე მოვა და დაიწყებს ხვეწნას:
— მეც დამიჭერო ამგვარად ჯუბა.
ალესილ დანას მომაწედის ხელთა
და ჩამოჯდება იქავე ჩუმაღ.

ო, რომ იცოდე, ჩემო პატარავ,
სწორედ ამიტომ ვებრძოდი მტერსაც,
რომ შენი ჯუბა ვერაგ სატანებს
არ დაეცხრილათ პაწია მკერდთან.

რომ არ მეტირა მდულარე ცრემლით,
არ გაზრდილიყავ მამულში მონად,
ამიტომ არის, რომ სისხლი ჩემი
ბელორუსიის მიწაში ეონავს.

შვილო, როდესაც გახლები დიდი
და ქვეყნის ამბავს გაიგებ კარგად,
დახედავ ორდენს და ეგრე მშვიდად
იგრძნობ, როგორი მშობელი გყავდა;

როგორ ვიცავდით ქვეყნის მთადამარს,
როგორ ალოდექით მთად თა გორებად...
ამიტომ არის, რომ ეს მაზარაც
მაქვს შენახული მოსაგონებლად.

გამოთხოვნა



ხან სერ ია კორეის კულტურის შემოქმედთა უფროს თაობას ვკეთენის და ფართოდ არის ცნობილი თავის ქვეყანაში.

იმ წლებში, როდესაც კორეა იაპონელი იმპერიალისტების უღელქვეშ იტანებოდა, ხან სერ იამ დაწერა რომანები და მოთხრობები — „იმ ღამეს“, „შიმშილი“, „გარდატეხა“, „პირველი მწუხარი“, „ძეგლი“, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს დაპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

1945 წლის აგვისტოს, როცა გმირულმა საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა კორეა და ქვეყნის ჩრდილოეთით შეიქმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ხან სერ იამ მთელი თავისი შემოქმედება მამინვე დაუკავშირა ახალი სახალხო ხელისუფლებისათვის სამსახურს.

მისი წიგნები ხელს უწყობენ კორეის ხალხის მეგობრობის განმტკიცებას დიდ საბჭოთა კავშირთან.

ასეთებია მოთხრობა — „ქელი“, რეპორტაჟი — „სიმღერა საბჭოთა კავშირში მოგზაურობაზე“. ნაწარმოებში — „მეშახტეთა სოფელი“, „და-ძმა“, „სოფელში“ — მან გვჩვენა, თუ როგორ აშენებს ხალხი ახალ ცხოვრებას უმეამბეღელებოდ, უკამბალისტებოდ, უცხოელ კოლონიზატორთა გარეშე.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების ბოროტ ინტერვენციას წყარალი ეხმარება მწვეავ ბუბლიცისტური სტატიებით.

ხან სერ ია დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეა. იგი მეთაურობს ლიტერატურისა და ხელოვნების ასოციაციას ჩრდილო კორეაში, თავმჯდომარეა ამერიკელ ინტერვენტთა და ლი სინ მანის ზრავის მიერ მიყენებული ბოროტმოქმედებების და ზრალის გამოძიებული და გამომჩვევი სპეციალური კომისიისა, აგრეთვე თავმჯდომარეა მშვიდობის მოძრაობა კორეის კომიტეტისა. ხან სერ ია ესწრებოდა მშვიდობისმოძრაობა მესამე და მეოთხე კონფერენციებს მოსკოვში. მისმა სიტყვამ კონფერენციის ტრიბუნლიდან დიდი გამომაბილი პირობა დელეგატებს შორის.

მოთხრობა „გამოთხოვნა“ დაწერილია 1951 წლის დამდეგს.



იგი პატარა დიან სუს განუწყვეტელმა ტიტიკმა გამოაღვიძა. იუან დიუს თვალი არ გაუხელია, ისე წარმოიდგინა სურათი, რომელსაც იგი ამ სახლში უკვე შეეჩვია. თხელი კედლის იქით ვიწრო სამზარეულოს სწორ, თითქოს აპრიანულ ბუბლ კანას,¹ შედაპირზე თამაშობდა დიან სუ. დედამისი კერასთან ფუსფუსებდა. ქალის მუჭი თვალები იცქირებოდნენ ჩაფიქრებით და მოწყენით. ისინი მხოლოდ მაშინ ცოცხლდებოდნენ, როდესაც დედა თამაშში გართულ ვაჟს შეხედავოდა. უკანასკნელ თვეებში განცდილმა შიმშილმა და მღელვარებამ შეუცვალა

ლეს ქალს სახე. ტუჩებთან მას ორი ღრმა ნაოჭი გაუჩნდა.

ქალი ცდილობდა ჭურჭლის გაუხმანურებლად მოეშაადებინა ღარიბული საუზმე.

ბიჭი ასლუკუნდა.

— დედა, მშია, კვრცხი მინდა.

— არ შეიძლება, შვილო, — უპასუხა ქალმა.

— რატომ? შენ ხომ ხარშავ კვრცხს.

— არ შეიძლება, დიან სუ, შენთვის სხვა რამის დაგაკეთებ.

— გენანება?

— შენ ხომ გაიგონე: ძია მამასთან მიემგზავრება.

— მაშინ არ ეჭამ კვრცხს, — შეწყ

¹ კანა-კორეული საწოლი რომელიც თბება.

გიტა სლუკუნი დიან სუმ. — იცი, არც მიყვარს ის. მიეცი ძიას. მხოლოდ უთხრას მამას, მალე გაიმარჯვოს ამერიკელებზე და ჩვენთან მოვიდეს.

ენ დიუ ფრთხილად წამოადგა. მთელ ზურგზე გავლებული ღრმა ჭრილობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა სავეებით შეხორცებული. შემდეგ ენ დიუმ მოხარა მარცხენა ფეხი, რათა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ფეხის საქმევ ნელ-ნელა სწორდებოდა და გამჟღავნებული ჭრილობაც წინანდებურად არ აწუხებდა.

პირქვეშ დეკემბრის დილა უღიმღამო მკრთალი სხივებით იჭვრიტებოდა ფანჯრის ჩარჩოში. ენ დიუმ საწოლთან შენიშნა თავისი გარეცხილი, გულდასმით დაკერებული ტანისამოსი, — კარგად ახსოვდა, როგორ იყო ის მაშინ მთლად სისხლში მოთხერილი, ტალახიანი, ქაობის მცენარეთა ნაფლეთებში ამოგანგლული. „დიან სუს დედამ გამოიკრა გიმნასტურა და შარვალი. რა კეთილი ქალია!“, — გაიფიქრა ენ დიუმ.

მან ისევ ყური დაუგდო კედლის იქით ლაპარაკს. ეს საუბარი გამოუთქმელი ნეტარებით უვსებდა გულს ენ დიუს, თავისი ბავშვობის ალერსიან სიმღერად გჩვენებოდა იგი.

დღეს წავა ის ამ საზღლიდან, სადაც იბოჯა თავშესაფარი, ამდენი ალერსი და ზრუნვა, წავა თავისი ნაწილის მოსაძებნად: პატრიოტის მოვალეობა უკარნახებს მას, იყოს მათ შორის, ვინც იბრძვის მშობლიური მიწა-წყლის თავისუფლებისათვის. ამის გარდა, მას აქვს თავისი პირადი ანგარიში საქალაქო იანკებთან. ენ დიუმ უნდა გაუსწოროს ანგარიში ჯალათებს.

როცა ჯერ კიდევ მისოსტებულმა ენ დიუმ გამოულო ჩიბას¹ კარი და ოდნავე კოჭლოზით გამოვიდა ეზოში, ზამთრის ცოცხალმა, დამთარობელმა სუნმა გამსჭვალა მთელი მისი არსება. მოუმარე ბიტალო მთები გარს შემორტყმოდნენ

პატარა სოფელს. ძირს დაფენილიყო მეჩხერი, აქოჩრილი ტყე. ქანკარა მდინარე ქვევს შიშის სწავსებას და ხმაურით მიაქანებდა ტალღებს. ცივი ნისლი, თითქოს საცაა დაეცემოდა მიწას რბილ ფიფქებად.

ენ დიუმ ძლივს გადადგა ნაბიჯი მძაფრი პირქარისაკენ... და შეჩერდა. უცერად გული აუჩქროლდა, აუძგერდა, თვალთ აუჭრებოდა და დაუბნებოდა. მაგრამ ასე გაგრძელდა ორიოდე წუთი. და აი, ჯარისკაცმა უკვე გაიღიმა, წელში გაიმართა. რაც არ უნდა იყოს, იგი მაინც ფეხზე დგას, ერთი სიტყვით, ჯანმრთელია და მზადაა გაემგზავროს შორ გზაზე. რასაკვირველია, თუ ცაზე იბრწყინებს თბილი, გაზაფხულის მზე, გულში სიხარული ექნება. მაგრამ ზამთარიც არც ისე ცუდია. მალე ისევ გაზაფხული დადგება.

ენ დიუმ წელში გაიმართა, მხრები გაშალა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაახსენდა შაშხანა. შაშხანა — აი, რა აკლია მას ახლა! მაგრამ შესძლებს კი სროლას? ენ დიუმ გააკეთა ისეთი მოძრაობა თითქოს აიტაცა, შაშხანა, დაუმოწინა და ჩახმახი გამოუშალა. ჯარისკაცი კმაყოფილი დარჩა. ის შესძლებს ბრძოლას!

ეზოში შემოვიდა მოხუცი ქალი. იგი წელში მოეხარა ერთი იღლია ფიჩხის სიმძიმეს. ფიჩხი სწორედ ახლა შეაგროვა მთებში. ეს იყო დიან სუს ბებიია.

— თითქოს შენ ახლა ნამდვილი დევგმირი შეიქმენი, — შეხედვისთანავე უთხრა დედაბრმა ჯარისკაცს. — ცუდად კი იყავი, ყმაწვილო. კინაღამ ღმერთს არ მიბარე სული.

მართლაც, ერთ დროს ენ დიუს მდგომარეობა უიმედო იყო. ზურგზე დიდი ამოფლეთილი და გაუქუცყიანებული ჭრილობა დაჩირქებოდა. განუწყვეტლივ მწყვეტ რკვილის გრძნობდა ფეხში. ხან აცხლებდა, ხან აციებდა, განუწყვეტლად ბოდავდა.

ერთხელ, როდესაც დაჭრილი გონს-

¹ ჩიბა — კორეული პატარა ხახლი.

მოვიდა, მის საწოლთან მგდომარე დედაბერმა შეხედა მას და წელა ჩაილაპარაკა.

— შენ სწორედ ისეთი თვალები გაქვს, როგორიც ჩემს ვაჟს ენ იქას, ამ ანცი დიან სუს მამას — და დუმილის შემდეგ დაუმატა:

— არა, შენ არ მოკვდები...

ბევრი უძილო ღამე გაატარა მოხუცმა დაკრილთან ახლოს. წამდაწუწამ ადებდა სამკურნალო ბალახებს სიციხით ანთებულ კრილობებზე, თითების ფრთხილი შეხებით ბანდა მათ და ასმევდა უკუმურ სასმელებს. ბოლოს ენ დიუს სიციხე დაუვარდა.

ღედა და ბებია ფრთხილობდნენ, რომ ბიჭუნას არ შეეწუხებინა დაკრილი, მაგრამ ცელქი დიან სუ ხშირად ჩუმიად შეძვრებოდა ენ დიუსთან. დიან სუ დაჯდებოდა ენ დიუს ფერხით და იწყებოდა დაუსრულებელი ლაპარაკი და შეკითხვები. დიდი მეგობრები იყვნენ ისინი — დაკრილი ჯარისკაცი და ხუთი წლის ბიჭუნა.

ერთხელ მას ბიჭუნამ ჰკითხა:

— მითხარი, ძია, მართლა თქვენ აფეთქეთ ხიდი მებონთან? ბებია ასე ამბობს...

ჯარისკაცი არათერი უპასუხა, მხოლოდ გაიღიმა.

ენ დიუ ცოტათი მომჯობინდა.

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, — ხმადაბლა უთხრა მან ერთხელ დიან სუს ბებიას, რომელიც ჩვეულებისამებრ დილაადრიან მოვიდა მის სანახავად. — რამდენი კარგი რამ გააკეთეთ ჩემთვის, როგორც ღვიძლმა დედამ.

— რა არის აქ სამადლობელი? — გაბრაზდა კეთილი კორეელი ქალი. აბა, რა სათქმელია ეს, ყმაწვილო.

იგი გაემართა გასასვლელისაკენ, მაგრამ ოთახის კართან შეჩერდა და აღერსიანად წარმოთქვა:

— იწყი, იწყი, გამოკეთდი! შენ საჭირო ხარ, ჯანმრთელი და მაგარი...

ეს სიტყვები მოაგონდა ენ დიუს, როცა ეზოში მოხუც დედას შეხვდა.

— ბრძანება

....ბრძანება იყო მოკლე და გასაგები: აფეთქდეს ხიდი მებონთან.

მებონის მთასთან უზარმაზარი, აქაფებული მდინარის ციკაბო მოსახვევში გადებული რკინა-ბეტონის დიდი ხიდი ამ რაიონში ერთადერთი საშუალება იყო მტრის ჯარების გადასაყვანად.

— ვინ წავა ხიდის ასაფეთქებლად, მებონთან? — ჰკითხა მებრძოლებს ასეულის მეთაურმა, — ვინ იქნება მოხალისე? გაფრთხილებთ: სახიფათო საქმეა. ობიექტს მტკიცედ იცავენ ამერიკელები.

— ნება მომეცით!...

— ჩემზე უკეთ არავის შეუძლია გააკეთოს ეს!...

გაისმა ყოველი მხრიდან.

საბრძოლო ამოცანის შესრულება ასეულის მეთაურმა ორ მებრძოლს დაავალა. ოცეულის მეთაურს, ჯარისკაცთა შორის „ოტოგის“ (მარჯვე) მეტსახელით ცნობილს და რიგის ჯარისკაცს ენ დიუს, რომელსაც მეტსახელად „გუმბონის“ (მუხლუხო) შეარქვეს.

ოტოგი და გუმბონი ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ხასიათით და ყოფა-ქცევით, ისე გარეგნულად. მაგრამ ასეულის მეთაურმა იცოდა, რას აკეთებდა, როდისაც არჩევანი სწორედ ამ მებრძოლებზე შეაჩერა. ამ განსხვავებით ისინი გასაოცრად აესებდნენ ერთმანეთს.

ოტოგის სავსებით შეეფერებოდა მისი მეტსახელი. ნაწილში ვერავინ შეედრებოდა მას სისწრაფეში, სიმარჯვესა და მოსაზრებულობაში. რამდენჯერ შეუნარჩუნებია ბრძოლაში პატარა, მოუსვენარი ოტოგის ამ თვისებებს მისი ამხანაგების სიცოცხლე: ენ დიუ არმიაში მოვიდა შორეული, მიყრუებული სოფლიდან. ის ზოზინა, მოუქნელი, დინჯი ხასიათისაა. სამაგიეროდ ისეთი ღონიერი და გამძლე იყო, რომ ბევრს კიდევ

შეშურდებოდა მისი ვაჟაკობა. ლაშქრობაში მოსალოდნელია ბევრი რამ, ხანდახან ათეული კილომეტრების გავლა მოუხდებოდათ ბრძოლით, მძიმე, ძვირფასი ტვირთით — იარაღით მთის ბილიკებზე, დაბურულ ტყეში, ჭაობიან ადგილებში, სიციხეში, წვიმასა და ქარში. რამდენჯერ ისახელა თავი ენ დიუმ საბრძოლო ლაშქრობაში. თითქოს ბოლო არ უჩანდა მის დაუღლელობას და მხნეობას.

...შემოდგომის მოწითალო მზე ეშვებოდა შეემოიხსენებოდა გორაკებს იქით, ოტოგისა და ენ დიუს უკან, რომლებიც გაწოლილი იყვნენ მებრძოლის მთის ფერდობზე, ხიდის ახლოს. თვალწინ ჩამავალი მზის სხივებში მკაფიოდ იხატებოდა ძველი ჩაქცეული სანგრების ტუხილი ხაზები, გაწყვეტილი მავთულხარბები, გზატკეცილი და ხიდი მასიურ რკინაბეტონის ბურჯებზე. მებრძოლები ხელავენდნენ, როგორ მიდიოდნენ გზატკეცილზე საბარჯო ავტომანქანები, საზიდარები ქვემეხებით, ტანკები, რომლებიც უნელბინდნენ სელას ხიდის გუშაგის ახლოს. წინ და—უკან მოსიარულე გუშაგი დროდადრო სახეზე მიიღებდა რალაც ელვარე საგანს.

— დურბინდი! — წასწორჩულა ოტოგიმ ამხანაგს. — დაიხსოვ, ენ დიუ, გაეკარი მიწას... რა უილაღ არ დაგარქვეს გუმბონი; შენ იცი, როგორ უნდა იხიხი, — გაიღიმა ოკიულის მეთაურმა.

— ნუ ლელავთ, ამხანაგო მეთაურო, ყველაფერი თავის რიგზე იქნება.

— აბა, წავიდეთ!

ენ დიუ ფრთხილად მიზიდავდა. რაც უფრო ახლო იყო მიზანი, მით უფრო სახიფათო ხდებოდა წინსვლა. თუ შეამჩნიეს, მას და ოტოგის მოსპობენ. განსაკუთრებული საფრთხე შეიქნა, როდესაც გაიარეს რომელიღაც სანგარი, — ენ დიუ აღმოჩნდა სრულიად ტრიალ ავგილზე. როგორც კი ხილზე მყოფი ამერიკელი მიმართავდა დურბინდს, ენ

დიუ მიწას გაეკვრებოდა. გუშაგს კი ჩამავალი მზის სხივებში მკაფიოდ იხატებოდა მისი ხელავედა მას.

მებრძოლი გაეკრა მიწას, ამოფეარა კოლბოხებს და შეიშალა ბალახებში. შემდეგ გახიხდა ხიდისაკენ და იქვე ახლოს შენიშნა ოტოგი. მათ გადახედეს ერთმანეთს და მაშინვე მიხედნენ, რომ შეიძლებოდა წინსვლა. ისინი ხიდიდან უკვე ისეთ მანძილზე იმყოფებოდნენ, რომ არათუ ნათლად ხელავენდნენ ერთ-ერთი მანქანიდან ჩამოსულ ამერიკელებს, არამედ ესმოდათ, როგორ ყაყაბებდნენ ისინი გაბრაზებული და გაუმაძღარი ბატებივით.

ენ დიუ განაგრძობდა ხიხვას ბალახზე და მალე აღმოჩნდა გზისპირა თხრილში. „მძიმე საქმეა, — ფიქრობდა ის და ისწორებდა ზურგზე ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე ყუთს, — მაგრამ ხიდი არ შეიძლება დარჩეს წყეულ იანკებს“.

ენ დიუს ეწეოდა ხელ-ფეხი ნაკვდევებისაგან, არაჩვეულებრივი დაძაბულობისა და დაღლილობისაგან. ჯარისკაცი ციებ-ციხელებიანივით თრთოდა.

ენ დიუმ მოიხედა და დაინახა, რომ მის უკან ოტოგიმ ნელა ასწია ხელი — გზა თავისუფალიაო. მან სწრაფი ნახტომით გადასჭრა მდინარისაკენ დაქანებულ გზისპირა თხრილსა და ხიდის უზარმაზარ ბურჯს შორის მდებარე მანძილი.

აი, ის უკვე ხიდის ქვეშაა. შეჩერდა და სული მოითქვა. ამ დროს ოკიულის მეთაურიც მის გვერდით გაჩნდა. ლაპარაკი აღარ იყო საჭირო. ისედაც ცხადი გახდა ყველაფერი. ახლა განსაკუთრებით აუცილებელი იყო მოფიქრებულობა, გამბედაობა, და, რასაკვირველია, სისწრაფე.

მზე ჩადიოდა გორაკებს გადაღმა. სქელ ბინდში მებრძოლებმა ვიწრო ლითონის კიბით დაიწყეს აცოცება მაღალ ბურჯზე.

ტრანსპორტის მოძრაობისა და სიმძიმისაგან ქუსს და ზანზარებს ხიდი. გამაყრუებელი ხმაურია. კოჭებზე მაგრად მივრული, თითქმის მდინარეზე დაკიდებული ენ დიუ ნიშისკენ გახიზნა, სადაც უნდა ჩაელაგებინა ასაფეთქებელი ნივთიერება. წყლის სიღერჯეში მან თვალი მოჰკრა თავის ლანდს. უეცრად ენ დიუს გაახსენდა სიტყვები, რომელსაც იგი ხშირად მღეროდა ამხანაგებთან ერთად: „სამშობლო ყოველთვის ხედავს იმ გზას, რომელზედაც მე მივდივარ“ და ენ დიუს მოეჩვენა: წყლის სარკე, რომელშიაც მისი გამოსახულება მოსჩანდა. ეს იყო მისი სამშობლო და იგი მას შეჰყურებდა.

როგორც იქნა, მძიმე ყუთი ერთ-ერთ ბურჯში მოათავსა. ეს ყუთი სამართლიანი სამაგიეროა მათთვის, ვინც კორიელ ხალხს ამდენი მწუხარება და ტანჯვა მოუტანა.

ოტოგიმ მოუყიდა ბიკფორდის ზოზარს. ნელი რხევით გასრიალდა მოცისფერო ცეცხლის ენები.

მალე უნდა გაეცალონ აქაურობას... შემოდგომის მღვმარე საღამო უკვე დადგა. სიბნელეში მებრძოლები ციციბოდან სანგარში ჩამოსრიალდნენ. წამსვე იქუხა აფეთქებამ, ხიდის ქვემოდან ყოველი მხრით იელვა ცეცხლმა. ხიდის ერთი კიდე ყალყზე შედგა და უცბად ჩაიხვრა. გაისმა ქვების გრიალი.

შემდეგ ჩამოვარდა სამარისებური სიწყნარე. სიჩუმე დაარღვია ამერიკელი ჯარისკაცების ძახილმა, უწესრიგო სროლამ აეტომანქანების საგანგაშო საყვირებმა. მებრძოლები მიხიზნდნენ ხელებისა და ფეხების ჩქარი მუშაობით და მძიმე სუნთქვით. აუცილებელი იყო, მოეგოთ დრო, მალე გაეცლოდნენ მოწინააღმდეგეებს. სადღაც ახლოს მოისმა მძიმე ბრაგარუგი. ბალახებში, ბუჩქებში, ხეებზე აკიაფდნენ ჯიბის ფანრების წერილი სხივები. აშკარა იყო, რომ ამერიკელები ალყას არტყამდნენ ხიდის რაიონს. ოტოგი და ენ დიუ წელ-

ში მოხრილები სქელ შამბნარისაკენ გაიქცნენ, უეცრად ენ დიუ დაეცა. სცადა წამოხტომა, მაგრამ ვეღარ შესძლო.

— ამხანაგო ენ დიუ! — მოიბანა მასთან ოტოგიმ და დაუყვირა, — რა მოხდა? დაქრილი ხართ? მძიმედ?

ფეხზე ხელის სწრაფი შეხებით ენ დიუმ იგრძნო რალაც წებოვანი და თბილი. „სისხლი!“ გაიფიქრა მებრძოლმა.

— არაფერია, — თქვა მან, — ფეხი გაეკაწრა...

ოცეულის მეთაურმა ამოიღო საველე ჩანთიდან ინდივიდუალური კონვერტი და სწრაფად შეუხვია ფეხი.

ენ დიუს უნდოდა აღგომა და გაქცევა, მაგრამ აუტანელი ტკივილი იგრძნო.

— ამხანაგო ოცეულის მეთაურო! თქვენ წადით, მე დაგეწევით. ოღონდ დამიტოვეთ ხელყუმბარა და მედიკამენტები.

ოტოგიმ სცადა ხელში აყვანილი ეტარებინა ენ დიუ, მაგრამ ენ დიუ მასზე მაღალი იყო და საკმაოდ მძიმეც, მათათი ნაბიჯის გადადგმაც კი ვერ შესძლეს.

— უმჯობესია ჩქარა მიხვიდე ჩვენებთან, — არ ეშვებოდა ენ დიუ.

ოტოგიმ დაქრილი სქელ ბუჩქებს შეაფარა და თავისიანებისკენ გაეშურა, რათა მოეყვანა მებრძოლები ენ დიუს დასახმარებლად.

სანამ ოტოგი მოიყვანდა მაშველს, ამერიკელებმა ენ დიუ შეიპყრეს.

— სად არის შენი ნაწილი? რამდენი კაცია იქ?

გაბოროტებული ღორივით აჭყვირდა თარჯიმანი, როგორც კი ხილთან მოათრის დამტყრეული და ხელფეხშეკრული ენ დიუ.

— თქვი, მუდრეგო! სად არის სახალხო არმია?

— აქაა! — გაბედულად მიახალა ენ დიუმ.

— არამზადავ, ჩანს, ლაპარაკი გცოდნია! — რალაც მძიმე ჩაარტყა თავში ენ დიუს სიბრაზისაგან გაქარხალებულმა თარჯიმანმა, და დაუყვირა: — მიპასუხე, სად არის შენი ნაწილი?

— ყველგანაა აქაც და იქაც, — ენ დიუმ შემორკალა ჰაერში ხელით.

ამერიკელები შეშინებული იქირებოდნენ, ცდილობდნენ სიბნელეში რაიმე დაენახათ. მიხვდნენ, რომ სახალხო არმიის მებრძოლი დასცინოდა მათ. ისინი სხვადასხვა ხმით აღრიალდნენ იმ ენაზე, რომელიც ენ დიუს არ ესმოდა.

— იცი, რა არის ტყვია? შენ ახლავე მიიღებ მას, წითელო, — წაისისინა მთარგმნელმა.

ენ დიუ, როგორც კი ის შეიპყრეს ამერიკელებმა, მიხვდა, რომ მას არაეინ შეიწყნარებდა. მებრძოლი მოემზადა, რათა მიეღო სიკვდილი მტრის ხელიდან ღირსეულად, როგორც ეს შეშვენის კორეის ერთგულ შეილს.

— მესროლე, ჯალათო! — დაუყვირა მებრძოლმა.

ენ დიუ დააყენეს ზურგით ამერიკელთა ბრბოს წინ ციკამო ხრამის პირას — მდინარესთან. ამერიკელებმა მოიბრძინეს, რომ კორეელის დახვერტა დაენახათ: ჩამავალი შზის სხივები მკრთალად ანათებდა ენ დიუს ფერმიხდილ სახეს, მის აღზნებულ თვალებს, სქელ მოკუმულ ტუჩებს. მებრძოლი გუნებაში იმეორებდა სიტყვა— „მანსე“¹. გადაწყვიტა ეს სიტყვა გაემეორებინა უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ... მაგრამ, რაც უფრო მეტს უყურებდა ენ დიუ ჩამავალ მშეს, მით უფრო ძლიერ უნდოდა სიცოცხლე და ბრძოლა ამ საქმლეულ და ბოროტ ამერიკელ ყაჩაღებთან. იგი თავისთვის ამბობდა: „კიდევ არის ბრძოლის დრო... უნდა ვიბრძოლო ბოლომდე“.

— აი, თქვე ბილწო ამერიკელებო! —

ჩუმად, მძულვარებით წარმოთქვა ენ დიუმ.

მან, ნახევრადშემობრუნებულმა, ზიზლით შეხედა ავტომატიან ამერიკელ ჯარისკაცს, რომელიც ემზადებოდა მის მოსაკლავად.

— ასწი მაღლა ხელები! — დაუყვირა ვილაცამ ბრბოდან.

მაგრამ ენ დიუ იღვა წინანდებურად უძრავად, ყურადღებით ათვალიერებდა, როგორ იწვედა ზევით ავტომატის ლულა. „ცუდად უმოზნებს, ხელებიც უკან კალებს, გაიფიქრა მან, — არა, შენ არ შეგიძლია ჩემი მოკლა“.

დაიგრიალა ავტომატმა. ენ დიუ დაეცა, იგრძნო, თითქოს რალაც მძიმე მანთივით დასწვა ზურგი.

ამერიკელები მგლის ხროვასავით მისცვიდნენ, ხრამის პირას გაშოტილ ენ დიუს. ვილაცამ მას ფეხი წაპკრა.

— მარჯვე გასროლა! ტყვიამ ორმხრივ გაუარა. ხედავთ, მკერდზედაც ისისლი აცხია, — თქვა ერთმა ამერიკელმა.

თარჯიმანი შედგა ენ დიუს ზურგზე და მთვრალი ხარხარით დაუწყო მას ქელვა.

დახვერტილი გადაადგეს ხრამში, მაგრამ ერთ-ერთ ოფიცერს მოეჩვენა, რომ ენ დიუ კიდევ ცოცხალი იყო. ამერიკელმა ჩაიბრძინა ჭვევით, რათა დარწმუნებულიყო, რომ კორეელი ნამდვილად მკვდარია.

— ხედავთ, ჩაძლდა. ეს წითელი იმდენად მშვიერი იყო, რომ მომაცვდებოდა მოასწრო მიწის ჩაყლაპვა, — სიცილით წამოიძახა ამერიკელმა.

უეცრად ტყვიამფრჭვევის სროლა გაისმა ახლოს. შიშისაგან ყბამოქცეულმა იანკებმა მოკურცხლეს. მათ მიჰყვნენ დანარჩენი ჯარისკაცები და ოფიცრები.

დაიწყო ცხარე სროლა. ესენი იყინენ სახალხო არმიის მებრძოლები, ისინი ოცუელის მითათურმა — ოტოგამ მოიყვანა, მოვიდნენ ენ დიუს საშველად.

¹ მანსე — კორეულად — გაუმარჯოს.

მძიმედ დაჭრილმა ენ დიუმ გადმოაფურთხა მიწა, რომელიც დაეგროვებოდა პირში სუნთქვის დასაფარავად. აუტანელი ტკივილები სტანჯავდა მას: აღარ ესმოდა, რას ჩადიოდა. ხოხვით გაძვრა ის ერთ-ერთი ნაპრაღისაკენ, — ძლივს მიაღწია იქამდე და გონება დაჰკარგა.

ენ დიუ შუალამისას გამოერკვა. გარშემო სიჩუმე იყო. სახალხო არმიის მეზობელებმა ვერ აღმოაჩინეს ამხანაგი და ისევ მთებში დაბრუნდნენ.

ენ დიუ მიხვდა, რომ უპირველეს ყოვლისა, მას უნდა შეეჩერებინა სისხლის დენა. სისხლის დაკარგვას შეეძლო დაღუპვამდე მიეყვანა იგი. ძლივძლივობით გაიძრო გიმნასტურა და შეიხვია კრილობა.

ენ დიუ ნელ-ნელა მიხზავდა. ხანდახან გონს კარგავდა. იგი ღრმად ისუნთქავდა გრილი მიწის სუნს. ლეკდა ბალახს ყელის გასასველებლად და მწვევე წყურვილის ოდნავ დასაცხრომად. მას არ ახსოვდა, რამდენ საათს მიდიოდა და სად. ენ დიუს დაეკარგა წარმოდგენა დროსა და სივრცეზე. მას მხოლოდ უნდოდა ერთი—სიცოცხლე. ფიქრდებოდა მხოლოდ ერთ რაიმეზე—შურისძიებაზე.

მაგრამ აი, გაისმა ძაღლების გაბმული ყეფა. გაწვალბებული, გატანჯული ენ დიუ მაინც ასე ხოხვით მიემართებოდა ამ ხმისაკენ, რომელიც პირდებოდა მას გადარჩენისა და ხსნის იმედს. „აქ სადღაც არიან ადამიანები. თუ ჩვენებია, ისინი მიშველიან“.—ფიქრობდა ენ დიუ, და ეს მატებდა მას ძალ-ღონეს.

დაბოლოს, დაჭრილმა დაინახა ღობით გარშემორტყმული პატარა სახლი. ეს იყო ერთი ზუტორთაგანი მთებში, სადაც ჩვეულებრივ განთავისუფლებამდე და მიწის რეფორმამდე კორეელი გლეხები ცხოვრობდნენ, — გლეხები, რომელთაც არ გააჩნდათ საშუალება ეყიდათ ან იჯარით აეღოთ მიწის ნაკვეთი ვაკეზე.

ძალი ისევ აყიოდა.

— შორს! შორს! — მიამახა ნაგახს ღია კარებიდან ქალის ხმა.

შემდეგ ენ დიუს მოეჩვენა, რომ „სახლიდან გამოვიდა დედამეცხე — გაქცეული კლარათმიანი, თეთრ ტანსაცმელში.

— დედა, მე აქ ვარ! — ენ დიუ ფიქრობდა, რომ ეს სიტყვები წამოიყვია, მაგრამ ნამდვილად მან ძლივს ჩურჩულით წარმოთქვა, და ხელახლა ჩავარდა ბნელ უძირო უფსკრულში.

— მომეცით, გეთაყვა წყალი! — ეს იყო ენ დიუს პირველი სიტყვა, როდესაც იგი საბოლოოდ გამოფხიზლდა.

— ოჰო, გონს მოხვედი? ყოჩაღ, წყალი გინდა? ახლავე, ახლავე. ფაფა ხომ არ გინდა? — აფუსფუსდა მოხუცი.

მან მოიტანა წყალი, გავიდა საშხარეულში და დაბრუნდა უკან ჩუმისისა და ცანდის¹ ფაფიანი ჯამით. კრილობის შეხვევისას მოხუცი მოუყვა მას, რომ მისი ვაფი ენ იქა უკვე მეორე წელია ჯარშია და დაჯილდოვებულია მედალით „საბრძოლო დამსახურებისათვის“, — მოუყვა ისიც, რომ რძალი ბავშვითურთ გაემგზავრა მშობლებთან სოფელში, რომელი არც ისე შორსაა, მდინარის გაღმა, ბარში. რძალს მოუნდა მოხუცების ნახვა. ამასთან ერთად ცოტაოდენ პროდუქტსაც წამოვიღებო.

— მაგრამ მას მოუხბდება ვადასვლა დიდ ხიღზე მებონთან? — ჰკითხა ენ დიუმ.

— არა, არის მეორე ხის ხიდი, მებონის ხიდიდან 15 კილომეტრის მანძილზე. იგი იმ სოფლის გვერდითაა.

— ეს კარგია, თორემ ხიდი მებონთან დანგრეულია. ჩვენ ის ავაფთქეთ.

— თქვენ დანაგრეულ ხიდი მებონთან?

— დიახ, საჭირო იყო ეს გაგვეკეთებინა, რათა სახალხო არმიას ადვილად შექლებოდა გაქცეული მშვიდარა იანკების დაღვენება.

— თქვენ კარგად მოიქეცით. ცოფიანი ძაღლები უნდა მოისპოს, — ჩაილაპარაკა მოხუცმა გლეხის ქალმა.

პატარა სახლში, მთებში, სახალხო არ-

¹ კორეული ნაციონალური კერძი, პილალით შეხვეებული თაღამი.

მიის დაჭრილ მებრძოლს — ენ დიუს ექცეოდნენ როგორც ღვიძლ, ახლობელ ადამიანს.

— ამინ,¹ — მე ვისაუზმებ პატარასთან ერთად, — უთხრა ენ დიუმ დიან სუს დედას და ხელზე ხელი მოჰკიდა ბიჭს.

— დიან სუ, წადი ბებიასთან სასაუზმოდ, — უთხრა ქალმა და შეუდგა სუფარის გაწყობას.

— მე ძიამ დამიძახა, — მხიარულად უპასუხა დიან სუმ, — მე აქ ვისაუზმებ.

— კარგი, დატოვე, — ღიმილით თქვა ბებიამ, — დღეს ძია ამის მამასთან მიდის. დაე ისინი ამ უკანასკნელად ერთად იყვნენ, — მოუბრუნდა იგი ენ დიუს, გამომცდელად შეხედა და ჰკითხა: როგორაა საქმე, ახლა შესძლებ ბრძოლას?

— მერე-და როგორ! თქვენ მე კარგად მომიარეთ.

მართლაც, ენ დიუ თავს ისე ძლიერად გრძნობდა, როგორც იმ დაუფიწყარ დღემდე. ახლა კი უჩვენებს სვირს ამერიკელ ბანდიტებს! გადაავიწყებს მათ კორეაში დინგის შემოყოფას. ოღონდ მალე კი მოხვდეს ასეულში.

— ყოველივე ეს თქვენი ზრუნვის შედეგია, — უთხრა ენ დიუმ დიან სუს ბებიას.

— მე მხოლოდ სიმინდით და სოიით გკვებავდი...

— არა, უთქვენოდ მე უთუოდ დავილუპებოდი...

— კმარა! — მკაცრად მოსწყდა ეს სიტყვა მოხუც ქალს, — ნუთუ ცოტაა ქვეყანაზე კეთილი ადამიანი?

ენ დიუს გული სიხარულით უცემდა. მალე თავის მებრძოლ მეგობრებს შორის იქნება, მშობლიურ ასეულის ჯარისკაცთა შორის. ენ დიუს ერთი რამ ტყენდა გულს, — რომ მას არ შეეძლო სათანადო მადლობა გადაეხადა ამ უბრალო, დიდსულოვან გლეხებისათვის, რო-

მლებმაც დაიხსნეს იგი აშკარა დაღუპვისაგან.

— ნება მომეცით, დედა დაგიხახოთ, — უთხრა ენ დიუმ მოხუც კორეელ ქალს. — მე მინდა თქვენი ვაფი ვიყო.

— მე მყავს ვაფი...

— ნუთუ ცუდი იქნება, თქვენ რომ ორი ვაფი გყავდეთ?

— მე ვერ შეეძელი, როგორც წესია აღმეზარდა ერთიც, — უპასუხა მოხუცმა ჩაფიქრებით.

— ეს როგორ! — წამოიძახა ენ დიუმ. — თქვენი ვაფი ენ იკა კარგად ომობს. მან მიიღო მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

— კიდევ უკეთ უნდა ბრძოლა. აი, მე რომ შემეძლოს, დავებრუნო ახალგაზრდობა, გაჩვენებდით, როგორ უნდა ურტყა მტერს!

ოდესღაც ეს ქალი მთელ მხარეში ცნობილი იყო, — ცოცხალი, მხიარული, დადიოდა ყველაზე ჩქარა, აოცებდა ხალხს შეუპოვრობით, სიმარჯვეთ.

წლებმა მოახუცეს იგი. მხოლოდ სული შერჩა მას ახალგაზრდული, მხნე.

— შეძლებდი თუ არა ტყვედ ჩაგეგლო ეს ორმოცდაათიოდე გლახაკი ამერიკელი — ჰკითხა დიან სუს ბებიამ და მისი თვალები აკიაფდა.

— ენ იკასთან ერთად მოგართმევთ მათ, როგორც ახინცლულ გამხმარ თევზებს, გაეცინა ენ დიუს — აი მაშინ მიმიღებთ თქვენ შვილად?

— უმჯობესია, ქამე... შორი გზა გაქვს გასაველი. გავერთეთ ლაპარაკში, — ოღნავი სიმკაცრით უპასუხა მოხუცმა, მაგრამ ენ დიუ მიხვდა, რომ იგი საკუთარი შვილივით ძვირფასი შეიქნა ამ ქალისათვის.

ენ დიუმ ისაუზნა. შემდეგ აიღო ჩანთა, რომელიც მოაშინა მისთვის დიან სუს დედამ. ჩანთა პირამდე საესე იყო საგზალითა და მრავალი წვრილმანი, რომლებიც ჩაუწყო მოხუცმა ქალმა.

მეგობრობა მტკიცე და ძლიერი იყო, გამოთხოვება მძიმე შეიქნა. პატარა

¹ ამინ — თავიანთი მიმართვა ახალგაზრდა ქალისადმი.

დიან სუ გულამოსკენით ტიროდა და არ უნდოდა ჯარისკაცისათვის ხელი გაეშვა.

ენ დიუ წავიდა მღუმარედ, დანალექიანებელი, კეთილ, გულისხმიერ ადამიანებთან განშორების გამო. ის გზის მოსახვევში შეჩერდა, შემობრუნდა სახლისაკენ, სადაც ჯერ კიდევ იდგნენ ორი ქალი და ბიჭუნა და დაიძახა:

— დედა! აჰმინი! არ დამივიწყოთ.

— მოხარული ვიქნებით, კიდევ გინახულოთ. ენ დიუ! დაბრუნდი გმირის ოქროს ვარსკვლავით, — მოესმა ენ დიუს ენ იკას დედის, მისი მეორე დედის ხმა.

მრავალი კილომეტრი გზა გაიარა ჯა-

რისკაცმა. ცდილობდა, არ შეჩერებულყო სოფლებში, სადაც გლეხები სწავაზობდნენ მას საქმელს და იწვევდნენ დასასვენებლად. იგი იჩქაროდა თავისი ნაწილისაკენ, რათა მონაწილეობა მიეღო ახალ ბრძოლებში სამშობლოს თავისუფლებისათვის. ყურში კი ესმოდა ის დიდი და საპატიო სიტყვები, რომლებიც მაშინ წარმოთქვა ალერსიანი ბიჭუნას დიან სუს ბებია: „შენ საჭირო ხარ!“

„დიახ, მე ვჭირდები ხალხს!“ — ეუბნებოდა ენ დიუ თავის თავს და მიაბიჯებდა საყვარელ მიწა-წყალზე.

თარგმანი მარიამ აგიაშვილისა

სიყვარული



1.

ზოგან თეთრად, ზოგან ლურჯად.
მისი ზვირთი მუდამ ელავს.
მთის ძირში თუ მწვენი ბუჩქთან
მოიჩქვება უდარდელად.
თუმცა არ ჩანს დრუბლის ქულა
და არ მოდის წვიმა ცერად,
ველზე ისე გაჭიმულა,
როგორც ცაზე ცისარტყელა.
ხან მრისხანებს, ხან უტყვიან,
შორი მთიდან მომდინარობს.
გულაშარო,
გულდამტკბარო,
რას ბუტბუტებ, ნეტავ, მტკვარო?
მრავალ ცეცხლის მოწამე ხარ,
ჰე, ვინ დათვლის სისხლის წვეთებს.
შეაჩერე წუთით ტალღა,
მაგ შენს გულში ჩაგვახედე!
ბევრჯერ გაგკრა ტრფობის ქარმა,
ბევრჯერ ფრქოლვამ დაგაიარა.
მზეჭაბუკმა ბევრმა ახლოს
ჩაგაიარა დარდიანად.
სიყვარულით
აღდაკრული
გასცქეროდნენ მწვენი ქედებს.
ამოიდგი, მტკვარო, ენა,
მაგ შენს გულში ჩაგვახედე!
წყვილი მტრედი წამოფრინდა
ხედღერეთის ქალებიდან.
გზაზე ერთი ქალიშვილი
მოდიოდა ქარელიდან.
კაკაბივით მოგოგავდა,
თეთრი კაბის შარიშურით.
ხესთან შედგა, ალბათ თუ აქვს
პაემანი დანიშნული.
მაგრამ არა, არვის ელის,

თვალს აყოლებს არემარეს.
შეხედავ და მის თვალებში
იტყვი — ბუდობს მზე და მთვარე.
ლალი არი საქმით, ფიქრით,
მკლავიც ლაღად გაუშლია.
ეს რა ხმაა ხეთა იქით,
რა ჩურჩული მოაქვს ნიავს:
„ეს მესამედ ვისერი ბადეს,
არ მოხედები, თევზო, კიდევ?
ნატვრასავეთ შეგინახავ,
ოქროს ტოტზე ჩამოგვიდებ.
ჩანაფიქრი გამიმართლე,
სიხარულით გული გათბეს.
მისი ეშის ნაპერწკალი
გზას მშესავით გამინათებს“...
გადისროლა ბადე წყალში,
ლეღვითა და გრძნობით სავსემ.
არ ამოჰყვა ერთი თევზიც
საყვარელის ბედობაზე.
რა იცოდა გულდამწვერმა,
წარბშეკრულმა მაშინ გორდამ,
მაღლობიდან ნინო-ქალი
თუ მას თავზე დასცქეროდა.
რა ხარ, ქალო, არც „პოს“, იტყვი.
არც პირდაპირ იტყვი „არას“,
თითქოს სიტყვა არ სმენია,
ნინო ისე გაიპარა.

2.

ქალაში დგას მარტოდმარტო,
რა შეურყვევს მუხას ფესვებს?
გაუშლია მხრები ფართოდ
სიგანეზე, სიმაღლეზე.
ფოთლოვანი, მოშრილი,
აბა, ვის არ ეყვარება?
მოხუცი თუ ახალგაზრდა



იმის ჩრდილებს ეტანება.
მუხის ძირში წყარო მოჩქეფს,
მერცხალივით თითქოს გალობს.
მუდამ ასე იჩუხჩუხე,
პაწაწინა მუხის წყალო.
მხოლოდ ერთი პეშვი შესვი,
გაპყინავს და შეძრავს კბილებს.
საამურად შეხეფებს ესერის
მის გარშემო შეკრებილებს.
ჯერ ოფლი არ შეშრობიათ,
ამჩნევიათ კიდევ შუბლზე.
მათი გული მინდორ-ველებს
კმაყოფილი თვალთ უშვებს.
ისევნებენ წყაროს პირად,
მზრებზე მუხის ჩრდილი ხურავთ.
ხვალინდელი გასათოხნი
დღეს გათოხნეს გულდაგულა.
იციინან, კისკისებენ
ყელყარყარა ასულები.
ერთმანეთზე უკეთესნი,
წარბებგადახატულები.

აუკეცავს ჩრდილი მუხას,
ჩიტუნები სად წასულან?
მის ტოტების ლამაზ ქსელში
ბადრი მთვარე გახლართულა.
მუხის წვერზე იციმიციმე,
ვარსკვლავების ნალვერდალო,
დილამდის არ მოიწყინო,
შენ პატარა მუხის წყალო.
სად მიდიხართ, გოგოებო,
კოტა ხანი დარჩით ბარემ.
ჰა, დაირა მოაქვთ ბიჭებს,
ცხელ თონეზე მოატარეს.
წრე შეჰკარით,
დაუკარით,
ჩამოხსენით დუმილს ფარდა.
ჩამოურბენს ნიავქარი,
მკლავებს გაშლის ცისფერ ვარდთან.
ნინო-ქალი შუაწრეში
ჩამოშუქდა, ჩამოგოგდა.
დაირები გაახურეთ,
არწივივით უვლის გორდა.
„ნინო, ვერსად გაშვქცევი,
ხარ ბადეში მოქცეული.
ნეტავ ჩემი მტრედი იყო.

ჩემს ბინაზე მოჩვეული“...
„გორდა-ბიჭო, თქვი პირდაპირ“
ორლობეს რად ეფარებმ.
თევზებს უმხელ საიდუმლოს,
აქ გარი-გარ მეპარები“...
ქალია თუ ჯადოქარი,
სად იქნება მისი ცალი?
გორდას გულში ნინოს სიტყვა
ჩაჯდა, როგორც ნაპერწკალი.
თითქოს მუხლი მოეცელა,
ესმის გულის ბაგბუფი.
დაირები გაახურეთ,
დატრიალდეს წრეში ბუქი!

3.

ხვედურეთი,
ხვედურეთი,
რა გულუხვი სოფელია.
უთვალავი ელნათურა
ვარსკვლავებად მოჰფენია.
მის ქუჩებს და ბაღა-ბაღებს
გრილი სით ეკონება.
შორიდან რომ გამოხედოს,
მგზავრს ქალაქი ეგონება.
თუ ყოფილხართ ადრე, წინათ,
აქ რა იყო, ალბათ, გახსოვთ.
სახე ისე შეუცვალეს,
კლარ იცნობთ, დღეს რომ ნახოთ.
ამოაშრეს ქაობები,
ააყვავეს მიწის გული.
სადაც იდგა მწვანე გუბე,
დღეს ქართული მოყავთ პური.
სამკითხველო, კლუბი, სკოლა,
დარბაზივით საბჭოელები.
ვერ მოივლი ფერმის ეზოს
ცხენის ერთი გაქენებით.
გაიხარდა, დაილოცოს
მკლავი მისი მშენებლების,
სოფლის გამზარებლებისა,
სოფლის დამამშვენებლების.

შორით ტრაქტორის ხმა ისმის.
ნახირს მოსდევენ ბალოები.
ჩართეს დენი და გაბრწყინდა
ოლმეურნეთა სახლები.
ნიავმა თრთები დაშალა.
ჩამოურბინა გზაშარას

და როგორც ბავშვმა პატარამ
სიმღერა ჩამოატარა.
გზისპირ სალევწი მანქანა
გულგასახარად დამდგარა,
ნთქავს და ნთქავს მალალ ბულულებს
და თითქოს ვერც კი გამძღარა.
ორი ვეება მოზვერი,
გაუხედნელი, ერთფერი,
მუშტის ოდენა თვალებით,
სალევწ მანქანას შესცქერის.
ჩამკვრივებიით კისრები,
რალაც არნახულს ხედავენ,
ხანდახან უნდათ, მანქანას
რქვა გაჰკრან, ვერა ბედავენ.
დიღხანს უმზერენ და მერე
დაბლა თავჩალუნულები,
შორს ჩაუვლიან მანქანას
ათრთოლებული გულებით.
ღმუილით, კბილთა ღრქენითა
სველ ბალახს დააცხრებიან
და უღელს დანატრებულნი
ხის ძირში დაეყრებიან.

4.

კარგი პირი არ უჩინდა
სიმინდს, სიცხით დავვალულს,
ერთი თვის წინ რომ გენახათ,
ის დაგწყვეტდათ ალბათ გულს.
მაგრამ მოდით, ახლა ნახეთ,
გაიხარონ თვალებმა.
სიმინდებში ცხენიანი
კაცი დაიმალება.
რომ გახედოთ, საამოა,
მალალია, დიდია.
მკლავის სიმსხო ტაროები-
ხანჯლებივით ჰკიდათ.
ზევით, სადაც ერთ მხარეზე
სოფელს არხი არტყია,
გასათოხნი დარჩენით,
გორდა თოხნის აღრიან.
თან ღიღინებს: სიყვარულო,
რად გაიდგი ფესვები,
გულში დამკარ, არასოდეს
სულით არ დავეცემი.
ასჯერ მომკლა, ხელმეორედ
ასჯერ დავიბადები.

არ გიყვარვარ, ბოლოს მაინც,
მჯერა, შეგიყვარდები
„რასა მღერი, გორდა-ბიჭო,
გული ვისთვის მიგინდვია“.
შეპლიღინა ტკბილად: „წყალში,
ვღგავარ, ცეცხლი მიკიღია“.
შეერთა გორდა,
არ ელოდა,
ფიქრს საღდაც შორს გაეტყორცნა.
გამოერკვა მხოლოდ მაშინ,
სანდრომ ხელი დაჰკრა როცა.
ეს მეორე წელი არი,
ნინოს ტრფობას დაატარებს.
ნატრასავით უფრთხილდება
სიყვარულით ნაწერ ბწყარებს,
იტანჯება, მაგრამ მაინც
ეფინება მკერდზე ვარდი.
გულს გაუშლის ძია სანდროს,
განახევრდეს იქნებ დარდი.
„რა ვქნა, რა ღონე ვიხმარო,
ესა მაქვს საფიქრებელი?
ათასჯერ ვუთხარ, ყინულის
გალხობა ველარ შევძელი.
სულ გაიძახის: დაიცა,
გული არ ითმენს, რა ეუყო.
ახალ დროების პირმშო ვარ
და მკერდი როგორ გავუპო“...
„ბიჭო, შენ როგორ გიკადრებს,
ხედავ, როგორი ქალია.
ნაპერწყალია ნამდვილი,
მთელი სოფელის თვალია.
ისეთ მოსაველს აიღებს,
დაავიერგვინებს პირობას,
როგორც ამბობენ, ნაღდაი,
მიანიჭებენ გმირობას.
მაშინ შენ რალად უნდინხარ,
სხვა ვინმე შეუყვარდება.
გეტყვი, მაგისი ცოლობა
არაფრად გამოგადგება.
დაგჩრდილავს, კრინტსაც ვერ დასძრავ.
ჯიუტ სურვილებს აჰყვება.
ქალი, ზომ იცი, სუსტია,
უეცრად გაამყვდება“...
თქვა და ძირს ჩამოშვებულნი
გადიგრიხა უღვაში.
ღგას გორდა დაღონებული



ვახვეულია ბურანში.
სანდრო ჩრდილელი ჯერ კიდევ
სჯის, ფიჭრობს მამაპაპურად,
როდესაც ქალს უნდოდათ
მხოლოდ მონად და მსახურად.
ოთხმოცდაათი წლისაა,
გამოირჩევა ტოლებში,
ორმოცი წელი იარა
თურმე ბატონის ხბორებში.
ხანდახან, როცა დაჯდება,
რას არ მოჰყვება, ვინ იცის,
სამოცი წლისა იყო, რომ
პირველად ნახა თბილისი.
მოხუცდა, მაგრამ კვლავ ერჩის
სანდროს გულიც და მარჯვენაც
და სჯერა, კაცი მაგრდება,
რაც უფრო გაისარჯება.
ხან ისეთ საქმეს დაიწყებს,
მთელ სოფელს აახმარებს.
ქალზე სიტყვას თუ იტყვიან,
მინც ძველებურს გაურევს.
მოხუცი სანდროს ნათქვამი
ნუთუ მართალი იქნება?
ნუთუ ხასიათს შეუცვლის
ნინოს სახელი, ღირსება?
ცეცხლმოდებული სიტყვები
გულს წიწკნის რაღაც ტიალად.
ერთი ღრმად ამოიხზრა,
თვალეში დააბრიალა
და სანდროს დაემშვიდობა,
გზაშარას გაჰყვა ბარბაცით.
თავს იწონებდა, ბრწყინავდა
დედაბუნება წარმტაცი.

ვერც სიცხემ და ვერც უწყლობამ
ხეს ვერ გაუხშო ფესვები.
ქარმა ვერ გაანიავა
შრომა მხვნელის და მთესველის.
წვიმა მოვა თუ არ მოვა,
მიწა გულს გახსნის თუ არა,
წარბი ვერ შეახრევენოს
ვაკაცს ბუნების უარმა.
საბჭოთა ცისქვეშ აროდეს
გზა არსად დაგვებურება,
ჩვენ ვერ მოვეუცდით მოგვხედოს
მოწყალე თვალით ბუნებამ.

შეხედეთ ნინოს ნაკვეთებს,
მტერსაც კი მოეწონება,
აქ მალე ოქროს ტაროებს
დააყენებენ გორებად.
დგას გორდა გაცეცხლებული,
გაშლილ ნაკვეთებს გასცქერის,
თითქოს ზედ გულზე გადასდის
ნინოს ნაწნავთა ჩანჩქერი.
ამ ნაკვეთებმა ნუთუ მას
უნდა დაასევას ისარი,
ტრფობის ღილებით შეკრული
აპგლიჯოს გულის ფიცარი?
თვალი მოაელო სიმინდებს
ვაკაცმა გულდარდიანმა.
თავის ნაკვეთს რომ შეხედა,
გორდას აღარც კი იამა.
ერთი უეცრად შეტოვდა,
უსაზღვროდ ფიჭრში წასული.
ამ სიმინდით სურს მოხიბლოს
სახელგანთქმული ასული?
გასწერივ მღგარ ნინოს ნაკვეთებს
ნახევრად ვერც კი მისწვდება.
ამით სურს, გვერდით დაუდგეს
ნინოს შრომას და ღირსებას?
ამით სურს, გახდეს მფლობელი
მზე-ქალის სიყვარულისა?
საკუთარ მკერდის შიგნიდან
ესმის ძახილი გულისა:
„დაიმსახურე სახელი,
სოფელი შენზე მღეროდეს.
ვისაცა სთხოვო ცოლობა,
უარს ვერ გეუბნებოდეს“...
თვალი მოაელო სიმინდებს,
მშობლიურ არემარესა.
ნინოს მშვენიერ ნაკვეთებს
დარცხენით მიუაღერსა.
ცა კამკამებდა ლილისფრად,
ირგვლივ სხივები დნებოდა,
გორდას მალღიდან ბადრი მზე
თუ ნინო გადმოსცქეროდა?

5.

არ განუცდია აროდეს
სოფელს ამგვარი დიდება.
მზეც თითქოს სხვარივ ანათებს
და უფრო მეტად ბრწყინდება.
რა მოსავალი მოვიდა,

როგორ იმატა ბარაქამ.
 პატარა სოფლის ამბავი
 გაიგო ყველა ქალაქმა.
 გაიგო ყველა სოფელმა
 ხმა შრომის და აღტაცების.
 მოვიდნენ რუსიელები,
 ქანდრელი თავიკაცები.
 მოვიდნენ ყველა კუთხიდან,
 უხდებთ პირდაპირობა
 და ულოცავენ ხედურეთს
 ნინო კოპაძის გმირობას.
 და განა მარტო კოპაძის
 ახარებთ ჯილდო, სახელი
 მრავალს ამშვენებს ორდენი,
 დიდების გამომსახველი,
 ივანე მაკრაბიძის თუ
 სიმონა ფეიჭრიშვილის
 მიღწევით გალღებულ
 გულიც და თვალიც იცინის.
 მიხეილ ბარდავაძის თუ
 ჭაბუკი გორდა ვაშაძის
 მკერდზე დაბნულ ორდენებს
 მზესავით გააქვს კაშკაში.
 როგორ ამალღდნენ უეცრად
 ხალხში მარჯვენაქებულნი.
 ყველას იმათკენ უჭირავს
 თვალეზი გაბრწყინებული.

6.

სალამო არი, აჭა-იქ
 ისმის ჭიხვინი ცხენების.
 ხეებზე ჩამოათინა
 მთვარემ მიმკრთალი ფერები.
 ორლობეს მოსდევს ჩრდილელი,
 წელში ოდნავად მოხრილი.
 ხანდახან, გზას რომ ასცდება,
 უეცრად წაიფორჩილებს.
 ლობის ბოლოზე შეჩერდა,
 მაღალი ხე რომ გაშლილა.
 ვინ იცის, ამ ხემ რამდენის
 გული გულს დააკავშირა.
 გადმოუხრია ტოტები
 ძირს, როგორც დედას კალთები,
 მის ქვეშ საუბრობს ქალ-ვაჯი
 რა ტკბილად, რა გატაცებით.

მიაყურადა ჩრდილელმა,
 ესმის ცეცხლივით სიტყვები:
 „გორდავ, იქნება კიდევაც
 გულში ფარულად მიწყრები.
 ამ წუთს ველოდი, ამდენხანს,
 მქონდა ჩემს თავთან პირობა,
 რომ ჩვენი სიყვარულისთვის
 ჯილდოდ მიმეძღვნა გმირობა“...
 რა ესმის მოხუცის ყურებს,
 ნუთუ ეს ნინო-ქალია?
 იქნება სმენა ლალატობს,
 ამოღ გაუხარია?
 ნუთუ ჰპირდება გორდა-ბიქს
 ცოლობას, უღლის გაწევას,
 ღირსებით სავეს ასული
 ეძახის გულის
 ნახევარს?
 აროდეს არ იფიქრებდა
 გმირის ამ უბრალოებას,
 და ისიც ქალი თუ ასე
 დაამშვენებდა დროებას.
 ნინო საბჭოთა ქალია,
 ქედმაღლურ ფიქრს არ აპყვება.
 მოპოვებული მიღწევით
 აროდეს გაამაყდება.
 თვალწინ დაუდგა უეცრად
 სანდროს გორდასთან ნათქვამი
 და შერცხვა მოხუცს, ამდენხანს
 აზრი რად ჰქონდა ამგვარი?
 უსაზღვრო სიხარულისგან
 თითქოს დაიწყო ცახცახი,
 აჯობი მიაგდო ღობესთან,
 ძირს დაახეთქა ფაფახი,
 ის იყო, გორდას ნინოსთვის
 უნდა ეკოცნა ალერსით,
 გადახსნა გულის საუნჯე,
 ფიქრები უმზურვალესი,
 რომ ამ დროს კიდევ მიიჭრა
 მოხუცი სანდრო ჩრდილელი,
 ორთავ ქალ-ვაჯი დაკოცნა,
 ვით საკოთარი შვილები.
 ნიავს მიჰქონდა ბალიდან
 მათი საამო სიცილი
 და მთვარე შეყვარებულებს
 თავს ედგა: როგორც გვირგვინი.

დემოკრატიული გერმანიის პოეზიები

რუდოლფ ლაონჰარდი

ტ უ ს ა ლ ი

★

წამებულ ტუსას სულს უხუთავს საკანი ბნელი...
ექვსი წელია, ექვსი მეტად ხანგრძლივი წელი.
ხან თუ დარაჯთა ნაბიჯის ხმას ტუსალი ისმენს,
ისიც მიწყდება და დუმილი მეფდება ისევ:
არც თუ მეგობართ სიტყვა ესმის, ტაატივ ნელით
საპრობილეში დღე დღეს მისდევს და წელს კი — წელი
და ყრუ კედლები შენობისა დუმან და დუმან,
დუმს ეს ნათურაც, რომ მიჰკვრია ჭერს საგანგებოდ,
საკნის ნომერიც სარკმლის თავზე ჰკიდია ჩუმად...
ო, რა წყეული, საშინელი დუმილი მეფობს.

მაგრამ არც ერთი სხვა სახელი არა ქუხს ისე
მთელ მსოფლიოში, ვით სახელი ამ პატიმრისა,
რომელსაც ტანჯავს საპრობილის დუმილი შქისე,
არც დღე, არც ღამე მას არა ჰყავს გამცემი ხმისა.
ქუხს ეს სახელი დაფდაფების ხმაზე ძლიერი,
კედლებზე გაკრულ ფურცლებიდან გვექანის იგი,
ყრუ საკნისაკენ მიპრობილა დღენ მადლიერი
მილიონების ჭკუა, მზერა, ზრახვები დიდი.

მარტო როდია ის საკანში, მასთან ვართ ჩვენაც...
საუკუნეზე ამაღლდება იგი ზვიადად.
ჩაუვარდება მის წინ მსაჯულთ მუცელში ენა,
იმით, ვინც იგი ჩათვალეს მუნჯ ადამიანად.
ის ხალხს აღვიძებს, მოუწოდებს თვისი ძახილით,
სწორ გზას უჩვენებს, რომ ფეხით არ გასარისოს მტერმა,
და ყოველ დილით ჩვენს ბაგეებს სწყდება სახელი:
— ტელმანი!



კუბა

ასე იტყვიან ჩვენს დღეებზე
შთამომავალნი

★

ასე იტყვიან ჩვენს დღეებზე შთამომავალნი:
„ძვირად დაუჯდათ
დანგრეული ქვეყნის შენება.
ქველისგან დარჩათ
ნამსხრევები,
ლორდი მრავალი,
იბრძოდნენ დარდით სისხლგამშრალნი
შეუსვენებლად.

მაგრამ სწორი გზით მიდიოდნენ“ —
იტყვიან ასე.
ყურს დაუგდებენ
გაზაფხულის ჩანჩქერთა ჩხრიალს,
თან გახედავენ ფართო უბნებს,
ხმაურით სავსეს,
სკოლებს და ქარხნებს
და ბაღებში შადრევანთ შრიალს.

იტყვიან:
„მათთვის,
საფუძველი ვინაც ჩაყარა,
ის საუკუნე
იყო ძნელი და მეტად შიშიმე,
მაგრამ აგებდნენ,
არ კარგავდნენ მომავლის იმედს,
აღდგნენ ქალაქნი,
ველ-მინდვრები ყანამ დაფარა.

ბევრის გონება
დაიბინდა სისხლიან ომით.
„სამშობლოვ, მტკიცედი!“ —
ფეხზე ადგა მუშათა კლასი.
და ჰა, მოვიდა
დიდებული ეპოქა შრომის
და ეს ეპოქა
თვით ცხოვრებას ნიშნავდა მაშინ.

სტეფან ჰარმონი

ბ ა ლ ა დ ა

ყველა კეთილი ნების ადამიანს
 მოედინებზე სამღერლად

★

ქალაქი იქცა ნანგრევთა გროვად
 მკედრებით გაივსო ტბები, ველები,
 მიწა მოიცივა დარდმა და გლოვამ,
 ბორცვებზე დგანან სახრჩობელები,
 ქანდაკებების ქეითინი ისმის,
 ტბასთან ჩანს სახლთა ჩრდილები შავი
 და უცოდველთა ღალატებს სისხლი:
 — ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთეთ თავი!

ჩვენ მრავალნი ვართ, ის კი ერთია...
 ჩემს შვილს სიცოცხლე არ დააცალა,
 გაგვიტიალა ჯოგი ერთიან,
 ჩვენი ბოსლები სულმთლად გაცალა.
 უკანასკნელი ფარდული იწვის,
 თვით კი ქეიფს სწევს ბილწი და ავი,
 და მკედართა ძელები ინთება რისხვით:
 — ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთეთ თავი!

იგი ერთია, ჩვენ კი — ურიცხვი...
 ჩემთან დასახლდა უბედურება,
 გამქვევებია დარდით გულიც კი
 და არაფერი არ მეყურება;
 სარკვეში ვუმზერ ჩემს ტანჯულ სახეს,
 ბაგეს აკედება ღიმილი მწვაევი.
 — ეშაფოტისკენ! — წამოვიძახებ, —
 ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთეთ თავი!

ღიდხანს ცხოვრობდა ჩვენს შორის მყრალ
 სიბილწით სავსე, სიავე სრული,
 მან დააბრმავა მრავალი თვალი,
 შხამით მოწამლა მრავალი სული.
 ახლა მოცოცავს იგი შენს კართან,
 ფულებით ჯიბე რომ გაუვსია,
 იარაღს ხელი დასტაცე მარდად,
 ვერვოლფს შიგ გულში დაჰკარი ტყვი!

მინდვრად წევს ყანა აუღებელი,
 ჩამონგრეული სახლები დგანან...



და რომ არ აღდგე, ვით შურშგებელი,
როგორც გრიგალი, მოითმენ განა?
ტყბილ სიჭულვილის ტრფობაო მწარევე,
ჩვენ აღარ გეზარავს სიკვდილი სულაც, —
ლანჩრის ვოდებას ნუ შეიწყნარებ,
ვადაუხადე სიავე სრულად.

ვერვოლფს სიკვდილი უმძიმს ძალიან,
მაგრამ თავიდან სჯობს მოვიცილოთ.
პირდაპირ ომში იგი მხდალია
და ბნელ კუთხიდან თავდასხმას ცდილობს.
მაშ ყველაფერი შეიგნე მკვეთრად,
მკითხავენბისა ნუ გჯერა სულაც:
უბედურებამ თმა გამითეთრა,
ეს ყოველივე აღნუსხე სრულად.

ხელი დასტაცე ცულსა და ფიწალს,
მსწრაფლ ჩამოხსენი კედლიდან თოფი,
მტერი აქვეა, შეხედე, იცან,
გარს გვივლის ჩუმად აღესილი ცოფით.
მიუნცერტიც კი აღმდგარა რისხვით
და სამშობლოსთვის მებრძოლებს იწვევს,
შენც მტერს დაჰკარი, აღინე სისხლი,
რომ ხალხმა აღარ იტიროს ისევ.

ურცხემა ვერვოლფმა კოკონზე დასწვა
უძვირფასესი წიგნები ჩვენი,
შენს დას ნამუსი ახადა, გახრწნა,
დაახრჩო, მოსპო ბავშვები შენი.
მას, ვინც სიცოცხლე მოუსპო ტელმანს,
ელის წამება და სახრჩობელა,
რომ საზღაური მიიღოს მტერმა,
რომ არ იტიროს ხალხმა მშობელმა.

მგელი დაახრჩე, გაანადგურე
ბუდე ფაშისტთა შეთქმულებისა,
ჯერ კიდევ ესმის კარგად ჩემს ყურებს
გრიგალი განთქმულ „კატუშებისა“.
ქერივ-ობლებს ვიხსნით, ავაგებთ სახლსაც,
შრომაა ახლა თავი და თავი,
და თუ ტანჯვისგან გსურს თავის დახსნა,
ვერვოლფს ახლავე მოჰკვეთე თავი!

1945.

თარგმანი ვერმანულოდან
პახტანავ გეფუქელისა

ი. ბ. სვალინი სოციალისტური ეპოქის შესახებ



პირველად მარქსისტული აზროვნების ისტორიაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ერის ცნების ამომწურავი განსაზღვრა.

„ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულეობაა კულტურის ერთობა“.

ცალკე აღებული რომელიმე ნიშანი საკმარისი არ არის ერის განმარტებისათვის. უფრო მეტიც: საკმარისია გამოვავლოთ რომელიმე ამ ნიშანთაგანი, და ჩვენ უკვე აღარ გვექნება ერი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული მტკიცე ერთობა.

„მხოლოდ ყველა ნიშანი, ერთად აღებული, გვაძლევს ერს“¹.

ერის ამ დასრულებულ მარქსისტულ-ლენინურ განსაზღვრას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ერის სტალინურმა განმარტებამ დაასამარა ყველა ჯურის ბურჟუაზიულ-იდეალისტური თეორიები, რომელთა მიხედვით ერის დამახასიათებელ ნიშნებად აღიარებული იყო რასა, რელიგია, „ეროვნული სული“ და სხვა მსგავსი მომენტები, რომელთაც ერის მეცნიერული განსაზღვრისათვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ

ნიშანს წარმოადგენს განსხვავებული ფსიქიკური წყობა, რომელიც თავს იჩენს ერის კულტურის ერთობაში. ზოგჯერ სულიერი განსხვავებანი ერებს შორის უფრო რელიეფურად მოჩანან, ვიდრე სხვა ნიშნები, და შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ზოგიერთი მეცნიერი ფსიქიკური ხასიათის განსხვავებას ერების განსხვავების ერთადერთ ნიშნად აღიარებს. ამხანაგი სტალინი წერს, რომ „სინამდვილეში ერის არავითარი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი არ არსებობს“.

ერის ფსიქიკური წყობის ერთობა (ნაციონალური ხასიათი) იქმნება გარკვეულ ისტორიულ პირობებში და იცვლება ამ პირობების შეცვლასთან დაკავშირებით. ადამიანის ფსიქოლოგია სოციალურად განსაზღვრულია. ხალხის ფსიქოლოგია მისი რეალური ცხოვრების ანარქლია. „ლაბარაკი ნაციონალურ გრძნობაზე, როგორც დამოუკიდებელ ფაქტორზე, — გვასწავლის ლენინი, — მხოლოდ საქმის დედაარსის მიფურჩეხებას ნიშნავს“². ამავე გარემოებაზე მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“: „ცნობიერება არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არა ყოფიერების შეგნება, ხოლო ადამიანთა ყოფიერება არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი“².

ამგვარად, შეუძლებელია ერის განსაზღვრა მხოლოდ ნაციონალური ხასიათით, თუ მხედველობაში არ იქნა მიღე-

¹ ე. ი. ლენინი, თბ. ტ. 1, გვ. 171.

² ე. ი. მარქსი და ე. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგია“, გვ. 16.

ბული მატერიალური პირობები, რომლებშიც მას ცხოვრება უხდება.

ერის წარმოშობა აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის დამახასიათებელი სოციალური მოვლენაა. ეკონომიური ცხოვრების ერთობა ეროვნების ერთ-ერთ განსაზღვრულ ნიშანს წარმოადგენს. აღამიანთა ეკონომიური კავშირი კაპიტალიზმის დროს წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც აგვირგვინებს ხალხების ერებად ჩამოყალიბების პროცესს. და, ცხადია, მას არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი განსაზღვრისათვის.

ამხანაგი სტალინი წერს: „ბაუერს ვაუვალი ზღვარი გაჰყავს ერის „განმასხვევებელ ნიშანსა“ (ნაციონალური ხასიათი) და მისი ცხოვრების „პირობებს“ შორის, ერთმანეთისაგან სწყვეტს მათ... გამოდის არა ერი, ცოცხალი და მოქმედი, არამედ რაღაც მისტიკური, მიუწვდომელი და იმჭვეწიური რამ“¹.

ერის ეკონომიური განვითარება გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში ხდება. საწარმოო ძალთა განვითარება და მისი შესატყვისი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება წარმოუდგენელია განსაზღვრული ტერიტორიის გარეშე. ერის კონსოლიდაცია წარმოებს ხანგრძლივი ურთიერთკავშირის შედეგად მოკლებულ ტერიტორიაზე. არ არსებობს ერი, რომელიც არ ჰფლობდეს ტერიტორიას კომპაქტური მოსახლეობით. ეკონომიურმა და ტერიტორიულმა განცალკევებამ წარმოშვა ამერიკის შეერთებული შტატების ცალკე ერი მთელი თავისი სპეციფიკით, როგორც ინგლისელებისაგან განსხვავებული ერი.

ერის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ენას. „ენის ერთობა ერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია... ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც აღამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზია-

რებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“¹. არ არსებობს ერთ ენობრივი ერთობის მატარებელი მხოლოდ ენობრივი ერთობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ განსაზღვრავს ერს, როგორც ამას ფიქრობდა გერმანელი სოციალ-მოვიზინისტი კ. კაუცკი. მართალია, ენა უმნიშვნელოვანესი, მაგრამ მინც ერთ-ერთი ნიშანია ერისა. „ინგლისელები და ჩრდილო-ამერიკელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ისინი ერთ ერს არ შეადგენენ. იგივე უნდა ითქვას ნორვეგიელებსა და დანიელებზე, ინგლისელებსა და ირლანდიელებზე“². საერთო ენა მხოლოდ სამ დანარჩენ ნიშანთან ერთად განსაზღვრავს ერს. ამასთანავე, ვინც ფიქრობს, რომ ენა არის არა ერთ-ერთი, არამედ ერთადერთი ნიშანი, ის აუცილებლად უარყოფს ერს, როგორც აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიულ კატეგორიას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენობრივი ერთობა, რამდენადაც თავისებური ფორმით, ახასიათებს ხალხებს მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის დროსაც.

ასეთია, მეტად მოკლედ გადმოცემული, ერის მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც გენიალური სისრულით და სიცხადით ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ მსოფლიო ომისა და რევოლუციის წინაპერიოდში ამხანაგმა სტალინმა თავის კლასიკურ შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

ერი ისტორიული კატეგორიაა. ხალხების ბურჟუაზიულ ერებად ჩამოყალიბება ხდება აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში. ამიტომ, ცხადია, ბურჟუაზიული ერების ბედი დაკავშირებულია კაპიტალიზმის არსებობასთან. როცა კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური დამხობა ხდება, ამით ბოლო ედება ბურჟუაზიული ერების არსებობასაც, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ერების

¹ ი. სტალინი, „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, გვ. 14 — 20.

² ი. სტალინი, ობზ. ტ. 2, გვ. 316.

ლიკვიდაციას საზოგადოდ. კაპიტალიზმის დამხოებით ბოლო ეღება ბურჟუაზიული ერების არსებობას და საფუძველი ეყრება ახალ, სოციალისტურ ერებს, რომელთაც დიადი და ბრწყინვალე მომავალი აქვთ.

★

ოქტომბრის რევოლუციის გრანდიოზულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ნაციონალური საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, სულ სხვადასხვა ხალხთა მუშების, გლეხების და ინტელიგენციის მძერი თანამშრომლობა, ხალხთა დიადი მეგობრობა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის საშუალებით. სოციალისტური რევოლუცია კი ბოლოს უღებს ბურჟუაზიული ერების არსებობას და დასაბამს აძლევს ახალ, სოციალისტურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, როგორც სოციალისტური ერების წარმოშობისა და განვითარების საფუძველს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კაცობრიობის ისტორია იცნობს ერების ახალ ტიპს, სოციალისტურ ერებს, რომელნიც ძირეულად განსხვავდებიან ძველი ტიპის ბურჟუაზიული ერებისაგან, როგორც მატერიალური საფუძვლებით, ისევე თავისი სულიერი სამყაროთი.

ბურჟუაზიული ერები ემყარებიან ერთი საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, კლასობრივ და ნაციონალურ ჩაგვრას. ამიტომ მათ იდეურ დროშას წარმოადგენს ნაციონალიზმი, შოვინიზმი.

„ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები ამ პერიოდში ასეთი ერების მთავარი ხელმძღვანელი ძალა იყვნენ და არიან. კლასობრივი მშვიდობა ერის შიგნით „ერის ერთიანობის“ გულისათვის; თავისი ერის ტერიტორიის გაფართოება სხვისი ნაციონალური ტერიტორიების დაპყრობის გზით; სხვა

ერებისადმი უნდობლობა და სომუღველი; ნაციონალურ უმცირესობათა ჩახშობა; იმპერიალიზმთან ერთობიანი ფარსტი, — ასეთია ამ ერების იდეური და სოციალ-პოლიტიკური ავლადიდება“¹.

ბუნებრივია, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, რომ ასეთი ერების ბედი, მათი მთელი არსება დაკავშირებულია კაპიტალიზმთან და, ცხადია, კაპიტალიზმის ლიკვიდაციასთან ერთად ხდება ბურჟუაზიული ერების ლიკვიდაციაც. მაგრამ ძველი ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე აღმოცენდებიან და განვითარდებიან ახალი სოციალისტური ერები, რომლებიც პრინციპულად განსხვავდებიან ძველი ბურჟუაზიული ერებისაგან.

ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობის განხორციელება (პროლეტარიატის დიქტატურა) ნიშნავს მის ამალგებას „ერის წამყვანი კლასის მდგომარეობამდე“. თავისი კლასობრივი ბატონობის პირობებში პროლეტარიატმა უნდა „ჩამოაყალიბოს თავისი თავი ერთად, ამიტომ თვით იგი ჯერ კიდევ ნაციონალურია, თუმცა სრულიადაც არა იმ აზრით, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის“².

როგორც ვხედავთ, კ. მარქსს და ფ. ენგელსს სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გარკვეული პერიოდი წარმოდგინილი აქვთ როგორც ცალკე ერებისაგან შენდგარი საზოგადოება. ამჯერად ერების წამყვან ძალად, ჰეგემონად გვევლინება პროლეტარიატი და ამიტომ ისინი არსებითად განსხვავდებიან იმ ერებისაგან, რომელთა სათავეში ბურჟუაზიული კლასი დგას. ამასთანავე მარქსიზმის ფუძემდებელთათვის ნათელია, რომ კომუნისმის უმაღლეს საფეხურზე

¹ ი. ნტალინი, თხ. ტ. 11, გვ. 374.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 73.

უნდა წაიშალოს ეროვნული განსხვავებანი ადამიანთა შორის. „ხალხთა ნაციონალური განკერძოება და დაპირისპირებანი უფრო და უფრო ქრებიან, რაც უფრო ვითარდება ბურჟუაზია, იქმნება ვაჭრობის თავისუფლება, მსოფლიო ბაზარი, სამრეწველო წარმოების ერთნაირობა და მისი შესაფერისი ცხოვრების პირობები.

პროლეტარიატის ბატონობა კიდევ უფრო დააჩქარებს მათ ვაჭრობას“¹.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ ძველი, ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე სოციალისტური რევოლუციის შედეგად წარმოიშობიან და ვითარდებიან ახალი, სოციალისტური ერები, „რომლებიც გაცილებით უფრო მჭიდროდ შეკავშირებული და სიცოცხლისუნარიანი არიან, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი“².

ბუნებრივია, რომ დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური ერების შესახებ შეიქმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ამ მოძღვრების შემოქმედია ლენინის უკვდავ საქმეთა განმგებლობი, ხალხთა დიდი ბელადი და გენიალური მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. „ამხანაგ სტალინს ეკუთვნის განსაკუთრებული როლი ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემუშავებაში. მან გაამდიდრა მარქსიზმ-ლენინიზმი ერის თეორიით, განავითარა ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობის შესახებ, იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, შეიმუშავა თეორიული საფუძვლები კომუნისტური პარტიის ეროვნულ პოლიტიკისა საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში, შექმნა მოძღვრება სოციალისტური ერების შესახებ და

კომუნიზმის გამარჯვებისათვის მათი განვითარების შესახებ“³.

შემთხვევითი როდენი სოციალისტური ერების შესახებ თეორიის ყოველმხრივი დამუშავება ამხანაგ სტალინს მოუხდა 1929 წელს. 1929 წელი დადი გარდატეხის წელი იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უზარუნველყოფილ იქნა გადამწყვეტი გამარჯვება ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დარგში; მიღწეულ იქნა სერიოზული წარმატებანი სოფლის მეურნეობაში; დაიწყო საშუალო გლეხთა მასების მობრუნება კოლმეურნეობებისაკენ; მოშინადა პირობები სოციალიზმის გაშლილი შეტევისათვის.

კოლოსალური ძვრები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოითხოვდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ განვითარებასა და კონკრეტიზაციას. ეს დიადი მისია ბრწყინვალედ შეასრულა დიდმა სტალინმა.

სოციალიზმის მშენებლობის საერთო ამოცანები მოითხოვდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებას ნაციონალური საკითხის თეორიული საფუძვლების დარგშიაც. საჭირო იყო ოქტომბრის შემდგომი პერიოდის გამოცდილების შეჯამება, განზოგადება და ნათელი პერსპექტივების დასახვა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების, ამ სახელმწიფოში შემავალი ყველა ერის, ეროვნული ენისა და კულტურის განვითარების დარგში.

ლენინიზმის დაცვისა და შემდგომი განვითარების გრანდიოზული ამოცანა ამ სფეროშიაც ბრწყინვალედ შეასრულა ამხანაგმა სტალინმა, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც ნაციონალური საკითხის გამოჩენილი თეორეტიკოსი.

¹ ვ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 73—74.

² ს. სტალინი, თხზ. ტ. 11 გვ. 377.

³ ლ. ბერიძე, სიტყვა საკავშირო კ. პ. (X) XIX ყრილობაზე.



კლასიკურ შრომაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, რომელიც 1929 წლის 18 მარტით არის დათარიღებული და პირველად დაიბეჭდა ავტორის თხზულებათა მეთერთმეტე ტომში, ამხანაგი სტალინი მიუთითებს მთელ ეპოქაზე, „როდესაც საბჭოთა კავშირში შეიქმნენ სოციალისტური ერები, რომლებიც წარმოიშვენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე“¹.

სოციალისტურმა რევოლუციამ მოახდინა ბურჟუაზიული ერების ლიკვიდაცია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, რომ რევოლუციამ მოახდინა ერების ლიკვიდაცია საზოგადოდ, როგორც ეს ეჩვენებოდათ რენეგატ კ. კაუტსკისა და მის თანამოაზრეებს. სრულიადაც არა. რევოლუციის შედეგად „ძველი, ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე ჩნდებიან და ვითარდებიან ახალი, სოციალისტური ერები, და ეს უკანასკნელნი გაცილებით უფრო მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი, ვინაიდან თავისუფალი არიან შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ბურჟუაზიულ ერებს ღრღნიან, და გაცილებით უფრო საერთო-სახალხოანი არიან, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი“².

ამრიგად, სოციალისტური ერების კონსოლიდაციის პროცესი იწყება ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის შედეგად. ეს პროცესი რთულია: პრაქტიკულია. იგი არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიული ერების ფორმირების პროცესისაგან. პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას კომუნისტურ-პარტია წარმოადგენს, არის ძირითადი საყრდენი სოციალისტური ერების ფორმირებისათვის.

სსრ კავშირის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის წარმატებანი ქვეყნის

ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეფორმირებისა და კულტურის რევოლუციის დარგში წარმოადგენენ აუცილებელ პირობებს სოციალისტური ერების შექმნისა და განვითარებისათვის.

სოციალისტური ერების კონსოლიდაცია და განვითარება ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ბურჟუაზიული ერებისა, იმიტომ, რომ სოციალისტური ერების სათავეში დგას პროლეტარიატი და მისი კომუნისტური პარტია, რომელთაც ჯერ კიდევ კაპიტალიზმის პირობებში და მასთან ბრძოლაში განვლეს განვითარების გარკვეული გზა, შეიმუშავეს თავიანთი ბრძოლისა და გამარჯვების იდეოლოგია — ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვქონოთ ის გარემოება, რომ ახალი, სოციალისტური ერების წარმოშობა ხდება „ძველი ბურჟუაზიული ერების ბაზაზე“.

კაპიტალიზმის საბოლოო ლიკვიდაცია ქალაქად და სოფლად, რაც გააფთრებელი კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა, ბურჟუაზიისა და მისი ნაციონალისტური პარტიების განადგურება, კლასობრივი მტრის აგენტურის — ხალხის მტრების ტროცკისტების, ბუხარინელების და ყველა ჯურის სხვა ორგულთა, მათ შორის ნაციონალ-უკლონისტების, განადგურება წარმოადგენენ აუცილებელ პირობას სოციალისტური ერების სრული ჩამოყალიბებისათვის.

სოციალისტური ერები, გვასწავლის ამხანაგი სტალინი „განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე რუსეთში კაპიტალიზმის დამშობის შემდეგ, ბურჟუაზიისა და მისი ნაციონალისტური პარტიების ლიკვიდაციის შემდეგ, საბჭოთა წყობილების დამკვიდრების შემდეგ“³.

¹ ი. სტალინი, თხზ. ტ. 11, გვ. 377.

² იქვე, გვ. 377.

³ ი. სტალინი, თხზ. ტ. 11, გვ. 375.

ამრიგად, ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთების საბოლოო მოსპობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში, ამავე დროს, წარმოადგენდა ბრძოლას ახალი, სოციალისტური ერების ჩამოყალიბებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ახალი, სოციალისტური ერები ძირეულად განსხვავდებიან ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც სოციალ-ეკონომიური ცხოვრების სტრუქტურით, ისე თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მისწრაფებით. შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის დროს სთიშავენ ბურჟუაზიულ ერებს ორ მოპირდაპირე ბანაკად. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეარიგდეს ბურჟუაზიული ერის შიგნით არსებული ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობა, შექმნას ე. წ. „საერთო ნიადაგი“. ბურჟუაზიულ ერებს, ისე როგორც თვით კაპიტალიზმს, განუწყვეტლივ ღრღნის და არყევს კლასობრივი ბრძოლა, რომელიც აუცილებლად რევოლუციის გზით უნდა გადაწყდეს. ამასთან, მეტად საგულისხმოა, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში, როცა ხალხთა ფართო მასები (მუშები და გლეხები) მოკლებული არიან მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობას, ჩამოშორებული არიან სახელმწიფო მმართველობისაგან და არსებითად არ მონაწილეობენ ქვეყნის ეროვნულ ცხოვრებაში, ცხადია, უაღრესად შეზღუდულია თვით ერის ხალხურობა.

სულ სხვა საფუძველზეა აგებული და ამიტომ პრინციპულად განსხვავებული ბუნებისაა სოციალისტური ერი. სოციალისტური ერები სრულად სარგებლობენ იმ დიდებული ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კეთილდღეობით, რასაც ქმნის სოციალისტური წყობილება. მხოლოდ სოციალიზმის პირობებში გახდა შესაძლებელი მთელი ერის აქტიურად ჩაბმა თავისი ქვეყნის პოლი-

ტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სოციალისტურმა ერებმა არ იციან კერძო საკუთრება საწარმოთა ნაშუალებებზე, ექსპლოატაცია და ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობანი, ამიტომ ისინი უაღრესად შემქმნდროებული, ერთიანი და დარაზმული არიან. სოციალისტური ერი, რომელიც თავისი სუბიექტის პატრონია, ნამდვილად მოიცავს მთელ ხალხს.

მხოლოდ სოციალისტური ერებისაგან შემდგარ საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ისეთი განსაკუთრებული მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა: საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა, საბჭოთა პარტიოტიზმი; მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ასეთ მამოძრავებელ ძალებს ემყარება, უაღრესად მტკიცე სახელმწიფოა, იგი მტრისათვის მიუვალ სიმაგრეს წარმოადგენს.

სოციალისტური ერების ბუნებისა და არსის უბადლო, კლასიკური დახასიათება მოცემულია ამხანაგი სტალინის შრომაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“:

„მუშათა კლასი და მისი ინტერნაციონალისტური პარტია წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც მტკიცედ აკავშირებს ამ ახალ ერებს და ხელმძღვანელობს მათ. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი ერის შიგნით—კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის; ეროვნული ჩაგვრის ნაშთების მოსპობა ერთა და ნაციონალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფალი განვითარებისათვის; ნაციონალიზმის ნაშთების მოსპობა ხალხთა შორის მეგობრობის დამყარებისა და ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებისათვის; ყველა ჩაგრულ და არასრულუფლებიან ერთან ერთიანი ფრონტი დაპყრობათა პოლიტიკისა და დაპყრობითი ომების წინააღმდეგ ბრძოლა-

ში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, — ასეთია ამ ერების სულიერი და სოციალ-პოლიტიკური სახე.

ასეთი ერები სოციალისტურ ერებად უნდა მივიჩნიოთ.

ეს ახალი ერები წარმოიშენენ და განვითარდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად, — სოციალიზმის სულისკვეთებით მათი ძირეული გარდაქმნის გზით¹.

ი. სტალინის მიერ მოცემულ ერის კლასიკური განსაზღვრის, ახალი, სოციალისტური ერების შესახებ მისი მოძღვრებისა და საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს გრანდიოზული გამოცდილების საფუძველზე ამხ. ლ. ბერიამ ჩამოაყალიბა მოწინავე სოციალისტური ერის მთავარი დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები:

„ჯერ ერთი, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელშიც არ არიან ექსპლოატატორული კლასები და მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

მეორე, დიდად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

მესამე, მთელი მოსახლეობის მიერ წერა-კითხვის ცოდნა, ბავშვების სავალდებულო სწავლა, უმაღლესი განათლების განვითარებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტთა ეროვნული კადრების მომზადებას მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის; მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავება.

მეოთხე, მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლეხთა შემოსავლის ზრდის უზრუნველყოფის გზით, საქონელბრუნვის განვითარების, ქალაქებისა და მათი

კეთილმოწყობის ზრდის, საბინაო პირობების გაუმჯობესების გზით, საჭიდო, ნოდან დაწესებულებათა ფართო ქსელი, რაც უზრუნველყოფს ხალხის ჯანმრთელობის დაცვას.

მეხუთე, ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიის, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის გამარჯვება².

ასეთია საბჭოთა კავშირში ყველა ერის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები. მოწინავე სოციალისტური ერები ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მაგალითია მთელი მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, რომელიც ნათლად ხედავს, თუ რის მიღწევა შეუძლია ხალხს, რომელიც იმპერიალიზმის უღელს გადაადგდებს და კომუნისმის მშენებლობის დიად ლენინურ-სტალინურ გზას დაადგება.

ბურჟუაზიული წყობილების დროს ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესი ხანგრძლივია და იგი მიმდინარეობს ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის დროში, ნაციონალიზმის დროში, რასაც გარდაუვალად თან ახლავს სისხლისმღვრელი ომები (საკმარისია გავიხსენოთ გერმანიის, იტალიის, პოლონეთის გაერთიანებისათვის წარმოებული ომები).

პრინციპულად განსხვავებულია სოციალისტური ერების წარმოშობისა და განვითარების პირობები. სოციალისტური ერების კონსულიდაცია ხორციელდება მუშათა კლასის ჰეგემონიით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დროში. ეს გარემოება სავსებით გამორიცხავს ყოველგვარ შეხლა-შემოხლას და ომებს ეროვნულ ნიადაგზე. გარდა ამისა, სსრ კავშირის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების მაღალი ტემპი იწვევს იმას,

¹ ლ. ბერია, სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) 19 ყრილობაზე.

რომ ხალხების კონსოლიდაცია ერებად, მათი ერთ სახელმწიფოში გაერთიანება წარმოებს დროის უაღრესად მცირე მონაკვეთში. როგორც ცნობილია, გერმანიისა და იტალიის გაერთიანებას ათეული წლები დასჭირდა. „პოლონეთის გასაერთიანებლად ბურჟუაზიას მთელი რიგი ომები დასჭირდა. თურქმენეთისა და უზბეკეთის გასაერთიანებლად კი კომუნისტებს დასჭირდათ მხოლოდ რამდენიმე თვის ახსნა-განმარტებითი პროპაგანდა“¹.

★

საბჭოთა სინამდვილემ ცხადყო, რომ პროლეტარული რევოლუციის შემდეგ და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების დროს ეროვნული განსხვავებანი, ეროვნული ენა, კულტურა, ყოფაცხოვრება კი არ მოისპო, არამედ გიგანტური ძალით განვითარდა, ახალი შინაარსი ჰპოვა ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაასამარა კაუტსკის შეხედულებანი ერების საყოველთაო ასიმილაციის შესახებ. სოციალიზმის გამოცდილებამ ცხადყო სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით შევიწროებული ერები კი არ გაითქვიფნენ უფრო ძლიერ ერში, არამედ გარდაიქმნენ ახალ სოციალისტურ ერებად, მთელი ძალადონით დაეწაფნენ რევოლუციის მონაპოვარს და უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი ეროვნული აღორძინების გზაზე, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აღმავლობის საქმეში.

ამხანაგი სტალინი არა ერთგზის აღნიშნავს, რომ მარქსისტები არასოდეს არ იზიარებდნენ იმ აზრს, თითქოს ნაციონალური განსხვავებანი, ეროვნული ენა, კულტურა უნდა მოისპოს სოცია-

ლიზმის დროს. პირიქით, ეროვნული განსხვავებანი ხალხებს უკვეყნებს შორის „კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს გასძლებენ მას შემდეგაც კი, რაც პროლეტარიატის დიქტატურა მსოფლიო მასშტაბით განხორციელდება“².

ლენინისა და სტალინის თეორიული დებულებანი ბრწყინვალედ დადასტურდა საბჭოთა სინამდვილეში. უკრაინელები და ბელორუსები, როგორც სლავები, ყველაზე ახლო დგანან რუსებთან და, მიუხედავად ამისა, არათუ არ გაითქვიფნენ მათში, არამედ საბჭოთა პირობებში გარდაიქმნენ რა სოციალისტურ ერებად, ეკონომიური და კულტურული აღორძინებით მკვეთრად განავითარეს თავიანთი ეროვნული ინდივიდუალობა. „ისეთი ერები, როგორც არიან თურქმენები, ყირგიზები, უზბეკები და ტაჯიკები (ქართველებზე, სომხებზე და აზერბაიჯანელებზე და სხვებზე რომ აღარა ვთქვა რა), თავიანთი ჩამორჩენილობის მიუხედავად, არა თუ არ გარუსებულან სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებასთან დაკავშირებით, არამედ, პირიქით, აღორძინდნენ და განვითარდნენ, როგორც დამოუკიდებელი ერები“³.

ამასთანავე შეიძლება აღინიშნოს, რომ თვით ყველაზე დიდმა და მოწინავე რუსმა ერმა, რომელიც საბჭოთა წყობილების პირობებში გარდაიქმნა ახალ სოციალისტურ ერადა, შემდგომი მძლავრი ეროვნული კონსოლიდაცია განიცადა. რაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასა და საბჭოთა ქვეყანაში განხორციელებულ კულტურულ რევოლუციასთან, აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ, თუმცა ხალხების ერებად გარდაქმნა კაპიტალიზმის დროს ხდება, მაგრამ ეს პრო-

3

1 ვ. ი. ლენინი თხ. ტ. 31, გვ. 72.

2 ვ. სტალინი, თხ. ტ. 12, გვ. 397.

ცესი აბსოლუტურად დამთავრებული არ არის. მისი დამთავრება შესაძლებელი არ არის ისეთ წყობილებაში, სადაც მილიონების შრომის შედეგებს კერძო პირები ითვისებენ, ხოლო ფართო მასები სიღუფტობისა და უკულტურობაში ატარებენ მთელ თავიანთ ცხოვრებას. მხოლოდ სოციალიზმის დროს აქვთ მასებს საშუალება ბოლომდე და ყოველმხრივ ისარგებლონ თავიანთი სამშობლოს მიერ მოპოვებული ეკონომიური და კულტურული აღორძინების მთელი სიკეთით. მხოლოდ ასეთ პირობებში აღწევს ერი თავისი განვითარების სრულყოფას. ამაშია საბჭოთა წყობილებისა და მის საფუძველზე შექმნილი ახალი, სოციალისტური ერების სიდიადე.

ამრიგად, საბჭოთა სინამდვილემ ცხადყო, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პირობებში ნაციონალური განსხვავებანი, ეროვნული ენა, ყოფაცხოვრება და კულტურა კი არ ისპობა, არამედ, პირიქით, გიგანტური ძალით ვითარდება. ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში წარმოიქმნებიან და ვითარდებიან ახალი, სოციალისტური ერები. ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ, რომელსაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, დაასამარა ნაციონალური საკითხის გაგებაში კ. კაუცკის ანტიმარქსისტული შეხედულებანი.

სიტყვაში „აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოკანების შესახებ“ 1925 წლის 18 მაისს ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„ამბობენ (მაგალითად, კაუცკი), სოციალიზმის პერიოდში ერთიანი საერთო-საკაცობრიო ენა შეიქმნება, ყველა დანარჩენი ენა კი მოკვდება. მე ნაკლებად მჯერა ეს ერთიანი ყოვლისმომცველი ენის თეორია. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება ამ თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს და არა მის სასარგებლოდ. დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ სოციალისტური რევო-

ლუცია კი არ ამცირებდა, არამედ ზრდიდა ენათა რაოდენობას, ენაიდან, მაძრობაში მოჰყავს რა კაცობრიობის უღრმესი დაბალი ფენები და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჰყავს ისინი, იგი ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს მთელ რიგ ახალ ეროვნებებს, რომლებიც წინათ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ მეფის ძველი რუსეთი სულ ცოტა 50 ერსა და ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენდა? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ძველი ბორკილები გაგლიჯა და ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ხალხები და ეროვნებანი, რითაც მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება“¹.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სოციალისტური ერების განვითარების ძირითად და განმსაზღვრელ ტენდენციას სოციალიზმის დროს და სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათან გადასვლის პერიოდში წარმოადგენს ერების ყოველმხრივი განვითარება და კონსოლიდაცია. ამ მეცნიერულ დასკვნას ემყარება კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. შრომაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განსუქრიტა ერების, ეროვნული ენებისა და კულტურის განვითარების არა მხოლოდ ეს მიმდინარე პროცესი და ახლო პერსპექტივა, არამედ მათი განვითარების შორეული მომავალიც.

ამხანაგი სტალინი ერების გაერთიანებას კომუნისმის მსოფლიო მასშტაბის გამარჯვების შემდეგ განიხილავს როგორც ობიექტურ-ისტორიულ პროცესს, რომელიც სრულიად გამოირიყვავს ყოველგვარ ძალადობას ზემოდან, ვინაიდან ყოველგვარი ძალადობა ამ მიმართებით იქნებოდა ხელისშეწყობა იმპე-

¹ ი. სტალინი თბ. ტ. 11, 380—381.

² იქვე გვ. 334.

რიალიზმისათვის და იგი დაასამარებდა ერების განთავისუფლებისა და ძმური თანამშრომლობის საქმეს. დეკრეტებისა და ძალადობის „პოლიტიკა ასიმილაციის პოლიტიკის თანაბარი იქნებოდა“, მაშინ, როდესაც „ასიმილაციის პოლიტიკა უთუოდ გამოირიცხულია მარქსიზმ-ლენინიზმის არსენალიდან, როგორც ანტიხალხური, კონტრრევოლუციური პოლიტიკა, როგორც დამლუპველი პოლიტიკა“¹.

ასიმილაციის პოლიტიკა იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოლიტიკაა. მას, როგორც ცნობილია, იყენებდნენ კაცობია გერმანული ფაშიზმის მესვეურები, რომელთაც სასტიკი კრახი განიცადეს. ანალოგიური ბედი მოელოთ ამერიკელ იმპერიალისტებს, რომელნიც აბუჩად იგდებენ ყველა ერის სუვერენიტეტს, ენას, კულტურას და თავისუფლებას, ჭადაგებენ უგვარტომო კოსმოპოლიტიზმის იდეოლოგიას და მიისწრაფვიან იქითკენ, რათა ამერიკული დოლარის ძალას დაუმორჩილონ მთელი მსოფლიო, მოახდინონ ერების ძალდატანებით ასიმილაცია.

ამერიკელი განგსტერები ივიწყებენ ისტორიის გამოცდილებას იმის შესახებ, რომ „ერები და ეროვნული ენები განირჩევიან უაღრესი გამძლეობით და ასიმილაციის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით“².

ერებისა და ხალხების უხამსი ჩაგვრისა და ასიმილაციის ამერიკული პოლიტიკა ისევე დამარცხდება, როგორც თავის დროზე დამარცხდა თურქი ასიმილატორების საზიზლარი პოლიტიკა ბალკანეთში, ცარიზმის რუსეთისა და გერმანიის საშინელი პოლიტიკა პოლონეთში, სპარსეთისა და თურქეთის ჯოჯოხეთური პოლიტიკა სომხეთისა და საქართველოში.

ასეთი ისტორიული ფაქტების ცოდნასა და მათ სათანადოდ გათვალისწინებას, — გვასწავლის ამნანაგი სტალინი, — სერიოზული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო რევოლუციისათვის, რომელიც ხალხებისა და ერების ურთიერთობას ახალ, სოციალისტურ ნიადაგზე აფუძნებს.

„საპიროა მხედველობაში მივიღოთ ყველა ეს გარემოება, რათა სწორად გავითვალისწინოთ მოვლენათა მოსალოდნელი მსვლელობა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარიმართება ერის განვითარება უშუალოდ მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხების შემდეგ“¹.

მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხება მოასწავებს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას, მთელ მსოფლიოში ყველა ბურჟუაზიული ერების მოსაპობას და მათ ნანგრევებზე ახალი, სოციალისტური ერების განვითარებას. მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდის პირველ ეტაპზე ადგილი ექნება ყველა ერის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის სწრაფ განვითარებას, ამ ეტაპზე თვით-ეული სოციალისტური ერი ანვითარებს თავის ეკონომიურ ცხოვრებას, სახელმწიფოებრიობას, მეცნიერებას, მწერლობას, ხელოვნებას ეროვნულ ნიადაგზე. ამ ეტაპის „განმაილობაში საბოლოოდ მოისპობა ეროვნული ჩაგვრა, — ეს იქნება წინათ ჩაგრული ერებისა და ეროვნული ენების ზრდისა და აყვავების ეტაპი, ერთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების ეტაპი, ერთა ურთიერთუნდობლობის ლიკვიდაციის ეტაპი, ერთა შორის ინტერნაციონალური კავშირის დამყარებისა და განმტკიცების ეტაპი“².

ამ სახელმძღვანელო სტალინურ დებულებას, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმის დამხობისა და სოციალისტური

¹ ი. სტალინი, ობზ., ტ. 11, გვ. 384.

² იქვე, გვ. 384.

¹ ი. სტალინი, ობზ., ტ. 11, გვ. 385.

² იქვე, გვ. 385.

რევოლუციის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ ერების განვითარებისა და ურთიერთობის დიად და ნათელ პერსპექტივას გეისახავს, უდიდესი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ასეთი ბრწყინვალე თეორიული განვითარებისათვის უნებ მასალას გვაძლევს სსრ კავშირში სოციალისტური ერების ურთიერთობისა და განვითარების მდიდარი გამოცდილება. აქედან ჩანს, რომ კომუნისმის პირველ ფაზაში (სოციალიზმის დროს) ახალი, სოციალისტური ერების კონსოლიდაციის პროცესი არის საზოგადოების განვითარების კანონზომიერი ტენდენცია. მაგრამ, ცხადია, განვითარება ამასზე არ შეჩერდება. მაშასადამე, განვითარების არც ეს ტენდენცია იქნება მუდმივი და უცვლელი.

პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის მეორე ეტაპზე, როცა ჩამოყალიბდება ერთიანი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — სოციალისტური ერები აუცილებლად იგრძნობენ საჭიროებას თავიანთ საკუთარ ენასთან ერთად ჰქონდეთ ერთი საერთაშორისო ენა, რომელიც უპარესად გაუადვილებთ მათ ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ თანამშრომლობას. „მაშასადამე, ამ ეტაპზე ეროვნული ენები და საერთო საეროვნებათაშორისო ენა პარალელურად იარსებებენ“¹.

ამხანაგ სტალინს შესაძლებლად მიაჩნია, რომ პირველად შეიქმნეს არა ერთი მსოფლიო ეკონომიური ცენტრი ყველა ერისათვის საერთო ენით, არამედ რამდენიმე ზონალური ეკონომიური ცენტრი, საერთო ზონალური ენით. „და მხოლოდ შემდეგში ეს ცენტრები გაერთიანდებიან სოციალისტური მეურნეობის ერთ საერთო მსოფლიო ცენტრად ყველა ერისათვის საერთო ერთი ენით“².

მსოფლიო მასშტაბით კომუნისმის გამარჯვების შემდეგ, როცა იგი შევსდამიანთა ყოფა-ცხოვრებაში, როცა ცალკეული სოციალისტური ერები სრულად გამოავლენენ მთელ თავიანთ პოტენციას, საზოგადოების ეკონომიური ერთიანობის საფუძველზე დაიწყება ერებისა და ეროვნული ენების გაქრობის, ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც დაგვირგვინდება ყველა ერის კომუნისტურ საზოგადოებაში გაერთიანებით, საერთო კულტურით, ერთი საერთო ენით.

„ეროვნულ კულტურებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ განვითარდნენ და აყვავდნენ, გამოავლინონ მთელი თავისი პოტენცია, რათა შეექმნათ პირობები იმისათვის, რომ ისინი მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში შეერთდნენ ერთ საერთო კულტურად ერთი საერთო ენით. ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურების აყვავება იმისათვის, რომ ისინი შეერთდნენ ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურად ერთი საერთო ენით, როცა პროლეტარიატი მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს და სოციალიზმი ყოფაცხოვრებაში შევა, — აი სწორედ ეს არის ეროვნული კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიკურობა“¹.

კლასობრივ საზოგადოებაში, კერძოდ, კაპიტალიზმის პირობებში, ენების შეჯვარდინება შედეგად იძლევა არა ახალ ენას, არამედ ზოგიერთი ენების ჩახშობას, დამარცხებას, სხვათა გამარჯვებას. მაგალითად, თუ ორი ენა შეჯვარდება, ერთი მათგანი გაიმარჯვებს, ხოლო მეორე ენა მარცხდება და ისპობა. ასეთია ენათა განვითარების კანონზომიერება იმ საზოგადოებაში, სადაც ძალაშია კერძო საკუთრება, აღმართი ექსპლოატაცია, ეროვნული ჩაგვრა.

¹ ი. სტალინი, თხ. ტ. 11, გვ. 386.

² იქვე გვ. 386.

¹ ი. სტალინი, თხ. ტ. 12, გვ. 401—402.

ეროვნებათა შორის მტრობა, უხეში ძალადობისა და ასიმილაციის პოლიტიკა. მაგრამ ენათა განვითარების კანონზომიერება პრინციპულად განსხვავებული ხასიათისაა კომუნისტურ საზოგადოებაში, რომელიც სპობს ყველა ზემოაღნიშნულ ბოროტებას და ერებს შორის დაამყარებს ისტორიაში მანამდე არნახულ ინტერნაციონალურ სოლიდარობას, თანასწორობას, ურთიერთმეგობრობას. „გასაგებია, რომ ამ პირობებში ლაპარაკი კი არ შეიძლება ზოგი ენის ჩახშობასა და დამარცხებაზე და სხვა ენების გამარჯვებაზე. აქ საქმე გვექნება არა ორ ენასთან, რომელთაგან ერთი მარცხდება, მეორე კი ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის, არამედ ასობით ეროვნულ ენასთან, რომელთაგან ერთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეერთდებიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები“¹.

მსოფლიო ისტორიული მიღწევები ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის საქმეში მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. პარტია გადაწყვეტი ბრძოლით ორ ფრონტზე დიდმყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ზრდიდა მასებს ინტერნაციონალიზმის დიადი იდეებით, ხალხთა სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით.

ნაციონალიზმისა, კენ გადახრებთან ბრძოლის საკითხი ახლებურად დაისვა

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ. შეხვალთ ჩვენს ცენტრალურ-მისაკენ გადახრებთან ბრძოლის საკითხს. პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ დავა იმის შესახებ, თუ რომელი გადახრა წარმოადგენს ამჟამად მთავარ საფრთხეს, ფორმალური, ფუჭი დავაა. არ არსებობს ყველა დროისა და პირობისათვის გამოსადეგი რეცეპტები. „საკითხი მთავარი საფრთხის შესახებ ნაციონალური საკითხის სფეროში წყდება არა ცარიელ ფორმალური დავით, არამედ მოცემულ მომენტში საქმის მდგომარეობის მარქსისტული ანალიზით და იმ შეცდომების შესწავლით, რომლებიც დაშვებულია ამ სფეროში“².

მთავარი საფრთხეა ის გადახრა (სულ ერთია, დიდმყრობელური ნაციონალიზმი იქნება ეს, თუ ადგილობრივი), რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა შესწყვიტეს და, ამგვარად, იგი გადაიქცა სახელმწიფო საფრთხედ, ამიტომ, ამბობდა ამხანაგი სტალინი, ამოცანა ის არის, რომ შეუნელებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ორივე ფრონტზე — როგორც დიდმყრობელური, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ორივე გადახრის სათავე საერთოა. „ეს არის ლენინური ინტერნაციონალიზმისაგან დაშორება“. ეს არის ლალატი მშრომელთა ინტერესებისადმი, მისი დაქვემდებარება ბურჟუაზიის ინტერესებისადმი, ბურჟუაზიისა, რომელიც ნაციონალიზმის დროშით იბრძვის საბჭოთა წყობილების, სოციალიზმის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ აღადგინოს კაპიტალიზმი.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების განადგურების შედეგად მოსპობილ იქნა ის კლასობრივი ბაზა, რომელიც ნაციონალიზმს ასაზრდოებს.

¹ ი. სტალინი, „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, გვ. 51 — 52.

² ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 268

ნაციონალური საკითხი სსრ კავშირში გადაწყვეტილია, ეს არის სოციალიზმის ქვეყნის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნაციონალური საკითხი, ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი ჩვენში მოხსნილია. ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამთავრებულად, როცა აღარ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა და როცა სავსებით აღმოფხვრება კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში.

ცნობილია, რომ „კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში გაცილებით უფრო გამძლეა ნაციონალური საკითხის დარღვევით, ვიდრე რომელიმე სხვა დარღვევა“¹. ამის გამო ადამიანის შეგნება ამ დარღვევით უფრო მეტად ჩამორჩება მის მდგომარეობას. ამ ჩამორჩენას ხელს უწყობს ზოგიერთი მახინჯი მოვლენა — საბჭოთა თავისუფალი ადამიანისათვის შეურაცხყოფელი მონური ქედმოხრა დამპალი კაპიტალისტური „ცივილიზაციის“ წინაშე, რომელიც მთლიანად და სავსებით გაქვნილია შოვინიზმის იდეოლოგიით. დიდი სტალინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ „არსებობს გავლენა უცხო სახელმწიფოებისა, რომელნიც ყოველგვარ ნაციონალიზმს მხარს უჭერენ“, რომ აუცილებელია გადამკრედი ბრძოლა იმპერიალისტური, შოვინისტური იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ. ამ სახელმძღვანელო მითითების დაეწიება არ შეიძლება. ამიტომ ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, ვამხილოთ და ძირშივე აღვკვითოთ დიდმპყრობილური და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინება იდეურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში: მეცნიერებაში, ლიტერატურა-

ში, ხელოვნებაში და სხვ. ზოგიერთნი სწორედ ასეთ დარგში ცდილობენ შეპარონ რაიმე დოზით ნაციონალიზმს შეიძლება გამოახატოს კულტურული მემკვიდრეობისადმი არაკრიტიკული და მოკიდებულებით, ყოველგვარი ძველი ტრადიციებისა და ადათებისადმი ჩაბლაუტებით, წარსულის გადაკარბებული იდეალიზაციით, ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის როლის შეუფასებლობით და სხვ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ შეურთიგებელი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შემდგომი წარმატებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათან გადასვლის დიადი ამოცანის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. გამოცდილება გვეუბნება: „რომ არ გაგვენადგურებინა ყველა და ყოველგვარი ჯურის ნაციონალ-უკლონისტები, ჩვენ ვერ აღვზრდიდით ხალხს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ვერ დავიცავდით სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის დროშას, ვერ ავაშენებდით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს“².

ი. სტალინის გენიალური ნაწარმოებით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის უბადლო პროგრამას წარმოადგენს და XIX ყრლობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ძლევა მოსილად მიდის წინ. ახალ გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების შემოღობი განვითარების საქმეში, კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

¹ ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 267.

² სსრ კავშირში — ტ. 3. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 446.

კავშირისგარეშე ქვეყნებს შორის ომების გარდაუვალობის შესახებ

★

თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ი. ბ. სტალინმა ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ და დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენების გზები. დიდმა ბელადმა და მეცნიერების კორიფემ ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, მისი არსებითი ნიშნები და მოთხოვნები, რაც გულისხმობს მთელი საზოგადოების მუდმივად შვარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფას უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

ამავე დროს, ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, მისი მთავარი ნიშნები და მოთხოვნები, რაც გულისხმობს მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფას მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გალატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების, ხალხთა კაბალაში ჩაგდებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და საბალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებას, საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას შეეფარდება მისი სამშვიდობო პოლიტიკა. საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოსპობილია საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრება, და დამკვიდრებულია სოციალისტური საკუთრება, — არ არის კრიზისები და უმუშევრობა, არ არსებობს ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. ასეთ ქვეყანაში არ შეიძლება არსებობდეს მისწრაფება სხვა ქვეყნების ტერიტორიის დასაპყრობად, მილიტარიზმი და ომის გაჩაღების სურვილი.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კი ექსპლოატატორული კლასი ცდილობს დაიმონოს და გაძარცვოს ხალხები არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ უცხო ქვეყნებში, საერთაშორისო მასშტაბით. ხალხთა ფართო მასების უუფლებობა, მათი უღმობელი ექსპლოატაცია, ერთი ერის გაბატონება მეორეზე — ასეთია კაპიტალისტური სახელმწიფოების ბუნება.

ამხანაგი სტალინი გენიალური სიცხადით ასაბუთებს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომები გარდევალა. „ომების გარდევალობა რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მოვსპოთ იმპერიალიზმი“.

„იმპერიალიზმი, როგორც ამერიკისა და ევროპის, შემდეგ კი აგრეთვე აზიის,



კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, საე-
სებით ჩამოყალიბდა 1896 — 1914
წლებში“ (ვ. ი. ლენინი თხზ., ტომი
23, გვ. 131).

პარტიის ისტორიის მოკლე კურსში
ნათქვამია, რომ „ომები განსაკუთრებით
გარდუვალი გახდა, როდესაც კაპიტა-
ლიზმი XIX საუკუნის დამლევს და XX
საუკუნის დამდეგს საბოლოოდ გადაი-
ზარდა თავისი განვითარების უმაღლეს
და უკანასკნელ საფეხურში — იმპერია-
ლიზმში“ (გვ. 198).

იმპერიალიზმი მოასწავებს მსხვილი
კაპიტალისტური ქვეყნების გააფთრე-
ბულ ბრძოლას მსოფლიოს ხელახალი
განაწილებისათვის. ეს ბრძოლა წარ-
მოებს კაპიტალისტური ქვეყნების უთა-
ნაბრო ეკონომიკური და პოლიტიკური
განვითარების პირობებში, წინწარბენო-
ლი სახელმწიფოების ბაზრებიდან გამო-
ძევებისა და ახალთა დაწინაურების
გზით. მონოპოლისტური კაპიტალიზმი
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარ-
მოებს ბაზრებისათვის, ნედლეულის
წყაროებისათვის, გავლენის სფეროების
გაფართოებისათვის. „უკვე განაწილებუ-
ლი მსოფლიოს პერიოდული გადაწილე-
ლება, ამრიგად, აბსოლუტურ აუცილებ-
ლობად იქცევა“ (ი. ს. ტალინი თხზ.,
ტომი 8, გვ. 341).

ლენინმა განსაზღვრა იმპერიალიზმის
ხუთი ძირითადი ნიშანი: 1) წარმოებისა
და კაპიტალიზმის კონცენტრაცია, გან-
ვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე
მისული, რომ მან შექმნა მონოპოლიები,
რომლებიც გადაწყვეტ როლს თამაშო-
ბენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2) საბან-
კო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოს-
თან და ამ „ფინანსური კაპიტალის“ ბაზა-
ზე ფინანსური ოლიგარქიის შექმნა; 3)
კაპიტალის გატანას, საქონლის გატანა-
საგან განსხვავებით, განსაკუთრებით დი-
დი მნიშვნელობა ენიჭება; 4) იქმნება
კაპიტალისტების საერთაშორისო მონო-
პოლისტური კავშირები, რომლებიც
მსოფლიოს ინაწილებენ. და 5) დამთავ-

რებულია დედამიწის ტერიტორიული
განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ
სახელმწიფოებს შორის“ (ტ. 23, გვ. 135)

იმპერიალიზმის ძირითად, გადაწყვეტ
ნიშანს წარმოადგენს მონოპოლიების ბა-
ტონობა. „მონოპოლიები, ოლიგარქია
ბატონობისაკენ მისწრაფება თავისუფ-
ლებისაკენ მისწრაფების ნაცვლად, ერთი
მუჟა უმდიდრესი თუ უძლიერესი ერე-
ბის მიერ სულ უფრო და უფრო მეტი
რაოდენობის პატარა თუ სუსტი ერების
ექსპლოატაცია — ყოველივე ამან წარ-
მოშვა იმპერიალიზმის ის განმასხვავებე-
ლი თვისებანი, რომელიც გვაიძულებენ
დავახასიათოთ იგი როგორც პარაზიტუ-
ლი ან ლობობადი კაპიტალიზმი“ (იქვე, გვ.
379).

ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა იმპერიალიზ-
მის ეპოქაში კაპიტალიზმის უთანაბრო,
ნახტომისებური ეკონომიკური და პოლი-
ტიკური განვითარების კანონი, რომე-
ლიც განვითარა და ახალ საფეხურზე
აიყვანა ი. ბ. სტალინმა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ
მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქა-
ში ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნე-
ბის განვითარება უთანაბრო, ნახტომისე-
ბურ ხასიათს ატარებს. ამის შედეგად
იცილება ამ სახელმწიფოთა პოლიტი-
კურ, ეკონომიკურ და სამხედრო ძალთა
თანათვარდობაც. ზოგიერთი სახელმწიფო
ჩქარი ნაბიჯით, ნახტომებით უსწრებს
მეტოქეებს, ზოგიერთები კი უკან რჩე-
ბიან.

დაწინაურებული იმპერიალისტური
ქვეყნები, სადაც გაბატონებული არიან
მონოპოლიები, ცდილობენ გააფართო-
ვონ თავიანთი გავლენის სფეროები,
ხელში ჩაიგდონ ნედლეულის მდიდარი
წყაროები და ხელსაყრელი ადგილები
თავიანთი კაპიტალის დაბანდებისათვის.
ყველაფერი ეს ხდება იმ პირობებში.
როდესაც მსოფლიოს ტერიტორიული
განაწილება უკვე დამთავრებულია, რო-
დესაც აღარ დარჩა თავისუფალი, გაუ-
ნაწილებელი მიწები, როდესაც იმპერია-

ლისტებმა თავიანთ კოლონიებად და დამოკიდებულ სახელმწიფოებად აქციეს მთელი რიგი ქვეყნები. ასეთ ვითარებაში გავლენის სფეროების გაფართოება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სხვისი ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე. ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარება და მსოფლიოს განაწილების დამთავრება იწვევს გარდაუვალ კონფლიქტებს და შეჯახებებს მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის.

აი, კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების შედეგი:

XIX საუკუნის მეორე ნახევარმდე სამრეწველო წარმოების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა ინგლისს. მარქსი მას უწოდებდა მსოფლიოს სამრეწველო სახელოსნოს. ინგლისი ბატონობდა მსოფლიო ბაზარზე. იგი იყო ზღვების ბატონ-პატრონი და უდიდესი კოლონიური სახელმწიფო. 1860 წლისათვის ინგლისი იძლეოდა მეტ ქსოვილს, თუჯს, ფოლადს, ქვანახშირს, ვიდრე საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, იტალია, რუსეთი და იაპონია ერთად ალებული. ინგლისის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა საფრანგეთს. გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები სამრეწველო წარმოების მხრივ იმ დროისათვის მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ ინგლისს.

ათი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამრეწველო წარმოების მხრივ გაუსწრეს საფრანგეთს და მისი ადგილი დაიკავეს მსოფლიოში, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც ინგლისი იყო. კიდევ 10 წლის შემდეგ, XIX საუკუნის 80-იან წლებში, შეერთებულმა შტატებმა გაუსწრეს ინგლისს და პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. გერმანიამ კი გაუსწრო საფრანგეთს ოა მისი ადგილი დაიკავა შეერთებულ შტატებისა და ინგლისის შემდეგ. ოკეი XX საუკუნის დასაწყისში გერმანიამ გაუსწრო ინგლისს და

მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ხოლო ევროპის სამრეწველო წარმოებაში მას პირველი ადგილი ეკავა.

პირველი მსოფლიო ომი ძირითადად გამოიწვია იმ იმპერიალისტურმა წინააღმდეგობებმა, რომლებიც არსებობდა, ერთი მხრით, გერმანიასა და, მეორე მხრით, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. იმპერიალისტურ ასპარეზზე ასლად გამოსულმა გერმანიამ სწრაფად იწყო განვითარება და რაღაც 30-40 წლის განმავლობაში მსოფლიო ბაზრებზე სახიფათო კონკურენტი გახდა ისეთი ძლიერი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის, როგორც იყვნენ ინგლისი და შეერთებული შტატები. მრეწველობის განვითარებასთან ერთად გერმანიამ შექმნა ძლიერი, ტექნიკურად უზვად შეიარაღებული არმია და აგრეთვე ისეთი სამხედრო საზღვაო ფლოტი, რომელმაც მეტოქეობა დაუწყო იმ დროისათვის უძლიერეს დიდი ბრიტანეთის საზღვაო ფლოტს.

გერმანია მთელი ევროპის კონტინენტზე ბატონობის პრეტენზიას აცხადებდა. მან ამა თუ იმ ფორმით თავისი გავლენის ქვეშ მოიქცია ცენტრალური ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო და ბალკანეთიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ გაეშურა. იგი არ კმაყოფილდებოდა იმ კოლონიებით, რომლებიც აფრიკაში და წყნარი ოკეანის აღუშვი მოიპოვა და იწყო მაროკოს, ალჟირისა და საფრანგეთის სხვა კოლონიების ხელყოფა. იგი შერით შესცქეროდა ინგლისის კოლონიებსა და სამფლობელოებს და ცდილობდა მათს დაპყრობას.

ლენინი მიუთითებდა, რომ შეერთებულ შტატებში ეკონომიკური განვითარება უკანასკნელ ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა კიდევ უფრო სწრაფად, ვიდრე გერმანიაში, და სწორედ ამის მეოხებით ამერიკის კაპიტალიზმის პარაზიტული თვისებები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლენიდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ ლენინი მთავარ და სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად თვლიდა მხოლოდ სამ სახელმწიფოს: ინგლისს, გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. საფრანგეთს, რუსეთსა და იაპონიას ლენინი თვლიდა პირველხარისხოვან, მაგრამ არა სავსებით დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

ამხანაგი სტალინი განმარტავს, რომ „იმპერიალიზმში არის კაპიტალის გატანა ნედლეულის წყაროებთან, გაშმაგებული ბრძოლა ამ წყაროების მონოპოლურად დაპატრონებისათვის, ბრძოლა უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, ბრძოლა, რასაც განსაკუთრებული მძვინვარებით აწარმოებენ ახალი ფინანსიური ჯგუფები და სახელმწიფოები, რომელნიც ეძებენ „ადგილს მზის ქვეშ“ ძველი ჯგუფებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც მაგრად ჩაბლაუჭებიან ნადავლს. ეს გაშმაგებული ბრძოლა კაპიტალისტთა სხვადასხვა ჯგუფს შორის იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ ის შეიცავს, როგორც აუცილებელ ელემენტს, იმპერიალისტურ ომებს სხვისი ტერიტორიის დასაპყრობად“ (ლენინიზმის საკითხები, XI გამოც., გვ. 4).

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ომი არის სოციალური მოვლენა, რომელიც ახასიათებს კლასობრივ, ანტაგონისტურ საზოგადოებას. ომი ამა თუ იმ კლასის პოლიტიკის გაგრძელებაა ძალდატანების საშუალებით.

ლენინი წერდა: „ომი არის პოლიტიკის განგრძობა სხვა საშუალებებით. ყოველი ომი განუყრელად დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ წყობილებასთან, რომლიდანაც ის გამომდინარეობს. სწორედ იმ პოლიტიკას, რომელსაც განსაზღვრული სახელმწიფო, განსაზღვრული კლასი ამ სახელმწიფოს შიგნით ადგა

დიდი ხნის განმავლობაში ომის წინ, აუცილებლად და გარდუვლად განაგრძობს სწორედ ეს კლასი ომის დროს, იცვლის რა მხოლოდ მოქმედების ფორმას“ (თხზ. ტ. 24, გვ. 480).

პარტიის ისტორიის მოკლე კურსში მოცემულია ომების ხასიათის კლასიკური, მეცნიერული განსაზღვრა:

„...ომი ორნაირი არის ხოლმე:

ა) ომი ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი, არამტაცებლური, განმათავისუფლებელი, რომელიც მიზნად ისახავს ან ხალხის დაცვას გარეშე თავდასხმისაგან და მისი დამონების ცდებისაგან, ან ხალხის განთავისუფლებას კაპიტალიზმის მონობისაგან, ანდა, ბოლოს, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განთავისუფლებას იმპერიალისტების მხრივ ჩაგვრისაგან, და

ბ) ომი უ ს ა მ ა რ თ ლ ო, მტაცებლური, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების, სხვა ხალხების დაპყრობასა და დამონებას“.

თუ XIX საუკუნის დასასრულიდან 1914 წლამდე წარმოებული ომებით დამთავრდა ბრძოლა მსოფლიოს განაწილებისათვის, 1914 — 1918 წ. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი იყო ბრძოლა უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის.

სტალინური დებულება მსოფლიო ომების გამომწვევი კაპიტალისტური სისტემის კრიზისების შესახებ ახალი საგანძურია მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში:

„თავის წინასაარჩევნო სიტუაციაში 1946 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა:

„მარქსისტებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა შეიცავს საერთო კრიზისისა და სამზედრო შეტაკებათა ელემენტებს, რომ ამის გამო მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარება ჩვენს დრო-

ში ხდება არა თანდათან და თანაბარი წინსვლის სახით, არამედ კრიზისებისა და სამხედრო კატასტროფის გზით. საქმე ისაა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობა დროთა მსვლელობაში ჩვეულებრივ იწვევს წონასწორობის მკვეთრ დარღვევას კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემაში, ამასთან კაპიტალისტური ქვეყნების ის ჯგუფი, რომელსაც თავისი თავი წედლეულითა და გასაღების ბაზრებით უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილად მიაჩნია, ჩვეულებრივ ცდილობს შესცვალოს მდგომარეობა და „გავლენის სფეროები“ გადაანაწილოს თავის სასარგებლოდ შეიარაღებული ძალის გამოყენების გზით. ამის შედეგად წარმოიშობა კაპიტალისტური სამყაროს გათიშვა ორ მტრულ ბანაკად და ომი მათ შორის... ამრიგად, მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის პირველი კრიზისის შედეგად წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი, ხოლო მეორე კრიზისის შედეგად წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომი“.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად გერმანია დროებით ამოშლილ იქნა დიდ სახელმწიფოთა რიცხვიდან. მისმა მოკავშირე ავსტრია-უნგრეთმა კი სავსებით შეწყვიტა არსებობა.

ლენინი 1920 წელს ამბობდა, რომ კაპიტალისტურ სამყაროში დარჩა ორი სახელმწიფო, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებენ: ინგლისი და ამერიკა. წერილში „ამერიკელ მუშებისადმი“ ლენინი ხსნიდა ამერიკის გამდიდრების მიზეზებს:

„ამერიკელმა მილიარდებმა ამ თანამედროვე მონათმფლობელებმა გადამაღეს სისხლისმღვრელი იმპერიალიზმის სისხლიანი ისტორიის განსაკუთრებით ტრაგიკული ფურცელი.“

...ამერიკელი მილიარდერები თითქმის ყველაზე მდიდარნი იყვნენ და გეოგრაფიულად ყველაზე უშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი ყველაზე მეტად გამდიდრდნენ. მათ თავიანთ მო-

ხარკეებად გახადეს ყველა ქვეყანა, უმდიდრესი ქვეყნებიც კარმათ მოხვედრეს ასეულ მილიარდობით დოლარს და ყოველ დოლარს აჩნევია სიბინძურის კვალი. ყოველ დოლარს აჩნევია გუნდა ტალახი „შემოსავლიანი“ სამხედრო მიწოდებებისა, რომლებიც ყოველ ქვეყანაში ამდიდრებენ მდიდრებსა და აჩანაგებენ ღარიბებს. ყოველ დოლარს აჩნევია სისხლის კვალი — იმ ზღვა სისხლისა, რომელიც დაღვარეს 10 მილიონმა მოკლულმა და 20 მილიონმა დასახინჩრებულმა“ (ტ. 28, გვ. 55, 57, 58).

პირველმა მსოფლიო ომმა, რომელმაც უდიდესი ზარალი მიაყენა ევროპის ქვეყნებს, ამერიკა ძალიან გაამდიდრა. ამ ომში ამერიკის ტერიტორიას არ განუცდია მტრის შემოსევა. სამაგიეროდ, ამერიკის მონოპოლიებმა ჯიბე გაისქელეს საომარი იარაღის გასაღებით.

მეორე მსოფლიო ომმა ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა. ამერიკამ უდიდესი ბაზარი მიიღო თავისი სამრეწველო პროდუქციის გასაღებისათვის. იგი ომში ყველა სახელმწიფოზე გვიან ჩაება და ამ ომში შეერთებული შტატების დანაკარგი აღამიანთა მხრივ გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე უბედური შემთხვევებით გამოწვეული მსხვერპლი. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი მარტო მარტო ებრძოდა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის გეგანტურ სამხედრო მანქანებს და ომის მთელი სიმძიმე თავის მხრებზე გაუაქონდა, ამერიკის იმპერიალისტები ზღაპრულად მდიდრდებოდნენ. საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1940—1945 წლებში ამერიკის კორპორაციების სუფთა მოგება შეადგენდა 53 მილიარდ დოლარს.

* * *

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს

ქვეყანაში, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა კაპიტალიზმს. ოქტომბრის რევოლუციამ გამოიწვია მსოფლიოს გაყოფა ორ ბანაკად: მომავლად იმპერიალიზმის ბანაკად და გამარჯვებული სოციალიზმის ბანაკად. ამ ორი სისტემის—კაპიტალიზმისა და სოციალიზმის—ბრძოლა წარმოადგენს კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.

კაპიტალიზმი აღარ წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ყოველმომცველ სისტემას. მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის გვერდით არსებობს სოციალისტური სისტემა, რომელიც თვით თავისი არსებობის ფაქტით ცხადყოფს კაპიტალიზმის სიღამპლეს, არყვეს მის საფუძვლებს.

ამხანაგი სტალინი 1927 წელს ამბობდა, რომ „საერთაშორისო რევოლუციისა და საერთაშორისო რეაქციის შემდგომი განვითარების მსვლელობაში შეიქმნება მსოფლიო მასშტაბის ორი ცენტრი: სოციალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც სოციალიზმისაკენ მიისწრაფვიან, და კაპიტალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც კაპიტალიზმისაკენ მიისწრაფვიან. ამ ორი ბანაკის ბრძოლა გადაწყვეტს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბედს მთელ მსოფლიოში“ (თხზ., ტ. 10, გვ. 144).

შეირყა იმპერიალიზმის საფუძვლები კოლონურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში გაჩნდა და განვითარდა კაპიტალიზმი, რომელმაც მეტოქეობა დაუწყო ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პერიოდში, როდესაც კაპიტალისტური წყობილების ყველა წინააღმდეგობა ძლიერ გამწვავდა და გაღრმავდა, არაჩვეულებრივად გაიზარდა კაპიტალისტური ქვეყნების მილიტარიზაცია. ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის ომი ისეთივე ბუნებრივი და კანონზომიერი მოვ-

ლენაა, როგორც მუშათა კლასის ექსპლოატაცია.

პარტიის XVI ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ანალიზი გაუკეთა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განვითარებას და აღნიშნა: „მაგრამ არის ერთი დარგი, რომელიც კრიზისს არ მოუცავს. ეს დარგია სამხედრო მრეწველობა. იგი, მიუხედავად კრიზისისა, განუწყვეტლივ იზრდება. ბურჟუაზიული სახელმწიფოები გამალეზით იარაღდებიან და კვლავ იარაღდებიან. რისთვის? რა თქმა უნდა, არა მასლაათისათვის, არამედ ომისათვის. ხოლო ომი ესაჭიროებათ იმპერიალისტებს, ვინაიდან იგი მსოფლიოს ხელახლა განაწილებს, ვასალებს ბაზრების, ნედლეულის წყაროების, კაპიტალის გამოყენების სფეროების ხელახლა განაწილების ერთადერთი საშუალება“ (თხზ., ტ. 12, გვ. 272).

გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც განადგურებულ იქნა პირველ მსოფლიო ომში, აღდგა და აღორძინდა ამერიკის მონოპოლიების დახმარებით. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ეკონომიკაში ამერიკის მონოპოლიების მიერ დაბანდუბულმა მილიარდობით დოლარმა აღადგინა გერმანიის სამხედრო პოტენციალი და ჰიტლერულ რეჟიმს ხელში მისცა იარაღი, რომელიც საჭირო იყო მისი აგრესიის განსახორციელებლად. ამერიკის მონოპოლიები ფაქტიურად ეხმარებოდნენ ჰიტლერელებს მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ისინი ცდილობდნენ მაქსიმალურად გაეკიანურებინათ ომი და არ დაეშვათ ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურება. მაგრამ საბჭოთა კავშირმა ჩაუფრია ეს გეგმები და გაანადგურა კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტი დამპყრობელები.

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისს აძლიერებს წინააღმდეგობების ზრდა იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური კაპიტალი იმორჩილებს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს და არა მარტო აგრარულ, არამედ მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებსაც. ეს იწვევს კონფლიქტების და წინააღმდეგობების ზრდას კაპიტალისტური სამყაროს შიგნით, რაც წარმოადგენს მსოფლიო იმპერიალიზმის ხრწნის, მისი შინაგანი რღვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ არ შეიძლება გაზვიადებულად შევაფასოთ იმპერიალისტთა ინტერნაციონალური გაერთიანება და მხედველობიდან გამოვუშვათ ის შინაგანი წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის, რომლებიც არსებობენ და ომს იწვევენ. არ შეიძლება გაზვიადებულად შევაფასოთ იმპერიალისტური ზედაფენების გაერთიანების მომენტი და არ შევაფასოთ ის წინააღმდეგობანი, რაც მათ შორის არსებობს.

ძალაში რჩება კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების კანონი, რომელიც ომს იწვევს ამ ქვეყნებს შორის.



თანამედროვე აგრესორთა ბლოკს საფუძვლად უდევს ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტთა კავშირი, რომელიც შეიქმნა დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკის, ხალხთა რევოლუციური ძალების, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, კაცობრიობის პროგრესის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბლოკში შედიან აგრეთვე აგრესიული ატლანტიკური პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოები — საფრანგეთი, პოლანდია, ბელგია, იტალია და სხვები. ამჟამად ეს სახელმწიფოები ერთობლივად გამოდიან საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის და სახალხო დე-

მოკრატის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად.

განადგურებულ ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკის მსგავსად, თანამედროვე აგრესორთა ბლოკი მთელ რიგ შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს. ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისათვის შესახებ ხაზი გაუსვა იმ სერიოზულ ფაქტორებს, რომლებიც ბორკევენ და ასუსტებენ იმპერიალისტურ ბანაკს. ეს ფაქტორებია — მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა და მშრომელთა ბრძოლა ომის გამაღებელთა პოლიტიკის წინააღმდეგ, კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა, ეკონომიკურ ნგრევათა და კრიზისების საფრთხე; იმპერიალიზმის ზურგის ამ სისუსტესთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრესიულ ატლანტიკურ კავშირში შემავალ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ შინაგან წინააღმდეგობებს.

„ერთი შეხედვით შეიძლება გეჩვენოს, — თქვა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, — რომ იმპერიალიზმის ბანაკი აგრესიული ძალების ძლიერი გაერთიანებაა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს ძალები ჯეროვნად არ შევაფასოთ. მაგრამ მშვიდობის ბანაკი ომის ბანაკზე ბევრად უფრო ძლიერია. მაშინ როცა მშვიდობის ბანაკი დარაზმულია მიზნის ერთიანობით, ომის ბანაკში შემჩნეულია ინტერესთა მნიშვნელოვანი უთანხმოება, ხოლო ბევრი ქვეყანა ამ ბანაკში ჩათრეულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე მათი ეკონომიკური დამოკიდებული მდგომარეობის გამოყენების გზით, რაც ყბადღებელი „მარშალის გეგმის“ შედეგს წარმოადგენს“.

იმპერიალიზმის ბანაკის ძირითადი მთავარი შინაგანი წინააღმდეგობაა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინააღმდეგობა. ყველა დანარჩენი იმპერიალისტური წინააღმდეგობა-

ნი, როგორცაა, მაგალითად, წინააღმდეგობა ინგლისსა და დასავლეთ გერმანიას შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის, შეერთებულ შტატებსა და სხვა მარშალიზებულ სახელმწიფოთა შორის, რაც დაკავშირებულია უმთავრესად ნედლეულის რესურსებისათვის, გასაღების ბაზრებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის ბრძოლასთან, გადახლართულია ამერიკა — ინგლისის წინააღმდეგობებთან.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1928 წელს აღნიშნავდა, რომ „კაპიტალისტთა ბანაკში არსებულ მთელ რიგ წინააღმდეგობათაგან, ძირითადი წინააღმდეგობა გახდა წინააღმდეგობა ამერიკის კაპიტალიზმსა და ინგლისის კაპიტალიზმს შორის. აიღებთ ნავთის საკითხს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც კაპიტალისტური შეურთების მშენებლობისათვის, ისე ომისათვის; აიღებთ საკითხს საქონლის გასაღების ბაზრების შესახებ, რომლებსაც უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო კაპიტალიზმის არსებობისა და განვითარებისათვის, ვინაიდან არ შეიძლება საქონლის წარმოება, თუ უზრუნველყოფილი არ არის ამ საქონლის გასაღება; აიღებთ ბაზრების საკითხს კაპიტალის გატანისათვის, რაც იმპერიალისტური ეტაპის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს თუ, ბოლოს, აიღებთ გასაღების ბაზრებისაკენ ან ნედლეულის ბაზრებისაკენ მიმავალი გზების საკითხს, — ყველა ამ ძირითად საკითხს მიყვავართ ერთი ძირითადი პრობლემისაკენ, მსოფლიო ჰეგემონიისათვის ინგლისსა და ამერიკას შორის ბრძოლის პრობლემებისაკენ“ (თხზ., ტ. 11, გვ. 218 — 219).

ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა თავიდანვე წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ძირითად შინაარსს. მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა თავი დააღწიეს

ბრიტანეთზე კოლონიურ დამოკიდებულებას, არ დამცხრალა ინგლისის იმპერიალის ბრძოლა დასავლეთ ნახევარსფეროში ბატონობისათვის. ამ ბრძოლაში გადაწყვეტი როლი შეასრულა შეერთებული შტატების სამოქალაქო ომში სამრეწველო-კაპიტალისტური ჩრდილოეთის გამარჯვებამ მონათმფლობელურ სამხრეთზე (1865 წ.). ამ გამარჯვებამ საბოლოოდ დაასამარა ინგლისის იმედები — ხელი შეეშალა ამერიკის ინდუსტრიული სახელმწიფოს აღმოცენებისა და განვითარებისათვის.

ჯერ კიდევ იმპერიალისტური ეპოქის გარიყრაჟზე ამერიკის იმპერიალისტებმა დაიწყეს ინგლისის განდევნა დასავლეთ ნახევარსფეროდან. 1823 წელს პრეზიდენტმა მონრომ გამოაცხადა თავისი დოქტრინა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ ნახევარსფერო მართო და მხოლოდ შეერთებული შტატების გავლენისა და შეუზღუდველი ბატონობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. იმპერიალიზმის ეპოქის დადგომას თან მოჰყვა ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება. მეორეხარისხოვანი, „პროვინციული“ ქვეყნიდან შეერთებული შტატები გადაიქცნენ მსოფლიოს უმსხვილეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ამასთან ინგლისმა დაკარგა „მსოფლიოს სამრეწველო სახელისნოს“ და საერთაშორისო „წონასწორობის“ არბიტრის თავისი ძველი მდგომარეობა.

თუ იმ ტერიტორიას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკავათ იმ დროს, როცა ინგლისის ცამეტმა კოლონიამ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, შევადარებთ 1900 წლის ამერიკის ტერიტორიას, დავინახავთ, რომ 125 წლის განმავლობაში იგი გაიზარდა ათჯერ უფრო მეტად და მას 3 მილიონზე მეტი კვადრატული მილი ფართობი შეემატა.

ამჟამად მოსახლეობის რაოდენობის, წარმოებაში ჩაბმულ ადამიანთა რაოდენ-

ნობის, ქვანახშირის მოპოვების მხრივ შეერთებული შტატები (კოლონიების ჩათვლელად) სამჯერ აღემატება ინგლისს, ელექტროენერჯის გამომუშავებისა და ფოლადის გამოდნობის დარგში — 6-ჯერ, მარცვლეულის მოყვანაში — 16-ჯერ, ოქროს მარაგით — 10-ჯერ, შეიარაღებული ძალების ოდენობისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტონაჟით — 4-ჯერ.

აქედან ცხადია, რომ ინგლის-ამერიკის თანამშრომლობა არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა „ცხენის თანამშრომლობა მხედართან“.

„ჩვენმა ქვეყანამ თავის ისტორიაში პირველად დაკარგა დამოუკიდებლობა და მოქმედების თავისუფლება საგარეო, ეკონომიკური და სამხედრო პოლიტიკის დარგში, დემორჩილა რა უცხო სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს“.— ნათქვამია დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პროგრამაში „გზა სოციალიზმისაკენ“.

ეს არ ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთი, როგორც დიდი კოლონიური სახელმწიფო უგულუბელუყოთ. ბრიტანეთის იმპერიალიზმს ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციები უკავია კაპიტალისტური მულტინაციონის სისტემაში. მის ხელშია მთელი რიგი ნედლეულის — კაუჩუკის, კალის, ნიკელის, მარგანეცის, ოქროს, ალმასის მდიდარი რესურსები. მას გააჩნია გასაღების ფართო ბაზარი და მოგებათა დიდი წყარო. ამასთან ერთად ინგლისს ეკუთვნის ბაზებისა და კომუნიკაციების განვითარებული ქსელი. ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფის, ცდილობს წაართვას ინგლისს ეს ბაზები და კომუნიკაციები, ხელში ჩაიგდოს მისი კოლონიური „მემკვიდრეობა“.

შეერთებული შტატების მონოპოლიების დაქირავებული მჯღაბნელები აშკარად აღიარებენ ამერიკის აგრესიული იმპერიალიზმის ამ მიზანს. ისინი ინგლისს უწოდებენ „ავადმყოფ კაცს“, რო-

მელსაც აღარ შეუძლია შეასრულოს დიდი სახელმწიფოს ფუნქციები. ამიტომ ინგლისი ყველა მისი დომინიონით და კოლონიით შეერთებული შტატების მუდმივ სამხედრო და ეკონომიკურ მურყვობაში უნდა იმყოფებოდესო. უფრო მეტიც. ამერიკის პოლიტიკურ ლიტერატურაში იშვიათად არ არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის იმპერია შეერთებული შტატების შემადგენელი ნაწილი, მისი მე-49 შტატი გახდეს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალიზმების ბრძოლა, რომელიც კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის გამწვავების შედეგია, წარმოებს ყველა ოკეანეზე და კონტინენტზე, ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ექსპანსიის, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის ირგვლივ.

ეკონომიკურად ბრიტანეთი გადაქცეულია ამერიკის სატელიტად. ბრიტანეთის მრეწველობაზე ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას ახორციელებენ ამერიკის მონოპოლიების წარმომადგენლები და ინსპექტორები, რომლებიც ლონდონში არიან მოკალათებული. ამერიკის მსხვილი კაპიტალი კონტროლს უწევს ინგლისის საფინანსო პოლიტიკას, ზღუდავს მის ვაჭრობას. სამხედრო დარგში ბრიტანეთი გადაქცეულია ამერიკის ბაზად. იზრდება ამერიკის საოკუპაციო არმიის რაოდენობა ინგლისში. ამერიკის მითითებით მიღებულ იქნა შეიარაღების ახალი პროგრამა. ატლანტიკის პაქტის შესაბამისად ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები დაქვემდებარებულია ამერიკელი უმაღლესი სარდლისადმი. ამგვარადვე ხორციელდება ამერიკის მზარდი ფინანსური და სამხედრო ექსპანსია ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნებში.

ვაშინგტონის პოლიტიკოსებისათვის ბრიტანეთის კუნძულები შეერთებული შტატების ავიაბაზაა, ხოლო ინგლისის

ხალხი — საზარბაზნე ხორცი. ეყრდნობა რა ბრიტანეთის ტერიტორიაზე შექმნილ თავის მრავალრიცხოვან სამხედრო ბაზებზე აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან ინგლისის ეკონომიკურ დამოკიდებულებას, უოლ-სტრიტის განზრახული აქვს მთლიანად ჩაყლაპოს ბრიტანეთის იმპერია. ჩრდილოეთ ატლანტიკის კოალიციის შექმნა ოდნავადაც არ ასუსტებს ამ განზრახვას.

სწორედ იმიტომ, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ შეტევა ინგლისზე, შეერთებულმა შტატებმა ატლანტიკის ბლოკში უშუალოდ შეიყვანეს კანადა. ამერიკის პრესა პირდაპირ აღიარებდა, რომ საქმე ეხება კანადის ეკონომიკურ, სტრატეგიულ და პოლიტიკურ შეერთებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ცდილობს თავის კონტროლს დაუმორჩილოს დიდი ბრიტანეთის უმნიშვნელოვანესი საიმპერიო ზეობი და კოლონიური ბაზები. ამიტომ შეერთებულმა შტატებმა იტალია და პორტუგალია შეიყვანეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რათა ეს სახელმწიფოები გადააქციონ სამხედრო პლაცდარმებად, მათი საშუალებით გაბატონდნენ ხმელთაშუა ზღვაზე და განახორციელონ თავიანთი ავანტურისტული გეგმები.

ასეთი პოლიტიკა, ბუნებრივია, უფოთებას იწვევს ინგლისის მმართველ წრეებში. აი რას წერდა ინგლისის კონსერვატორთა ერთ-ერთი მსხვილი ვაზეთი „დეილი მეილი“:

„ევროპა მოექცა ამერიკელი ჯარისკაცის სარდლობის, ხოლო ატლანტიკის ოკეანე — ამერიკელი მფლავურის სარდლობის ქვეშ... ჩვენ ზოგჯერ ევკთხებით ჩვენს თავს: რას ფიქრობენ ჩვენზე ამერიკელები? ბოლოს და ბოლოს, ბრიტანეთის იმპერია ცენტრალური ამერიკის რომელიღაც რესპუბლიკა როდია. ბრიტანეთის იმპერია ნიკარაგუა არ არის და იგი უკეთესი მოპყრობის ღირსია“.

ინგლისის იმპერიალიზმი იმედოვნებდა, რომ იგი გახდებოდა რომის შემდგომ დასავლეთ ევროპის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური საქმეების გამგებელი. ამ მიზნისათვის მან 1948 წელს შექმნა დასავლეთის კავშირი (ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი). ბრიტანეთის იმპერიალიზმი ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა დაძაბული ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, ალღვინა თავისი დაკარგული ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე.

სულ სხვა გუმანი აქვთ ვაშინგტონის პოლიტიკოსებს. მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლას ისინი განუყრელად უკავშირებენ ბრიტანეთის იმპერიის საბოლოო კრახს. ვაშინგტონმა ისარგებლა დასავლეთის კავშირის შიგნით არსებული წინააღმდეგობებით და საფრანგეთის მმართველები აიძულა წამოეყენებინათ ინგლისის მონაწილეობის გარეშე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაერთიანების პროექტი, იმ მოტივით, რომ ინგლისი თავისი კოლონიებით და დომინიონებით თითქოს არ წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოს. პოლანდიის საწინააღმდეგოდ, რომელიც ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფება, ბელგიამ მოითხოვა, რომ ბენილუქსის სახელმწიფოები ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმხრობოდნენ. არ გამართლდა ინგლისის იმპერიალიზმის იმედები — გამოეყენებინათ დასავლეთის კავშირი, როგორც ევროპის სახელმწიფოების კოლონიებზე ამერიკის ხელყოფის საწინააღმდეგო იარაღი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაფუშეს დიდი ბრიტანეთის ცდები დასავლეთის კავშირის მონაწილე სახელმწიფოებთან, პირველ რიგში საფრანგეთთან ერთად, ეწარმოებინა აფრიკის კოლონიური ექსპლოატაცია შეერთებული შტატების გარეშე.

შემდეგში, როგორც ცნობილია, დასავლეთის კავშირი ჩაყლაპა ყბადღებულმა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკმა, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობა უდავოა.

ამერიკის მონოპოლიები მეთოდურად ახორციელებენ დასავლეთ ევროპის დამონებისა და ევროპაში ინგლისის პოზიციების ხელში ჩაგდების გეგმას. ამას ნათლად ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რაინ-ფესტვალის სამრეწველო რაიონზე, დასავლეთ გერმანიის ინდუსტრიის ამ გულზე კონტროლის ხელში ჩაგდება. ეს დიდი დარტყმაა ინგლისისათვის, რადგან ინგლისის იმპერიალისტების გეგმათ, გერმანიის ინგლისური ზონის ქვანახშირი ლოტარინგიის რკინის მადანთან და ანგლისის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, ბენილუქსის ქვეყნების მძიმე ინდუსტრიასთან ერთად უნდა გამხდარიყო ევროპაში დიდი ბრიტანეთის ჰემონიის საფუძველი.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაერთიანება ბრიტანეთის იმპერიალიზმს სურდა არა მარტო საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს გაერთიანება მას უნდოდა დაეპირისპირებინა შეერთებული შტატებისათვისაც მსოფლიო მასშტაბით.

ამერიკა-ინგლისის ქიშპობის მკაფიო გამოხატულებაა აგრეთვე „შუმანის გეგმა“, რომელიც ამერიკის იმპერიალისტთა კარნახით არის შედგენილი. „შუმანის გეგმა“ ნიშნავს დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და იტალიის ქვანახშირის მრეწველობისა და შავი მეტალურგიის გაერთიანებას ერთ ძლიერ კარტელად, რომელსაც დააფინანსებენ და კონტროლს გაუწევენ ამერიკის მონოპოლიები. ეს იქნება გაერთიანებული მრეწველობის მმართველობის „ხესახელმწიფოებრივი“ ორგანო. „შუმანის გეგმა“ მიზნად ისახავს სამხედრო-სამ-

რეწველო არსენალის შექმნას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად. ამავე დროს, „შუმანის გეგმა“ აშკარად მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ. შემთხვევითი არ არის, რომ ინგლისმა უარი განაცხადა „შუმანის გეგმაში“ მონაწილეობაზე. საქმე იმაშია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რურის მადანს ინგლისის მონოპოლისტები დაეუფლნენ. შემდეგ ამერიკელებმა შეაიწროეს ინგლისი და რური თვითონ მიისაკუთრეს. ამჟამად ინგლისის მძიმე მრეწველობას დაუპირისპირდა ძლიერი კონკურენტი ამერიკის მონოპოლიების კონტროლის ქვეშ მყოფი დასავლეთ ევროპის გაერთიანებული კარტელის სახით. ყველაფერი ეს ძლიერებს და ამწვავებს ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობას.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის პრობლემა ასევე არ შეიძლება არ იყოს მწვავე ბრძოლის მიზეზი ინგლის-ამერიკის სამხედრო ბლოკის შიგნით.

საფრანგეთის მმართველი ზროვა, რომელიც შედგება აშკარა ფაშისტ დეგოლის და შენობილი ფაშისტის გიულ მოკის მიმდევრებისაგან, ლალატობს საფრანგეთის ეროვნული უშიშროების ინტერესებს. მან საფრანგეთი ჩააბა იმ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რომელმაც ფაქტიურად უკვე დაიწყო რურის მაგნატების მზადება იმპერიალისტური აგრესიის გამოვრებისათვის.

საფრანგეთის იმპერიალისტები იმიტომ უტყრდნენ მხარს ევროპის მძიმე მრეწველობის ერთ კარტელში გაერთიანებას, რომ უნდოდათ მასში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეთამაშათ და იგი გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისათვის. საფრანგეთის ამ მისწრაფებას წინ აღუდგნენ დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტები, რომლებიც ამერიკის კაპიტალის მხარდაჭერით სარგებლობენ. „შუმანის გეგმის“ შემწეობით დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები საოკუ-

პაციო ხელისუფალთა მხრივ ფორმალური ეკონომიკური კონტროლიდანაც თავისუფლდებიან. „გაერთიანებული ევროპის“ ლოზუნგით და შეერთებული შტატების გეგმების შესაბამისად ისინი კვლავ იწყებენ აქტიურ ბრძოლას თავიანთი ტრადიციული კონკურენტების— ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის კოლონიურ დაპყრობათა პროგრამა შეშფოთებას იწვევს ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, პოლანდიის მმართველ წრეებში. ამერიკის იმპერიალიზმი იჭრება ამ ქვეყნების კოლონიებში, იპყრობს მათს ბაზრებს, გაელენის სფეროებს, სამხედრო ბაზებს. ამერიკის კაპიტალმა ფეხი მოიკიდა, მაგალითად, ინდოეთში, პაკისტანში, მალაიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი აქტიურ მონაწილეობას იღებს ამერიკის აგრესიაში კორეისა და ჩინეთის ხალხების წინააღმდეგ, დიდი წინააღმდეგობა არსებობს აგრესორთა ბლოკის პოლიტიკის თითქმის ყველა საკითხში.

ამერიკის სარდლობა კორეის ფრონტის ყველაზე სახიფათო უბანზე აყენებს ინგლისელთა და არამერიკელთა ნაწილებს, ცუდ პირობებს უქმნის მათ განლაგებისა და მომარაგების მხრივ.

ამერიკის ექსპანსიას შორეულ აღმოსავლეთში თან მოჰყვება ინგლისის სრული შევიწროება. ყველა ქვეყანაში, სადაც ფეხს იყიდებს ამერიკის იმპერიალიზმი, ბოლო ეღება ინგლისის საქონლისა და კაპიტალის შეტანას, ინგლისის პოლიტიკურ გავლენას. ამას ადასტურებს, მაგალითად, ამერიკის პოლიტიკა იაპონიის, ფილიპინების, ინდონეზიის მიმართ.

ინგლის-ამერიკის ურთიერთბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს აგრეთვე ახლო აღმოსავლეთი.

მას შემდეგ, რაც 1951 წლის მარტში ირანის მეჯლისმა დაამტკიცა კანონი ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ, შეერთებული შტატების მთავრობამ მყისვე მიიღო ზომები, რათა დაეკავებინა ინგლისის ადგილი. ინგლისის პრესამ ირანში მომხდარი ამბები შეაფასა, როგორც ინგლისის ყველაზე მძიმე დამარცხება მთელი ასი წლის განმავლობაში, როგორც ინგლისის ყველა პოზიციის დაკარგვის საფრთხე ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკის იმპერიალიზმი ასევე ცოცხლობს დაიკავოს ინგლისის ადგილი ეგვიპტეში.

ბრძოლა კოლონიური საკითხის ირგვლივ კიდევ უფრო გამწვავდა იმპერიალისტური ბანაკის შიგნით.

იმპერიალისტური ქვეყნების ურთიერთწინააღმდეგობათა გამომხატველია ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური ექსპანსია ევროპის ქვეყნებში. ამ ექსპანსიის ხასიათს, მასშტაბს და მეთოდებს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის ეკონომიკის ინტერესები განსაზღვრავენ. დამახასიათებელია, რომ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მმართველი წრეები იმას კი არ ცდილობენ, რომ გაზარდონ სამრეწველო წარმოება, რომლის მთელ რიგ დარგებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ომამდელ დონემდე, არამედ ისწრაფვიან, როგორმე შეაფერხონ მისი ზრდა. ვინაიდან მთელი სიმწვავით დგას ბაზრების საკითხი, ჯერ ერთი, ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელთ უპყრიათ უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ბაზრები, მეორეც, დასავლეთ ევროპა ამერიკას გამოყენებული აქვს თავისი ჩაწოლილი საქონლის გასაღების ბაზრად. ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ ამერიკის მონოპოლიებმა მარშალიზებული ქვეყნები აიძულეს შეეწყვიტათ ვაჭრობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, რამაც დამანგრეველი გავლენა

მოახდინა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნების ეკონომიკაზე.

„მარშალის გეგმამ“ ევროპას მოუტანა ეკონომიკური კრიზისის და უმუშევრობის ზრდა. მაგრამ თუ „მარშალის გეგმით“ ამერიკელებმა დასავლეთ ევროპის ეკონომიკის დეზორგანიზება შეძლეს, სამაგიეროდ, მათ თავი ვერ დააღწიეს ეკონომიკური კრიზისის სტიქიას, რომელიც მოედო თვით ამერიკის შერთებულ შტატებს.



კაპიტალიზმის საერთო კრიზისის აღრმავებს საბჭოთა კავშირის ძლიერება. კაპიტალიზმს ჩამოსცილდნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნები, რომლებმაც სახალხო დემოკრატიის რეჟიმი დაამყარეს და რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს. პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის ბულგარეთის და ალბანეთის ხალხებმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის უანგარო, ძმური დახმარებით უმოკლეს ისტორიულ ვადაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის საფუძვლების აგებაში, მთლიანად განახლდა სახელმწიფო აპარატი, საიდანაც გაძევებულ იქნენ ფაშისტები და რეაქციონერები, მოხდა მსხვილი მრეწველობის, ბანკებისა და ტრანსპორტის ნაციონალიზაცია, გატარდა აგრარული რეფორმა, რის შედეგადაც მიწა გადაეცა მშრომელ გლეხობას, საგარეო ვაჭრობა მთლიანად გადავიდა სახელმწიფოს ხელში; განმტკიცდა სახალხო დემოკრატიული ძალაუფლება, აღაგმულ იქნენ მემამულური და მსხვილბურჟუაზიული კლასები; დაჩქარებით მიმდინარეობს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა.

ეს ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნანი თავისი ხასიათით სოცია-

ლისტურ რევოლუციას უდრის. ბოლო მოელო ამ ქვეყნების კაპიტალისტურ გზით განვითარებას და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები დაადგნენ სოციალიზმში გადასვლის გზას.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ ძირფესვიანად შეარყია კაპიტალიზმის კოლონიური სისტემა. გმირულად იცავს თავის სამშობლოს კორეელი ხალხი. თავგამოდებით იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ვიეტნამის, ბირმის, მალაის ხალხები.

ისტორიის მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა ამხანაგ სტალინის მიერ შეოთხედი საუკუნის წინათ წარმოთქმული სიტყვები: „კაპიტალიზმი ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს იმ „სიმშვიდეს“ და იმ „რწმენას“, იმ „წონასწორობასა“ და იმ „სიმყარეს“, რომლითაც მას თავი მოჰქონდა წინათ, ვინაიდან მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი განვითარების ისეთ დონემდე მივიდა, როდესაც რევოლუციის ცეცხლმა აუცილებლად უნდა იფეთქოს ხან იმპერიალიზმის ცენტრებში, ხან პერიფერიაში, არარად აქციოს კაპიტალისტური დანაკერები და დღითიდღე მოახდინოს კაპიტალიზმის დაცემა“ (თხზ., ტ. 10, გვ. 263).

საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები შეადგენენ ერთიან და მძლავრ სოციალისტურ ბანაკს, რომელიც უპირისპირდება კაპიტალიზმის ბანაკს. ამ ორი მოპირდაპირე ბანაკის არსებობამ გამოიწვია ერთიანი ყოვლისშემოცეკელი მსოფლიო ბაზრის დაშლა, რის შედეგადაც შეიქმნა ორი პარალელური მსოფლიო ბაზარი, რომლებიც აგრეთვე უპირისპირდებიან ერთმეორეს. ამასთან შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და ევროპის სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკური ბლოკადის პოლიტიკით თავიანთი ნებისაგან დამოუკიდებლად ხელი შეუწყვეს პარალელური

მსოფლიო ბაზრის შექმნას და განმტკიცებას.

აქედან ის გამოდინარეობს, რომ მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ მსოფლიო რესურსების გამოყენების სფერო კი არ გაფართოვდება არამედ შემცირდება, გასაღების მსოფლიო ბაზრის პირობები ამ ქვეყნებისათვის სულ უფრო და უფრო გაუარესდება, ხოლო ამ ქვეყნებში საწარმოთა დაუტვირთობა სულ უფრო გაიზრდება. „ნამდვილი რომ ითქვას, სწორედ ამაში მდგომარეობს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გაღრმავება მსოფლიო ბაზრის დაშლასთან დაკავშირებით“. (ი. სტალინი).

სულ სხვა მდგომარეობაა სოციალისტურ ბანაკში.

იმ დროს როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალი უაჩაღურად ძარცვავს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულია ისეთი ეკონომიკური კავშირი და მეგობრული თანამშრომლობა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეურნეობისა და კულტურის აყვავებას. „ამ თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ისეთ ნამდვილ და ტექნიკურად კვალიფიციურ დახმარებას ვერ გაუწევდა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს, როგორსაც მათ უწევს საბჭოთა კავშირი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ეს დახმარება მაქსიმალურად იაფი და ტექნიკურად პირველხარისხოვანია. საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ამ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს გულწრფელი სურვილი — დაეხმარათ ერთმანეთს და მივაღწიოთ საერთო ეკონომიკურ აღმავლობას. ამის შედეგია ამ ქვეყნებში მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობის განვითარების ასეთი ტემ-

პის პირობებში მალე საქმე იქამდე მივა, რომ ამ ქვეყნებს არა თუ არ დასჭირდებათ კაპიტალისტური ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა, არამედ თვითონ იგრძნობენ იმის აუცილებლობას, რომ სხვაგან გაიტანონ თავიანთი წარმოების ნაქარბი საქონელი“. (ი. სტალინი).

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის მიერ თანამედროვე ეტაპზე ომისა და მშვიდობის საკითხების მეცნიერულ გამოკვლევას.

ამერიკის იმპერიალისტები, რომელნიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, აღადგენენ გერმანიის არმიას, რომელიც უნდა გახდეს დასავლეთ ევროპის „ატლანტიკური“ არმიის პირთვი. ამერიკის იმპერიალისტები უხეშად არღვევენ პოტსდამის ხელშეკრულებას და თავიანთი ავანტიურისტული მიზნების განსახორციელებლად ხელყოფენ დასავლეთ გერმანიის აღდგინათა და მატერიალურ რესურსებს. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია მძიმე ტვირთად აწევს გერმანიის მშრომელებს, რომელნიც ამერიკის იმპერიალიზმს სურს „საზარბაზნე ხორცად“ აქციოს. იზრდება უმუშევრობა, სულ უფრო და უფრო უარესდება მოსახლეობის მომარაგება სურსათით და ფართო მოხმარების საქონლით.

ამერიკის იმპერიალისტები ასევე დავებატრონენ იაპონიას, რომელიც გადააქციეს პლაცდარმად კორეის ხალხის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს იაპონიის რემილიტარიზაცია. ამერიკის მონოპოლისტები იაპონიის მრეწველობის ფაქტური ბატონ-პატრონები გახდნენ. იაპონიის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 70 მილიონი დოლარი იხარჯება იაპონიაში ამერიკის ახალი სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზების ასაგებად. იაპონიის რემილიტარიზაციაზე გაწეული ხარჯები დიდად ზრდის მშრომელებისათვის ისედაც აუტანელ გადასახადებს და ძალაზე აუარესებს. იაპონიის

მშრომელთა ისედაც დაბალ საარსებო დონეს.

ამხანაგმა სტალინმა ანალიზი გაუკეთა წინააღმდეგობათა ორ ჯგუფს, რომელიც ამჟამად არსებობს მსოფლიოში: წინააღმდეგობებს სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის და წინააღმდეგობებს კაპიტალისტური ბანაკის შიგნით. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ თეორიულად სწორია, რომ წინააღმდეგობანი კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის უფრო ძლიერია, ვიდრე წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. მაგრამ, როგორც მეორე მსოფლიო ომის დაწყების ისტორიამ დაგვანახა, კაპიტალისტური ქვეყნების ბრძოლა ბაზრებისათვის და თავიანთი კონკურენტების ჩახრჩობის სურვილი პრაქტიკულად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ბანაკსა და სოციალიზმის ბანაკს შორის.

ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ ამერიკის იმპერიალიზმსა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც შეერთებული შტატების კლანჭებში მოექცნენ, ისეთი დამოკიდებულება შეიქმნა, რომ გარდუვალია ომი მათ შორის. „გარეგნულად თითქოს ყველაფერი „რიგზეა“, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ულუფაზე დასვეს დასავლეთ ევროპა, იაპონია და სხვა კაპიტალისტური ქვეყნები; გერმანია, (დასავლეთ გერმანია), ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების თათებში მოხვდნენ, მორჩილად ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატების ბრძანებებს. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს „რიგიანობა“ შეიძლება „მარადეამს“ დარჩეს, რომ ეს ქვეყნები უსასრულოდ მოითმენენ ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობასა და უღელს, რომ ისინი არ შეეცდებიან თავი დააღწიონ ამერიკის ტყვეობას და დაადგენ დამოუკიდებელი განვითარების გზას“.

იმის ფიქრი, რომ ამერიკის კანკალაში მოქცეული მსხვილი იმპერიალისტური სახელმწიფოები არ შეეცდებიან თავი დააღწიონ ამერიკის შეერთებული შტატების მარწუხებს და კონფლიქტი ჩამოაგდონ მათთან იმისათვის, რომ უზრუნველყონ თავისთვის თავისთავადი მდგომარეობა, და, რასაკვირველია, მაღალი მოგება, — იმას ნიშნავს, რომ სასწაულები გვწამდეს.

ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ომი სსრ კავშირთან როგორც სოციალიზმის ქვეყანასთან, უფრო საშიშია კაპიტალიზმისათვის, ვიდრე ომი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, რადგან, თუ ომი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის აყენებს მხოლოდ ამა თუ იმ კაპიტალისტური ქვეყნების სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებზე ბატონობის საკითხს, სსრ კავშირთან ომმა აუცილებლად უნდა დააყენოს თვით კაპიტალიზმის არსებობის საკითხი“. ამხანაგი სტალინი აგრეთვე აღნიშნავს, რომ კაპიტალისტები თუმცა „პროპაგანდის“ მიზნით ხმაურობენ საბჭოთა კავშირის აგრესიულობის შესახებ, თვითონ არ სჯერათ მისი აგრესიულობა, რადგან ისინი ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას და იცნავენ, რომ საბჭოთა კავშირი თვითონ არ დაესხმის თავს კაპიტალისტურ ქვეყნებს“.

ამასთან დაკავშირებით ი. სტალინი იხილავს მშვიდობისათვის გაჩაღებულ თანამედროვე მოძრაობის ხასიათსა და მიზნებს და აკეთებს უალრესად დიდმნიშვნელოვან დასკვნებს. მშვიდობისათვის გაჩაღებულ თანამედროვე მოძრაობას, როგორც ამხანაგი სტალინი მიუთითებს, მიზნად აქვს აამოძრავოს ხალხის მასები მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებასათვის საბრძოლველად, წარმატების შემთხვევაში ეს მოძრაობა გამოიწვევს გარკვეული ომის თავიდან აცილებას, მის დროებით გადადებას, გარკვე-

ვეული მშვიდობის დროებით შენარჩუნებას, ამის მოწადინე მთავრობის გადადგომას და მის შეცვლას სხვა მთავრობით, რომელიც მზად იქნება დროებით შეინარჩუნოს მშვიდობა.

მაგრამ, დასკვნის ამხანაგი სტალინი, მშვიდობისათვის გაჩაღებულ თანამედროვე მოძრაობას არ შეუძლია მოსპოს ომების გარდუვალობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. სანამ იმპერიალიზმი განაგრძობს არსებობას, ძალაში რჩება ომების გარდუვალობაც. მშვიდობის მომხრეთა თანამედროვე მოძრაობა იფარგლება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დემოკრატიული მიზნებით; მაშასადამე, იგი არ ისახავს კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის დამყარების მიზნებს.

ამრიგად, იმპერიალისტურ რეაქციას არაფრით არ შეუძლია გაამართლოს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიები და დევნა. მშვიდობისათვის გაჩაღებული

მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალისტური მთავრობების ბრძოლა იმას მოწმობს, რომ მათ კაპიტალიზმის არსებობას ვერ წარმოუდგენიათ ახალი ომების გარეშე.

საბჭოთა ხალხს, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, თავის ისტორიულ შემოქმედებით მოღვაწეობაში ამოქმედებს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების დიადი პერსპექტივა. ამიტომ საბჭოთა ქვეყნის ინტერესები განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

ამხანაგ სტალინის განცხადება იმის შესახებ, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას, აძლიერებს ყველა ქვეყნის ხალხების მტკიცე გადაწყვეტილებას — ჩაფუშონ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმები და იხსნან კაცობრიობა ახალი ომისაგან.

6. ნეკრასოვი და ქართული ლიბერალიზმი

6. ა. ნეკრასოვის გარდაცვალებიდან 75 წლისთავის გამო



60-იან წლებში, ქართველი ხალხის ეროვნული შემეცნების გაღვივების პერიოდში, საუკეთესო ნიადაგი იყო შექმნილი იმისათვის, რომ ჩვენში ძლიერი გამოხმაურება ეპოვა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას, სოციალურ-განმათავისუფლებელ იდეებს. ჩერნიშევსკის მებრძოლი პუბლიცისტური აზროვნების და ნეკრასოვის სამოქალაქო პოეზიის დევიზი — ბრძოლა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ — ორგანულად ეთანხმებოდა ქართველი ხალხის არა მარტო სოციალურ, არამედ ეროვნულ ინტერესებსაც. ამიტომ იყო, რომ ქართველი პროგრესული ახალთაობა ასე ხარბად ითვისებდა ხალხის განთავისუფლების იდეით გაკლენთილ დიდი რუსი რაზნოჩინელების ნააზრევს.

სრულიად სამართლიანად თქვა აკაკი წერეთელმა, რომ ჩერნიშევსკიმ და მისმა მიმდევრებმა, რომელთა შორის ერთი პირველთაგანია ნეკრასოვი, გამოათხიზლეს ახალი რუსეთით.

„იმ დროს, ესე იგი მესამოცე წლებში, — წერდა აკაკი, — იტალია და უნგრეთი სცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუზღაოთ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ ამ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუღვა სათავეში ეურნალ „სოვრემენიკს“ და დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად, დასცა

რუსეთს კივინა. ამოძრავდა რუსეთი... მისი ხელახლა დამონება შეუძლებელი იყო“.

რუსეთის ამ გამოთხიზლებულ ცხოვრებას, რევოლუციონურ-დემოკრატიულ აზროვნებას ეზიარნენ ქართველი ახალთაობის მოწინავე წარმომადგენლები, რომელთა გონება უკვე შემზადებული იყო სამშობლოს გარკვეული ისტორიული მდგომარეობით იმ დიდი სოციალურ განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რომელიც რუსეთში წარმოებდა.

60-იანი წლების ქართველი მწერლების ბრწყინვალე პლეადა — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები თავიანთ სამოღვაწეო დროშაზე წერდნენ იმავე იდეებს, რაც ასულდგმულებდა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვსა და ნეკრასოვს.

ტყუილად არ უსაყვადურებდნენ ილია ჭავჭავაძეს ლიტერატურული მოწინააღმდეგენი, რომ მისმა „საქართველოს მოამბემ“ „სოვრემენიკის“ კაბა ჩაიცვაო. ნიკო ნიკოლაძე 1873 წელს გატაცებით იგონებდა ჩერნიშევსკის და ნეკრასოვის „სოვრემენიკს“, როგორც ქართველი მოაზროვნე ახალთაობის შთაგონების წყაროს: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, — წერდა ნიკო ნიკოლაძე 60-იანი წლების „სოვრემენიკის“ შესახებ, — რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ეურნალის („სოვრე-

მენიკის“ — ა. ნ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა ალტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რა ნაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული. გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლო მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის დამე გაგვიფიქრებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი დამეები მოუსვენრათ უწვალებოვართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ყურნალს ჩვენში მოუხდენია! ვინ დათვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, ალტაცების, ტვინის წვალების და გრძნობის ამაღლების დღეებს ან ვინ დაივიწყებს მათ სანადაგოთ გულში ჩაბეჭდილს კვალს!¹

ნ. ნიკოლაძის სიტყვები თვალნათლივ წარმოგვიდგენენ იმ დიდ სულიერსა და იდეურ კავშირს, რომელიც ქართველ ახალგაზრდობას ჰქონდა რუსეთის პროგრესულ მთავრობებთან.

„სოცრემენიკი“ ზომ დროში იყო ყოველივე რევოლუციონერის და კეთილშობილურის, რაც კი რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში იმადებოდა. „სოცრემენიკის“ ფურცლებზე ქართული საზოგადოება ეცნობოდა როგორც ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის პუბლიცისტურ-კრიტიკულ სტატიებს, ისე ნეკრასოვის პოეტურ სტრიქონებს. როგორც აღვნიშნეთ, ეს მჭიდრო კონტაქტი ქართული ლიტერატურისა რუსულ დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან 60-იანი წლებიდან იწყება. ნეკრასოვის სახელი ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ 40-იან წლებში, გამოჩნდა თბილისის საზოგადოებაში. კერძოდ, ეს საკულისხმო ფაქტი განეკუთვნება 1846 წელს, ე. ი. იმ დროს, როცა

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ნეკრასოვმა.

1846 წელს თბილისში დაუდგამთ ნ. ნეკრასოვის პიესა. ამ წარმოდგენის მოკლე ისტორია ასეთია. როგორც ცნობილია, 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული დრამატული დასი, რომელსაც შემადგომლობა აღუძრავს „საიმპერატორო“ თეატრების დირექციის წინაშე თბილისის დასის გაძლიერების მიზნით, პეტერბურგიდან გამოიგზავნათ გამოცდილი მსახიობები. მართლაც, 1846 წელს თბილისის სცენაზე გამოჩნდნენ პეტერბურგელი საკმაოდ ცნობილი მსახიობები — იაბლოჩკინი, მუხინი, ბურდინი, მედვედევა და სხვები. ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით გამართულა რამდენიმე სპექტაკლი, რომელთა შესახებ ჩვენ მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება. ჩვენთვის საინტერესო წარმოდგენაზე ცნობა შემოუნახავს 1846 წლის გაზ. „კავკაზის“ № 42-ში დაბეჭდილ რეცენზიას, რომელიც ეხება იმავე წლის 8 ოქტომბერს ე. წ. მანეის თეატრში (ახლანდელ საინჟინრო ქუჩაზე) დადგმულ სპექტაკლს.

ამ დღეს წარმოდგენილი ყოფილა გრიბოედოვის „ვია ჭკუისაგან“ და პერპელსკის ვოდევილი „ბაბუას თუთიყუშები“. პერპელსკი იყო ახალგაზრდა ნეკრასოვის ფსევდონიმი. მისა ვოდევილი ამ წლებშივე დაიდგა პეტერბურგის ალექსანდრიის თეატრში. თბილისში წარმოდგენილ ნეკრასოვის პიესას საუცხოო შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებელზე. ამრიგად, თბილისის საზოგადოება ნეკრასოვის პიესას გაეცნო ჯერ კიდევ მწერლის შემოქმედების განთიადზე.

პირველი ქართული თარგმანი ნეკრასოვის ლექსისა ეკუთვნის ანტონ ფურცელაძის კალამს. ეს ლექსია „როდეს შემესმის კვალად ბრძოლის ხმა“, დაბეჭდილი 1861 წლის „ცისკარის“ № 11-ში.

¹ ნ. სკანდელი — „სხვათაშორის („სახელი და გვარი“) თურნ. „კრებული“, 1873 წ. № 4, გვ. 151 — 152.

ანტონ ფურცელაძე შემთხვევით არ იწყებს ნეკრასოვის ლექსების თარგმნას. იგი რადიკალურ-დემოკრატიული განწყობილების მოაზროვნეა 60-იან — 70-იანი წლების ქართულ მწერლობაში. მისი ნაწერები განმათავისუფლებელი იდეებით, მებრძოლი სულისკვათებით არის გატენილი. ამის დასამტკიცებლად საკმარისია თუნდაც გვიჩვენოთ მისი „სამის თავგადასავალის“ მკობრო კავშირი ჩერნიშევსკის ცნობილ რევოლუციონურ რომანთან — „რა ვ-კეთოთ“, რომელმაც დაბეჭდისთანავე, 1863 წელს, ერთგვარი გამოძახილი პოიპოვა ქართველი მწერლის დასახელებულ მოთხრობაში.

ჩვენთვის საინტერესო ცნობებს შეიცავს ანტონ ფურცელაძის ქალიშვილის ივლიტა ქარცივაძის მოგონებები. ეს უკანასკნელი თავისი მამის შესახებ გადმოგვცემს: „ანტონ ფურცელაძე გატაცებული თავყანისმცემელი იყო ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვისა და პისარევის. თუმცა, როცა ეტყოდნენ, შენი შეხედულებები ხელოვნებაზე პისარევის გავლენით გაქვს შემუშავებულიო, ძალიან სწყინდა. ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ“. შეიძლება ითქვას, მისი სახარება იყო. განსაკუთრებით უყვარდა ნეკრასოვი. მისი ლექსები მამაჩემმა ზეპირად იცოდა, თარგმნიდა კიდევ. ნეკრასოვის ლექსების ტომი მისი მაგიდის განუშორებელი წიგნი იყო. ჩამრჩა მუხსიერებაში მისი გამოთქმა: „ვისაც ნეკრასოვი უყვარს, შეუძლებელია იგი ცუდი ადამიანი იყოს, რადგან ნეკრასოვის პოეზია ადამიანისადმი სიყვარულის პოეზიააო“.

1867 წელს გამოქვეყნდა ანტონ ფურცელაძის თარგმანი ნეკრასოვის განთქმული ლექსისა „ფიქრები საპარადო მისასეულთან“. ძველი თაობის ორგანოს — „ციცკრის“ ფურცლებზე ანტონ ფურცელაძე ახერხებს დაბეჭდოს ნეკრასოვის მრისხანებითა და სევდით აღსავსე სიტყვები.

1864 წელს ცნობილი თურგდალეული კირილე ლორთქიფანიძემ თავის ტრექტორობით დაბეჭდილ კრებულში — „ჩანგურში“ აქვეყნებს თავის თარგმანს ნეკრასოვის ლექსისა — „პოეტი და მოქალაქე“. 60-იანი წლების ქართული მწერლობის რჩეული ნაწერების აღმანახში ნეკრასოვის ამ საპროგრამო ლექსის თარგმანის მოთავსება გამოძახებელი იყო ქართველი მესამოციანელების განსაკუთრებული სიმპათიისა ნეკრასოვის პოეტური იდეალებისადმი. კ. ლორთქიფანიძეს შემდეგშიც უმუშავია აღნიშნული თარგმანის გაუმჯობესებაზე. ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია „პოეტის და მოქალაქის“ თარგმანის ერთი ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს „ჩანგურში“ დაბეჭდილის დედს. კ. ლორთქიფანიძეს საკმაოდ უსწორებია ეს ხელნაწერი დაბეჭდვის შემდეგ.

1864 წლის „ჩანგურში“ კ. ლორთქიფანიძე აგრეთვე ბეჭდავს ნეკრასოვის მეორე ლექსის — „გადის დრო“ თარგმანს.

კ. ლორთქიფანიძის არჩევანი აქაც განმათავისუფლებელი პათოსით გატენილ ლექსზე შეჩერებულია. თარგმანიც ჩინებულია. აქ მოვიყვანთ ამ ლექსის პირველ ნაწილს, გადმოწერილს კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცულ შესწორებული დედნიდან:

„გადის დრო და თან მაკლეს მე ძალს,
გადის დრო და თან სულს მიწუხებს
ჩემო მამულსო ჩაუღიარ საფლავს,
და ვერ ვესწრები მე ბედნიერ დღეს.
იმ დღეს, როდესაც ცრემლები შეგზრება
და გაგიჭრება შენ ვეღვა წულელი,
და წმინდა ნატვრა მე ამხდება
უამწილობიდან გულს ჩასახელი“.

70-იან წლების დასაწყისში — 1866-69 წლებში — გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ჩვენ ვხვდებით ნეკრასოვის რამდენიმე ლექსის თარგმანს. მაგ., 1858 წ. „დროების“ № 45-ში დაბეჭდილია ნეკრასოვის ლექსის — „კარგი ზნის კაცის“

თარგმანი, რომელიც შესრულებულია ი. მესხის მიერ. ი. მესხი 70-იანი წლების ქართველი ლიტერატორია, ძმა სერგეი მესხისა, გოგოლის მოთხოვნების ერთი პირველი მთარგმნელთაგანი. იმავე წლის „დროების“ ფურცლებზე (№ 38) ჩვენ გვხვდება ნეკრასოვის ლექსის „მამო!“, თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ლაზარე მესხიშვილს. ერთი წლის შემდეგ, 1869 წელს, კვლავ ჩნდება თარგმანი ნეკრასოვის ახალი ლექსის „მებაღისა“ (მთარგმნელის ხელმოწერა). ეს ლექსი იმავე წელს „დროებიდან“ უცვლელად გადმოუბეჭდას „სასაფლო გაზეთს“ (1869 წ., № 10).

ნეკრასოვის პოეზიამ მძლავრი გამოხატულება პოვა არა მარტო 60-70-იანი წლების ქართულ პოეტურ შემოქმედებაში, არამედ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაშიც. ამ დროის ქართულ კრიტიკაში მოცემულია ნეკრასოვის პოეზიის სოციალური ბუნების ღრმა ანალიზი, აღნიშნულია ნეკრასოვის, როგორც ჩაგრული ხალხის პოეტური მესიტყვის, დიდი ისტორიული როლი და, აგრეთვე, ხაზგასმულია 60-იანი წლების ქართული და რუსული მწერლობის ღრმა იდეური კავშირი.

— „რუსების მელექსეებში, — ვკითხულობთ 1867 წლის „დროების“ ფურცლებზე (№ 35) მოთავსებულ სტატიის, — თითქმის პირველი ნეკრასოვი იყო, რომელმაც მიაპყრო გონება თავის აღმზრდელ, მასაზრდოებელს დაჩაგრულ ხალხს, შეუდგა ამ ხალხის ცხოვრების შესწავლას, დაიწყო ლექსებში წარმოთქმა ხალხის გრძნობისა, იმის მდგომარეობისა, იმის მწუხარებისა და სხვა ვითარებისა. პირველმა თითქმის იმან დაიწყო ლექსებში სასარგებლო აზრების გაყვანა და დაიწყო ცდა, რომ ლექსები არა ყოფილიყო ცარიელი, უაზრო და უსაგანო, როგორც მანამდინა სწერდნენ ხოლმე... პროზაშიაც თავი იჩინა აღნიშნულმა ტენდენციამ. ბოლოს მართლაც ცარიელი სურათების სახვასაც არ

დასჯერდნენ და დაუწყვეს ემეჯერის თხზულებებში სხვადასხვა სასარგებლო აზრების ჩასახვაცა, რომელნიც უნდა წარმომდგარიყვნენ გამოსახულის მდგომარეობიდან. ამგვარმა წერამ ჩაითრია თვით ისინიცა, რომელნიც მკვიდრად და შეუწყველად ადგენენ იმ აზრსა, რომ ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებასაო და არა ცხოვრებას, — ესე იგი ხელოვნებას არ უნდა ჰქონდეს არავითარი სასარგებლო სახმარისი აზრი: იმითი მხოლოდ უნდა სტკებოდნენ და შეექცეოდნენო. ასე, რომ თითქმის მთელი რუსული ლიტერატურა დაადგა შემოთ მოყვანილს სასარგებლო გზასა და ნამეტნავად დაწინაურებული ყმაწვილი თაობის წარმომადგენელი მწერალნი, რადგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელ რუსის მწერლობის სკოლაში, ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ესევე სასარგებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაც“ („დროება“ 1867 წ. № 35).

შეფასება, რომელსაც აძლევს ნეკრასოვის პოეზიას ქართული დემოკრატიული აზროვნების ორგანო „დროება“ 1867 წელს, ჩვენ გვაგონებს იმ შეფასებას, რომელიც 60-იანი წლების რუსული მოწინავე კრიტიკოსების სტატიებში გვხვდება „პოეტისა და მოქალაქის“ ავტორის შემოქმედების შესახებ.

აღნიშნულ წერილში აღსანიშნავია აგრეთვე 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაზე რუსული დემოკრატიული რადიკალური აზროვნების ნაყოფიერი ზეგავლენის აღიარება.

კიდევ მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1872 წელს პროგრესულ-დემოკრატიული ტიპის ჟურნალ „კრებულში“ გატარებულია აზრი რუსი და ქართველი ხალხის სოციალური ჩაგრვის საერთო ხასიათის შესახებ და აღნიშნულია, რომ ნეკრასოვი რუსეთის მშრომელი ფენების ტანჯვა-წამების პირველი ჰემმარტი პოეტური გამოხატველიაო.

სტატია ეკუთვნის პ. პეტრიძის კალამს და დაწერილია ხალხური პოემის „არსენას“ შესახებ.¹ პ. პეტრიძე ფსევდონიმით იყო მოწინავე ქართველი მწერლის პეტრე უმიკაშვილისა. სტატიის ავტორი, პირველყოფლისა, აღწერს იმ დუხპირ პირობებს, რომლებმაც წარმოშვეს არსენა, ეს „ხალხის ნამდვილი შვილი“ და ხალხის თავისუფლების გრძნობის გამომხატველი კაცი. ავტორი 40-50 წლების მწერლების (გიორგი ერისთავის, ანტონოვის) მხატვრულ თხზულებათა მაგალითებზე კონკრეტულად ასურათ-ხატებს ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას. პ. უმიკაშვილის მოპყავს ადგილი ანტონოვის „შვის დაბნელებიდან“ („ცუდი როგორ არ მოგვივა, რომ დიამბევის იასაულების შიშითა სახლში წიწილა ველარ გაგვიჩენიაო“) და დაასკვნის: „ამ აზრისა იყო ხალხი, ჩვენშიაც და რუსეთშიაც. მშვენიერ ლექსებში გამოსთქვა ნეკრასოვმა ეს გარემოება გლეხის ხალხისა“. ² სტატიის ავტორს აქ მოყავს რუსულად და ქართული პროზაული თარგმანის თანდართვით ცნობილი ადგილი ნეკრასოვის ლექსისა „საპარადო მისასვლელთან“. თარგმანის თავისებურების გადმოცემისთვის მოვიყვანთ ამ ადგილსაც:

— „სამშობლოვ ქვეყანავ! დამისახელე ერთი კუთხე, რომ შენი მხენელი და მთესველი გლეხი არ ჰკენესოდეს? ჰკენესის მინდორში და გზებში, ჰკენესის სატუსალოში და საპატიმროში, ციმიარში შებორკილი: ჰკენესის ძნის ქვეშ და ურემქვეშ, ჰკენესის თავის ღარიბ ქონშიაც და შვის ნათელიც კი სიხარულად არ მიაჩნია; ჰკენესის ყოველ პატარა მიყრუებულ ქალაქში სუღისა და პალატის კარებთანა... ვოლგავ! ვოლგავ! გაზაფხულობით წყალდიდობის დროს ისე არა ჰჭვარავ და არ ედები ჩვენს მინდვრებსა, როგორც დიდი მწუხარება ედე-

ბა ჩვენს ქვეყანასა საცა კი ხალხია კენესა მოისმის!“.

ნეკრასოვის ლექსის უკანასკნელ სტრიქონებს მოპყვება პ. უმიკაშვილის სიტყვები: „ამ გარემოებაში ველარ სძლებს არსენა და თავზე ხელს იღებს. ამ ურჩობისთვის ეხლა დაჭერილი, კანონის წინაშე წარდგენილი“, და სხვა.

აქ საინტერესოა არა მარტო ის, რომ სტატიის ავტორი რუსი და ქართველი ხალხის სოციალური ჩაგვრის საერთო ხასიათზე მიუთითებს, არამედ არანაკლებ საყურადღებოა მეორე გარემოებაც. ხალხური გმირის არსენას ყაჩაღად გაეპარდნის მიზეზების ძიებისას იმ დროის ჩვენი შავნელი სინამდვილის დასახასიათებლად ქართველი მწერალი იშველიებს დიდი რუსი პოეტის მუხას, მისი უბადლო კალმით დახატულ ამოღელებელ სურათებს.

როგორც ცნობილია, ნეკრასოვის გარდაცვალებამ (1877 წლის დეკემბერს) დიდი ეროვნული მწუხარება გამოიწვია მთელ რუსეთში. რუსეთის მოაზროვნე ახალმა თაობამ პოეტის ახლადგაქრილ სამარესთან იგი გამოაცხადა ახალი, გამოღვიძებული რუსეთის პოეტურ მესიტყვედ. რუსეთის ხალხის ამ ეროვნულ მწუხარებას ხმა შეუერთა დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა, რომელიც დაესწრო ნეკრასოვის დასაფლავებას და გამოუგზავნა წერილი თბილისში ნიკო ნიკოლაძის რუსულ გაზეთ „ოზნორს“. აკაკის სტატია დაიბეჭდა გაზეთის 1878 წლის 10 იანვრის ნომერში. „გუშინ, 30 დეკემბერს, დაასაფლავეს ერთერთი უნიჭიერესი რუსი პოეტი ნ. ა. ნეკრასოვი. — წერს აკაკი — დილა აღრიანვე 3-4 ათასი კაცი შეიკრიბა ლიტეინის ქუჩაზე, ა. კრავესკის სახლის წინ. 60-იანი წლების ერთგული მოღვაწე და „სოვრემენიკის“ ერთერთი რედაქტორი ნეკრასოვი უკანასკნელ დროს კრავესკის სახლში ცხოვრობდა და მსურველ მონაწილეობას იღებდა „ოტჩენსტვენე ზაპისკის“ გამოცემაში.

¹ „კრებული“. 1872 წ. № 7, გვ. 53.

² „კრებული“. 1872, № 7, გვ. 81 — 83.

სრულ 9 საათზე გამოიტანეს ცხედარი და პროცესია დაიძრა ნოვოდევნიჩის მონასტრისაკენ. პოეტის კუბო თვით საფლავამდე ხელით მიჰქონდათ მისი ნიჭის თაყვანისმცემელთ: კუბოს წინ მიჰქონდათ რამდენიმე გვირგვინი წარწერებით: „რუსი ქალებისაგან“, „...ხალხის უკვდავ მომღერალს“, „ხალხისათვის თავდადებულს და სხვა...“

აკაკი წერეთელი აღწერს დაწვრილებით ხალხის საუკეთესო ნაწილის ღრმა მწუხარებას საყვარელი პოეტის დაკარგვის გამო. ქართველი პოეტი თავის წერილში ეხება დოსტოევსკის ცნობილ სიტყვასაც: „ნეკრასოვი შეიძლება ჩავთვალოთ ლერმონტოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობად. ამიტომ იგი თამამად შეიძლება ამოუყენოთ გვერდში პუშკინსა და ლერმონტოვს... „სთქვა დოსტოევსკიმ, — მაგრამ აკაკის გადმოცემით, „ორატორის სიტყვა შეაწყვეტივნეს წამომახილებით“ „უფრო მაღლა, უფრო მაღლა“. აკაკის არ მოსწონებია ზოგიერთი ზოგადად მოლაპარაკე ორატორი, რომელთა შესახებ იგი ნაღვლიანად დასძენს: „მაგრამ ხომ შეიძლება და სხვანაირად თქმულიყო მასზე, ვისაც გულიდან აღმოხდა:

Холодно, родименький, холодно,
Голодно, родименький, голодно!.*

ასეთია აკაკი წერეთლის მიერ აღწერილი დიდი რუსი პოეტის დასაფლავების სურათი.

ნეკრასოვის გარდაცვალებას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერიაც“. „ნეკრასოვი, — წერს „ივერიაც“, — იყო ამ უკანასკნელ ოცდაათის წლის განმავლობაში ერთი გამოჩენილი მშრომელი რუსულ მწერლობაში და ქურნალისტიკაში და თავის ლექსებით ისეთი ადგილი ეჭირა, რომ ვერც ერთი პოეტი რუსეთისა ვერ შეედრებოდა“. „ივერიაც“ აღარებს ნეკრასოვს დიდ რუს მწერლებს პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს და

აღნიშნავს, რომ იგი (ნეკრასოვი — ა. ნ.) „დიდხანს“ იქნება რუსეთის შრავალი თაობის აღმზრდელი“. ასეთი, მაღალი მოწოდების პოეტად არის წარმოდგენილი ქართული პერიოდიკის ფურცლებზე რუსეთის მშრომელი ხალხის მომღერალი პოეტი.

ნეკრასოვის გარდაცვალების შემდეგ, 80—90-იან წლებში, ქართული ლიტერატურის ზოგ საკითხთან დაკავშირებით კვლავ ახალი ძალით იღვიძებს ჩვენში ინტერესი ნეკრასოვისადმი.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქართველი დიდი მესამოციანელის ნიკო ნიკოლაძის ის წერილები, რომლებიც 80-იან და 90-იან წლებშია გამოქვეყნებული და რომლებშიც განსაკუთრებით იგრძნობა 60-იანი წლების რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის გავლენის ღრმა კვალი.

1889 წლის „ნოვოე ობოზრენიეს“ მაისის ფურცლებზე ჩვენ ვხვდებით ნიკო ნიკოლაძის საინტერესო პოლემიკური ხასიათის წერილებს, რომლებშიც, როგორც თვით ავტორი წერს, ერთი მთავარი აზრია გატარებული: „ტალანტი შეხამებული უნდა იქნეს შრომასთან“, ეს არის აუცილებელი პირობა მისი განვითარებისა და საზოგადოებაზე გავლენისა. „მთავარია, — წერს თავის წერილში ნ. ნიკოლაძე, — რომ იგი (მწერალი — ა. ნ.) მუშაობდეს, შეიარაღდეს ცოდნით — გარკვევით უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია ბუნებრივ ჭკუას მიადგინოს თანამედროვეობის მეთაურობას და შთამომავლობაზე ზედმოქმედებას... როგორც უდიდესი სიკეთე — მან გულში უნდა ატაროს თავის თავით მუდმივი უკმაყოფილება, უკმაყოფილება თავის ნაწარმოებებით და უნდა მიისწრაფოდეს კიდევ მეტად და მეტად იმოქმედოს თანამემამულეთა გონებაზე. ასეთი უკმაყოფილების უქონლობა, რომელსაც თან სდევს გულგრილი დამოკიდებულება თავის მუშაობასთან, არავითარი სურ-

* «Обзор», 1878 г. 10. I.

ვილი შრომისა თავის განვითარებისათვის ნაადრევად ღუპავს ჩვენ ლიტერატურულ ტალანტებს“...¹

ნიკო ნიკოლაძეს თავის წერილში მოყავს მაგალითი ნეკრასოვის და შჩედრინისა, რომელთა შემოქმედებაში ტალანტი ჰარმონიულად შეხამებულია შრომასთან და რომელთა მაღალი ხელოვნება საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.

ქართველი პუბლიცისტი ნეკრასოვს აღარებს ილია ჭავჭავაძეს და ასაბუთებს, რომ ილია ჭავჭავაძემ მისცა მიმართულება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურას როგორც მისმა ბელადმა, მეთაურმა, ისევე როგორც ნეკრასოვმა — რუსულ პოეზიას. „მეტი სიცხადისათვის, მსურს რა ვილაპარაკო შედარებების ენით, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მე მაგალითად მოვიყვან მეორე გამოჩენილ პოეტს ნ. ნეკრასოვს... მან პირველმა რუსულ ლიტერატურაში შემოიტანა ელემენტები, — მანამდე მხოლოდ იშვიათად და შეუმჩნევლად, რომ გვხვდება პუშკინისა და ლერმონტოვის ზოგიერთ ნაწარმოებში...“

1889 წლის 9 ივნისს „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე ნიკოლაძე ებაეჭრება „ტიფლისკი ლისტოკის“ კორესპონდენტს აღნიშნული საკითხის გარშემო და უსაყვედურებს, რომ მას ვერ გაუგია მთავარი არსი, მამოძრავებელი იდეა მისი წერილისა. აღნიშნულ წერილში ნიკო ნიკოლაძე წერს:

„არა, — ეს აშკარა უმართებულობაა, — თითქოს ტალანტი შეუთავსებელი იყოს შრომასთან, ამის ბატიება მხოლოდ საგნის სრული უცოდინარობით შეიძლება. შექსპირი, გოეთე, ბაირონი, სერვანტესი, და ა. შ. იყვნენ არა მარტო ტალანტები, არამედ პირდაპირი გენიოსებიც, რაც სრულიადაც არ უშლიდა მათ მთელი სიცოცხლე ემუშავნათ,

ემრომათ თვითგანვითარებაზე და არა თუ გასწორებოდნენ, არამედ ვერცერთ კიდევ თავისი ეპოქის უგანათლებულეს ადამიანებისათვის... მათ კარგად ესმოდათ, რომ წინ დაძვრა შეიძლება მხოლოდ იმისა, რასაც საფუძვლიანად დაეუფლები, რასაც ყოველმხრივ მოიცავს, რაც უფრო ძლიერია ტალანტი, მით უფრო ღრმაა გონება, რაც უფრო ცხოველია მათში, ცნობისმოყვარეობა... წყურვილი ჩასწვდეს ბუნების საიდუმლოებათ. ეს თანდაყოლილი თვისება ყოველი ცოცხალი ნატურისა, ყოველი ორიგინალური გონებისა სძრავს ჩვეულებრივ ტალანტებს, შრომისა და მუშაობისაკენ. მხოლოდ ხელოვნურ თანხვედრას არასასიამოვნო პირობებისას... და ლიტერატურაში იმის ქადაგებას, რომ თითქოს ტალანტი შეუთავსებელია შრომასთან, შეუძლია მიაყუროს ნიჭიერ ადამიანებში ეს თანდაყოლილი მიზიდულება მუშაობისაკენ“.

ზემოაღნიშნულიდან საკმარისი სიცხადით ჩანს, რომ ნიკო ნიკოლაძის სტატიებში განხილულია 60-იანი წლების დემოკრატიული ესთეტიკის და, კერძოდ, ნეკრასოვის ესთეტიკური პროგრამის მნიშვნელოვანი საკითხი ტალანტისა და შრომის დამოკიდებულების შესახებ. საკმარისია ყურადღებით წავიკითხოთ ნეკრასოვის ნაწერები, რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, ქართველი პუბლიცისტისა და დიდი რუსი პოეტის შეხედულებათა ერთიანობა ამ საკითხში.

არა ნაკლებ ინტერესს შეიცავს 1890 წელს „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე მოთავსებული ნიკო ნიკოლაძის ის წერილები, რომლებშიაც ავტორი გადმოგვცემს თავის რეალისტურ-ესთეტიკურ შეხედულებებს. ამ წერილებში ნ. ნიკოლაძე წარმოგვიდგება, როგორც მქადაგებელი იმ დემოკრატიულ-ესთეტიკური პრინციპებისა, რომელთაც ჩერ. ნიშკესკი და დობროლუბოვი თავიანთი მგზნებარე წერილებით აწვდიდნენ ხალხს.

¹ «Новое обозрение», 1889 г. № 1865.

ქართველი პუბლიცისტის მტყუცებით, მწერლის უპირველესი დანიშნულებაა ხალხის სიკეთისთვის ზრუნვა. იგი მკითხველის ყურადღებას აქცევს მწერლების ზედრს, მწერლებისა, რომლებიც განსაკუთრებით სიყვარულით აღბეჭდა ხალხმა თავის გულში. „არ მინდა რა მოვიყვანო მაგალითები უცხო ლიტერატურიდან, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მივეთითებ მხოლოდ საერთოდ ცნობილ სახელებს, რომელთა შესახებ საზოგადოებაში ორი აზრი არ არსებობს. რისთვის არის ყველა ჩვენთაგანისათვის ყოველი ინტელიგენტური რუსული საზოგადოებისათვის ასე ძვირთასი. ასე სიმპატიური ხსოვნა ბელინსკ-ზე?.. რატომ არის, რომ ყველა, ვინც ჩვენ სამშობლოში კეთილშობილი და წესიერია, — სიყვარულით და სიამაყით წარმოსთქვამს ბელინსკის სახელს?“

ამის ახსნა, ნიკო ნიკოლაძის აზრით, ძალიან ადვილია. „ხალხის ხსოვნაში, — ქართველი პუბლიცისტის სიტყვით, — მწერლები იჭრებიან არა მარტო იმით, რა შემოიტანეს ახალი თავის ნაწერებით, არამედ განსაკუთრებით იმით, რითგაუმჯობესეს მათ ხალხის ზედრი, ზნეობა და შეხედულებანი. მხოლოდ ის მწერლებია ძვირფასი და სახსოვარი ხალხისათვის, რომლებიც ხელს უწყობდნენ თავის სამშობლოს პროგრესს, რომლებიც ეწამენ მისი სიკეთისათვის. ისინი შთაგონებულნი არიან ერთადერთი სიყვარულით სამშობლოსადმი... და რაც უფრო სრულია, რაც უფრო ღრმაა ეს სიყვარული, მით უფრო გასაგებია საქმისადმი თვით მწერლის მხურვალე დამოკიდებულება. მწერალი... აღმზრდელია, ხელმძღვანელია თავის საზოგადოებისა. კრიტიკირებდა მისი მოღვაწეობისა წარმოგვიდგება მისი რწმენა, მისი იდეალები, მისწრაფებანი, მისი საზოგადოებრივი მიზნები. მხოლოდ ის, ვისაც თავის საზოგადოება მიჰყავს წინ სიკეთისა და დიდების გზით... და ვინც პროგრესისათვის გზის

გაკაფით მგზნებარედ, დაუღალავად იბრძვის ამ პროგრესისათვის, მტრულ ყველა ელემენტთან — იპოვის ადვილს თავის თანამემამულეთა გულში და ხსოვნაში. რეგრესისა და უძრობის მესვეურები და აპოლოგეტები კი... რა გინდ სასწაული არ უნდა მოახდინონ მწერლობაში, ვერაფერს გახდებიან, თუ მათ არ ამოძრავებთ ხალხისადმი სიყვარული“... ამიტომ, — დაასკვნის ნიკო ნიკოლაძე, — ბოროტებაა იყო გულგრილი იმ დროს, როცა იწვის მამის სახლი, როცა იღუპება ობლის ქონება როგორც სისწორით წამოიძახა ნეპრასოვმა:

«Кто живет без печали и гнева,
Тот не любит отчизны своей.»¹

ქართველი პუბლიცისტის მიერ ნეპრასოვის პოეტური სტრიქონების დამოწმება თავისი ძირითადი აზრის დასასაბუთებლად შემთხვევითი არ არის. ნ. ნიკოლაძის სტატია შთაგონებულია ნეპრასოვის აზრებით მწერლის მაღალი მოვალეობის შესახებ ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ასეთია ქართველი მესამოციანელი მოაზროვნის შეხედულებათა ნათესაობა ნეპრასოვის ესთეტიკურ პრინციპებთან.

ნეპრასოვის დემოკრატიული პოეზიის გავლენა ძლიერი ყოფილა საქართველოშიც 80-90-იან წლებში. ნიკო ნიკოლაძის მეუღლის — ოლგა გურამიშვილის გადმოცემით, „80-იან წლების ქართველ ახალთაობაში ნეპრასოვს დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული. განსაკუთრებით იზიდავდა ქართველ ახალგაზრდობას „ფიქრები საპარადო მისასვლელთან“. ყოველმა ჩვენთაგანმა ზეპირად იცოდა მისი ცნობილი ლექსები. ნეპრასოვი იდეური შთაგონებელი იყო ჩვენი თაობისა. მახსოვს, პეტერბურგის ლიტერატურული საღამოების დამთავრების შემდეგ მისი ლექსების კითხვით მოვეფინებოდით ხოლმე ქუჩებს“.

¹ «Новое обозрение». 1890 г. № 2285.

80-იანი წლების ქართველი მოაზროვნე ახალი თაობის დამოკიდებულების შესახებ ნეკრასოვთან ფრიად საგულისხმო მასალას გვაწვდის „ივერიის“ ცნობილი თანამშრომლის იაკობ მანსუეტაშვილის (დონ-იაგოს) „მოგონებანი“ (1936 წ., გვ. 50).

დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, 80-იანი წლების გორის საოსტატო სემინარიელთა წრის დაინტერესება ნეკრასოვის „გლახური პოეზიით“. ეს წრე უაღრესად დაინტერესებული ყოფილა ლიტერატურული საკითხებით, იმ მწერლებით, რომელთა შემოქმედების ცენტრში სოციალური საკითხები იდგა.

ცნობილი ხალხოსანი და პედაგოგი ალ. გარსევანიშვილი შემდეგს გადმოგვცემს ამ წრეში ჩატარებული საუბრებისა და ლექციების შესახებ „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ მომღერლის, გლახური რევოლუციის პოეტის — ნეკრასოვის შესახებ: „ამ საღამოს, — წერს იგი ერთ-ერთი ლიტერატურული საღამოს გარშემო, დავესწარი რუსული ენის მასწავლებლის საუბარს. ნოვოსპანსკი პოეტ ნეკრასოვის ნაწარმოებს კითხულობდა, სადაც მხატვრულად აწერილია რუსი ქალის დახასიათება. ალაგ-ალაგ გაჩერდებოდა ხოლმე და საჭირო კომენტარიებს აკეთებდა. მისი აუჩქარებელი და მკაფიოდ გადმოცემული ახსნა-განმარტება მე ძალიან მომეწონა. საუბრის შემდეგ ჩაიხე დამპატიყეს, რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა — ა. ნ.) ჩემს კვერდით იჯდა და მელაპარაკებოდა ნეკრასოვის მნიშვნელობაზე. ზოგიერთ ამ პოემის ნაწყვეტს ზეპირად ამბობდა. განსაკუთრებით მოსწონდა იმ ლექსის ნაწყვეტი, სადაც პოეტი მიმართავს მკითხველს ასეთი სიტყვებით: „წადი მასთან, ვინც დამცირე-

ბულია და ცხოვრებისაგან შეურაცხყოფილია, იყავ შენ მათგან (მეურველი) სადაც ისმის მძიმე სუნთქვა და მოქალაქის მწუხარება, იქაც იყავ პირველი“.

ამრიგად, ნეკრასოვის ლექსები ქართულადაც ბრძოლის ხმაზე ეღერდნენ და მოუწოდებდნენ ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, ისინი ქართულ საზოგადოებაშიც აღვიძებდნენ წმინდა სიძულვილს დამპყნებელი თვითმპყრობელობის და ექსპლოატატორთა კლასების წინააღმდეგ. რევოლუციურ ჰიმნად ისმოდა საქართველოშიც პოეტის სტრიქონები:

„უსამართლობას, ბნელსა და ბოროტს მოვეუღონებო, ვით რისხვა ზეცით“.

ნეკრასოვის შემოქმედებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა საქართველოში. ქართველმა საბჭოთა პოეტებმა თავისი თარგმანებით დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენს ახალ თაობას ნეკრასოვის პოეზიის ათვისების საქმეში.

როგორც ვხედავთ, ნეკრასოვს მძლავრი გამოხმაურება მოუპოვებია ქართულ ლიტერატურაში. ეპოქის დიადი პროგრესული იდეებით ამოძრავებული XIX საუკუნის ქართული მწერლობა სიყვარულით უღებდა კარს დიდი რუსეთის დიდი მწერლის „მრისხანე მუზას“. 60-70-იანი წლების ქართული ლიტერატურული მოვლენების განხილვამ ჩვენ ნათლად დაგვანახვა, თუ რა ორგანულად შეითვისა ქართულმა მწერლობამ ნეკრასოვის მებრძოლი პოეტური ჰანგები. შეიძლება ითქვას, ამ პერიოდში საბოლოოდ გამოიჭედა ის სულიერი კავშირი, რომელიც რუსი და ქართველი ხალხის დიადი სტალინური მეგობრობის ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს.

შენიშვნები ბ. ჭლენჯის წიგნზე „თანამედროვე ქართული მწერლობა“



ბესარიონ ჟღენტის წიგნით — „თანამედროვე ქართული მწერლობა“ — სარგებლობენ მასწავლებლები, სტუდენტები, საშუალო სკოლის მოსწავლეები. როგორც ავტორის წინასიტყვაობიდან ვიცით, ამ წიგნის მიზანია მისცეს „მკითხველს მთლიანი წარმოდგენა... დიდი სამამულო ომის პერიოდისა და ომის შემდეგი წლების ქართული ლიტერატურული ცხოვრების შესახებ, იმ ძირითადი პროცესებისა და მოვლენების შესახებ, რომელთაც დასახელებული წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა ქართულ საბჭოთა მწერლობაში, იმ იდეებისა და თემების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქართული მწერლობის განვითარებას ამ ხნის განმავლობაში“ („თანამედროვე ქართული მწერლობა“, გვ. 3.)

მით უფრო საჭიროა გაირკვეს, თუ ეს წიგნი რამდენად სწორად აშუქებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზებს, როგორ აყენებს და როგორ წყვეტს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდისა და საბჭოთა ესთეტიკის პრობლემებს და რამდენად უწყობს ხელს კარგი მხატვრული გემოვნების განვითარებას ხალხში, ახალგაზრდობაში.

საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა დაუდობელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლენასთან ლიტერატურაში. ამავე დროს, ცნობილია, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, ძველი ფსიქოლო-

გიის ნაშთები თითქმის ყველაზე მეტად იკიდებენ ფეხს ნაციონალური საკითხების სფეროში. ძველა, ყალბი ნაციონალისტური წარმოდგენები და შეხედულებები ასაზრდოებენ სწორედ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი კი ჩვენს პირობებში, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია სოციალისტური საზოგადოების სიმტკიცის, ჩვენი საბჭოთა იდეოლოგიის მთავარი ქვაკუთხედის — ხალხთა სტალინური მეგობრობის წინააღმდეგ. აქედან ცხადია, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის, მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და, კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის ბრძოლას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ამხ. ა. მგელაძემ თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომუნისტურის პარტიის XV ყრილობაზე ამ მხრივ მეტად სერიოზული ამოცანა დაუსახა ქართულ მწერლობას, კერძოდ, ქართულ საბჭოთა კრიტიკას:

„ლიტერატურული კრიტიკა დღემდე სუსტად ამხილებდა იდეოლოგიურ დამახინჯებებს, ცუდად იბრძოდა მათ წინააღმდეგ, ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწილში ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და დეკადენტობის რეციდივების წინააღმდეგ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა — გადაჭრით აღმოფხვრას ძველის ამ ნაშთების ყოველგვარი გამოვლინება“.

ამს. ბ. ჟღენტი ჩვენი ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსია. მისი წიგნი „თანამედროვე ქართული მწერლობა“ უძველესად შეიცავს საჭირო და სასარგებლო მასალას ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ. მაგრამ ამის გამო არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ წიგნის არსებით ნაყოფიანებებს. ამ წერილის მიზანიც ის არის, რომ შეეხოს ამ ნაყოფიანებებს.

ბ. ჟღენტი თავის წიგნის მთელ მანძილზე, როგორც წესი, ქება-დიდებას ასხამს ისტორიულ თემებზე დაწერილ თითქმის ყველა ნაწარმოებს, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, და არ ცდილობს საფუძვლიანად განიხილოს ისინი, ამხილოს ნაციონალური შეზღუდულობის, წარსულის იდეალიზაციისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ისტენდენციები, რომლებიც საკმაოდ მოიპოვებინ ამ ნაწარმოებთა საგრძნობ ნაწილში. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ მხრივ უშეცდომო და უცოდველი არ არის მთელი ქართული საბჭოთა კრიტიკა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც. მაგრამ ბ. ჟღენტის შეცდომები რომ გაცილებით ღრმა შეცდომებია, ამას აშკარად დავინახავთ ქვემოთ.

აი, რას წერს ბ. ჟღენტი შ. დადიანის „გიორგი რუსის“ შესახებ:

„ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული რომანის ფანრის აღორძინება შალვა დადიანის შემოქმედებითი მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ჩვენმა ამ მრავალმხრივ ღვაწლმოსილმა მწერალმა და დრამატურგმა ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაშიაც შეიტანა თავისი ფრიად თვალსაჩინო წვლილი. მის კალამს ეკუთვნის პირველი ქართული საბჭოთა ისტორიული რომანი „გიორგი რუსი“, რომელშიაც ისტორიული მასალის ცოდნით და პოეტური განცდით ასახულია ძველი საქართველოს

„ოქროს ხანა“, თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქა. ეს იყო ერთი პირველი ისტორიული რომანთაგანი საერთოდ მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. ამიტომ მწერალს დამოუცილებლად უხდებოდა ძიება იმ შემოქმედებითი პრინციპებისა, რომლებიც შემდეგ მკაფიოდ ჩამოყალიბდნენ მთელ რიგსაუკეთესო საბჭოთა ისტორიულ რომანების — პირველ რიგში ალექსეი ტოლსტოის „პეტრე პირველის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით... შალვა დადიანის „გიორგი რუსში“ უკვე ვხვდებით მთელ რიგ ისეთ სპეციფიკურ ელემენტს, რომლებიც დამახასიათებელია ისტორიულ მასალისადმი საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი დამოკიდებულებისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისტორიული სიმართლისადმი პრინციპული ერთგულება, ფართო ისტორიზმი, ამ ცნების უკეთესი გაგებით, ეპოქის სოციალური შინაარსის გახსნა და განსაკუთრებული ყურადღება ისტორიულ მოვლენებში ხალხის მონაწილეობის საკითხისადმი“ (გვ. 43. ხაზი ყველგან ჩვენია. ლ. კ.).

დიდი დაკვირება არ არის საჭირო იმისათვის, რომ ამ შეფასების ქვეტექსტში დავინახოთ წარსულის იდეალიზაცია. მაგრამ ამაზე შემდეგ.

როგორც ვხედავთ, ბ. ჟღენტის აზრით, შ. დადიანს თავის „გიორგი რუსში“ პირველად მთელს საბჭოთა ლიტერატურაში მოუცია საბჭოთა ისტორიული რომანის შემოქმედებითი პრინციპები. იმ შემთხვევაშიაც კი, რომ ბ. ჟღენტის მთელი ეს მტკიცება შეიცავდეს შ. დადიანის რომანის ოდნავ სწორ შეფასებას, იგი მაინც არ იქნებოდა

მართებული, როგორც ისეთი ლიტონი დასკვნა, რომელიც არ ემყარება ნაწარმოების კონკრეტულ მხატვრულ-იდეურ ანალიზს.

ამავე დროს „გიორგი რუსი“ არამცთუ არ გამოირჩევა „ისტორიული სიმართლისადმი პრინციპული ერთგულებით“, არამედ პირიქით: ის ისტორიული ქარგა, რომელზედაც აგებულია ეს რომანი, მრუდე სარკეში გვიჩვენებს რუსეთისა და საქართველოს ისტორიულ ურთიერთობას. ეს მრუდე სარკე წარმოიშვა სწორედ იმიტომ, რომ მწერალმა ვერ შესძლო სოციალისტური რეალიზმის პრინციპის მომარჯვება ისტორიული მასალის მიმართ, იგი მოქცა ყალბი ისტორიული კონცეფციის ტყვეობაში. ხალხთა ურთიერთობის მართალ სურათს ვერ მივიღებთ მაშინ, როდესაც მწერალი მხატვრულად აზოგადებს რომელიმე ისეთ არასწორ, ყალბ ან თუნდაც შემთხვევითსა და ემპირიულ ფაქტს, რომელიც სრულიადაც არ არის ტიპური, დამახასიათებელი ამ ურთიერთობისათვის და, მაშასადამე, სრულიადაც არ გამოხატავს ამ ურთიერთობის ნამდვილ შინაარსს. ამიტომ შ. დადიანის „გიორგი რუსი“ იდეურად გაუმართლებელი ნაწარმოებია და მას აკლია სწორედ ის ღირსებები, რომლებიც მას მიაწერა ბ. ჟღერმა: ისტორიული სიმართლისადმი პრინციპული ერთგულება, ფართო ისტორიზმი, ეპოქის სოციალური შინაარსის გახსნა და ხალხის ჩვენება ისტორიის შემოქმედ ძალად.

აქვე უნდა აღინიშნოს პირადად ჩემი შეცდომა, როდესაც ჩემს ერთ-ერთ წერილში ვამბობდი, რომ თითქოს შ. დადიანის რომანში იგრძნობა ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი.

ახლა ვნახოთ, რას წერს ბ. ჟღერი კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ შესახებ:

„სამამულო ომის პერიოდში შექმნილი ყველა ფართო პლანის ნაწარმოები ქართული მხატვრული პროზისა და

დრამატურგიის ქანრში სწორედ ისტორიულ მასალაზეა აგებული, ჩვენი ხალხის გმირული ისტორიისადმი მიძღვნილი.

პირველყოვლისა ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს კონსტანტინე გამსახურდიას სამტომიანი რომანი „დავით აღმაშენებელი“, რომლის პირველმა წიგნმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მკითხველთა ფართო ფენებში.

დიდი მხატვრული ენერგიით, ისტორიული მასალის ცოდნით და ღრმა განცდით, ნაციონალური სიამაყის კანონიერი გრძნობით და პატრიოტული მგზნებარებით არის დაწერილი ეს წიგნი. მწერალი აღადგენს მასში ძველი საქართველოს ისტორიას უშესანიშნავეს ეპოქას, როდესაც ქართველი ხალხი თავის გმირი და ბრძენი მეფის — დავით აღმაშენებლის მესვეურობით უცხოელ დამპყრობელთაგან თავისუფლებდა საქართველოს მიწაწყალს და ძლევა მოსილად იწყებდა თავისი დიდი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღორძინებას“ (გვ. 121. ხაზი ჩვენია. ლ. კ.).

ამრიგად, ბ. ჟღერი არამცთუ არ ამხელს ისტორიული წარსულის ასახვაში მწერლის სერიოზულ შეცდომებს, არამედ თვითონვე ეწევა ძველი, ფეოდალური საქართველოს იდეალიზაციას, წარმოგვიდგენს მას მეფისა და ხალხის ერთიანობის უშესანიშნავეს ეპოქად.

რასაკვირველია, ჩვენ ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია ნიპილისტური დამოკიდებულება ქართველი ხალხის გმირული წარსულისადმი, დავით აღმაშენებლის გარკვეული ისტორიული დამსახურებებისადმი. მაგრამ განა ამიტომ თვალი უნდა დავხუჭოთ და არ დავინახოთ ის ღრმა კლასობრივი დიფერენციაცია, ფეოდალური ჩაგვრა და მონობა, რაც არსებობდა იმ ეპოქაში? რატომ ერთ სიტყვასაც არ ამ-

ზობს ბ. ჟღენტი დავით აღმაშენებლის ეპოქაში არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობასა და კლასობრივ ჩაგვრას და აგრეთვე იმაზე, რომ კ. გამსახურდიას რომანში არ არის ნაჩვენები ხალხი?

მაგრამ ბ. ჟღენტი წერს:

„...ქართველი საზოგადოებრივობის ყურადღება მიიპყრო კონსტანტინე გამსახურდიას რომანმა „დავით აღმაშენებელმა“. ჩვენი ხალხის გმირული წარსულის მხატვრული აღდგენისა და გაცოცხლების მხრივ ეს წიგნი თანამედროვე პროზაში, შეიძლება ეთქვას, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია...“ (გვ. 130). ეს ხომ ვარიანტია იმ შეფასებისა, რომელიც სხვა ადგილას ასე ჰქონდა გამოთქმული ბ. ჟღენტს: „დავით აღმაშენებელი“ უდავოდ წარმოადგენს დიდ განძს თანამედროვე ისტორიული რომანის განვითარების საქმეში, და მისი შექმნა ომის მკაცრ წლებში შეფასებულ უნდა იქნას, როგორც მწერლის დიდი შემოქმედებითი ენერჯის, მთელი ჩვენი ლიტერატურის განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობის მაჩვენებელი“ (იხ. კრებული „Великая Сталинская победа“, გამოც. „Заря Востока“ 1946 წ. გვ. XIX. ხაზი ჩვენია. ლ. კ.). ყველაფერ ამას ბ. ჟღენტი გამოთქვამს ნაწარმოების მხატვრულ-იდეური ანალიზის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ბ. ჟღენტი, მთავალითად, თუ შ. დადიანის შესახებ წერს: „ისტორიული მასალის ცოდნით და პოეტური განცდით...“, კ. გამსახურდიას შესახებ იმავე შტამს იმეორებს: „ისტორიული მასალის ცოდნით და ღრმა განცდით...“

ამბ. ბ. ჟღენტმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ სამამულო ომის პერიოდში ქართულ ლიტერატურაში „ქართველი ბელეტრისტების და დრამატურგების ყველაზე მნიშვნელოვანი და კარგი (удачные) ნაწარმოებები... აგებულია

სწორედ ისტორიულ მასალაზე და მიძღვნილია ჩვენი ეროვნული ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენათა მხატვრულ ასახვისადმი“ (იხ. „Великая Сталинская победа“, გვ. XIX),—უეცრად მკვეთრად იცვალა აზრი და „Литературная газета“-ში განაცხადა, „ქართული ავტორების ისტორიული რომანების უმეტესობა შეიცავს არსებით მხატვრულ-იდეურ მანკებებსა და ნაკლოვანებებს“. რას უნდა მიეწეროს ყოველივე ეს? ნუთუ საბჭოთა კრიტიკოსს არ უნდა პოეტროდა გამბედაობა, რომ იქვე გაკერით მაინც ეთქვა თავის საკუთარ შეცდომებზე ამ ნაწარმოებთა შეფასებაში?

აღსანიშნავია ის, რომ თავისი წიგნის სხვადასხვა გვერდზე ამბ. ბ. ჟღენტი სრულიად სხვადასხვა, საწინააღმდეგო შეფასებას აძლევს ერთ და იმავე ნაწარმოებს.

აი, მაგალითად, გრ. აბაშიძის პოემის „ზარზმის ზმანების“ შესახებ ერთ ადგილას წერს: „ზარზმის ზმანება“—აგრეთვე სამამულო ომის თემანზე დაწერილი: მის პერსონაჟებს ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ქართველი ვაჟაკი და გმირული ზურგის საუკეთესო ადამიანები შეადგენენ; მასში საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს ის თვისებანია განსახიერებული, რომლებიც განსაკუთრებული სიმკვეთრით სწორედ სამამულო ომის ვითარებაში გამოვლინდნენ“ (გვ. 246 ხაზი ჩვენია ლ. კ.)

ეს აზრი კიდევ უფრო გაერცობილად აქვს გამოთქმული კრიტიკოსს შემდეგ:

„პოემის სიუჟეტის (ლაპარაკია „ზარზმის ზმანებაზე“. ლ. კ.) ასეთი სქემატური გადმოცემითაც მკითხველისათვის ნათელია, თუ რამდენად აქტუალურია გრ. აბაშიძის ამ ნაწარმოების თემა, თუ რამდენად გამსჭვალულია ეს პოემა საბჭოთა პატრიოტიზმის უწყინდესი გრძნობით,

საბჭოთა ადამიანების იმ მაღალი მორალური შეგნებით, ჭეშმარიტი ჰუმანურობით, რომელმაც განსაკუთრებული ცხოველყოფილებით სწორედ სამაგლო ომის ვითარებაში იჩინა თავი.

პოემა უმღერის ომგადახდილი ვაჟკაცის გამარჯვებულად შინ დაბრუნებას. აქ აღწერილი სიხარული, რომლითაც სოფელი ხედება გოლეთიანს, განზოგადოებულად, ტიპიზირებულად განასახიერებს ომგადახდილ საბჭოთა ხალხის სიხარულსა და სიამაყეს თავისი დიდი ისტორიული გამარჯვების გამო“ (გვ. 263. ხაზი ჩვენია ლ. კ.)

„ზარზმის ზმანება“ შთაგონებულად უმღერის და პატრიოტული აღფრთოვანებით ხატავს მესხეთში კვლავ ქართული ცხოვრების გაჩაღებას და აღორძინებას... „ზარზმის ზმანება“ ყველაზე ფართო მასშტაბის მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც კი დღემდე შეუქმნია ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ამ ისტორიული ფაქტის მხატვრული აღბეჭდვისა და უკვდავყოფისათვის“ (გვ. 264).

„ზარზმის ზმანების“ მთავარ გმირს მაინც გოლეთიანის მოხუცი დედა წარმოადგენს, ხოლო პოემის მთავარ შინაარსს — საბჭოთა ადამიანის შეუღარებლად კეთილშობილური და სპეტაკი მორალური სახე, რამაც თავისი კონკრეტული განზორციელება ამ ტიპიური საბჭოთა ქალის, თანამედროვე ქართველი დედის საქციელში პოემა.

რადიდი სულიერი ძალა, რამომხიბლავი მორალური მშვენიერება და მაღალი საზოგადოებრივი შეგნებაა გაუმოხატული ქართველი დედის ქცევაში, როდესაც იგი მხურვალე ცრემლებით აღბობს უცნობი ვაჟკაცის სამარეს“ (გვ. 265. ხაზი ჩვენია. ლ. კ.).

როგორც ვხედავთ, ბ. ჟღენტი გვარწმუნებს, რომ „ზარზმის ზმანებაში“ პოე-

ტმა განასახიერა საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს საუკეთესო თვისებანი, გვიჩვენა საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური შეგნება, ჭეშმარიტი ჰუმანიურობა, დაგვიხატა საბჭოთა ადამიანის შეუღარებლად კეთილშობილური და სპეტაკი მორალური სახე.

მაგრამ იგივე ბ. ჟღენტი იქვე, რამდენიმე გვერდის შემდეგ სულ საწინააღმდეგო რამეში გვარწმუნებს:

„...თუ ამ ნაწარმოებს (ლაპარაკია „ზარზმის ზმანებაზე“ ლ. კ.) განვიხილავთ იმ მაღალი მოთხოვნების თვალსაზრისით, რომლებიც თანამედროვე პოეტური ეპოსის წინაშე ისახებიან, ძნელი არ იქნება შევამჩნიოთ მისი მეტად მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: პოეტი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ცოცხლად დაგვიხატოს ტიპიური სახე ჩვენი დროის ადამიანისა, გვიჩვენოს იგი თავის დამახასიათებელ მოქმედებათა მშვენიერებით, ჩაგვახედოს მისი სულიერი ცხოვრების სიღრმეში“ (გვ. 309 ხაზი ჩვენია ლ. კ.)

„მკითხველს სრული უფლება აქვს, — განაგრძობს ბ. ჟღენტი, — მოითხოვდეს, რომ სამაგლო ომის თემაზე დაწერილ პოემაში მხატვრული გამოსახვის ძირითად საგანს ან ფრონტის, ან ზურგის საუკეთესო ადამიანთა საგმირო საქმეები შეადგენდეს. ამ მოთხოვნას გვერდს უვლის გრიგოლ აბაშიძის პოემა. ჩვენი გმირული ფრონტისა და ზურგის დაძაბული ცხოვრება აქ მხოლოდ რამდენიმე შტრიხით არის გადმოკეპული. სწორედ ამიტომ ეს ნაწარმოები ვერ აღწევს ჩვენი დროის გმირის ტიპიური სახის დახატვის ამოცანას, რაც უპირველეს ყოვლისა, უნდა ამოძრავებდეს ეპიკური ეპოსის ნაწარმოების ავტორს.

ისიც უნდა ითქვას, რომ გრიგოლ აბაშიძე ზოგჯერ უგულბებლყოფს ფსი-

ქოლოგიური სიმართლის დაცვის ამოცანას, ნაწარმოების ყოველ დეტალსა და ნიუანსში ცხოვრებისეული სიმართლის გადმოცემას“ (გვ. 310).

რა ქნას მკითხველმა: ბ. ჟღენტის წიგნის რომელ გვერდებს დაუჯეროს? იმას, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ „ზარზმის ზმანებაში“ განსახიერებულია საბჭოთა ადამიანების საუკეთესო მორალური თვისებები, თუ იმას, რომელშიაც ავტორი გვრწმუნებს, რომ „ზარზმის ზმანებაში“ პოეტი ვერ ახერხებს ჩაგვახედოს საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების სიღრმეში?

ამხ. ბ. ჟღენტი დ. შენგელაის რომანის „სანავარდოს“ შესახებ წერს:

„საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის დემნა შენგელაის. მისი „სანავარდო“ იყო პირველი რომანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და მასასადავ პირველი ნიშანი მხატვრული პროზისა და კერძოდ რომანის ეპოქის ახალი აღორძინებისა. „სანავარდოს“ წერის დროს დ. შენგელაია ჯერ კიდევ არ იყო დაუფლებული რეალისტური ხელოვნების ოსტატობას. მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტი საგრძნობლად განიცდიდა სიმბოლიზმისა და ფორმალიზმის გავლენას“ (გვ. 44).

დემნა შენგელაის, რასაკვირველია, მიუძღვის ღვაწლი ქართული საბჭოთა პროზის განვითარებაში. მაგრამ საკითხავია, როგორ გახდა ქართული საბჭოთა პროზის აღორძინების სათავედ ის ნაწარმოები, რომელიც სიმბოლიზმისა და ფორმალიზმის გავლენით დაიწერა? ქართულ ლიტერატურაში „სანავარდოს“ ადგილის ახლანდელი განსაზღვრა ამხ. ბ. ჟღენტის ძველი შეხედულებაა. საკითრო იყო, რომ ბ. ჟღენტს გადაესინჯა ქართულ ლიტერატურაში „სანავარდოს“ ადგილის მაშინდელი განსაზღვრა. მაგრამ კრიტიკოსი ასე არ მოიქცა. პირიქით, მან „გიორგი რუსი“ საბჭოთა

ისტორიული რომანის აღორძინების დამწყებად, ხოლო „სანავარდოს“ ავტორად ქართული საბჭოთა პროზის აღორძინების სათავედ გამოაცხადა.

ცნობილია, რომ ბ. ჟღენტი თავის წიგნში ფრიად დადებით მოველენად თვლის ზოგიერთი ქართველი მწერლის ისეთ ნაწარმოებებს, სადაც შამილი — ინგლისის იმპერიალიზმისა და თურქეთის ეს ერთგული დამკაში — გამოყვანილია როგორც სახალხო გმირი. უფრო მეტიც: ბესო ჟღენტი კიდევაც საუკვედურობს, რომ მთლიანად ვერ იქნა ასახული „შამილის მრავალნაირად რთული და მდიდარი პიროვნება, მისი მეთაურობით წარმოებულ ბრძოლების ისტორიული შინაარსი“ (გვ. 171).

ბ. ჟღენტი საბჭოთა ბიოგრაფიული ეპოქის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად თვლის აკაკი გაწერელის რომანის „შამილის“ რამდენიმე გამოქვეყნებულ თავს, სადაც შამილი განდიდებული და იდეალიზებულია (იხ. გვ. 123, 132, 194). იქნებ ბ. ჟღენტმა გვითხრას, რომ, როცა ამ სტრუქტურებს წერდა, მისთვის ცნობილი არ იყო ის მასალები შამილისა და მიურიდიზმის შესახებ, რომლებიც ამხილებენ მათ რეაქციულობას. მაგრამ ის ხომ იყო ცნობილი მრავალ ქართული, ისტორიული წყაროდან, რომ შამილი ყოველთვის საქართველოსა და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტერი იყო?

შევეჩრდეთ ბ. ჟღენტის ზოგიერთ თეორიულ დებულებებზე.

ბ. ჟღენტი ცდილობს დაადგინოს დიდი ლიტერატურის წარმოშობის მეტად თავისებური კანონზომიერება. ბ. ჟღენტის აზრით, დიდი მწერლობის წარმოშობა დაკავშირებულია ტრაგიკულ და საბედისწერო შემთხვევებთან ხალხის ცხოვრებაში:

„თავისი ისტორიის ყველაზე ტრაგიკულსა და საბედისწერო შემთხვევებში ქართველ ხალხს თავისი სასიცოცხლო ენერჯია, მომაცდინებელი საფრთხის



წინაშე ქედუხელობა თავის მძლავრსა და დაუშრეტელ მხატვრულ სიტყვაში გამოუმჟღავნებია.

ირანელ და არაბ დამპყრობელთა სისხლიანი თარეშის ხანაში მოვიდნენ ქვეყნად ქართული მწერლობის პირველი და უძლიერესი ოსტატები, ხოლო ძველი საქართველოს დასასრულას სუსხიანმა საუკუნემ წარმოშვა ბესიკი, დაეით გურამიშვილი და სულხან-საბა ორბელიანი. კაწანისის ველიდან მძიმე ჭრილობებით გამოსულმა საქართველომ თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის იერიშს ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე პლედან დაუპირისპირა, ხოლო ცარიზმის დამპყრობელური აგრესიის ყველაზე გააფთრებულ შემოტევას ქართული კლასიკური რეალიზმის უკვდავი კორიფეებით უპასუხა“ (გვ. 429).

ამ სქემიდან, როგორც ვხედავთ, ამოვარდნილია ერთი „პატარა“ ფიგურა — რუსთაველი, რადგან იგი ძველი საქართველოს ძლიერების ხანაში მოვიდა ამ ქვეყნად. მაგრამ ამის გამო შეგვიძლია არ ავეუბნოთ დავა ბ. ჟენტის სადაცო შემდეგ არის. ბ. ჟენტი განაგრძობს:

„ასე მოხდა მეოცე საუკუნეშიც. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებია დროებით ფრთაასხმული რეაქციის მძიმე წლებში ჩვენს მწერლობაში წარმოიშვენ მხატვრული სიტყვის ყოველი ეანრის შესანიშნავი ოსტატები, რომლებიც ახლა თავიანთი დეაწლმოსილებით და ახალ ლიანდაგზე დამკვიდრებული შემოქმედებით ამიდრებენ და ამშვენებენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას“ (გვ. 429 ხაზი ჩემია ლ. კ.). ბ. ჟენტი რომ მხატვრული სიტყვის ყოველი ეანრის შესანიშნავი ოსტატების წარმოშობაში დიდი ლიტერატურის წარმოშობას გულისხმობს, ეს ჩანს მთელი მისი შემოშობანილა სქემიდან.

ეს კი აშკარად ყალბი იდეოლოგიურ-ისტორიული კონცეფციაა.

რეაქციის წლებს არ წარმოუშვია მხატვრული სიტყვის ყოველი ეანრის შესანიშნავი ოსტატები, ე. ი. არ წარმოუშვია დიდი ლიტერატურა. პირიქით, რეაქციის წლებმა წარმოშვეს ლიტერატურის სხვადასხვა დეკადენტური სკოლა და მიმდინარეობა, რაც არსებითად ლიტერატურის დაცემას, დაქვეითებას მოასწავებდა. დიდი და ჯანსაღი ლიტერატურის სათავეებსა თუ ჩანასახებს ამ წლებში ატარებდნენ მხოლოდ ის მწერლები და ის ლიტერატურული ფაქტები, რომლებიც რევოლუციური პროლეტარიატის თვალსაზრისს გამოხატავდნენ.

„1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ, — ვეთხულობთ „საქ. კ. პ. ისტორიის მოკლე კურსში“, — რევოლუციის თანამგზავრთა წრეში დაშლა და რღვევა გამოიწვია. განსაკუთრებით გაძლიერდა რღვევა და დაცემლობა ინტელიგენციაში... კონტარეოლუციის შეტევა იდეოლოგიურ ფრონტზე წარმოებდა. განდა მთელი ხროვა მოდური მწერლებისა, რომლებიც „აკრიტიკებდნენ“ და „აყამტვერებდნენ“ მარქსიზმს, ტალახში სვრიდნენ რევოლუციას, დასცილოდნენ მას, ხოტბას ასხამდნენ გამცემლობას, ხოტბას ასხამდნენ სქესობრივ გარყვნილებას ვითომდა „პიროვნების კულტისათვის“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“, სახელგამი, 1952 წ., გვ. 122—123).

გარდა ამისა, ცნობილია, რომ მაქსიმ გორკიმ ამ პერიოდს რუსეთის ლიტერატურის ყველაზე სამარცხვინო პერიოდი უწოდა.

როგორც ვხედავთ, რეაქციის წლებში სულ სხვა სურათი ყოფილა იდეოლოგიურ ფრონტზე, მაშასადამე, ლიტერატურაშიაც, ვიდრე ის, რასაც ბესო ჟენტი გვიხატავს.

იმას გამო, რომ ზოგიერთი იმდროინდელი პოეტი საბჭოთა სინამდვილემ

აქცია სტალინური ეპოქის მომღერლად, არ არის საჭირო შარავანდედით შევმოსოთ მათი დეკადენტური წარსული და გავაყალბოთ ისტორია.

რაც შეეხება დიდი ლიტერატურის წარმოშობის საკითხს, ამაზე ჩვენ მოგვეპოვება მარქსიზმის კლასიკოსების გენიალური დებულებები, რომელთა მიხედვით დიდი სულიერი მოძრაობა, მასასადამე, დიდი ლიტერატურის წარმოშობა დაკავშირებულია არა რაიმე „კრიტიკულ და საბედისწერო შემთხვევებთან“ ხალხის ცხოვრებაში, არამედ იმ დიად მიზნებთან და ამოცანებთან, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ ეპოქებსა და პერიოდებში დგებიან მთელი საზოგადოებისა და მისი ცალკეული კლასების წინაშე. „დიადი ენერჯია მხოლოდ დიადი მიზნისათვის იბადება“ — გვასწავლის დიდი სტალინი.

ცნობილია, რომ ენგელსი კულტურის აყვავებას ალორძინების ხანაში უკავშირებდა არა რაიმე კატასტროფას ხალხის ცხოვრებაში, არამედ იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც იდგნენ მაშინ ისტორიის წინაშე; ამ დიდი ამოცანების გადასაჭრელად ეპოქას ესაჭიროებოდა ტიტანები და ისინი კიდევაც წარმოშვაო.

თავისი წიგნის პირველივე გვერდებიდანვე ბ. ჯენტი იძლევა საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მკდარ განმარტებას. იმის თქმა, რომ „სოციალისტური მწერლობა, პირველყოვლისა, უაღრესად რეალისტური მწერლობაა, რომლის შთაგონების ერთადერთ წყაროს და გამოხატულების ერთადერთ საგანს ცოცხალი სინამდვილე, ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის რეალობა შეადგენს“. (გვ. 8), ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალისტური რეალიზმის არსის გარკვევას. შემდეგ ბ. ჯენტი გვარწმუნებს, რომ სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს რეალიზმისა და რომანტიზმის შეერთე-

ბას. იგი წერს: „ასე შეათანხმა და დააკავშირა სოციალისტურმა ლიტერატურამ რეალიზმისა და რომანტიზმის პრინციპები, რომელნიც საკაცობრიო მხტურული კულტურის მთელ ისტორიაში თითქმის ყოველთვის (იშვიათი გამონაკლისების გარდა) ეთიშებოდნენ და უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. სოციალისტური რეალიზმის მწერლობა პრინციპულად ახალი და უმაღლესი საფეხურია მ.ოფლიო ლიტერატურის განვითარებაში“ (გვ. 8).

ეს უკანასკნელი დებულება, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ იგი წინააღმდეგობაშია იმ დებულებასთან, რომ სოციალისტური რეალიზმი თითქოს რეალიზმისა და რომანტიზმის შეერთება იყოს.

ეს დებულება ბ. ჯენტის გამოგონილი არ არის, იგი ნასესხებია სხვათა, უკვე უარყოფილ, თეორიებიდან.

შეევხოთ საკითხს არსებითად.

სოციალისტური რეალიზმი, როგორც სოციალისტური ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდი, არსებითად განსხვავდება წინათ არსებული ყველა შემოქმედებითი მეთოდისაგან. სოციალისტური რეალიზმი ახალი თვისებრივი მოვლენაა ლიტერატურის განვითარებაში. ცხადია, ყოველი ახალი თვისებრივობა წარმოადგენს რაღაც წინათ არსებულის შეცვლასა და განვითარებას, მაგრამ „განვითარების პროცესი უნდა გავიგოთ არა როგორც წრისებური მოძრაობა, არა როგორც განვლილის უბრალო განმეორება, არამედ როგორც მოძრაობა წინსვლითი, როგორც მოძრაობა აღმაველი ხაზით, როგორც გადასვლა ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. გვ. 130).

სოციალისტური რეალიზმი, რასაკვირველია, წინათ არსებულ უკეთეს პროგრესულ ლიტერატურულ ტრადი-

ციათა განვითარებაა. მაგრამ თუ დაეუშვებთ იმას, რომ სოციალისტური რევოლუციონი არის წინათარსებული რევოლუციონისა და რომანტიზმის პრინციპების შეერთება, მაშინ ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ იგი განვლილის უბრალო განმეორებაა.

ბ. ჭაბუკიძის აზრით, საქმე უნდა წარმოვიდგინოთ ასე: არსებობდნენ წინათ შემუშავებული და ჩამოყალიბებული პრინციპები რევოლუციონის და რომანტიზმისა. სოციალისტურმა ლიტერატურამ აიღო ეს გათიშული პრინციპები და ერთმანეთს შეუთანხმა, ერთმანეთს დაუკავშირა და ამ გზით მიიღო თავისი შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რევოლუციონი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და სხვადასხვა გათიშული პრინციპების (ვთქვათ, იდეალიზმის და მატერიალიზმის, რომანტიზმისა და რევოლუციონის და ა. შ.) მექანიკური შეთანხმება-დაკავშირებას მივყავართ ეკლექტიზმამდე და არა რაიმე ახალი მეთოდის შექმნამდე.

სოციალისტური რევოლუციონი მთლიანად და ერთიანად თავისი პრინციპებით.

ლენინმა თავის გენიალურ შრომაში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“ მიუთითა მარქსიზმის სამ წყაროზე და გვიჩვენა, რომ მარქსიზმი ამ წყაროების, ე. ი. უტოპიური სოციალიზმის, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისა და კლასიკური ბურჟუაზიული ფილოსოფიის პრინციპების შეთანხმება-დაკავშირება კი არ იყო, არამედ ამ პრინციპების კრიტიკულად გადამუშავება, ძირფესვიანად გარდაქმნა და სრულიად ახალი პრინციპების ჩამოყალიბება. ამრიგად, ვინც გულდასმით და გულდასუფრთხობით კითხულობს ლენინისა და სტალინის გენიალურ ნაშრომებს, იგი ყოველთვის ნათლად ხედავს, რომ მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის მოძღვრება რომელიმე წინათ შემუშა-

ვებული პრინციპების უბრალო შეთანხმება და დაკავშირება კი არ არის, არამედ კრიტიკული გადამუშავება მთელი იმ სულიერი სიმდიდრისა, რაც კი კაცობრიობის აზრს შეუქმნია ისტორიის მთელ მანძილზე, და სრულიად ახალი რევოლუციური - მეცნიერული პრინციპების დადგენაა.

ცხადია, სოციალისტურ რევოლუციონსაც, როგორც სამყაროს მხატვრული ათვისების მეთოდს, აქვს თავისი წყაროები კაცობრიობის მხატვრული აზროვნების უკეთეს ტრადიციებში. ამ წყაროების მეცნიერული გარკვევა და დახასიათება საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა და საბჭოთა ესთეტიკის ერთერთი აქტუალური ამოცანაა.

ამრიგად, სოციალისტური რევოლუციონი გულისხმობს ახალ, თავის საკუთარ შემოქმედებითს პრინციპებს, და იგი არ წარმოადგენს წინათ არსებული რევოლუციონისა და რომანტიზმის პრინციპების უბრალო შეთანხმება-დაკავშირებას. სოციალისტური რევოლუციონის, როგორც სამყაროს მხატვრული ათვისების ახალი მეთოდის, სათავე უნდა ვეძიოთ სოციალისტურ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნებისა და მისი რევოლუციური იდეოლოგიის ჩამოყალიბების საწყისებთან, იმ იდეოლოგიისა, რომელიც გულისხმობს სამყაროს არა მარტო ახსნას, არამედ მის რევოლუციურ გარდაქმნასაც.

სინამდვილისადმი აქტიური, გარდამქმნელი დამოკიდებულება, ცხოვრებაში აქტიური შეჭრა შეადგენს სოციალისტური რევოლუციონის ერთ-ერთ არსებით თვისებას. სწორედ ეს თვისება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პროგრესულ მწერალს სოციალისტური რევოლუციონი შეუძლია მოიმარჯვოს კამპიალიზმის პირობებშიაც.

სოციალისტური რევოლუციონის მთავარ და ძირითად პრინციპს შეადგენს ბრძოლა ცხოვრების სოციალისტური, კომუნისტური ფორმების დამკვიდრებისა და

ძველი, დრომოკმული ფორმების, კაპიტალისტური გადანაშთების აღმოფხვრისათვის. სოციალისტური რეალიზმი არის ასახვა იმ რეალურ წინააღმდეგობათა, ძველისა და ახლის იმ კიდილისა, რაც განვითარების აუცილებელ შინაგან სტიმულს შეადგენს. ამიტომ სოციალისტური რეალიზმი ნიშნავს სინამდვილის ასახვას თავის განვითარებაში და შეგნებულ მხარდაჭერას ახლისა და პროგრესულისათვის. სოციალისტური რეალიზმის მთელი სიდიადე იმაშია, რომ იგი მოითხოვს გაბედულ შეჭრას სინამდვილისა და რევოლუციური შესაძლებლობის დიალექტიკაში. სინამდვილის ასახვა თავის რევოლუციურ განვითარებაში ნიშნავს არა მარტო იმის ასახვას, რაც არის, არამედ იმისაც, რაც უნდა იყოს, რაც რევოლუციურ შესაძლებლობაშია. ეს მეთოდი შემოქმედს აძლევს იმის საშუალება რომ ცხოვრების რეალური პროცესების ღრმა გაგებით დაინახოს განვითარების პერსპექტივები და ხელი შეუწყოს უკეთესი შესაძლებლობის გადაქცევას სინამდვილედ.

ამრიგად, სოციალისტური რეალიზმის ძირითადი პრინციპები, ნათლად ჩამოყალიბებული სტალინის გენერალურ დებულებებსა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სათანადო გადაწყვეტილებებში, არ წარმოადგენენ რეალიზმისა და რომანტიზმის ძველი პრინციპების უბრალო შეთანხმებას და დაკავშირებას.

ბ. ჟღენტი თავის წიგნში ხშირად უბრუნდება ამ საკითხს და ახალ გაუგებრობაში ვარდება, იგი წერს: „სოციალისტური რეალიზმის სტალინური შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობს სინამდვილესთან მწერლობის ისეთ ორგანულსა და განუყოფელ კავშირ-ერთიერთობას, როგორც მიუწვდომელი და მიუღწეველი იყო თავადანაურული და ბურჟუაზიული ლიტერატურისათვის“ (გვ. 34). იმაში სადავო, რასაკვირველია,

არაფერია, მაგრამ აქ არც რაიმე ხელმოსაყიდი აზრია, რადგან არ ჩანს, თუ რაში მდგომარეობს სინამდვილესთან ეს „ისეთი ორგანული და განუყოფელი კავშირ - ერთიერთობა“. შემდეგ ბ. ჟღენტი, ლ.პ. რაკობს რა საბჭოთა ლიტერატურის არსებულის განმამტკიცებელ, დამამკვიდრებელ მისწრაფებაზე და მომავლის წინანდხილვის მიდრეკილობაზე, წერს: „სწორედ ამ ნიადაგზე შეუდულდა ერთმანეთს საბჭოთა ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის პრინციპები“ (გვ. 35). გამოდის, რომ არსებობს რევოლუციური რომანტიზმის პრინციპები, განსხვავებული სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაგან. და ეს სხვადასხვა პრინციპი საბჭოთა ლიტერატურას ერთმანეთთან შეუდულდება. აქედან ამჟამად, რომ ბ. ჟღენტს ძალიან ვიწროდ, ცალმხრივად აქვს გაგებული სოციალისტური რეალიზმი, არ მიაჩნია იგი საკმაოდ და ავსებს მას რევოლუციური რომანტიზმით. ამრიგად, თუ ბ. ჟღენტის ლოგიკას გავყევებით. უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ლიტერატურას აქვს ორი შემოქმედებითი მეთოდი: სოციალისტური რეალიზმი და რევოლუციური რომანტიზმი. ეს კი აბსურდია.

თავის წიგნში ბ. ჟღენტი ხშირად იხსენიებს ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს, ლენინისა და სტალინის ცხველმყოფელ იდეებს. მაგრამ არ გვინგენებს მათ კონკრეტულ შინაარსს. დავიმოწმოთ რამდენიმე ნიმუში.

„მრავალმხრივი იყო და არის საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე ბოლშევიკური პარტიის ზემოქმედების, მისი ზელმძღვანელი და წარმმართველი როლის გამოხატულება. ლენინისა და სტალინის დამოკიდებულება მ. გორკოსადმი, ვ. მაიაკოვსკისადმი და საბჭოთა მწერლობის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლებისადმი, ლენინისა და სტალინის სახელმძღვანელო თეორიუ-

ლი და პრაქტიკული ხასიათის მითითებანი, რომლებიც საფუძვლად დაედენ ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურული მზროვნებისა და ლიტერატურულ-შემოქმედებითი პრაქტიკის მთელს განვითარებას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი დადგენილებანი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, რომლებიც საბჭოთა მწერლობის ისტორიის ყოველ ახალ ეტაპზე განსაზღვრავდნენ ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების გეზს, დავუმატოთ ყოველივე ამას პარტიისა და მისი დიდი ბელადების ყოველდღიური მზრუნველობა, საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურისადმი და მთელი სიცხადით თვალწინ წარმოგვიდგება ძალა და მნიშვნელობა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლისა ჩვენი ლიტერატურის ცხოვრებაში“ (გვ. 11-12). აქ ყველაფერი მართალია, მაგრამ მაინც ვცადოთ ამ ერთობ ვრცელი წინადადებების დანაწევრება და გარკვევა. აქ, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია:

- 1) ლიტერატურაზე, ჩვენი პარტიის შემოქმედების, ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის მრავალმხრივ გამოხატულებას;
 - 2) მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკისა და საბჭოთა მწერლობის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლებისადმი ლენინისა და სტალინის დამოკიდებულებას;
 - 3) ლენინისა და სტალინის სახელმძღვანელო თეორიულ და პრაქტიკული ხასიათის მითითებებს;
 - 4) ჩვენი პარტიის მთელ რიგ დადგენილებებს, რომლებიც საბჭოთა მწერლობის ისტორიის ყოველ ეტაპზე განსაზღვრავდნენ ლიტერატურის შემდგომი განვითარების გეზს;
 - 5) პარტიისა და მისი დიდი ბელადების ყოველდღიურ მზრუნველობას საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურისადმი.
- მაგრამ ვერც აქ და ვერც მთელ წიგნ-

ში ვერ ნახავთ ამ მრავალმხრივი გამოხატულებების, ამ მითითებების, ამ დადგენილებების კონკრეტული შინაარსის ჩვენებას მთელი სიღრმით, მოვლი სიღიადით.

ჩვენ, ლიტერატორებს, გვევალება ამ რდეებისა და დადგენილებების ცოცხალი სულის მიტანა მკითხველამდე და არა მხოლოდ მათი ზოგადი შეფასება. ბ. ჟღენტი კი განაგრძობს: „ფასდაუდებელი როლი შეასრულეს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში ლენინისა და სტალინის მიერ გამოთქმულმა შეხედულებებმა, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. უკვდავი ლენინის მოძღვრება ჩვენი ლიტერატურის პარტიულობისა, მისი შეხედულებანი მ. გორკის შესახებ, მისი სტატიები ლ. ტოლსტოის შემოქმედებაზე, მისი „სახევის თეორია“ საფუძვლად დაედნენ სოციალისტური ესთეტიკის მთელ სისტემას“ (გვ. 12).

როგორც ვხედავთ, აქაც ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ საკითხის ახლომხლო ტრიალია. ყოველივე ეს მკითხველს წარმოდგენას ვერ მისცემს გამოთქმულ შეხედულებებზე „ლიტერატურის პარტიულობაზე“, „სოციალისტური ესთეტიკის მთელ სისტემაზე“.

ამხ. ბ. ჟღენტის წიგნის ერთ-ერთ არსებით ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი გადატვირთულია აეტორთა და მათ წარმოებთა ჩამოთვლით, აი მაგალითები:

„ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე რევოლუციამდელი პოეტური თაობის ისეთ წარმომადგენლებს, როგორც არიან ხარიტონ ვარდოშვილი, ვასო გორგაძე, სოლომონ თაყაძე, დომენტი თომაშვილი, პოეტი ქალი მარიჯანი, გრიგოლ ცეცხლაძე“ (გვ. 24).

„ქართული საბჭოთა პოეზიის აქ-

ტიურ შემოქმედებითი ძალებად გვევლინებიან აგრეთვე გიორგი შატბერაშვილი, მაყვალა მრეკლიშვილი, კალე ბობოხიძე, ვარლამ ყურული, მარია მიქელაძე, გიორგი გიასელი, მარია ბარათაშვილი.

სამამულო ომის წლებში თვალსაჩინო ხედვრითი წონა მოიპოვეს ქართულ საბჭოთა პოეზიაში ახალგაზრდა პოეტებმა: იოსებ ნონეშვილმა, რევაზ მარგვიანმა, ხუტა ბერულავამ, ალექო შენგელიამ, ანდრო თევზაძემ, გიორგი სალუქვაძემ.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მალაღნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა, ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულმა სევერიან ისიანმა და ჩვენგან ნაადრევად წასულმა ლადო ასათიანმა და ალექსანდრე საჯიამ“ (გვ. 34).

„უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ქართული პოეზიის სარბიელზე გამოჩნდა მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტებისა, რომელთა შორის საიმედო შემოქმედებითი მონაცემებით გამოირჩევიან: მ. ლებანიძე, ვ. გორგანელი, ო. ჭელიძე, ა. კალანდაძე, თ. ჯანგულაშვილი... მ. ჭვლივიძე და სხვა.“ (გვ. 34).

„საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარების სრული სურათის გათვალისწინებისათვის აუცილებელია აღვნიშნოთ აგრეთვე პანტელეიმონ ჩხიკვაძის, როდიონ ქორქიას, ელიზბარ ზედგინიძის (პოლუმორდინოვის), პარმენ ლორიას, მარიამ გარყულის, იოსებ ტატიშვილის, არჩილ ჩაჩიბაიას რომანები, მოთხრობები და ნოველები“ (გვ. 50);

„საბჭოთა ეპოქის ქართული დრამატურგიის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ვ. დარასელის „კიკვიძე“, ს. მთვარაძის, გ. ნახუცრიშვილის, გ. ბერძენიშვილის მთელი რიგი პიესები“ (გვ. 58);

„ფართო პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი მოზარდ მკითხველთა შორის გამოჩენილ თანამედროვე ქართველ საბავშვო მწერლებს: ნინო ნაკაშიძეს, ანა ხახუტაშვილს, მარიჯანს, ლილია მეგრელიძეს, ილია სიხარულიძეს და სხვ.“ (გვ. 59);

„დიდი ნაყოფიერებით და ნამდვილი შემოქმედებითი გზნებით მოღვაწეობენ მხატვრული თარგმანის დარგში გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, ილია აგლაძე, კოლაუ ნადირაძე, არისტო ჭუმბაძე, დავით გაჩეჩილაძე, ეახტანგ ჭელიძე, გრიგოლ ცეცხლაძე, მიქელ პატარიძე, გივი გაჩეჩილაძე, იროდიონ ქაჯვარაძე და სხვ.“ (გვ. 59);

„ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის მეცნიერული შესწავლისა და გაშუქების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის — კორნელი კეკელიძეს, პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიქოძეს, ალექსანდრე ბარამიძეს, სიმონ ზუნდაძეს, შალვა რადიანს, ლევან ასათიანს, სერგი ჭილაიას, გიორგი აბზიანიძეს და სხვ.“ (გვ. 60);

„სალიტერატურო კრიტიკისა, ლიტერატურის თეორიისა და პოეტიკის დარგში საბჭოთა ქართული მწერლობის ისტორიის მთელ მანძილზე მოღვაწეობენ შალვა რადიანი, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ნატროშვილი, სერგი ჭილაია, მამია დუდუჩაია, აკაკო გაწერელია, დიმიტრი ბენაშვილი, ივანე წულუკიძე, ერეკლე ქარელიშვილი (ასტევატატუროვი)“ (გვ. 60).

ბ. ჟღენტის წიგნიდან შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი ასეთი ამონაწერი, რომლებშიაც, როგორც ვხედავთ, ყველა ფაქტი, ყველა სახელი ერთ უსახომასად არის გადადღეულებული ასეთი სიტყვებით: „თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე“, „აქტიურ შემოქ-

შედებით ძალეზად გვევლინებიან აგრეთვე, „თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს“, „თვალსაჩინო ხედრითი წონა მოიპოვეს“, „აუცილებელია აღნიშნოთ აგრეთვე“, „მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე“, „დიდი ნაყოფიერებით და ნამდვილი შემოქმედებითი გზებით მოღვაწეობენ“, „შესწავლისა და გაშუქების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის“, „მთელ მანძილზე მოღვაწეობენ“ და სხვ.

ვნახოთ, როგორია ბ. ქლენტის კრიტიკული ანალიზი კონკრეტული ლიტერატურული ფაქტისა, როგორ ხსნის იგი ამა თუ იმ პოეტურ სახეს. აქ კვლავ დაგვირდება მოგრძო ამონაწერი. საქმე ეხება გრ. აბაშიძის პოემას „შავი ქალაქის განათხუღს“. ბ. ქლენტი წერს: „პოემის შესავალში დახატული იმერეთის პეიზაჟი, დამყარებული ფერთა ბრძოლაზე, ბნელისა და ნათელის ჭიდილზე, ერთბაშად გვაგრანობინებს იმ დიდ სოციალურ კონფლიქტებს, რომლებიც მზადდებოდნენ და ღრმავდებოდნენ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე“ (გვ. 85).

გავეცნოთ ამ დიდი „სოციალური კონფლიქტის“ გამომატველ პეიზაჟს! „შავი ქვის მტვერით შავად შეღებილ ჭიათურის მიდამოებში, — გვიხსნის ბ. ქლენტი, — თვალს ახელს განათხუღის მზინი დილა. სოციალური აზრით არის გამსჭვალული მთელი ეს სურათი:

განათხუღის დგება ხევი,
შეიანე კახას მოლა კერავს,
აბნის ტოტი გაშლის ყვავილს
გახურებულ თორნის ფერად.
მაგრამ მტვერი შავად მოდის,
ყვავილებზე მტვერი წვება.
ცისკრის ფერი საღამოდის
მწუხრის ფერთი შეიცვლება.

ასე ებრძვის შავი მტვერი მზისა და განათხუღის ნათელს“ (გვ. 85 — 86).

ყოვლად შეუძლებელია პოეტის ამ

სტრიქონებში „დიდი სოციალური კონფლიქტების“ ამოკითხვა. აქ უპრეტენზიოდ, უპრეტენზიოდ ნატავს განათხუღს ჭიათურაში, სადაც შავი ქვის მტვერი მართლაც ეღებოდა გარემოს, ყვავილებს. პოეტს რომ მართლაც განზრახვა ჰქონოდა, ამ სურათით გამოეხატა რაღაც დიდი „სოციალური კონფლიქტები“, მაშინ რა უღონო და მიამიტური იქნებოდა მთელი მისი პოეტური ფანტაზია. ბ. ქლენტს კი ახალი სტროფი მოჰყავს დიდი „სოციალური აზრის“ მაჩვენებლად:

„როგორ ჰქონდა თეთრად ტალა,
რა სუფთა და რა კამყამა...
ამ ქალაქის შესავალთან
რა ეშმაკმა ჩააღამა...“

ამ წყვილიდით მოცულ ვითარებაში მოვიდა ახალგაზრდა სტალინი...“ (გვ. 86).

რა შეუძლია აქ წყვილიდით მოცული ვითარება ანუ თვითმპყრობელობის შავბნელი რეჟიმი? აქაც ხომ პოეტი უბრალოდ, უპრეტენზიოდ ხატავს მდინარე ყვირილას, რომელიც შავი ქვის საბადოებიდან, ე. ი. ჭიათურის მიდამოებიდან მოკიდებული მართლაც შავდება შავი ქვის მტვერით. განა ეს ნათლად არ ჩანს თვით ლექსის ლოკალიდან? თუ ჩალამებაში სიმბოლიურად თვითმპყრობელობა იგულისხმება, მაშინ რატომ მხოლოდ ქალაქის შესავალშია იგი ჩალამებული? თვითმპყრობელობა ხომ მთელი ქვეყნის ჩალამება იყო?

ხშირად თავის შეფასებებში ბ. ქლენტს ზომიერების გრძნობა ჰქონდა. თუ ერთი პოეტის შესახებ იტყვის, რომ „თანამედროვეობის კონკრეტული თემების განსაზღვრებისას იჩინა თავი“ მისი „პოეტური ბუნების საუკეთესო თვისებებმა: სიახლის გრძნობამ, პოეტური აზრის სიმამფრემ და აქტუალობამ, პოეტური მონაფიქრის ღრმა იდეურობამ, მოვლენათა პლასტიკური გამო-

ხატვის ძალამ, პოეტური ფერწერის სიმკვეთრემ და კოლორიტულობამ, მხატვრული მეტყველების ახალ საშუალებათა ძიებაში იშვიათმა გაბედულებამ და გონებამახვილობამ“ (გვ. 27), — მეორის მიმართ ამ სიტყვებს ადგილს შეუნაცვლებს. მაგრამ ასეთი მსჯელობა მკითხველს მისცემს რაიმე ნათელ წარმოდგენას პოეტის შემოქმედებაზე?

ბ. ჯღენტის წიგნში ხშირად წააწყდებით რაღაც უცნაურობასაც. აი, მაგალითად, როგორ ხსნის ბ. ჯღენტი ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებაში ბუნდოვანი გამოთქმების წარმოშობას: ერთ-ერთ პოეტზე ამბობს, რომ „ახალი ძალით ვითარდება ჩვენს გმირულ დღეებში“ მისი პოეზია და იქვე დასძენს: „ხშირად ეს სტიქია ვერ თავსდება პოეტური მეტყველების ნორმათა ყალიბში, ზოგჯერ მის ლექსებში ვხვდებით მკრთალსა და უსიცოცხლო სახეებს თუ გამოთქმებს, ვხვდებით გაუგებარსა და ობიექტურ ენაზე გადაუთარგმნელ მეტაფორებს და შედარებებს...“ (გვ. 111).

თურმე მკრთალი და უსიცოცხლო სახეები თუ გამოთქმები, გაუგებარი და ობიექტური ენაზე გადაუთარგმნელი მეტაფორები და შედარებები იმიტომ იჩენენ თავს პოეტის ლექსებში, რომ მისი პოეტური ძალა, მისი პოეტური სტიქია ვერ ეტევა „პოეტური მეტყველების ნორმათა ყალიბში“. მაშასადამე, უსიცოცხლო სახეები და ბუნდოვანი გამოთქმები დიდი პოეტური ძალის მარჯვენა ხელი ყოფილა?!

ამ ლოგიკით, რასაკვირველია, ყველა პოეტი, რომელთაც მეტი უსიცოცხლო სახეები, გაუგებარი და ბუნდოვანი გამოთქმები აქვთ, შეიძლება გენიოსებად გამოვაცხადოთ.

ბ. ჯღენტის კრიტიკული აზროვნებისთვის მეტად ტიპური და მეტად დამახასიათებელია ასეთი ნიმუშები:

„მართალია, ამ პიესაში გაშლილი სიუჟეტური დრამა შეიცავს მთელ რიგ

ნაძალადეად შეთხზულ და ჭეღვენურ სიტუაციებს, სამაგფეროფი სიტუირმა ცოცხლად და დამაჯერებლად დახატა მოქმედ გმირთა სახეები“ (გვ. 164).

კარგი იქნებოდა, რომ ავტორს მკითხველისთვისაც გაემკლავებინა, თუ როგორ დახატა მწერალმა ცოცხლად და დამაჯერებლად გმირთა სახეები ნაძალადე და ჭეღვენურ სიტუაციებში? ან რას ნიშნავს „სიუჟეტური დრამა“?

„მართალია, პიესაში ცოცხლად და კოლორიტულად არის ასახული მოქმედების ფონი, გამოხატულია კოლექტიური შრომის პათოსი და ენტუზიაზმი, საკოლმეურნეო ახალგაზრდობის ხალისიანი და მზიური ცხოვრების ატმოსფერო, მაგრამ ამ ფონზე გაშლილი სიუჟეტის განვითარება ვერ გვაძლევს საკოლმეურნეო სოფელში შექმნილ ძალთა განწყობილების სწორ და მართალ გამოხატულებას“ (გვ. 165).

თურმე პიესაში ცოცხლად და კოლორიტულად ყოფილა ასახული მოქმედების ფონი, კოლექტიური შრომა, საკოლმეურნეო ახალგაზრდობის ცხოვრება, მაგრამ ყოველივე ამას პიესაში მინც ვერ უპოვია გამოხატულება.

ბ. ჯღენტი განაგრძობს:

„თავის ამ პირველ დრამატიულ ნაწარმოებში გ. შატბერაშვილმა გამოიჩინა ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული სიუჟეტის ჩამოყალიბების, მკვეთრი აღმზინური ხასიათების დახატვისა და სცენიური მეტყველების ქეშმარიტად პოეტურ დონეზე დამუშავების ნიჭიერება. იმიტომაც პიესას აღმოაჩნდა ემოციური ზემოქმედების ძალა და ცხოველი გამოძახილიც ჰპოვა მაყურებელთა ფართო წრეებში, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ შემთხვევაში დრამატურგი ლალატობს მხატვრული სიმართლის პრინციპს და უგულვებელყოფს სცენიურ მდგომარეობათა რეალურობის, დამაჯერებლობის, ბუნებრივობის ამოცანებს“ (გვ. 183).

აი, აქაც შეთავსებულია შეუთავსებელი რამ. როგორც ვხედავთ, მწერალს თავის პიესაში გამოუჩენია „ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული სიუჟეტის ჩამოყალიბების, მკვეთრი ადამიანური ხასიათების დახატვისა და სცენიური მეტყველების ჭეშმარიტად პოეტურ დონეზე დამუშავების ნიჭიერება“, მაგრამ მხატვრული სიმართლე მაინც არ ჰქონია, პიესა მაინც არ ყოფილა რეალური, დამაჯერებელი და ბუნებრივი. აბა, როგორ შეიძლება მწერალი ღალატობდეს მხატვრულ სიმართლეს, მაგრამ მკვეთრ ადამიანურ ხასიათებს მაინც ხატავდეს?

ყოველივე ამას მიუმატეთ ისეთი ქართული, როგორიცაა, „სცენიური მეტყველების ჭეშმარიტად პოეტურ დონეზე დამუშავების ნიჭიერება“, და სურათი დასრულებული იქნება.

ბ. ჯენეტის ლიტერატურული სტილის ორიოდ ნიმუშიც:

„დიადი სტალინური ხუთწლედებისათვის ბრძოლის გარემოცვაში დაიწერა...“ (გვ. 18).

გარემოცვაში თუ ვითარებაში?

„ღრმად ნაციონალური ელერის მისი ფრთაასხმული პოეტური სიტყვა სწვდება ჩვენი ხალხის დღევანდელი თუ წარსული გმირული ცხოვრების მთელ უსაზღვრო მრავალფეროვნებას“ (გვ. 25).

ნეტავ, რა სიტყვაა ისეთი, რომელიც დღევანდელი და წარსული ცხოვრების მთელ უსაზღვრო მრავალფეროვნებას წვდება?

„რეალიზმისა და ხალხურობის პრინციპებთან ერთად დასაფუძვლავლად მერტივის თანამედროვე მწერლობას იერიში მიაქვს ჰუმანიზმის, ადამიანობის მაღალ იდეალებზე“ (გვ. 37).

ასე აგებული წინადადებიდან როგორ უნდა გავიგოთ, რას რაზე მიაქვს იერიში?

ა. ჭუთათელის რომანის შესახებ კრიტიკოსი წერს:

„სოციალური გარემოს ფართოდ მოცვის დიაპაზონით, რთული სიუჟეტური აღნაგობით, პერსონაჟთა სიმრავლით და მოქმედების სარბიელის სიფართოვით, იდეური სიმძაფრით და აქტუალობით ეს რომანი უაღრესად თვალსაჩინო მოვლენაა საბჭოთა ეპოქის მხატვრულ პროზაში“ (გვ. 48).

რა არის ეს „გარემოს ფართოდ მოცვის დიაპაზონი“?

„კომედია მოფიქრებული და შესრულებულია ერთ მთლიან მხატვრულ კომპოზიციის პლანში...“ (გვ. 160).

კომედიის კომპოზიციის რა განმასხვავებელი ნიშანი შეუძლია დაინახოს მკითხველმა ამ „მთლიან მხატვრულ კომპოზიციის პლანში“?

ბევრი რამ არის ბ. ჯენეტის წიგნში მცდარი, სადავო, წინააღმდეგობრივი, მაგრამ შეუძლებელია ერთ წერილში მათი ამოწურვა.

ვფიქრობთ, ამხ. ბ. ჯენეტი გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებს თავის მუშაობაში.

ვაჟა-ფშაველა რუსულ ენაზე



მხატვრული თარგმანი ჩვენი კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. არც ერთ ეპოქაში და არც ერთ ქვეყანაში არ ასრულებდა მთარგმნელთა მოღვაწეობა ისეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ როლს, როგორსაც ასრულებს ის საბჭოთა ეპოქაში, ჩვენს ქვეყანაში. ეს გასაგებებია: ჩვენთან მხატვრული თარგმანი ემსახურება არა მარტო ვიწრო-საგანმანათლებლო მიზნებს, არა მარტო ერთი ერისათვის სხვა ერთ კულტურული მიღწევების უბრალო გაცნობის მიზნებს; ის გარემოება, რომ ჩვენთან მხატვრული თარგმანი არის ხალხთა მეგობრობის — ს ა ბ - კოთა საზოგადოების ამ მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ი ძ ა ლ ის — ერთ-ერთი გამოვლინება. — შეუდარებლად ადიდებს მის როლს, ანიჭებს მას ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის აქტიური იარაღის ძალას, სოციალისტურ ეროვნებათა ფორმირებისა და განვითარების მძლავრი იდეოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას.

ჩვენ ჩვეული ვართ ამა თუ იმ მთარგმნელის მუშაობაში ნაკლებ ლაპარაკს. ნაკლოვანებათა მხილება საჭიროცა და აუცილებელიც, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მხატვრული თარგმანის საუკეთესო საბჭოთა ოსტატების მიერ დაგროვილი დადებითი გამოცდილების განზოგადება და გაშუქება. ამ მიმართულებით კი ცოტა რამ არის გაკეთებული. ლიტერატურული კრიტიკა კერძო ხასიათის შენიშვნებს და მითი-

თებებს არ გასცილებია. უნდა ვაღიაროთ: კრიტიკა და ლიტერატურის-მცოდნეობა დიდ ვალშია მხატვრული თარგმანის გამოჩენილი საბჭოთა ოსტატების წინაშე, და ეს ვალი უნდა განაღდებულ იქნეს.

ეს აზრები არ შეიძლება არ დაებადოს მკითხველს, როდესაც ის გაეცნობა ნიკოლოზ ზაბოლოცკის უკანასკნელ შრომასაც, ვაჟა-ფშაველას რჩეული პოემების მიერ შესრულებულ თარგმანს.

ვაჟა-ფშაველას მთარგმნელის წინაშე იდგა დიდი და რთული ამოცანა: სწორედ გაეგო, გაეხსნა და გაღმოეცა ქართული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის იდეათა და სახეთა სიმდიდრე.

მხოლოდ დედნის იდეურ არსში ორმა ჩაწვედომას შეეძლო უზრუნველყო მთარგმნელისათვის ქართული პოეტის სახეთა სისტემის, მისი პოემების მხატვრულ თავისებურებათა, მათი ფორმის სწორი გაგება და განცდა. თვით ვაჟას სიტყვით რომ ვთქვათ, „წინდაწინვე განსაზღვრა ფორმისა ნამდვილი პოეტისათვის (ამ შემთხვევაში კი პოეტ-მთარგმნელისათვის — გ. მ.) ყოველად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოჰყვეს თვით ნაგრძნობს და ნააზრევს და ნამდვილად ნაგრძნობ საგანს და ნაწარმოებს თან მოჰყვება ფორმა“.

საქმისადმი ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, ყოველთვის აუცილებელია, მაგრამ ამჯერად ეს აუცილებლობა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა იმ კონკრეტული ამოცანის სირთულის გამო,

რომელიც იღვა ნ. ზაბოლოცკის წინაშე. ეს სირთულე გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ საკითხი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ, მისი მსოფლმხედველობის შესახებ დღემდე არ იყო ჯეროვნად შესწავლილი და კაშქებიანი. „ალუდა ქეთელაურის“, „ბახტრიონის“, „სტუმარ-მასპინძლისა“ და ვაჟას სხვა ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული არსის გასაგებად მთარგმნელს უნდა გაეთვალისწინებია ვაჟას მთელი შემოქმედება, უნდა დაენახა და გაეგო მის შემოქმედებაში ყოველივე ის საუკეთესო, რის გამოც ვაჟას ნაწარმოებები შევიდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ოქროს ფონდში. ზაბოლოცკის უნდა დაენახა მის მიერ თარგმნილ ვაჟას პოემებში კეთილშობილური, ჰუმანისტური და პატრიოტული იდეალები. ნ. ზაბოლოცკიმ შესძლო ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანის სწორად გადაწყვეტა, შესძლო არსებითად შეესრულებინა ის მოთხოვნა, რომელიც თვით ვაჟამ წამოაყენა ლიტერატურათმცოდნეთა წინაშე თავის ცნობილ წერილში იმ ვართაგავასადმი:

„რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შევძელი მე საქართველოს მომავლის, მისი ბედისა და უბედობის განჭვრეტა, მე მსურს ამის შესახებ მოვახსენო ბ-ნ ვართაგავას. პასუხი ამ შეკითხვაზე არ შეიძლება მოგვეცეს ერთმა ლექსმა ან მოთხრობამ, ის უნდა მოგვეცეს პოეტის მთელმა ცხოვრებამ, მისმა მოღვაწეობამ, ყველა მისმა ნაწარმოებმა ერთად...

როგორ გგონიათ? არ მაქვს მე წარმოდგენილი მთავარი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არ შწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?!... ურწმუნოთა შრომა ამოა, შეუძლებელიც, მგონია!... ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალს ჩვენს ყოფაცხოვრებაზე, ჩვენს ბედზე არას ამბობენ? ვერაფერი პოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა სჩანს იქ, არა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ“ უნდა განახორციელოს. დიად, იმ დროთა სვლამ, რომელიც თქვენ უმნიშვნელო, ფუქსავატი სიტყვები გგონიათ. თუ მე ნიჭი მაქვს ჰემარატი შემოქმედებისა, უეჭველად წარსულის თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვებია.

ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, — რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაჯდებით, თითქოს შეკახმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთმ გწამ, ნუ დამიძალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?“

— იქნებ ვგულისხმობდე — ვუპასუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო“, დაეცი-

ნა ფშაველმა და თხუთმეტი ათასი მკვერმეტყველი პროფესორი რომ მოგეყენათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია, მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სეზბედი“...

ასეთია ვაჟა-ფშაველას პოეზიის ჰუმანისტური, პატრიოტული, ხალხური შინაარსი. ზაბოლოცკიმ გაიგო ვაჟას შემოქმედების ეს მთავარი შინაარსი და ამან მისცა მას გასაღები ვაჟას პოემების მხატვრული ქსოვილისა, გასაღები არა მარტო ამ პოემების მოქმედ პირთა ხასიათების, არამედ თვით შემოქმედის პიროვნების სწორად გაგებისათვის.

მთარგმნელის მუშაობა აქ არ შეიძლება შემოფარგლულიყო ვაჟას ტექსტის მარტოდენ რუსულ ენაზე გადმოცემით; მას აუცილებლად უნდა მოეცვა ორიგინალში ღრმა მეცნიერული (და არა მარტო მხატვრული) ჩაწვდომა, პოეტის შემოქმედების და მისი განმსაზღვრელი ეპოქისა და ლიტერატურული ტრადიციების მრავალმხრივი შესწავლა.

ზაბოლოცკიმ წარმატებით გადაწყვიტა მთელი რიგი რთული ენობრივი ამოცანები, რომლებიც წამოიჭრა მის წინაშე თარგმნის პროცესში. არანაკლებ რთული ამოცანები იყო დაკავშირებული ვაჟა-ფშაველას მხატვრული სახეების სისტემის გადმოცემასთან. ამ შემთხვევაშიც ზაბოლოცკი გვიჩვენებს დედნის მხატვრულ ქსოვილში ღრმად ჩაწვდომის მაგალითს. არავითარ

რი შტამპი, არავითარი მთარგმნელობითი ვოლაჟიტი!

ზაბოლოცკის, როგორც მხატვრულად, დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მკაფიო იდეურობითა და მხატვრული განხორციელების ძალით გააცნო რუს მკითხველებს ვაჟა-ფშაველას პოემები. ამაში მთარგმნელს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ რუსულ ენას გააჩნია უმდიდრესი შესაძლებლობანი, რომელთა გამოყენებით ზაბოლოცკიმ უზრუნველყო მთარგმნელის ქეშმარიტი შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტა.

წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პოემებში, რომლებიც თარგმნა ზაბოლოცკიმ, ბევრია ტრაგიკული დაძაბულობის გამომხატველ სტროფები, ყოფაცხოვრებითი სცენები, ზოგჯერ უაღრესად მეტყველი კომიკური ელემენტები, აეტორის ლირიკული წიაღსვლები და ფილოსოფიური მსჯელობანი. ეს მომენტები მთარგმნელს ორიგინალთან სრული შესატყვისობით აქვს გადმოცემული.

დიდი პოეტის ნაწარმოების თარგმნის ღროს არ არის საკმარისი მხოლოდ მისი შემოქმედების შესწავლა. სწორად რომ წავეიკითხოთ დედანი, აუცილებელია ვიცოდეთ პოეტის შემოქმედების არა მარტო სოციალური, არამედ ლიტერატურული საწყისებიც. უნდა გავეცნოთ პოეტის სახეების და სტილის გენეზისს, უნდა გავითვალისწინოთ ის ლიტერატურული ტრადიციები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ სტილის ფორმირებას და, ბოლოს, ნათლად უნდა ვხედავდეთ იმ პირდაპირ ლიტერატურულ ასოციაციებსაც, რომლებიც გვხდება მწერლის შემოქმედებაში. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველაზე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა როგორც



ქართულმა ხალხურმა პოეზიამ, ისე დიდი ქართველი კლასიკოსების — რუსთაველის, გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის შემოქმედებამ. ამჯერად ნიკოლოზ ზაბოლოცკი გვევლინება როგორც ქართული ლიტერატურის და, კერძოდ, ვაჟას წინამორბედთა კარგ მცოდნედ. უფრო მეტიც, ის თვით არის მთარგმნელი ქართული ხალხური პოეზიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნიმუშებისა, რუსთაველისა და გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის მთარგმნელი. შეუძლებელია ამ ფაქტის მნიშვნელობის დაუფასებლობა. მრავალწლიანმა შემოქმედებითა შრომამ ვაჟას წინამორბედთა და უფროს თანამედროვეთა თარგმანზე ზაბოლოცკის შესაძლებლობა მისცა განეხორციელებინა ვაჟას მეტად მაღალხარისხოვანი თარგმანი. ვაჟა-ფშაველას პოემები თარგმანში არა მარტო თავისი იდეებით და მოტივებით, არამედ სტილითაც კი აღიქმებიან მკითხველის მიერ მთელი თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი ასოციაციებით, კავშირებით, განპიროვნებით, გაშუქალებით. მკითხველი ხედავს ამ პოემებში ბრწყინვალე აფორისტულობასაც, რომელიც რუსთაველიდან იღებს საწყისს, ენის ვაჟაკურ სისადავეს და ხალხურობასაც, შერწყმულს ღრმა ფილოსოფიურ აზრთან, ხან კი მის ჰუმორისტ ტრაგიკულ ქლერასთან (აქ ვაჟა ეხმაურება გურამიშვილს), და მთელ რიგ სტილისტურ თავისებურებებსაც, რომელთა სათავე ფოლკლორშია და რომლებიც შემოქმედებითად გადამუშავდა ვაჟას პოეტურ ლაბორატორიაში.

კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც საჭიროა მივაჩვიოთ ყურადღება. ზაბოლოცკი თარგმნიდა ვაჟას პოემებს რუსულ ენაზე, ე. ი. იმ ლიტერატურის ენაზე, რომელშიაც მთის თემატიკა ფართოდ და ბრწყინვალედ იყო დამუშავებული.

საკმარისია გავიხსენოთ მუსკინისა და ლერმონტოვის კამეისიერი პოემები. ავალებდა თუ არა მთარგმნელს რაიმეს ეს გარემოება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავალებდა. თვით თემატიკური მასალის მსგავსება ოდნავ მაინც ხომ განსაზღვრავს მისი მხატვრული დამუშავების მეთოდების მსგავსებას? ოდნავ მაინც მონათესავე ხასიათების ასახვაც ხომ განსაზღვრავს (თუნდ ძალზე მცირედ) ამ ხასიათების გახსნისა და გამოხატვის ზოგიერთ პრინციპების ერთობლიობას? მაგრამ აქ საქმე სწორედ ამ „ოდნავშია“, ზომიერების გრძნობაშია. ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ დიდი ოსტატობით შეძლო ამ ზომიერების დაცვა; აქედან არის ის ოდნავ შესამჩნევი მუსკინისეული და უფრო ხშირად ლერმონტოვისეული ინტონაციები, რომლებიც ანიჭებენ თარგმანს ასეთ სიმშვენიერეს, მისი უაღრესად ორიგინალური და თვითყოფითი ქლერადობის დაურღვევლად.

მწერლის მსოფლმხედველობის, მწერლის შემოქმედების სოციალური და ლიტერატურული საწყისების შესწავლას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მისი მხატვრული სისტემისა და სტილის სწორად გაგებისათვის. მაგრამ ნიკოლოზ ზაბოლოცკი ამითაც არ დაკმაყოფილდა. იცნობდა რა მშვენიერად საქართველოს, მის ბუნებას, მის ხალხს, მან მაინც სპეციალურად შეისწავლა უშუალოდ ის კუთხე, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვაჟა-ფშაველა და რომლის მასალაზედაც შექმნა მან თავისი პოემები. ამ გარემოებას არ შეეძლო არ გაეადვილებინა მთარგმნელისათვის საქართველოს მთიანი რაიონების ბუნებასთან და მათ მატერიალურ კულტურასთან დაკავშირებული სახეების რელიეფური, ხელშესახები, ნათელი გადმოცემა.

ასეთია ის დიდი წინასწარი მუშაობა, რომელიც ჩაატარა ზაბოლოცკიმ, სანამ

უშუალოდ შეუდგებოდა ვაჟას პოემების თარგმნას.

საკვიროა აქვე აღინიშნოს ის დიდი დახმარება, რომელიც მთარგმნელს გაუწვია ვაჟას პოემების რუსული თარგმანის რედაქტორმა ამხ. პ. ინგოროყვამ.

ვაჟა-ფშაველა 39-მდე პოემის ავტორია. ზაბოლოცკიმ გამოარჩია ყველაზე მნიშვნელოვანი პოემები. იმ 10 პოემის მიხედვით, რომლებიც შევიდა სარეცენზიო წიგნში, მკითხველს შეუძლია ნათელი წარმოდგენა იქონიოს ვაჟას ეპიკურ შემოქმედებაზე, მისი პოემების მთავარ იდეურ პრობლემატიკაზე.

ერთ-ერთი წამყვანი პრობლემა, რომლის დამუშავებაც ვაჟამ უძღვნა თითქმის მთელი თავისი შემოქმედება — არის ადამიანობის, ადამიანის ადამიანისადმი სიყვარულის, ადამიანთა შორის, ხალხთა შორის მტრობის აღმოფხვრის, მშვიდობის დამყარების პრობლემა. ამასთან ერთად, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოეტი აყენებდა ამ საკითხებს არა განყენებულ-ეთიკური და არა კეთილშესრულე პაციფიზმის ასპექტში: ყველა მის პოემას აერთიანებს საშობლოს მტრების წინააღმდეგ, ადამიანობის მტრების წინააღმდეგ, მშვიდობის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის თემა. მაგრამ თვით ეს ბრძოლა, როგორც დავინახეთ, წარმოებს მშვიდობისა და ადამიანობის მაღალი იდეალების სახელით. ამაშია „გოგოთურ და აფშინას“, „ალუდა ქეთელაურის“, „კობალას“, „სტუმარ-მასპინძლის“, „ბახტრიონის“, „გველის მკამელის“, იდეური არსი. სწორედ ამაში და არა „მთიული ტომების მტრობისა და სისხლისმღვრელი შინაომების“ უბრალო აღწერაში, როგორც ამას ამტკიცებენ ზემოხსენებულ წინასიტყვაობაში. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ვაჟა-ფშაველა არ არის ეთნოგრაფი და ყოფა-ცხოვრების უბრალო აღწერილი; მთის მასალა და, კერძოდ, „სისხლისმღვრელი შინაომებიც“ სჭირდებოდა მას მხოლოდ როგორც მასალა დიდი სო-

ციალური, ეთიკური და ფილოსოფიური განზოგადებისათვის. ზაბოლოცკის დამსახურება ისაა, რომ მან მისი მამად უარყო ლეგენდა ვაჟაზე, როგორც ეთნოგრაფზე და ყოფა-ცხოვრების უბრალო აღწერილზე; მან სწორად გაიგო იდეურ განზოგადებათა აზრი ვაჟას პოემებში, და გამოავლინა მათში აღძრულ პრობლემებსა და მოტივებს შორის არსებული კავშირი. თარგმანში არ დაიკარგა თითქმის არც ერთი იდეურად მნიშვნელოვანი შტრიხი, არც ერთი დეტალი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის მსოფლმხედველობის გაგებისათვის. პირიქით, დედნის შესაბამისად სწორედ ეს დასაყრდნობი სტრიქონები და სტროფები ელერენ ზაბოლოცკის თარგმანში განსაკუთრებული მხატვრული ძალით.

აი, ნაწყვეტი „ალუდა ქეთელაურიდან“, რომელიც ელერს როგორც მტრობისა და „სისხლისმღვრელი შეტაკებების“, — გმობა, წყევლა:

Кому вражда всего милей,
Кто сеет бедствия повсюду,
Тот должен в хижине своей
Людскую кровь собрать в заприцу,
Пусть он ее из кубка пьет.
И в хлебе ест, и словно в храме.
Хвалу святые воздаст,
Крестясь кровавыми руками,
И пусть он, радостный жених
Гостей на свадьбу приглашает.
Пусть за стол сажает их
И в луже крови ублажает.
И пусть постель постелет в ней,
И пусть возляжет с ней с женою.
И народит себе детей,
И наслаждается семьею.
И пусть он мертвым ляжет тут
В свою кровавую гробницу.

დედნის ღრმადგაგება მოწმობს — ამ თარგმანის მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეს.

ამავე პოემის თარგმანში ზაბოლოცკი ზუსტად, მკაფიოდ და ნათლად გადმოგვცემს ალუდას სიტყვებს, მიმართულს რელიგიური შეუღლის წინააღმდეგ:

Эх, лишь себя считаем мы
 Людьями, достойными спасенья.
 А басурманам, детям тьмы,
 Пророчим адские мученья...
 И понял я, что отрубить
 Десницу храбрую негоже,
 Убудет слава, может быть,
 Но голос сердца мне дороже.

ეს სიტყვები გასაღებია „აღუდა ქეთელაურის“ იდეური პრობლემატიკის გასაგებად. და არა მარტო „აღუდა ქეთელაურისა“, „Голос сердца“, ადამიანურობა, სიბრალული და სიყვარული, — აი მოტივები, რომლებიც აკავშირებენ ვაჟას პოემებს. და ეს მოტივები განსაკუთრებული სიზუსტით აქვს გადმოცემული ზაბოლოცკის ისე, რომ არ იკარგება მათი გამჭრეთი (сквозное) ხმოვანება, ჩანს მათი თავისებური შეხშიანება. ამის დასასაბუთებლად საკმარისია თვალის გავაწვლით ამ მოტივების განვითარებას ვაჟას ზოგიერთ პოემაში. აი, ნაწყვეტი „ბახტრიონიდან“, რომელიც ეხმარება ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ „აღუდა ქეთელაურის“ სტროფებს:

Ужасней мертвеца живого
 Лишенный сердца человек, —
 Престол из льда его основа,
 Любовь чужда ему вовек.
 Ему не жаль меньшего брата.
 Пусть захлебнется тот в крови...
 И так он сгинет без возврата,
 Не увидав вершин любви.
 В трясине страдной и тлетворной
 Погрязнет он, как жалкий тать.
 На путь бесчувственности черной
 Ужасно мыслящему встать!

პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ ხომ მთლიანად არის აგებული კოლიზიაზე, რომელიც იქმნება ადამიანურობის და უადამიანობის, უგრძნობელობის, შეტაკების ნიადაგზე, ზაბოლოცკი აქაც დგას მის წინაშე წამოყენებული ამოცანების სიმალეზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ. ვაჟა-ფშაველა ყველა შემოხსენებულ პრობლემას აყენებდა და წყვეტდა კონკრეტულად, მისთვის სრულიად უცხო იყო საზოგა-

დობრივ შინაარსს გამოცლილი „კაცთ-მოყვარეობის“ ქადაგება. ეს რომ ზეენთვის უფრო ნათელი გახდეს, შივაქცოთი ყურადღება ამ საკითხის დაყენებას ვაჟას თეორიულ სტატიებში. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1891 წელს ვაჟამ ერთ-ერთ თავის სტატიაში დაისახა მიზნად დაეზუსტებინა „ადამიანურობის“ „სიყვარულის“, „სიბრალულის“ თავისი გაგება. მან მიზანშეწონილად ჩათვალა გაეეღო ზღვარი „სიყვარულისა“ და „სიბრალულის“ ცნებებს შორის. აი, რას წერდა ვაჟა ამის შესახებ: „ეფიქრობ, რომ სიბრალულს სიყვარული სჯობია ბევრით. სიბრალული ცოტა არ იყოს ბატონყმური გრძნობაა... ნუთუ ეს იმას არა ჰნიშნავს, მე ბატონი ვარ და შენ ბეჩავე ჩემი ყმაო? ვის ებრალეება სხვა? იმას, ვისაც თავისი თავი იმაზე ბედნიერად მიიხნია, რომელსაც იბრალეებს და იწყალებს. დემრთმა ჰქმნას, მომავალმა დრომ სიბრალულის ნაცვლად სიყვარული გაამეფოს, მომავალმა მოჩანგემ სიყვარულს უმღეროს, ზოლო დღევანდელ დღეს კი ისევ სიბრალული გვახუდდგმულებს, რადგან შესაბრალეებსა და შესაწყალებს ბევრსა ვხედავთ. — გვებრალეება, და რამდენადაც გვებრალეება, იმდენად აღარ გვიყვარს“. აქ საკითხი პირდაპირ გორკისებურად არის დაყენებული. განა თითქმის ამავე პერიოდში გორკი მტკივნეულად არ განიცდიდა ანალოგიურ საკითხებს? განა ცოტა უფრო გვიან, ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში, სადაც ის „შესაბრალეებისა“ და „შესაწყალეების“ ცხოვრებას აღწერდა, არ დაუპირისპირა მწერალმა ლუკასა და სატინის სახით „სიბრალულისა“ და „სიყვარულის“ კონცეფციები? და განა შემოეგ, მომავალში (სწორედ იმ მომავალში, რომელსაც ვაჟა შენატროდა), არ მონახა მან ზიდი სიბრალულიდან სიყვარულისაკენ — შ რ ი მ ი ს ა და ბ რ ძ თ ლ ი ს საკითხების დასმის საშუალებით, მშრომელი და მებრძოლი ადამიანების სახელა შექმნის გზით? ამავე გზით მილი-

ოდა დიდი ქართველი მწერალიც, რომელმაც გადაჭრით განაცხადა, რომ „შრომა და სიყვარული აძლევს ლაზთს ადამიანის სიცოცხლეს“, მან სწორედ შრომაში და ბრძოლაში დაინახა — გორკისებურად — „სიბრალულის“ დაძლევის გზა და საშუალება, როდესაც ერთ-ერთ თავის ბრწყინვალე ლექსში განაცხადა მშრომელის სახელით:

ნუ, ნუ შეძახით საწყალსა,
მწყინს ამისთანა ქართული:
მნახოდით ყანის მკაშია,
გბრუნავდე შემოკალთული...
შრომისთვის ნუ შემიბრალვბთ,
მე იმაში ვარ გართული.
ის შეიბრალეთ, ხელები
ვისაც აქვს გადახლართული...
დღეს თუ არა, ზეად ვიქნები
ბატონი თავის შრომისა,
მიწის გულისთვის მოკვედები,
არ მემშინან ომისა,
არც თოდის, არც ზარბაზნების,
არც უფროსების წყრომისა...
ავიწუხე უაპურელი,
ცხოვრების განაწეალები.
მიწა მომეცით, შრომისთვის
ნურავის შეგებრალვბთ!

ანალოგია, რომელიც ჩვენ დავუშვით, მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას და (ამ საკითხს სხვა ადგილას დავუბრუნდებით). აქ კი გვკვირვებებს მხოლოდ, რამდენად იქნა განხორციელებული ვაჟას „ფიქრები“ „სიბრალულისა“ და „სიყვარულის“ შესახებ მის პოეტურ პრაქტიკაში.

ჰუმანიზმის პრობლემას ეხება ვაჟა-ფშაველა თავის „გველისმკამელშიც“. მაგრამ აქ ეს პრობლემა გადაწყვეტილია საკმაოდ თავისებურად. „გველის მკამელი“ მრავალბლანიანი პოემაა, ჰუმანიზმის საკითხი აქ სხვადასხვა ასპექტში წყდება. პირადულსა და საზოგადოებრივის დამოკიდებულება ადამიანის ცხოვრებაში, სიყვარული და სიბრალული, ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულება, ბუნებასთან კონტაქტი, გმირობა, მალალი იდეისათვის თავის დადება

(თავდადება), ურყევი პრინციპულობა — ყველა ეს საკითხი დასმულთანაა გადაწყვეტილი ვაჟას მიერ თავის ჰუმანიზტური კონცეფციის თვალსაზრისით.

ნიკოლოზ ზაბოლოცკი დიდი მხატვრული ოსტატობით და იდეური სიმკვეთრით გადმოგვცემს მინდიას სულიერი ტრაგედიის ურთულეს ხაზს, მინდიას თავის თავთან, ოჯახთან და ხალხთან კონფლიქტის განვითარების ხაზს. აი, მინდიას სიტყვები, წარმოთქმული იმ წუთში, როდესაც ის თავის თავს ცოდვილად, „Голос сердца“-ს მოალაატედ თვლიდა:

Кто я? Бесчувственное тело!
Одно страдание мне к лицу.
Быть мертвецом еще при жизни,
Что в мире может быть страшней?

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მეორდება აქ ზაბოლოცკის გადმოცემაში (და დედნის შესაბამისად) „ალუდა ქეთელაურის“, „ბახტრიონის“ და „სტუმარ-მასპინძლის“ მოტივები. და აი, ბოლოს, ზაბოლოცკის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი, პოემის ერთ-ერთი პერსონაჟის ჩაღბიას სიტყვები, რომლებიც თავისებურად გამოხატავენ ხალხისა და ნაწილობრივ თვით ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას მინდიასადმი...

Положим жалость хороша
К животным, птицам и растениям.
Но в человеке есть душа.
Он не чета другим твореньям.
Выходит, если я убью
Врага, то я же и в ответе?
А сам-то Миндия в бою
Блюдет-ли заповеди эти? -
Не сам ли он своим мечом
За грудой трупов валит груду?
Зачем же он бог весть о чем
Твердит сородичам понсюду?
И вера наша против тех,
Кто человека убивает
Но в правом деле этот грех
Господь убившему прощает,
А как же быть? Коль супостат
Опустошит страну родную.

Отнимет все, чем ты богат,
И веру оквернит святою, —
Ужель войну считать за грех?
Нет, то не грех заслужить отчизне.
Вот так же бук или орех
Подчас мы рубим ради жизни.

ხალხი იზიარებს ჩალხიას აზრს, თუმცა სჯერა ამავე დროს მინდიას გულწრფელობა. ხალხის განწყობილების გადმოცემაში მთარგმნელმა, სამწუხაროდ, ვერ მიადგინა მისთვის დამახასიათებელი დეტურ სიზუსტეს. ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რადგან ამ ადგილს გარკვეული მნიშვნელობა აქვს პოემის დედააზრის გაგებისათვის. დედანში ნათქვამია:

მაგ ფიქრს რომ მოვეყვო, შენს მტრისა,
როგორ-ღა გვეცხოვრებისა?
ის რად ვიწოდოდ, უფლისგან
რაიც არ გვეცოდებისა?!
თემთ რო გვარიგებს მაგაზე,
ძალიან ცუდათ შერებისა.

ზაბოლოცკი კი ასე თარგმნის ამ ადგილს:

Куда же Миндия ведет?
Хорошее ли это дело?
Зачем, во лжи неутомим,
Смущает нашу от общину?

თარგმნის მიხედვით გამოდის, რომ ხალხი არა მარტო არ ეთანხმება მინდიას (ეს დედანშიაც ასეა), არამედ ბრალს სდებს მას სიცრუეშიც, ეპვი შეაქვს მის გულწრფელობაში, — ეს კი სრულად ეწინააღმდეგება დედნის შინაარსს.

საკითხი ზაბოლოცკის თარგმანის მხატვრულ თავისებურებათა შესახებ, საკითხი პოეტის მთარგმნელობითი ოსტატობის შესახებ, მოითხოვს მეტად დაკვირვებით განხილვას. მით უმეტეს, რომ ზაბოლოცკის თარგმანი მრავალ მხრივ არის სანიმუშო შედეგი იმ დიდი გამოცდილებისა, რომელიც დააგროვა როგორც თვით ზაბოლოცკიმ, ისე სხვა ქართულ მასალაზე მომუშავე ნიჭიერმა საბჭოთა მთარგმნელებმაც. ზაბოლოც-

კის თარგმანში მოცემულია მთელი რიგი პრინციპული, დიდი თეორიული ინტერესის მქონე საკითხების სწორი პრაქტიკული გადაწყვეტა.

უმნიშვნელოვანესი ამ საკითხებიდან არის საკითხი მხატვრული თარგმანის ნაციონალური ფორმის შესახებ.

როგორ გამოვიყენოთ მხატვრული თარგმანის მიმართ ცნობილი კლასიკური ფორმულა იმის შესახებ, რომ ნაციონალური ენა წარმოადგენს ნაციონალური კულტურის ფორმას? და რა ამოცანები წამოიჭრება მთარგმნელის წინაშე ამ საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით? რამდენად და რა ფარგლებში უნდა გადმოცეს, მაგალითად, მთარგმნელმა ქართული ნაციონალური კულტურის ესა თუ ის მოვლენა რუსული ნაციონალური ფორმის საშუალებით? რამდენად და რა ფარგლებში კარგავს თარგმნილი ნაწარმოები თავის ნაციონალურ სპეციფიკას და რამდენად ითვისებს ის რუსული ნაციონალური ფორმის სპეციფიკურ თვისებებს?

ი. სტალინის ფორმულაში — ნაციონალური ენის, როგორც ნაციონალური კულტურის ფორმის შესახებ — მოცემულია პასუხი ამ კითხვაზე. ნაწარმოები, თარგმნილი რუსულ ენაზე, უნდა გახდეს რუსული ლიტერატურის ფაქტად იმ დენად, რამდენადაც ენა არის ფორმა ნაციონალური კულტურისა. სწორედ იმ დენად და იმ ფარგლებში უნდა განხილავს სტალინის მითითების თანახმად, ენა არის მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი კომპონენტი ნაციონალური ფორმის ცნებისა. ი. სტალინი ყოველთვის ხაზს უსვამს მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკურობას, გვაფრთხილებს, არ ავურიოთ ერთმანეთში ენის და კულტურის კატეგორიები. მხატვრული ლიტერატურა ხომ კულტურის მოვლენაა, ენა კი მხოლოდ

უმნიშვნელოვანესი მასალაა ლიტერატურისა. როგორც სწორად აღნიშნა აკად. ვინოგრადოვმა:

«Художественная литература воздвигается на базе общенародного языка посредством его образно-эстетической трансформации... Функции языка в художественной литературе расширяются и усложняются. На базе общенародного языка, при помощи его выразительных возможностей создаются формы художественного изображения, целый арсенал изобразительных средств. В образности выражается национальная специфика литературы».

ეს დასკვნები, მიღებული სტალინური მოძღვრების საფუძველზე, უპირისპირაა მნიშვნელოვანია. როგორც ვხედავთ, ფორმის ცნება მხატვრულ ლიტერატურაში ენის ცნებაზე ტევადა: ის მოიცავს „გამოსახვის საშუალებათა მთელ არსენალს“. და მთარგმნელის წინაშე მდგარი ამოცანის სირთულე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი (ამჯერად რუსული) ენის ხერხებით უნდა გადმოგვეცეს გამოსახვის საშუალებათა ეს არსენალი, შექმნილი სხვა (ამჯერად ქართული) ენის საფუძველზე, მისი ესთეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად. ამაშია ამოცანის სირთულე და ამაშია მისი სიღიამღვე: მხატვრული თარგმანი გვევლინება როგორც ნაციონალურ კულტურათა დაახლოების, ურთიერთდაკავშირების, ურთიერთგამდიდრების აქტიური იარაღი.

რა დასკვნები გამოიმდინარეობს ზემოთქმულიდან მთარგმნელის პრაქტიკული მუშაობისათვის? მთარგმნელმა უნდა უარყოს მანე „თეორია“ იმის შესახებ, თითქოს თარგმანის პროცესში შესაძლებელია ორიგინალის ფორმის სრული გადმოცემა. მან ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ თარგმნის შედეგად ნაწარმოები ხდება რუსული ლიტე-

რატურის ფაქტადაც, რომ მთარგმნელის, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატის, მთავარი იარაღი არის მშობლიური რუსული ენა, ენა, რომელზედაც ის თარგმნის ამა თუ იმ ნაწარმოებს. მაშასადამე, ის ვალდებულია სრულად გამოიყენოს ამ ენის უმდიდრესი შესაძლებლობანი, და არ ეცადოს შექმნას რაღაც ხელოვნური ენობრივი კონსტრუქციები, ენობრივი „კალკები“, რომლებიც ეთომ შეუნარჩუნებენ ნაწარმოებს მის ნაციონალურ სპეციფიკას ამასთან ერთად მთარგმნელმა არ უნდა დაივიწყოს ეს ნაციონალური სპეციფიკაც, ოღონდ უნდა ეძებოს იგი სათარგმნი ლიტერატურის, სათარგმნი ავტორის გამოსახვის საშუალებათა არსენალში. ეს არსენალი კი ამ ლიტერატურის საერთო-საბალზო ენის საფუძველზეა აღმოცენებული.

ნიკოლოზ ზაბოლოცკის თარგმანის ენა მშვენიერი რუსული ენაა მთელი თავისი უშრეტი სიმდიდრით, სემანტიკური ნიუანსებისა და გრადაციების მთელი მრავალფეროვნებით. რა ენობრივი ფენები არა გვხვდება ვაჟას პოემების თარგმანში — ხალხურ, „მდაბიო“ მეტყველებიდან — „მაღალ სტილამდე“, რუსულ სალაპარაკო გამოთქმებიდან — ორატორული მეტყველების ამაღლებულ პათეტიკამდე! განა შეიძლება ავტორის ენისა და მრავალრიცხოვან პერსონაჟთა მეტყველების, სიყვარულისა და სიძულვილის ენის, მეგობრობის გამომსახვეი ენისა და მტრისადმი მიმართული წყევლა-კრულვის ერთ ენობრივ მნიშვნელამდე დაყვანა? რა თქმა უნდა, არა. და ნიკოლოზ ზაბოლოცკიც თამამად ჩასწვდა რუსული ენის საგანძურს სახვითი ამოცანების გადასაწყვეტად. გოგოთურისა და აფშინას, ალუდასა და მუცალის შეტაკებანი. მათი დიალოგები გადმოცემული აქვს ზაბოლოცკის ენერგიული, ძარღვიანი რუსული ხალხური მეტყველებით. კარგად გამოიყენა მთარგმნელმა რუსული

სასაუბრო მეტყველება. აი, ტიპური ნიმუში „გოგოთურ და აფშინას“ თარგმანიდან:

Что ни приснится бабе сдурю
Хоть вынь ей, глухой, да положи!..
О славе мужа возмечтает —
Ей все другое — трын-трава!
...Хоть оборви башку с кистина,
Но возвратись с его добром...
...— О чем ты мне толкуешь, баба? —
...Мозги ворочаются слабо,
Иль от безделья мелешь чужь?
Мне жизнь бы выигр осточертела,
Когда б я ел чужой кусок,
И не твое, болтунья, дело
Судить-рядить про мой клинок.
Чесала б лучше шерсть, дуреха...

ანალოგიური ლექსიკური ელემენტები გვხვდება ჩვენ ვაჟას სხვა პოემების თარგმანშიაც — „ეთერში“ (დედინაცვლის ენა, ჯადოსანის აღწერა), „სტუმარ-მასპინძელში“ (ჯოჯოლას შეტაკება თანამოსახლეებთან), „გველის-მჭამელში“ (მინდიას კამათი ცოლთან) და ა. შ. შესანიშნავია ენობრივი გადასვლები და კონტრასტები ამ ნაწყვეტებში. „აღუდა ქეთელაურში“ აღუდას ლანძღვა გადადის, მუცალის გმირული სიკვდალის შემდეგ, თავშეკავებულ, მამაცურ აღტაცებაში:

И шепчет трупу он: «Музал,
Ты как герой в сраженьи пал,
Была крепка твоя десница!..

„ეთერში“ დედინაცვლის უხეშ ენას უბირისპირდება ეთერის სათნო, სპეტაკი ლირიზმით გამსჭვალული ენა. „გველის მჭამელში“ მინდიას მკვახე, უხეში სიტყვები, ცოლისადმი მიმართული, მონაცვლეობენ ღრმა ფილოსოფიურ მსჯელობასთან.

საჭიროა ცალკე შევჩერდეთ მთარგმნელის მიერ სლავიზმების გამოყენებაზე პერსონაჟთა ენის ამაღლებული პათეტიკურობის გადმოსაცემად. სლავიზმებს თითქოს მკვეთრად უნდა დაერღვიათ ვაჟას პოემების ნაციონალური სპეციფიკა, თითქოს უნდა მოედინათ მათი „სლავიზაციის“ და უმეტეს გამოეწვიათ მკითხველში დედნის შინაარსიდან დაშორებული ისტორიული ასოციაციები. მაგრამ ეს მცდარი ვარაუდია. უკვე დიდი ხანია, რაც სლავიზმებს რუსულ ლიტერატურულ ენაში აქვთ ორგვარი ფუნქცია — ისტორიული პერსონაჟების ენობრივი, მეტყველებითი დახასიათების ფუნქცია და წმინდა სტილისტიკური ფუნქცია ე. წ. „მაღალი სტილისა“, რომლის დანიშნულებას საზღვიმო, ამაღლებული პათეტიკის გადმოცემა შეადგენს. და აი, თავის ამ გერე ფუნქციაში სლავიზმები არა მარტო არ იწვევენ დედნისათვის უცხო ისტორიულ ასოციაციებს, არა მარტო არ ბლალავენ დედნის ნაციონალურ კოლორიტს, არამედ წარმოადგენენ „პათეტიკური“ შინაარსის ადექვატურად გადმოცემის ბუნებრივ და აუცილებელ საშუალებას.

მოვიყვანოთ მაგალითისათვის „ბატარიონიდან“ ქართველი დედის — სანათას სიტყვები, მიმართული თავისი სამშობლო მხარის მფარველი წმინდანისადმი:

Сойди, Лашари, с горной кручи,
Вадыми свой меч, о властелин!
Благослови союз могучий
Хевсуров, пшавов и тушин!
Да не погибнет челя, плывущий
Среди разгневавших пучин!
Будь нашим кормчим, Лашарела.
Повесть на чресла бранимый меч,
Чтоб увенчать победой дело
Иль за свободу в битве лечь!..

აქ და ანალოგიურ შემთხვევებში მთარგმნელის მიერ ხალხური მეტყველებისა და „მაღალი სტილის“ გამოყენება დედნის შინაარსის, ინტონაციისა და სტილის გადმოცემის კანონიერი და აუცილებელი საშუალებაა. თარგმანის ენა აქ არ ბადებს მკითხველში, გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ავტორის თხრობის მთავარი ტონის“ შემლახველ

ასოციაციებს. ზაბოლოცკი თითქმის ყოველთვის ახერხებს რუსული იდიომების, სპეციფიკური სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებაში იმ ზომის დაცვას, რომლის დარღვევაც აუცილებლად მივყევანდა ორიგინალის რუსიფიკაციამდე, შელახავდა მის ნაციონალურ სპეციფიკას.

ცნობილია, რომ დობროლუბოვი, არჩევდა რა ბერანეის „თოჯინების კომედის“ კუროჩკინისეულ თარგმანს, აღნიშნავდა: «Г. Курочкин совершенно напрасно вставляя в пьесу Беранже некоторые руссизмы... в марионетках является у Г. Курочкина *Петрушка*, а потом к *Петрушке* *булочник* откуда ни явись...» შემდეგ დობროლუბოვი დასძენს, რომ დედანში, რა თქმა უნდა, „Петрушка“-ს ნაცვლად იყო „ბოლიშინელი“, ხოლო „бучочник“-ის ნაცვლად „ბატონი კომისარი“. ანალოგიურ შემთხვევაში გორკი, აკრიტიკებდა რა განზენების მიერ შესრულებულ ჰამსუნის თარგმანს, წერდა:

«Перевод мне кажется несколько вульгарным, Ганзены слишком русифицируют автора—это несомненно. В одном месте у них речь идет даже о «сапогах с бураками» и таким образом из Норвегии они уводят читателя в Вятку. Обратите их внимание на следующее: они в состоянии сохранить основной тон рассказа автора, строй его речи, пусть они делают это не впадая в руссизмы, не заставляя Бенини и других говорить языком подгородных мужиков Петербургской губернии».

დობროლუბოვისა და გორკის ამ შენიშვნებს დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვთ. ზაბოლოცკის რომ „ბანდულისა“ და „წრიაპის“ ნაცვლად „сапоги с бураками“-ს მსგავსი რამ ეხმარა, ან „ქადაგისა“ და „ხევისბერის“ ნაცვლად „Петрушка“-ს და „бучочник“-ისათვის მიემართა, ხოლო „ქაჯებისა“ და „დევების“ ნაცვლად გამოყენებინა რუსული მითოლოგიის სახეები. ის თავს ვერ

დააღწევდა ორიგინალის რუსიფიკაციას, მკითხველს საქართველოდან რუსეთში გადაიყვანდა. ზაბოლოცკის თარგმანში გვხვდება ერთი-ორი შემთხვევა, როდესაც მთარგმნელს, ჩვენი აზრით, უღალატა ალლომ, როდესაც მან ვერ დაიცვა ის ზომიერება, რომელიც არ აძლევს საშუალებას რუსულ სიტყვას რუსიციზმად ქცეოდეს. ასე მაგალითად, „ეთერში“ დედოფალი, მიმართავს რა თავის შვილს გოდერძის, ამბობს:

Не в силах я больше *серчать*,
Сынок мой, как раньше *серчала*,

დედოფლის მეტყველებაში სიტყვა „серчать“ აშკარად უადგილოა. ეს სიტყვა არ არის რუსული საერთო-სახალხო ენის სრულუფლებიანი ელემენტი, თარგმანში მას შეაქვს რამდენიმე დიალექტალური ელემენტი, გადაჰყავს მკითხველი ერთ ნაციონალურ და სოციალურ სფეროდან მეორეში.

ეს თითქმის ერთადერთი მაგალითია მთარგმნელის მარცხისა რუსული სასაუბრო, „მდაბიო მეტყველების“ გამოყენებაში.

ქართველმა მკითხველმა იცის, რა მდიდარია ვაჟას მხატვრული სახეების არსენალი, რა უშრეტო და მრავალფეროვანია, ვაჟას ნიჭი კერძოდ საქართველოს ბუნების აღწერაში. თვალი რომ გადავავლოთ ვაჟას პოემებში თუნდაც მთებისა და მდინარეების აღწერას, განცვიფრებაში მოგვიყვანს ნიუანსების მრავალფეროვანება, რომელსაც მიმართავს პოეტი მხატვრული სახეების შექმნისას. ყოველივე ეს გადმოცემული აქვს ზაბოლოცკის დიდი ოსტატობით. მეტაფორები და განსახიერებანი — ვაჟასათვის ტიპური პოეტური ხერხები — თარგმანში მოცემულია დედნის ბრწყინვალეობითა და მრავალფეროვანებით. გადაიკითხეთ „ბახტიონის“ შესავალი ან მისი მეთორმეტე თავი, გადაათვალიერეთ პეიზაჟური ჩანახატები „სტუმარ-



მასპინძელში“, „გველის-მკამელში“, „ალუღაში“, „კობალაში“ და სხვა პოემებში, — ვაჟა თარგმანშიაც წარმოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი უბრწყინვალესი პეიზაჟისტი მსოფლიო პოეზიაში.

ზაბოლოცკის თარგმანში ბუნება, დედნის შესაბამისად, ცხოვრობს მდიდარი და დამაბული ცხოვრებით. ის პასიური ფონი კი არ არის ადამიანთა ბედ-იბღბლის აღწერაში, არამედ აქტიური საწყისია, რომელიც მძლავრად იჭრება ადამიანის ცხოვრებაში, შეაქვს მასში თავისი კორექტივები — ხან მეგობრული, ხან მტრული, იმისდამახედვით, თუ როგორია საერთო პოეტური ჩანაფიქრი. ვაჟას პოემებში პეიზაჟი ყოველთვის ექვემდებარება ამ საერთო ჩანაფიქრს. ნიკოლოზ ზაბოლოცკის არსად არა აქვს დაშვებული ვაჟას პეიზაჟის პანთეისტური ახსნა, და, ამავე დროს, მას სწორად აქვს გაგებული და გადმოცემული ის ეთიკური ფუნქციები, რომლებსაც ასრულებს ბუნება ვაჟას პოემებში.

აი, მთარგმნელის მიერ მშვენიერად გადმოცემული ნიმუში პეიზაჟის საერთო ფილოსოფიურ-ეთიკური ჩანაფიქრისადმი დაქვემდებარებისა („ბახტრიონი“):

Зажегся день и, замирая
Заря испела в вышине.
О, если б красота любая
Сгорала с нею паравие!
Благоуханная, с рассветом
Она вставала бы опять,
И расцветала в мире этом,
Чтоб ваши взоры чаровать!
О, если бы огонь небесный
Не угасал в душе у нас
И снова б вспыхивал, чудесный.
Когда безвременно погас!
Ужасней мертвеца живого
Лишенный сердца человек,
Престол из льда его основа,
Любовь чужда ему век...

აქ ორადღორი პეიზაჟური სტრიქონი არის ღრმა ფილოსოფიური გააზრების

საგანი; მათზე დაყრდნობით პოეტი წყვეტს თავისი შემოქმედების ერთ უმთავრეს ეთიკურ პირობას.

თუ ზაბოლოცკის მიერ გადმოცემულ პეიზაჟების გამომსახველობითს მხარეს შევეხებით, პირველ რიგში მათი პლასტიკურობა და დინამიურობა უნდა აღვნიშნოთ. ბუნება ზაბოლოცკის თარგმანში, ისე როგორც დედანში, ცოცხლობს, სუნთქავს, მოძრაობს, მოქმედებს. ამავე დროს ის მკაფიოდ რელიეფური, ხელშესახები და პლასტიკურია. აი, ორი დამახასიათებელი აღწერა, რომელთა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვაჟას ხატვის მანერის შესახებ გარკვეული წარმოდგენა ვქონიოთ:

Вдруг мгла надвинулась ночная,
Рванулся вихрь, сбивая с ног,
И грянул в горы, завывая
Голодным волком из белаго.
ანდა აღწერა მთებისა:
Туман у подножья горы
На горы глядит полусонно,
Видмая седые вихри,
Но горы, как будто для пещен,
Спокойно расстелись вокруг,
И круг их возвышенный тесен,
И выпуклы мускулы рук...

იბადება კითხვა: ყოველთვის ზუსტად გადმოგვეცემს თუ არა მთარგმნელი ამა თუ იმ მხატვრულ სახეს? აქვს თუ არა მას საერთოდ უფლება (ან რა ფარგლებში) დაარღვიოს ეს სიზუსტე? ზაბოლოცკი სწორ პრაქტიკულ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე: დედნის ბრმა, სიტყვა-სიტყვითს განმეორებას შეუძლია მხოლოდ დაარღვიოს მისი მხატვრული ქოვილი, მოახდინოს მისი დეპოეტიზაცია. მთარგმნელს აქვს უფლება, თუ ეს საჭიროა, დამორღეს დედანს, გვერდი აუხვიოს ამა თუ იმ დეტალს მთავარის უკეთესად გადმოცემის მიზნით, ან პირიქით, დაუმატოს რომელიმე დეტალი ისევ და ისევ ამ მთავარის უფრო მეტი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოცემისათვის. მთარგმნელს აქვს ამა თუ იმ მხატვრულ სახეს

განვრცობის ან, პირიქით, ლაკონიზების უფლებზე; მაგრამ ყოველთვის ერთი აუცილებელი პირობის დაცვით; დედნიდან დაშორებას არ უნდა მივყავდეთ ავტორის მხატვრულ სახეთა სისტემის ფარგლებს გარეთ. მთარგმნელის თავისუფლება დასაშვებია და ხანდახან აუცილებელიცაა ამ მხატვრულ სახეთა სისტემის ჩარჩოებში.

სწორედ ასე იქცევა ჩვენი მთარგმნელი. ზოგჯერ ის არჩევს მთავარ რგოლს ვაჟას პოეტურ ხერხთა ჯაჭვში და ბრწყინვალედ გადმოგვცემს მას რუსულად; სხვა შემთხვევაში ის — დედნის მხატვრულ სახეთა სისტემის დაურღვევლად, ვაჟას პოეტიკაზე დაყრდნობით — ავითარებს ზოგიერთ სახეს, უმატებს მათ ამა თუ იმ დეტალს. დავიძოწვით ერთი დამახასიათებელი მაგალითი. ვაჟას ერთ-ერთი პოემის თარგმანში გვხვდება ასეთი სტროფი:

Родник, стекая посредние
Охрипшим голосом звучал,
Откашливаясь всей гортанью
Шумел над горной он стеной...

დედანში არ გვხვდება ხაზგასმული სიტყვები. მაგრამ ეს დეტალი ზაბოლოცკის თარგმანში არა მარტო სახსებობით დასაშვები განვითარებაა წინამდებარე სახისა, არამედ ტიპიური ცაა ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სახეთა სისტემისათვის. გავიხსენოთ თუნდაც სტრიქონი „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალიდან („Ущелье, кашляя, хрипит“). პოეტის მხატვრულ სახეთა სისტემაზე დაყრდნობით და მხატვრული სახის შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე განვრცობის, განვითარების ხერხი მნიშვნელოვანი პოეტური ხერხია. ზაბოლოცკი მას ბრწყინვალედ იყენებს და არსად არ კარგავს ზომიერების გრძნობას.

თარგმანის განხილვისას არ შეიძლება შევჩერდეთ ლექსის ბგერითი

ინსტრუმენტირების საკითხზე. მთარგმნელი არ არის ვალდებული დაიცავს ბგერითი მსახველობის (звуконпись) ყველა ხერხის ზუსტი დამთხვევა მაგრამ მან აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში ავტორის პოეტიკის ამ თავისებურებებს და უნდა მოგვესაზრებოდეს დაახლოებით სწორი ინსტრუმენტირება დედნის მეტ-ნაკლებად ანალოგიურ (შინაარსისა და ინტონაციის მხრივ) ადგილებში; აქ თუ არა, იქ მაინც, სადაც არის მსგავსი მხატვრული სახე და სადაც ავტორს თვით შეეძლო მიემართა ამ ხერხისათვის. ეს პრინციპულად სწორი პოზიცია უთუოდ დამახასიათებელია ზაბოლოცკის თარგმანისათვის. მაგრამ ჩვენ გვსურს განსაკუთრებით გამოვყოთ ის შემთხვევები, როდესაც თარგმანში გვხვდება ამა თუ იმ პოეტური ხერხის მარტო საერთო (თავის ერთობლიობაში) შესატყვისობა, არამედ მათი ტექსტუალური დამთხვევა ცკი. ასეთი შემთხვევები კი არც თუ ისე იშვიათია ზაბოლოცკის თარგმანში. ასე მაგალითად, ვაჟა-ფშაველა ალუდას მიერ მტრის დედნის აღწერისას მიმართავს „ს“ და „კ“ ბგერების საშუალებით ალიტერირებას:

ცისკრის ხანია, მტერს მიზღვეს
კლდის შევარდენი ჩქაროო...

ზაბოლოცკი ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე იმეორებს ამ ხერხს:

И вот рассвет. И сокол скал
Летит за кистами в погоню...

„ბახტრიონში“ ვაჟას კვირიასა და ლელას მიერ მიღებულ გმირულ გადაწყვეტილების აღწერისას გამოყენებული აქვს „გ“ და „რ“ ბგერების ხმოვანება:

ამ პირობაზე დამდგარნი,
ორნი ვორი-ვორ ჩაიდან...

თარგმანი:

И в этом словоре геройском.
С горы на гору, по крутой
Спешат тропинке...

„ბახტრიონის“ მე-12 თავის ერთ მნიშვნელოვან ადგილას ვაქვს რვა სტრიქონის მანძილზე გამოყენებული აქვს თერთმეტი „რ“ და რვა „ვ“, რასაც თარგმანში შეესაბამება ცამეტი „რ“ და რვა „ვ“. მსგავსი მაგალითები შეგვეძლო მეტიც მოგვეყვანა, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვამტკიცებთ, ვითომდა აქ ყველა ანალოგიურ შემთხვევაში ადგილი აქვს მთარგმნელის შეგნებულ, წინასწარ ნავარაუდევ მოქმედებას. ჩვენ გვინტერესებს პოეტური შედეგი, მიუხედავად იმისა, ისწრაფოდა მისკენ მთარგმნელი, თუ ის მიღწეულ იქნა პოეტური ალლოთი, ოსტატობის ისეთი ძალადი დონით, როდესაც თვით თემა, მხატვრული სახე ან ინტონაცია მოცემული ნაწყვეტისა უკარნახებენ მთარგმნელს პოეტური ამოცანის სწორ გადაწყვეტას.

დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს თარგმანში რიტმულ-ინტონაციური საკითხების გადაჭრას. ამ პრობლემებს, ისე როგორც ქართული ენიდან რუსულზე თარგმნის სხვა პრობლემებსაც, თავისი ისტორია აქვთ. იყო დრო, როდესაც მთარგმნელები და თეორეტიკოსები ერთნაირად თავყვანს სცემდნენ ექვირიტმიის ფეტიშს და ძალას ატანდნენ რუსულ ენას, რათა ორიგინალის პოეტური ზომა დაეცვათ და მარცვალთარაოდენობის ზუსტი დამთხვევისათვის მიეღწიათ. ასე, მაგალითად, ქართველ რომანტიკოსთა რუსული კრებულის ბოლოსიტყვაობაში (Грузинские романики 1940). ა. ფედოროვი გამოთქვამდა კმაყოფილებას, რომ მთარგმნელები ცდილობდნენ „რიტმის ზუსტ გადმოცემას“ და რომ „დედნის რიტმიდან დაშორების დროსაც კი იცავდნენ სტრიქონში მარცვლების რიცხვს“. შემდეგ ეს მცდარი მოსაზრება უკუგდებულ იქნა, როგორც თვით მთარგმნელების.

ისე ლიტერატურის მცოდნეების მიერ. მაგრამ როგორც თავისებური „განაწამთი“ უკანასკნელ დრომდე შემონახულ იქნა ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს რუსული ლექსთაწყობის ზოგიერთი ზომების, კერძოდ, ოთხტერფიანი იამბის გამოყენება შეუძლებელია ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმნისას, რომ ეს ზომები უცხონი არიან თითქოს ქართული ლექსთაწყობის სპეციფიკისათვის. განსაკუთრებით მწვავედ ისმებოდა ქართული შაირის გადმოცემისას ოთხტერფიანი იამბის გამოყენების შესაძლებლობის საკითხი. ზოგიერთი რედაქტორი კიდევაც უკრძალავდა მთარგმნელებს ოთხტერფიანი იამბის გამოყენებას.

ზაბოლოცკიმ (ისე როგორც ზოგიერთმა სხვა მთარგმნელმა) თამამად უუაგდო ეს მცდარი დამოკიდებულება რუსული ლექსის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უნივერსალური და ტყვადი ზომისადმი. მან დაიწყო რიტმიკის საკითხების გადაჭრა ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში დედნის ინტონაციურ ხასიათთან დაკავშირებით. ამასთანავე, მან სავსებით მართებულად დაუშვა, რომ ყოველგვარი რიტმული ექვივალენტი მხატვრულ თარგმანში პირობითია, რომ ჩვენ არა გვაქვს საფუძველი მოვხდინოთ ერთი პირობითობის კანონიზაცია და უარვეყოთ მეორე, რომ ყველაზე უფრო გავრცელებული ქართული ზომის (შაირის) ინტონაციურ სიმდიდრეს მთელ რიგ შემთხვევაში შესაძლებელია შეესაბამებოდეს ყველაზე უფრო გავრცელებული რუსული ზომის ოთხტერფიანი იამბის ინტონაციური სიმდიდრე.

ზაბოლოცკი მართალი აღმოჩნდა. გავრცელებული აზრის თანახმად, ქართულ შაირთან რუსულ ლექსთწყობაში ყველაზე უფრო ახლოს დგას ოთხტერფიანი ქორეი. მაგრამ ასეა ყოველთვის? ამ თეორიის მომხრეები ივიწყებდნენ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ქართული შაირი თავისი რიტმული წყობით

იყოფა ორ სხვადასხვა ტიპად—მალალ და დაბალ შაირად. მალალ შაირში, უფრო შესამჩნევად, ვიდრე დაბალში, გამოვლინებულია ქართული ლექსის (საერთოდ სილაბურის) ტონური, აქცენტური ელემენტები და ის თავისი რიტმული ენერჯით, თავისი ცოცხალი ინტონაციით მართლაც ენათესავენა რუსულ ქორეის. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება დაბალ შაირზე. ტონური ელემენტი აქ შესუსტებულია; აქ მახვილებს, რომლებიც მალალ შაირში მოდიოდნენ ტერფის პირველ მარცვლებზე, აქვთ მეორე მარცვლებზე გადაადგილების ტენდენცია, ე. ი. შესამჩნევი ხდება რიტმის იამბიზაციის სახეებით აშკარა პროცესი. ამრიგად, დაბალი შაირი მთელრიგ შემთხვევაში უახლოვდება თავისი ინტონაციური ელერადობით ოთხტერფიან იამბს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამიერიდან ყველა მთარგმნელმა დაბალი შაირის გადმოცემისას უნდა მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ ოთხტერფიან იამბს? სრულიადაც არა. საკითხი ყოველთვის უნდა გადაიჭრეს კონკრეტული ნაწარმოების ცოცხალი პოეტური ინტონაციის გათვალისწინებით. შაირით ხომ შეიძლება გადმოცემულ იქნეს სხვადასხვა შინაარსი, გამოხატულ იქნეს სხვადასხვა განწყობილება — სიხარული, მწუხარება, ზეშრობა, სიყვარული, განცდები, დაკავშირებული შრომის პროცესთან, საბრძოლო გამირობა და ა. შ. მთარგმნელმა სწორედ ამას უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება, უნდა ეცადოს დაიჭიროს დედანში გამოხატული განწყობილება, დედნის ცოცხალი ინტონაცია. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ რუსული ზომის შინაგანი ინტონაციური შესაძლებლობების გამოყენებას.

ზაბოლოცკიმ თავის თარგმანში მოგვშესანიშნავეი მაგალითი ამ რთული ბლემისადმი ჭეშმარიტად შემოქმე-

დებითი მიდგომისა, მან ვაქას-საკვირო-ეპიკური პოემები („გოგუფუროქი“ და „ბახტრიონი“ და სხვანი) თარგმნა ოთხტერფიანი იამბით, ხოლო ლირიკულ-ეპიკური წყობის პოემების („ეთერი“, „მონადირე“ და სხვანი) თარგმნისას მიმართა სამტერფიან ამფიბრასს.

ზაბოლოცკის დიდი ოსტატობით აქვს გამოყენებული ოთხტერფიანი იამბის მდიდარი შინაგანი ინტონაციური შესაძლებლობანი. რუსული თარგმანი (დედნთან შესაბამისად) გვაოცებს თავისი ელერადობის მრავალფეროვანებით. დიალოგების, ომის სცენების, ეპიკური სურათების, პეიზაჟების, ზღაპრულ-მითოლოგიური მოტივების, პერსონაჟების ენებათა ლელვის, ინტონაციურ გადაწყვეტაში ზაბოლოცკიმ მიაღწია სასურველ შედეგს.

სხვა რიტმულ-ინტონაციურ ამოცანათგან, რომლებიც სწორად აქვს გადაწყვეტილი მთარგმნელს, საკიროა აღინიშნოს დედნის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურების — სინტაქსურ და მეტრულ ერთეულთა დამთხვევის შენარჩუნება. წინადადების ერთი სტრიქონიდან მეორეში გადატანა ზაბოლოცკის თარგმანში იშვიათად გვხვდება. და როცა გვხვდება, თარგმანში შენარჩუნებულია დედნისათვის დამახასიათებელი ენერჯიულობა რიტმისა.

მაგრამ არც ერთი ცალკეული ამოცანის სწორ გადაწყვეტას არა აქვს დიდი ღირებულება, თუ თარგმანში არ არის დაცული ყველა ამ ცალკეულ მიღწევათა ოსტატური შერწყმა, ერთიანობა, თუ თარგმნის ლექსი მთლიანად არ ელერს ისე ბუნებრივად და სადად, როგორც მას დაწერდა ავტორი. მართალი იყო დიდი ბელინსკი, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავდა: „მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმნისას არსებობს მხოლოდ ერთი კანონი — თარგმნილი ნაწარმოების არსის გადმოცემა, რაც ვერ იქნება მიღწეული, თუ ნაწარმოები არ იყდერებს რუსულ ენაზე ისე, როგორც მას

თვით ავტორი დაწერდა, რუსი რომ ყოფილიყო“.

სწორედ ეს პირობაა, უპირველეს ყოვლისა, დაცული ზაბოლოცკის თარგმანში. მოვიყვანოთ თუნდაც ერთი დამთავრებული ნაწყვეტი, რომელიც კარგად გეიჩვენებს ზაბოლოცკის თარგმნის საერთო იდეურ - მხატვრულ დონეს. აი, ცნობილი ნაწყვეტი „ბახტრიონიდან“:

И вот — истоки Алазния.
 Вдали видны вершины гор.
 Куда ни глянь, в седом тумане
 Чернеет темный их собор.
 То грудь целуя небосвода,
 То опускаясь вглубь полей,
 Они закрыли мир. Природа
 Пытает кровью их своей.

Как великаны-старожилы.
 На неприступной вышине,
 Они едва имеют силы
 Стоять, не двигаясь во сне.
 Они разбрасывают тучи,
 В лучах сверкают золотых,
 И как всегда они могучи.
 И мир сломить бессмыслен их.

Так, друг на друга опираясь.
 Они стоят, сомкнувшись в ряд
 Как мертвецы, не содрогаясь,
 Они таинственно молчат.
 И что среди всех творений света
 Сравнится с сонмом гор, когда
 Ночью темнею одета
 Их неподвижная гряда?

Туманы — это размышленья
 Могучих гор, содой венец
 Их человечности, томленья
 Несокрушимых их сердец.
 Люблю травы я колышанья

На их груди и в подный час
 Ветров безродных завывающих,
 Испепеляющее нас.
 Парят орлы, прозаяют оком
 Глубины черных пропастей,
 Где спят в забвении глубоком
 Остатки тлеющих костей.
 Как войны на поле боя,
 В туманах сумеречной мглы,
 Прорезав небо громовое,
 Перекликаются орлы.

მოსკოვში, მწერალთა კავშირში ზაბოლოცკის თარგმანის განხილვის დროს ერთ-ერთმა რუსმა პოეტმა სწორედ ამ ნაწყვეტის მოსმენის შემდეგ წამოიძახა: „ზაბოლოცკიმ პუშკინის ლექსის საიდუმლოება გახსნა! ქართული ტატანი რუსულად კონგენიალურად ეღერსო“. ამ ემოციალურ წამოძახილში გამოხატული იყო როგორც აღტაცება ვაჟას პოეზიით, ისე მთარგმნელის დიდი შრომის ღირსეული შეფასება.

ასეთია ნიკოლოზ ზაბოლოცკის თარგმანის მთავარი იდეურ-მხატვრული თავისებურებანი. მისი გამარჯვების საწინდარია ის სწორი შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც გამოუმუშავდა ჩვენს ქვეყანაში თარგმანის საბჭოთა ოსტატების მრავალწლიანი ნაყოფიერი გამოცდილების საფუძველზე. ვაჟა-ფშაველას პოემების თარგმანი დაიკავეს ღირსეულ ადგილს საუკეთესო საბჭოთა თარგმანებს შორის, რომლებიც საბჭოთაა ლიტერატურის სიამაყეს შეადგენენ და მტკიცედ არიან შესული საბჭოთა კლასიკის ოქროს ფონდში.

ბიბლიოგრაფია



მონოგრაფია დიდი რუსი მწიგნობრის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე

მე-19 საუკუნის შემოქმედთა შორის, ა. პუშკინის გარდა, რუსული მხატვრული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე ისეთი გავლენა არც ერთ მწერალს არ მოუხდენია, როგორც მოახდინა გოგოლმა. მან პუშკინის შემდეგ კიდევ უფრო წინ წასწია რეალისტური მიმართულება მწერლობაში და ფართო მასშტაბით დაწერა ხალხთა მხატვრულ შემოქმედების პრაქტიკაში.

ანა ნიკოლაძის წიგნი ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების ამასხველი მონოგრაფიაა.

წიგნის პირველ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს მწერლის ოჯახურ გარემოს, რომელშიც მოხდა მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს ბავშვობის წლების გატარება. ნ. გოგოლმა ბავშვობა 12 წლამდე გაატარა მამისეულ სოფელ ვასილევკაში. მისმა შობილებმა გოგოლს ბავშვობიდანვე მწერლობის ხაყვარული ჩაუნერგეს. დიდი გავლენა იქონია მამივალ მწერალზე ბავშვობის პერიოდში მისმა სახალავემ მშრომელ ხალხთან და კულტურული ტრადიციებით ცნობილ ოჯახებთან.

მონოგრაფიაში კარგადაა დახასიათებული ნ. გოგოლი, როგორც გიმნაზიის მოსწავლე. 12 წლის გოგოლმა სწავლა განაგრძო ნეჟინის გიმნაზიაში, სადაც შეიძინა წელიწადი დაყოფა გოგოლის ლიტერატურულ-სატირულმა ნიშმა პირველად გიმნაზიაში იქონა თავი. „ნეჟინის პერიოდში, — აღნიშნავს ავტორი, — გოგოლი ძლიერ გაიტაცა რუსულმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით მისი გულსყურა მიიპყრო პუშკინის შემოქმედებამ. ამ დროიდან რუსული პოეზიის გენია შეიქმნა მის ფიქრთა მწყობრად... გიმნაზიაში ყოფნის დროს შეიმუშავა გოგოლმა ურუკევი რწმენა იმისა, რომ მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურს მოახმაროს“ (ც. 9). ამის ნათესაუფად ავტორის მოქაყავს 18 წლის გოგოლის შეტად საინტერესო წერბილი თავისი ბიძისადმი.

პირველი მხატვრული ქმნილება, რომლითაც გოგოლმა რუსეთის მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიქცია, იყო „სალამოები დიკანის მახლობელ ხუტორში“. მასში შეათიოდ ჩანდა რეალიზმის ნიშნები, რომლებიც მწერალმა შეტად უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა. დიდი აღტაცებით შეხედნენ ნ. გოგოლის ამ ნაწარმოებს რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. წიგნში მოყვანილია ის შეფასებები, რაც „სალამოებს“ მისცეს პუშკინმა, ჩერნიშევსკიმ, ბელინსკიმ და სხვ. ბელინსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ პირველი დიდება გოგოლმა თავისი შესანიშნავი „სალამოებით მოიხვეჭა“.

მონოგრაფიის ავტორი განიხილავს გოგოლის ნაწარმოებს „მირგოროდი“ (1835 წ.). მოახზობების ამ კრებულში ღრმა პატრიოტული პათოსით განსაკუთრებით გამოირჩევა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოები ისტორიულ თემაზე — „ტარას ბელა“, რომელიც უკრაინის წარსულს ეხება. ბელინსკიმ „მირგოროდის“ ავტორი გვერდში ამოუყენა მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს — მოჭეროსს, შექსპირსა და გოეთეს. ავტორი აღნიშნავს, რომ ტარას ბელაში განმარტებდა პატრიოტული სულიერება, ხალხის უმაღლესი მისწრაფება თავისუფლებისადმი. გოგოლი მხატვრული ოსტატობის გასაოცარი ძლიერებით გვიხატავს ბელას სულიერ ტრაგიკულს, როცა იგი თავის სამშობლოს მიწა-წყალზე შტრის ურდოების თარეშს უტყუარს. გოგოლი ბუნების სწორიპოვარია მხატვარი. ბუნება მჭიდრო კავშირშია მისი გმირების სამყაროსთან.

წიგნში ვარჩეულია მწერლის მიერ პეტერბურგში შექმნილი მთელი რიგი ნაწარმოებები. გოგოლის რეალისტური პროზის კლასიკურ ნიმუშად ითვლება ამ წლებში შექმნილი მოთხრობა „მინელი“. ამ შედეგის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული პროზის განვითარებაში. მისი ისტორიული ლირებულება მოხდენილად გამოიქვადოს დოსტოევსკიმ: „ჩვენ ყველანი „მინელიდან“ გამოვედით“. მაგრამ გოგოლის კრიტიკული რეალიზმის ძლიერება მთელი სისრული გამოვლინდა მის უყვადვ კომედიაში „რევიზორი“ და რუსული ცხოვრების ილადაში „მკვლარი სულეტი“.

1 ანა ნიკოლაძე, „ნ. ვ. გოგოლი“ (ცხოვრება და შემოქმედება). საქ. სსრ აკადემიის მეცნიერებათა გამომცემლობა, 1952 წ.

„რევიზორის“ შემწიის იდეა გოგოლს ჯერ კიდევ 1833 წელს დაებადა. ამ კომედიაში, რომელიც რუსული მხატვრული რეალისმის შესანიშნავი ძეგლია და რომლის მნიშვნელობა ვანუზომელია რუსული დრამატურგიისა და სცენური ხელოვნების განვითარებაში, „გოგოლმა კიდევ უფრო მეტი სიღრმით ამხილა ბიუროკრატიული რუსეთის ბნელი მხარეები. „რევიზორის“ გმირები — მეფის მოხელეთა ტიპური სოციალური განზოგადოებანია“ (გვ. 38 — 39).

„რევიზორი“ პირველად დაიდგა 1836 წელს პეტერბურგში. მან წარუბოცელი შთაბეჭდილება დატოვა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაზე. განსაკუთრებით დიდი იყო ის შეფასებები, რაც კომედიას მისცეს ჩერნიშევსკიმ, ბელმსკიმ, გერცენმა და სხვა მოწინავე მთაბრუნებელმა. „არაფის გოგოლაჲდე, — წერდა გერცენი, — არ წაუტოხავს ასეთი სრული პათოლოგიურ-ანატომიური კერის რუს მოხელეზე, იგი ხარხართა, შეუბრალებლად იჭრება მოხელის უსუფთაო, ბოროტი სულის ხერხელებში“ (გვ. 40 — 41).

რეაქციული პრესა გაშმაგებით დაესხა თავს პიესის ავტორს და მის გენიალურ ქმნილებას, რაც მწერალმა მეტად მძიმედ განიცადა. გოგოლი ნაღვლიანად წერდა ვ. ტუოვსკის: „ოდნავი მიჯნელება ტემპირიტებისა და ისინი შხად არიან აღსდგენა ჩემს წინააღმდეგ“. გოგოლი გადაწყვეტს — დროებით დატოვოს სამშობლო, იგი 1938 წლის 6 ივლისს გაემგზავრა საზღვარგარეთ.

წიგნში საინტერესოდაა მოთხრობილი, თუ რა სიყვარულით და შეუპოვარი შრომით ქმნიდა სამშობლის მოცილებული გოგოლი პიემარომანს „მკედარ სულეზს“. თითქმის ორი ათეული წელი იმუშავა მწერალმა თავის პოეზიაზე, საზღვარგარეთ ყოფნის დროს „გოგოლი ფიზიკურად დაშორებული იყო თავის ხალხს, მომხიზნლავ შშობლიურ ესაზღვრო ტრამალებს, მაგრამ დიდი პატრიოტი მწერლის ველი, მისი ოცნება განუყოფლად დაკავშირებული იყო თავის ქვეყანასთან. მწერალს ენატრებოდა სამშობლო, მაგრამ იგი ვერ ურგვდებოდა თვითმპყრობელური რუსეთის კოვკობეთურ სინამდვილეს“ (გვ. 47).

„მკედარი სულეზის“ ავტორმა ვერც უტოვოთში იპოვა სულიერი სიმშვიდე და 1839 წელს ჩამოვიდა რუსეთში. 1842 წლის მაისში გოგოლმა შეძლო „მკედარი სულეზის“ პირველი ტომის დაბეჭდვა. გოგოლის თანამედროვე რუსულმა კრიტიკულმა აზროვნებამ „მკედარი სულეზი“ რუსული მხატვრული პროზის მწვერვალად აღიარა და გოგოლის ცრემლიან სიცილში ცარიზმის ბოჩკალებში გათავისუფლებული რუსი ხალხის ტრაგიკული ამოძახილი გაიგონა.

მონოგრაფიის ავტორი მოკლედ მიმოიხილავს გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებით მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს. დიდი მხატვრის ამ დროის ნაწერებში გამოიხატა მისი მტკიანი და რეაქციული შეხედულებანი, რამაც საშარტლიანად აღაშფოთა რუსეთის პროგრესული აზროვნება. სიყვედილის წინ გოგოლის მისტიკური განწყობილება იმდენად გაღრმავდა, რომ მან დაკარგა სულიერი წონასწორობა და ცეცხლს მისცა თავისი ნაწერები. გენიალური მწერალი გარდაიცვალა 1852 წლის 21 თებერვალს (მე. სტილით). ცხავე ცრემლით დაღვრიანი იგი იმდროინდელი რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ. გოგოლის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი, მისი ზეგავლენა რუსულ საზოგადოებაზე კიდევ უფრო გაიზარდა.

ა. ნიკოლაძე ამ საინტერესო მონოგრაფიაში აღნიშნავს გოგოლის მხატვრული პროზის ენის სილამაშესა და ორიგინალობას. „რუსული სიტყვის დიდმა ოსტატმა თავის ნაწერებში ყოველმხრივ ასახა ცოცხალი საყოფაცხოვრებო ენის სიმდიდრე და მრავალფეროვნება. თხრობის მეტყველი ექსპრესიულობა და ლირიზმი გოგოლის ენასა და სტილს დიდ მშვენივას აძლავს“ (გვ. 61). მხატვრული სიტყვის ამ უზადლო ოსტატის შემოქმედების დამახასიათებელია, ერთი მხრით, სარკასტულ-მამხილებელი და, მეორე მხრით, ლირიკულ-რომანტიკული სტილი. გოგოლის ეს მხატვრული თავისებურება მკაფიოდ ვლინდება „მკედარ სულეზში“ და სხვა ნაწარმოებებში.

მონოგრაფიაში ავტორს კონკრეტული მავალით მოჰყავს იმისა, თუ რა ფართოდ იყენებენ გოგოლის მხატვრულ სახეებს დიდი ხელოვნები ლენინი და სტალინი თავიანთ შრომებში, სიტყვებსა და მოხსენებებში.

მონოგრაფიის უკანასკნელ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს გოგოლის ურთიერთობას ქართულ მწერლობასთან. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ზეგავლენა მოახდინა რუსულმა მწერლობამ ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს გოგოლის გავლენა ქართულ მწერლობაზე, ილია ჭავჭავაძის, როგორც რეალისტ-შემოქმედის, ნათესაობა გოგოლთან შედევნდება „კაცია-ადამიანში“. ილია ჭავჭავაძე უდიდესი პატივისცემით იხსენიებდა გოგოლს და განსაკუთრებით აღნიშნავდა მწერლის შემოქმედების შრომლიო ისტორიულ მნიშვნელობას. იაკობ გოგებაშვილი თავის შემოქმედებით მოღვაწეობაში დიდ აღვილს უთმობდა რუსული ლიტერატურის კორიფეებს — პუშკინს, გოგოლს, ნერასოვს და სხვ. გოგოლის სახელი ხშირად გვხვდება გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ნაწერებში.

წარმატებით იღვმებოდა გოგოლის კომედიები ქართულ სცენაზე. „რევიზორი“ პირველად დაიდგა ქართულად თბილისში 1881 წელს. 1902 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა საქართველოში გოგოლის ვარდაცვალების 50 წლისთავი. ქართულმა პრესამ ფართოდ გააშუქა დიდი რუსი რეალისტის საიებილო თარიღი. 1903 წელს ქართული საზოგადოების ინიციატივით თბილისში დადგეს გოგოლის ძეგლი.

დიდი რუსი მწერლის შემეყიდრობის ფართო და ყოველმხრივი ათვისება საქართველო-

ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ქართულად ითარგმნა თითქმის ყველა მისი მთავარი თხზულება: „რევიზორი“, „ტოპას ბელა“ და სხვ. წარმატებით იღვმება ქართულ სცენაზე უკვდავი მწერლის ნაწარმოებები.

ა. ნიკოლაძის მონოგრაფია დაეხმარება მკითხველს დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში.

8. ჯინაზულაშვილი

ბალზაკის ნაწარმოებთა ქრებული ქართულ ენაზე



დიდი ფრანგი მწერალი იონაჟ ბალზაკი სამართლიანად ითვლება XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის უდიდეს წარმომადგენლად. მიუხედავად იმისა, რომ ბალზაკი სუბიექტურად ლეგიტიმისტი იყო, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში მომხდარმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა „აიძულეს“ იგი, როგორც გულწრფელი, მართალი და გენიალური მხატვარი, მისდინებებურად გამოსულიყო კაპიტალისტური სამყაროს იმ დაუნდობელი მამხილებლის როლში, რომელიც შესანიშნავ წინამძღვრებს იძლევა რევოლუციური დასკვნების გამოსატანად. ფ. ენგელსი შენიშნავს, რომ „რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამაჩვენებელად, მოხეტ ბალზაკის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას თვისებად მე ის მიმაჩნია, რომ ის იმდენად იყო საკუთარი კლასობრივი სიმპატიებისა და პოლიტიკური ცრურწმენის წინააღმდეგ წასულიყო, ის, რომ იგი ხედავდა თავისი სანუკუარი არისტოკრატების დაცემის გარდევადობას და აგვიწერდა მათ ისეთ ადამიანებად, რომლებიც უკეთეს ზეფერს არ იმსახურებენ, და ის, რომ იგი მოშავლის ნამდვილ ადამიანებს ხედავდა იქ, სადაც შეიძლებოდა იმ დროს მათი პოვნა“.

თავისი „ადამიანური კომედიის“ ყოველ რომანში ბალზაკი სასიკვდილო მხეცვლს სცემს ბურჟუაზიული და არისტოკრატული უფვის სხვადასხვა სფეროს. „შაგრენის ტყავი“, „გობსეკი“, „ფიენი გრანდე“, „წითელი სასტუმრო“, „მამა გორიო“, „პოლკოვნიკი შაბერი“, „დაკარგული ილუზიები“, „გლეხები“ და სხვა, როგორც ერთი ავტორი მოხდენილად შენიშნავს, ბალზაკის მიერ კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ცალკეული პუნქტები არიან. შესანიშნავი მხატვრის მიერ შემადარწუნებელი სიმართლით დახატული კაპიტალისტური საზოგა-

დობების მთლიანი სურათი, მისი ბინძური შიდაბირი გამოშვლებული სახით წარმოადგება და წარმულელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. კაპიტალისტური საზოგადოებაში ფულისადმი გაშმაგებული სწრაფვა წინასწარობას არღვევს საზოგადოებასა და პიროვნებას შორის. საზოგადოება ეგოისტური ინდივიდებად ნაწევრდება. „საზოგადოებისათვის მხოლოდ ერთი საყრდენი — ეგოიზმი არსებობს“ („სოფლის ექიმი“). კაპიტალის ბატონობის შედეგად „კანონი და მორალი უსუსერი ხდება სიმდიდრის წინაშე“ („მამა გორიო“). ყოველი კაპიტალისტის კეთილდღეობა სხვა ადამიანთა გვეამებზე, ბინძურ ბიაროტმოქმედებაზეა აგებული („წითელი სასტუმრო“). კაპიტალისტი „ყველაფერზე შალა დგას, როგორც მდიდარი ადამიანი. მისთვის გამოიქმება — ფრანგები თანასწორნი არიან კანონის წინაშე“ სიკრუფა. „იგი არ ემორჩილება კანონებს, პირიქით, კანონები ემორჩილებიან მას („შაგრენის ტყავი“). კაპიტალისტის, უსულგულო მეცხვის ბატონობა ფეხქვეშ თელავს ყველა ადამიანურ ღირსებას. „წმინდა გრძნობები გამოანაკლის წარმოადგენენ“ („ფიენი გრანდე“). „დასუარე ხელები, მხოლოდ შემდეგ ტალახის ჩამორეცხვა შეგეძლოს — ეს არის ზენი ეპოქის მთელი მორალი“ („მამა გორიო“). ადამიანები იბრწინებიან და მორალურ სახეს კარგავენ; „ცხოვრების მორეცხვა თავის ზვირთებზე გაიტაცა ისინი და მათ უკვე აღარ შეუძლიათ არც შეუღლებად, არც უშობლებად, არც მიჯნურებად ყოფნა“ („ოქროს თვალა ქალიშვილი“). ოჯახური ურთიერთობა, ნათესაობრივი დამოკიდებულება, სიყვარულის გრძნობა, ერთი სიტყვით, ყველა წმინდა ადამიანური გრძნობა ითვლება და გადაგვარებას განიცდის. სინდისი, კულტურა, ზელოვნება, პრესა, სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი — ყველაფე-

რი კაპიტალის ტლანქ ბატონობას ექვემდებარება. შეჯავდება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

კაპიტალისტური საწყაროს მძაფრი კრიტიკით ბალზაკი დღესაც მხარში უდგას იმ ადამიანებს, რომლებიც კაცობრიობის, კერძოდ, საფრანგეთის ბედნიერი მომავლისათვის იბრძვიან. ტუვილად რომელი მიმართავდა მარსელ კამენი თავის პარტულ ამხანაგებს: „ჩვენ, კომუნისტები, უნდა ვიცნობდეთ ბალზაკის, ამ უბადლო გენიოსის, შემოქმედებას. მას დიდი აღმზრდელი იყო და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გ. პიუგოს ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რათა იგი რევოლუციონერ მწერალთა მკლავი მოდგმისათვის მიეკუთვნებინა“. ვახუტი „ლენინიტე“ წერდა: „ბალზაკის შემოქმედება ჩვენი ნაციონალური ელტერული მონაპოვრის ნაწილია. იგი ხალხის საკუთრებაა ისევე, როგორც შახტები და ქარბნები. დღე, ბალზაკის ასი წლისთავი გახდეს 1950 წელს კომუნისტებისათვის იმის სიბაბად, რომ მათ ღრმად შეისწავლონ შემოქმედება ამ მწერლის, რომელიც ისტორიის უკეთეს წესწავლაში გვეხმარება და ჩვენი ბრძოლის ანტიტრებს“. ამიტომ არის, რომ კაპიტალიზმის გაყოფებელი აპოლოგეტები, როგორც ბალზაკის დროს, ისევე დღესაც, როგორც ბალზაკის საშობლოში, ისევე მის გარეთ, ყოველნაირად ცდილობენ ვაევაღბონ და დაამცირონ დიდი ფრანგი მწერლის უკვდავი შემოქმედება. ამიტომ არის, რომ მთელი მსოფლიოს პრეტრესული ადამიანები ბალზაკის შემოქმედების დარსული დამფასებელნი და პატივისცემულნი არიან.

განსაკუთრებით დიდი ყურადღებით სარგებლობს ბალზაკი ჩვენში, საბჭოეთის დიად ქვეყანაში. მისი ნაწარმოებების საბჭოთა კავშირში შემავალი მრავალი ერის ენაზე ითარგმნება და დამახერებელი წარმატებითაც სარგებლობს. ბალზაკის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმანს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა უფრადლება. ითარგმნა მისი „წაგტრენის ტყავი“, „იქვენი გრანდე“, „გობსეკი“, „პოლოკონიე შაბერი“ და ორიდღე მოთხრობა „სასაილო ნოთხრობების“ ციკლიდან. მაგრამ ამ მითითებებით ჩატარებული მუშაობა მაინც არადასაკმაყოფილებელია, თუ ვაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბალზაკის ლიტერატურულ შემოქმედებაში ოთხმოცდაათქვესმეტი ნაწარმოები შედის, ხოლო ამ შემოქმედების ისეთი შედეგები, როგორიცაა „ამა გორიო“, „დაარგული ილუზიები“, „გლუხები“ და სხვა, ჟერ კიდევ არაა თარგმნილი ქართულ ენაზე.

მთხედვად ამისა, „საბჭოთა მწერლის“ მიერ 1952 წელს გამოცემული ბალზაკის ნაწარმოებთა კრებული უთუოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

იგი უყრის თავს ბალზაკის მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც უკვე თარგმნილია ქართულ ენაზე („გობსეკი“, „წაგტრენის ტყავი“, „ილუზიები“, „ნიკი შაბერი“ და სამი პატარა მოთხრობა: „ელ ვერდუგო“, „მმდინაფიცი“, „მხედრათმთავრის ცოლი“).

კრებულში შემავალ ნაწარმოებთაგან „გობსეკი“ და „პოლოკონიე შაბერი“ ი. ქავეარაძის მიერაა თარგმნილი. მთარგმნელი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მოყიდებია ბალზაკის ამ ნაწარმოებებთა თარგმანს და ქართულ საზოგადოებას მალაღბარისხოვანი ნაშეშეყარი წარმოუდგინა. ი. ქავეარაძის თარგმანებში უდავოდ შეიმჩნევა, რომ მთარგმნელს თვით ბალზაკის გნის სპეციფიკა და თვისებებზეც ვაუთვალისწინებია და დედნის პრავალი რთული და მძიმე ადგილი მშვენიერად გადმოუტანია ქართულ ენაზე. ამ შხრილ სანიშნოდ აღსანიშნავია: „გობსეკიში“ მთავი გობსეკის გარეგნობის აღწერისა და მისი დახასიათების თარგმანის შესრულება, გობსეკის „ფილოსოფიის“ გადმოცემის — ბალზაკისათვის მეტად დამახასიათებელი, სპეციფიკური და რთული ადგილის თარგმანს, გრაფის შეუღლის საწალი ოთახის დეტალები და, ამასთან, კონტრასტული მანერით აღწერა, რაც ქართულ თარგმანშიც მიღწეულია; დიალოგების სიხოველე და დინამიკურობა ამქარად იჩენს თავს იმ ადგილებში თარგმანში, სადაც დერეილისა და გობსეკის, გობსეკისა და მატსიმ დე ტრასის დიალოგებია გადმოცემული. ასევე ძლიერადაა წარმოდგენილი ქართულ თარგმანში აგონიაში მყოფი გობსეკის მონოლოგი და მისი სიკვდილის სცენა გობსეკის უკიდურესი სიძენწის, ან, როგორც მარქსი ამბობს, მისი „გაბავშვების“ აღწერა. „პოლოკონიე შაბერიში“ ვექილის კანცელარიის სურათი, კანცელარიის დამყაყბელი, ზინონიკურ-ბოტროკრატული ატმოსფერო ვარგადაა გადმოცემული თარგმანშიც; ძლიერადაა შესრულებული პოლოკონიე შაბერის გარეგნობის ამხანველი ადგილის თარგმანიც.

ამ დადებით თვისებებთან ერთად ი. ქავეარაძის თარგმანებს გააჩნიათ ნაკლოვანებებიც. უწინარეს ყოვლისა, ი. ქავეარაძის თარგმანებში შეიმჩნევა მთარგმნელის მიერ ხშირ შემთხვევაში ქართული ზნწის შეუსაბამო ადგილას დასმა წინადადებებში. ცნობილია ქართული ზნწის ერთი სპეციფიკა: იგი, ჩვეულებრივად, წინადადების პოლოში, ქვემდებარისა და ხშირად დამატებების შემდეგ ისმება ხოლმე. ი. ქავეარაძის თარგმანებში ხშირად ვეხვდება სტილისტურად მოუხერხებელი კონსტრუქციის წინადადებები. მაგალითად, კრებულის 45—46-ე გვერდზე ვკითხვლობთ: „პარიზში ვექილები არიან გატაკებული ცხოვრების მდინარებით“;

სჯობდა: „პარიზში ვექილები ცხოვრების მდინარებით არიან გატაცებულნი“. ასევე: „ხან იყო მოქნილი, ხან ზეიადი, ხან ილურსიანი, ხან მიმდობელი“ (გვ. 50); „გობსევი იყო ვაჟ-მძლარი გველი ამ დიდი საქმისა“ (გვ. 59—60). ქართული წინადადებისათვის უფრო შესაფერის იქნებოდა: „ხან მოქნილი იყო, ხან ზეიადი...“ და ა. შ.; ან კიდევ, „გობსევი ამ დიდი საქმის ვაჟმძლარი გველი იყო“. აქვრანგული წინადადების კონსტრუქციის გავლენა ხომ არაა? ასე მაგალითად, წინადადების „საქმე იყო სავევო, საძაველი“ (გვ. 41) წყობა ზედმეორებით მიკვება დედნის წინადადების — „L'affaire était fort douteuse, ignoble“ — წყობას, რის შედეგადაც ქართული იშნა მისთვის შეუფერებელ ადგილას მოხდა; სჯობდა: „საქმე სავევო და საძაველი იყო“. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად, შემდეგი წინადადების მიმართაც: „სათამაშოებს ხელი გაუშვა, მაღალ საწერ მაგიდაზე დააწყო და ვახდა ისევ მევახშე“ (გვ. 36) ... დედანში: „S'assit et redeuint usurier“... „მოვედი მოვეთათბიროთ მნიშვნელოვან საქმეზე“ (გვ. 42) დედანში: je viens vous consulter sur des intérêts graves“ სჯობდა: „მოვედი, რათა მნიშვნელოვან საქმეზე მოვეთათბიროთ“.

თარგმანში გვხვდება სტილისტურად დაუხვეწავი ადგილები. მაგალითად, 18 გვერდზე ვკითხულობთ: „ეს ქერა ლამაზი ევაკაი, ვულსევი, ესულგულო მოთამაშე გაკოტრდება თვითონ, გაკოტრებს ამ ქალს, გაკოტრებს მის ქმარს, გაკოტრებს მის ბავშვებს, შესკამს მათ მათთვის და იგი საღონებს უფრო მეტად განაღვურებს, ვიდრე პოლს პაუბიციების ბატაქა“ 42 გვერდზე: „წამოიძახა მან, რომ დაინახა წასელას ვაპირგბდი“; სჯობდა: „წამოიძახა მან, როდესაც შეამჩნია, რომ წასელას ვაპირგბდი“. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხელოვნური სიტყვებიც, როგორცაა: „დიდშენიერება“ (გვ. 29), „ნათელმზებდებლობა“ (გვ. 23). აქა-იქ შეიმჩნევა არალიტერატურული გამოთქმები: „თეთრი წვიესაყარავები პატარა დივანზე პორწი ალებდა“ (გვ. 16), „შე ჩემსას მიეცემდი, კიდევ ერთი რომ მჭონიყო“ (გვ. 338), და სხვა.

ი. ქავიარაძის თარგმანებში არის ისეთი ადგილები, სადაც მთარგმნელს დედნის აზრი არაა აღქმურად, არაუსტად აქვს ვადმოცემული მაგალითად, 16 გვერდზე, წინადადებაში — „ბუნება მასში იმდენად ძლიერი იყო, რომ სიგიჟის ამ ნიშნებს მისი მშვენიერების შელახვა ამ შევქლო“; სიტყვა „სიგიჟე“ აბუნდოვანებს დედნის აზრს, „ces indices de folie“ — „სიგიჟის ნიშნებს“ კი არ ნიშნავს, არამედ „შვავი,

გაფანტული ცხოვრების ნიშნებს“. „გობსევის“ რუს მთარგმნელს სწორად მიუგნია ამ ნიუანსისათვის და უთარგმნია „შიн призраки бесрассудной жизни“. მე-18 გვერდზე, წინადადებაში — „იი რა აიძულებს მათ ზრდილობის დაცვით მილიონების მოპარვას“ — ზუსტად არ არის გამოხატული დედნის აზრი: „déceunent“. ამ შემთხვევაში „გარევეული წესიერების დაცვა“ უფროა, ვიდრე „ზრდილობის დაცვა“ იმდენად, აკობებდა: „იი, რა აიძულებს მათ გარევეული წესიერების დაცვით მილიონების მოპარვას“. 39-ე გვერდზე, წინადადებაში — „ეს ბუო გრაფი, რომელსაც, ილბათ ხედვობოლით და რომელსაც... თქვენი ვარებუნის სახელმწიფო აღამაინის ქცევა ჰქონდა“ ვაუგებარია; გრაფის ეინაობის მიხედვით აზრეა საუბარი, თუ მასთან შეხვედრაზე დედნის კონტექსტი გრაფთან მაღალ საზოგადოებაში შეხვედრას გულისხმობს და ამიტომ, აზრის მკაფიოდ გამოხატვისათვის, აკობებდა თარგმანში დამატებით სიტყვების შემოტანა: „ეს იყო გრაფი, რომელსაც, უეჭველია, ხედვობოლით (vous avez dû rencontrer) მაღალ საზოგადოებაში...“ 45-ე გვერდზე, წინადადებაში „შენს გულს საშინელი სურათები არ სჭირდება, რომ იგი სპეტაი და სათნო დარჩეს“ ძნელი გასარკვევია დედნის აზრი („ton coeur n'a pas besoin de tableaux effrayants pour rester pur et vertueux“). ივლიისხემა: კამილა იმდენად წმინდა და სპეტაია, რომ ზედმეტია ცხოვრების შემაჩქრუნებელი, ჭკუის დამრიგებელი სურათებითა თუ გაკეთილებით მისი დაშინება. ქართულადაც აკობებდა: „შენს გულს შემაჩქრუნებელი სურათები არ სჭირდება; იგი უამისოდაც სპეტაი და სათნო დარჩება“. 309-ე გვერდზე, წინადადებაში — „მე ვეღბ სანაძლეოს, რომ ყველას წაგყავან წარმოდგენაზე, თუ იგი ყოფილი ჯარისკაცი არ არის“ ძნელი გასარკვევია, თუ რას ეგება სანაძლეო: იმ შემთხვევაში წაიყვანდა ყველას წარმოდგენაზე სანაძლეოს დამღები, თუ „იგი“ ჯარისკაცი იყო, ან პირიქით — თუ „იგი“ ჯარისკაცი არ იყო დედანი („Je parie un spectacle pour tout le monde qu'il n'a pas été soldat“) — დაახლოებით შემდეგნაირ თარგმანს მოითხოვს: „სანაძლეოს ეღბ, რომ იგი არასდროს არ ყოფილა ჯარისკაცი. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას წარმოდგენაზე ვეპატიებოთ“.

ხანენებულ თარგმანებში, თუმცა გამოხატვისის სახით, მაგრამ მაინც, არის ისეთი ადგილებიც, სადაც მთარგმნელს არასწორად გაუგია დედნის აზრი. 56-ე გვერდზე, წინადადებაში — „სხეულის გაშვებული, მოუდრეკელი ნაწილები მას სასაცილო და საზარელ იერს აძლევდა“ — სიტყვა „სასაცილო“ უადგილოდაა მოტანილი,

მით - უმეტეს, რომ დედანში („Ses mambres raidis et inflexibles lui donnaient quelque chose de grotesquement horrible“) ეს სიტყვა არ არის ნახშირი. „grotesquement“ ამ შემთხვევაში „უზომოს“, „არახვეულებრივს“, „გადპარებულს“ ნიშნავს და სხენებელი წინადადებაც ასე უნდა თარგმნილიყო: „სხეულის გაშეშებული, მოუდრეკავი ნაწილები მას რაღაც არაჩვეულებრივად საზარელ სანახავს ხდიდა“. 61-ე გვერდზე, იმ ადგილას, სადაც მომავლეი გობსევი თავისი განმეორებისა და ავლადღების ამბავს უშვლეს დერვილს, შემდეგ წინადადებას ეხედვით: „მეგრამ ბრილიანტები ვის? შენ მით შეაფასებ, უმაწელო“ (დედანი: „Mais à qui les diamants? Prises-tu, garçon?“). ფრანგულ ზმნას „priser“ ორი მნიშვნელობა აქვს — „შეფასება“ და „ბურუნთის ყნოსვა“. ზემოთხსენებულ შავალითში ამ ზმნის თარგმანი გუმართლებელია, რადგან, ჯერ ერთი, დედანში ზმნა კითხვით ფორმაშია დასმული და არა თხრობითი, როგორც ეს თარგმანშია წარმოდგენილი; მეორე, „ბრილიანტების“ აღმნიშვნელი ნაცვალსახელი (ქართულში „მთა“, ფრანგულად „les“), რომელიც ამ შემთხვევაში ადგილებზე იქნებოდა ფრანგული წინადადებისათვის, დედანში არ არის; მესამე, მომღვერო ფრანგული გობსევი თამბაქოს ასხენებს („l'al des tabac“ — „თამბაქო მაქვს“) ე. ი. წინა წინადადება თამბაქოს მოწევას ან ყნოსვას გულისხმობს. მაშასადამე, ეს ადგილიც შემდეგნაირად უნდა თარგმნილიყო: „მეგრამ ბრილიანტები ვის? ბურუნთს თუ ყნოსავ, უმაწელო? თამბაქოც მაქვს...“ 330 გვერდზე შემდეგი წინადადება ვხვდებით: „სამივემ მას შეხედა გონებრივი სინაღვის გამომეტყველებით, თუ ამ სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება შეიძლება“. თარგმანის მიხედვით გაუგებარია, რატომ არ შეიძლება „გონებრივი სინაღვის“ ერთად ზმარება, ამ ორი სიტყვის „ერთმანეთთან დაკავშირება“? საქმე ის არის, რომ ბალზაი აქ „გონებაშახილურ სიმტკრეზე“ („une stupidité spirituelle“) ლაპარაკობს, ხოლო ამ სიტყვების — „გონებაშახილურისა“ და „სიმტკრის“, „სიბრვენის“ დაკავშირება კი მართლაც იშვიათი და გამონაკლისი მოვლენაა. დედნის ეს ადგილი შემდეგნაირ თარგმანს მოითხოვს: „სამივემ მას შეხედა გონებაშახილური სიმტკრის გამომეტყველებით, თუ ამ სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება შეიძლება“.

კრებულში შემავალ ნაწარმოებთაგან „შაგრენის ტყავი“, „ელ ვერდუგო“, „ქმადნაფიცი“ და „შხედართმოაერის ცოლი“ ნათარგმნია ცნობილი და გამოცდილი მთარგმნელის — გ. ქიქოძის მიერ. გ. ქიქოძე არ ემაყოფილებდა ბალზაის ნაწარმოებთა შინაარსის ქართულ ენაზე

ზედმიწვენი, ზუსტი გადმოტანით, არამედ ამასთან ერთად იგი ქართულ მკითხველს „როზინის სულს, მის კოლორიტს“ აგრძობობობს. ეს გარემოება უთუოდ იმის შედეგია, რომ გ. ქიქოძე ფრანგული ტექსტის ღრმა კომპლასთან ერთად ყარვად იცნობს თვით ბალზაის, როგორც მოაზროვნის, ხელოვანის და თავისებური სტილისტის, სპეციფიკას, მის წერის რეალისტურ მანერას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „შაგრენის ტყავისა“ და „ელ ვერდუგოს“ თარგმანები. გადუქარებულად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ამ ნაწარმოებთა თარგმანი დედნის ადვექტორია, სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის მოთხოვნების „ქმადნაფიციისა“ და „შხედართმოაერის ცოლის“ თარგმანების შესახებ; შესაძლებელია, ამის ერთ-ერთი მიზეზი ძველი, შეუსაბუთებრივი ფრანგული ენა იყოს, რომლითაც ეს მოთხოვნებია დაწერილი. „შაგრენის ტყავის“ ქართულ თარგმანში ბანქო თამაშის აღწერაში ადვექტურადაა შენარჩუნებული დედნის სტილის სიმძაფრე, სახეებისა და ხასიათების სიმკვეთრე; ანტიკვარული მალაზიისა და ხელოვნების ნიმუშთა ბალზაისათვის დამახასიათებელი აღწერა, რომანის ეს რთული და ძნელი ადგილი, ბრწყინვალედაა თარგმნილი. შესანიშნავადაა წარმოდგენილი ტაიფურის სასახლეში გამართული ღრუბლის აღწერილობა, დიალოგების ლაგონიურობა, სიმკვირცლე, დინამიკურობა და სიმზავილე უთუოდ დედნის სიძლიერით ვერს. ბალზაის ეპიკური გენია ცხადად ვლინდება თარგმანის იმ ადგილას, სადაც მეცნიერებაში ჩანთქმული რადიკალის განმარტებული ცხოვრება აღწერილი; მთარგმნელი ოპტატურად და დიდი სიყვარულით ძერწავს პოლინას სათარი სახეს და ამით მისდამი ბალზაის სიყვარულითა და თანაგრძნობით აღსავსე დამოკიდებულებასაც გვაგრძნობინებს. რომანის მეტად რთული, ღრმავარდნი და ძნელი ადგილები, სადაც ბალზაის სურს გვიჩვენოს თავისი უპოქის მეცნიერული ღონე, მისი გრანდოზული წარმატებანი, მეგრამ, ამავე დროს, მისი უსუსურობაც ბუნების „ფატალური“ მოვლენების წინაშე, რაც შაგრენის ტყავთან ბუნებისმეტყველების, მექანიკის, ქიმიისა და მედიცინის სიმპოლურ შერკინებაშია გამოხატული, წარმატებითაა დაძლეული მთარგმნელის მიერ. თარგმანში შესანიშნავადაა გათვალისწინებული ბერეს ტბის ცხოველყოფილი მიდამოების ხატოვანი სურათი.

უბადლოდაა გადმოთარგმნილი პატარა მოთხრობა „ელ ვერდუგო“.

დადებით თვისებებთან ერთად გ. ქიქოძის თარგმანებს ნაკლოვანებებიც გააჩნია. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მთარგმნელი ზმნის მეორე თერმეობით ფორმას

თანამედროვე ქართლისათვის შეუფერებელი დაბოლოებით გადასცემს. მაგალითად, 78-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ანტიკვარული მალაზიისაყენ შეუხვია იმ განზრახვით, რომ საყვები მიეცა თავისი გრძნობებისათვის და დაღამებამდე დრო გაეტარებია მხატვრული ნიჭობის ეპრობაში“; უნდა ყოფილიყო: „... და დაღამებამდე დრო გაეტარებია მხატვრული ნიჭობით ეპრობაში“. 83-ე გვერდზე — „პოეტს ამ დიდი ხელოვანის ნახაზები უნდა დაემთავრებია“, 382-ე გვერდზე — „მას უნდა გაეებათილებია ყოველი ბრალდება“ და სხვა. მსგავს მოვლენასთან გვექვს საქმე ზმნის შეღობობით კონტაქტის ფორმის გადმოცემისას. მაგალითად, 230-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მარკოზმა აყიდვია ეს სასახლე“. 234-ე გვერდზე ზმნის არალტერატიული ფორმა ნახმართი: „ბრძენ კრიტიკოსს... ბაირონი რომ ჰქონიყო წყაითბული“; ასევე, 75-ე გვერდზე — „ბრძოლის ველზე ფრიალობდნენ“ (დროშები). ხშირია შემთხვევა, როდესაც მთარგმნელი „თუ“ კავშირს ხმარობს „რომ“-ის ნაცვლად: მაგალითად, 106-ე გვერდზე ვკითხულობთ: „თუ ივლისის რევოლუცია არ მომხდარიყო, მღვდლად ეკურთხებოდა“. უნდა ყოფილიყო: „ივლისის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, მღვდლად ეკურთხებოდა“. ასევე, 116-ე გვერდზე: „თუ შენი ფუტები ამ მომხიბლავ აკვირინაზ ან ყოფილიყო დამწობილი, თუ იმ ქალის ზვრინვა ცოტა არ იყოს ქვიხის არ გვანებოდა, შევარცხვებოდა შენი სიმთვარისა...“ სტილისტიკად გაუმართავი წინადადება გვხვდება 179-ე გვერდზე: „თუმცა მას, ცოტა არ იყოს, აშხარტიანი გამომეტყველება აქვს მაგრამ გულჯეთილია და კეთილშობილი მიზრამობრა აქვს“, 214-ე გვერდზე: „პარიზში, ამ აზროვნების სატატო ქალაქში“ (აჯობება — „პარიზში, აზროვნების ამ სატატო ქალაქში“); 110-ე გვერდზე: „გმირული ხელის მოჭრაობით“ (აჯობება — „ხელის გმირული მოჭრაობით“). გ. ქიქოძის თარგმანებში გვხვდება დღევნებულზე, ხალგანური, ან ქართლისათვის უცხო სიტყვები და გამათქმები. მაგალითად, 67-ე გვერდზე ფრანგული „lejeu“ (თამაში) თარგმნილია „თამაშობად“, 153-ე გვერდზე — „დღის მალადი ფეჟეტები“ „წაშიერი ფეჟეტების“ (des fugitifs effets) ნაცვლად; 165-ე გვერდზე — „მშროვიზირებელი ვნებათაღლევა“ „უეცარი ვნებათაღლევის“ ნაცვლად; 85-ე გვერდზე — „სეკრეტანი ბოქლომი“ და სხვა. არის ისეთი ადგილებიც, სადაც დედნის აზრი არაზუსტადაა გადმოცემული. მაგალითად, 102-ე გვერდზე, წინადადებაში — „შენს პატარა სასტუმროსა, სენ-კანტენში, რომლის უცვლელი აბრა დღე-

საც ისეთივე შავი და წითელი ასობითაა შემკული, როგორც ეან ჯაკ რუსოს დროს იყო, შენმა ლინარდამ გვითხრა, სრულყო წაგებდიო“ („A ton respectable hôtel de Saint-Quentin... ta Léonarde nous a dit“) უნდა ყოფილიყო: „შენს საპატივემული სასტუმროში, სენ-კანტენში... შენმა ლინარდამ გვითხრა...“; 165-ე გვერდზე, წინადადებაში — „ყოველივე ნაძიები ინგლისური კომფორტით იყო მოწყობილი“ დარღვეულია დედნის აზრის სიზუსტე („Je remarquai toutes les recherches du confort anglais“). უნდა ყოფილიყო: „ინგლისური კომფორტის სრული სინატივე გამოსუვილია“. უხეხბულია და ბენდოვანია: „გეოლოგია რა: ფაულმა, რომელსაც სიცილობლე სწუროდა, რაც უნდა დაჯდომოდა“ (გვ. 234); 267-ე გვერდზე, წინადადების — „თქვენ უცქერით და ნდობილ ქალს“, ნაცვლად უნდა იყოს: „თქვენ უცქერით მონდობილ ქალს“ (une femme confiante); 283-ე გვერდზე ფრანგული „large des espauls“ „ბეჭებბანიკის“ ნაცვლად თარგმნილია „ბეჭები ბრტყელი“; 405-ე გვერდზე ზმნა „შენაყვლების“ („tenir sa place“) მაგირ შეტდომითაა ნახმარი „შეცვლა“: „და იმის მაგივრად, რომ ჩემ სატრფოს აქ შეეცვალათ, თქვენ მას შეეცვლებით იმ წუთში, როცა იგი უნდა მოკლან“. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც, შეიძინევა მთარგმნელის მიერ ორიგინალის სიტყვისა თუ აზრის არაწორად გადმოცემა ქართულ ენაზე. მაგალითად, 81-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ამ უამრავმა ნაციონალურმა თუ ინდივიდუალურმა არსებამ, რომელთა მოწყობას ეს ადამიანური საბუთები წარმოადგენდნენ, საბოლოოდ გარინდა ყმაწვილი კაცი“. დედანში კი ლაპარაკია არა „არსებამ“ (un être), არამედ „არსებობაზე“ (une existence), „არსებობის ხილვაზე“ („La vue de tant d'existances“). 85-ე გვერდზე, წინადადებაში — „იმ ადამიანის გენია ცხადებოდა მთელი თავისი სიდუბჭირის მედიდრობით“ — ორიგინალის „Le genre humain“ („ადამიანური მოღვა“) შეტდომით „ადამიანის გენიად“ რის თარგმნილია.

მთხედვლად ამ მცირე ნაკლისა, როგორც ზემოთა ც აღინიშნა, გვართნი ქიქოძის თარგმანები შესრულებულია დიდი ოსტატობით და საქმის საფეძვლიანი ცოდნით.

კრებული კარგადაა გაფორმებული; დართული აქვს შენივნებები და განმარტებანი. კრებულს თან ახლავს რედაქტორის — გ. ვაიჭილაძის წინასიტყვაობა, რომელიც ბალზაის შემოქმედების განხილვის საინტერესო ცდაა.



მოსხროვა მამაცი ახალგაზრდობის შესახებ



აქაი ბელაშვილი ცნობილია, როგორც ისტორიული რომანების („ბესიკის თავდასაგალი“ და „ოქროს ჩარდახი“) ავტორი. მწერლის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი კარგი ნოველა და მოთხრობა საბჭოთა ცხოვრების თემატიკაზე.

რამდენიმე მოთხრობა ა. ბელაშვილის დაწერილი აქვს ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. ახლახან საბლიტგამმა გამოსცა მწერლის ორი მოთხრობა საერთო სათაურით „ახალგაზრდები“.

საბჭოთა საბელშვიფო ძლიერდება ქვეყნის მძლავრი ინდუსტრიალიზაციით, სოფლის მეურნეობის აღმავლობით, ბუნებრივი სიმდიარეების აღმოჩენით, გამოკვლევითა და გამოყენებით. კაპიტალიზმის გადმონათობი ადამიანთა შეგნებაში დაბრკოლებას ქმნის ნოვატორთა წინაშე. ბრძოლა ამ გადმონათობის წინააღმდეგ მათი გადასახვა ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი საწინდარია. ამ ბრძოლაში იქმნება დავითარდება ადამიანის ახალი, ფსიქოლოგიურად რთული, ტიპი. ა. ბელაშვილის მოთხრობა „ახალგაზრდები“ სწორედ ამ თემის მხატვრულ დამუშავების ცდას წარმოადგენს.

მიზელი ერისთავი გეოლოგიის პროფესორია, ბერეჟიზონელი მეცნიერების ნაპრომებზე გაზრდილი. მას ბრძოლ სწამს ფოკალურ „დასავლური“, „ევროპული“, „ამერიკელი“. ამ ბრძოლაში ილაშქრებს იგი ახალი, ნოვატორული წინადადების წინააღმდეგ. ის გადაჭრით უარყოფს სპილენძის საძიებელი ექსპედიციის გავზავნას კავკასიის სამხრეთ კალთებზე. საბუთად ასახელებს ბუნებრივ სიმწიფეებსა და მათა მიუკვლობას, ეკონომიკური სახსრების ნაკლებობას.

მიზელი ერისთავის წინააღმდეგ ილაშქრებს პროფესორი ზაალ ვარსევანიშვილი, საბჭოთა მეცნიერი და მოქალაქე. მისი არგუმენტი ზუსტია, მტკიცე, დაყრდნობილი პრაქტიკაზე. ხანში შესულ პროფესორს ქვეყნის აღორძინება ახალგაზრდაეებს.

რაკი ავტორი ზაალ ვარსევანიშვილსაც ახალგაზრდას უწოდებს, ამით იგი ახალგაზრდის ცნებაში ყველაზე კარგ თვისებებს აერთიანებს — სიცოცხლეს, სიმარტეს, ენერჯიას და, რაც მთავარია, გამბედაობასა და რისკს.

ნაწარმოების ვიზიტები — ოსიკო, ტიტკო, გოგი, რბენი, შერი — საბჭოთა ახალგაზრდები არიან. ისინი — სისხლსაყვანი, მუყაითი და ენერჯიულები — ქმნიან ნაწარმოების პერსონაჟთა საინტერესო ბირთვს. ავტორის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ყოველი მათგანსათვის დამასახიფთებელი ნიშნების მოძებნა. ამას ხელს უწყობს მათზე განაწილებული საქმეების თავისებურებაც. ისინი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ სამშობლო ქვეყნის წინაშე. და ეს ნაჩვენებია არა პლაკატურად, ლოუნგების სახით, არამედ შინაგანად, დამაჯერებლად. მთავარი ისაა, რომ წვრილმანები, პატარა დეტალები ხელს უწყობენ ნაწარმოების დიდი იდეის დაურწკრეტებასა და გამომსახველობას.

სევანთის შთებში მოსახლეობა აღფრთოვანებული ხდება ექსპედიციას. მათ იციან, რომ ექსპედიციასა და მდინის აღმოჩენას მოჰყვება გზა, სინათლე, კულტურა. თუმცა ავტორმა სამართლიანად აჩვენა ამ შეხედულების მშობლად ნაწილობრივ ექსპერიმენტს. საქმე ისაა, რომ ქვეყნის განვითარების პირველ საფეხურზე ეს შეიძლება მართლაც ასე იყო. მაგრამ მაღე ექსპედიციის გარეშეც ვიფიქრებენ გზებს ხალხის საყთილდეოდ. ეს კი პერსპექტივისა და ხეაღინდელი დღის გათვალისწინების მიხედვითაა.

ნაწარმოებში საინტერესო პერსონაჟთა პავლე ეს მთიელი გლეხი, რომელმაც ოდესღაც ნადირობის დროს სპილენძის შემცველი კრისტალი იპოვა, შეუპურიო პირადი ბედნიერებისა და გამდიდრების სურვილს. წლების მანძილზე ის მალავს ამ კრისტალებს და იტალიელ მრეწველს უარს ეუბნება აჩვენოს მდინის საყოფიერი აღგზილი. მისი თქმით, იტალიელი მას ცოტა ფულს აძლევდა. როცა პავლე ზაალის წინაშე დგას, ის კვლავ იმეორებს თავის მოთხოვნას — მისცენ ფული. კოლექტივის, სოფლის და პარტიული ორგანიზაციის ჩარევით პავლე იშულებული გახადეს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო. უარყოფით ტიპთა შორის პავლე განსაკუთრებული სახეა. ავტორმა მისი დახატვით დავიანახა ადამიანური სისაძაგლის თვისებური გამოვლინება.

პასუხისმგებლობამ სამშობლობა და ქვეყნის წინაშე, სურვილი — მოხმარებოდნენ ხალხსა და ქვეყნას — თავისი ვიტიანი, მიზანი მიღწე-

აკაკი ბელიაშვილი. „ახალგაზრდები“, საბლიტგამი. 1952.

ულია, მაღანი აღმოჩენილი, კოსმოპოლიტიზმი უარყოფილი და დასამარბეულია ფოლადისებურად ხელით. აღამიანთა კომუნისტურად აღზრდის პრინციპებმა თავისი შედეგი გამოიღო. ფიზიკური აღზრდის საქმის კარგად დაყენებამ, სპორტისა და შრომის დაუფლებამ ხელი შეუწყო ექსპედიციის წევრებს მთხნის მიღწევაში.

მოთხრობის მთავარ სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება ოსიკოსა და მერის სიყვარულის ამბავი. უშუალოა, დამახასიათებელი დეტალების მოძებნა ამ გრძელბრძანის დახატვისათვის ნაწარმოებს ემოციურობასა და სიცოცხლეს შატებს. თუმცა ზოგიერთი ვოლგელიური თავგადასავალი ძველად ლიტერატურული ხერხების განმეორებისა და იაფი ეფექტებით გატაცების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბუმორი, რომელიც ყოველ მოვლენასა და თითქმის ყველა გმირის მოქმედებას თან ახლავს, საინტერესო საკითხავად ხდის წიგნს. მაგრამ მეთხველის გაკინებისათვის ყოველგვარი საშუალებების გამოყენება ნიჭიერი ავტორისათვის შეუფერებელია. პროფესორისა და მეეტრის, სტუდენტისა და მძღოლის ობუნჯობანი არაფრით განირჩევიან ერთმანეთისაგან. ამას გარდა, პროფესორისა და ყველა დანარჩენთა ენის კომპონენტები ერთი და იგივეა. საბჭოთა პროფესორის დახატვა სასიქაღლო საქმეა, მაგრამ იაფი ეფექტებით მისი სახის შექმნა შეუძლებელია.

ბუმორის რამდენიმე კარგი მგალობის მოყვანა შეიძლებოდა. ერთი მაგანი: — „შენი სახელი? — უბნით შეეკითხა ზალი მეეტრეს.

- აილონა, ბატონო!
- რომელი, ბელედეარელი?
- არა, ოფშვეთელი ვარ...”

მოთხრობა „ახალგაზრდების“ სიუჟეტი მარტივია. მხოლოდ აქა-იქ ტყულება იქნა ნიუგლისტურობის“ ხარჯზე. ავტორის ენა სადაა და წმინდა, დახვეწილი, მაგრამ გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ, რომ აკლია მხატვრული სიმართლე და ფერები.

წიგნში ავტორის შეუტანია მეორე მოთხრობა „მოგზაურობა სენათში“. ის ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მეეტრის მიერ შეწერალებზე ერთ-ერთი ასეულის საინტერესოდ დაწერილი ისტორიის წარმოადგენს. მოთხრობა შესანიშნავია იმიტომ, რომ ავტორი იქ ხატავს სახელგანთქმულ ქართველ ალბინისტებს, საუბრობს მსოფლიოს გამოზენილ ალბინისტებსა და უშაღლეს მწვერვალთა დაპყრობაზე. ა ბელიაშვილი ლამაზად, ზომიერებით აღწერს ალბიური სელის ხასიათსა და სპეციფიკას, სენათის ბუნებასა და სენაების მთებურ ძალას, გამბედაობას, სიღამაზეს. მწერალი სიყვარულით ხატავს ყოველ დეტალს, რომლებიც კი ალბინისტურ ასეულებს ახასიათებს.

მოთხრობას, უეჭველად, დიდი აღზრდელიობითი მნიშვნელობა აქვს. ყმაწვილის გონება მასში თავისა ფანტაზიისათვის ბეერ დამაყმყოფილებელ რამეს იპოვის. ახალგაზრდები ნახვენ, თუ რაოდენი სიძნელებია სპორტსმენის წინაშე და, მიუხედავად ამისა, რაოდენ მშხიდველია და საყვარელი სპორტის ეს უღამაზესი სახე.

ქართველი ახალგაზრდა მეთხველი უთუოდ კმაყოფილებით მიიღებს ჩვენი ცნობილი ბელეტრისტის ბიგნს „ახალგაზრდებს“ და მოელის კიდევ ბეერ ნაწარმოებს, სადაც ჩვენი ახალგაზრდაბა მთელი თავისი სულიერი სიმდიდრით იქნება წარმოდგენილი.

ნოდარ ჩხიძე

ახალგაზრდა მიწმეპაშრთა ცხრკრამის ანსახველი წიგნი.



1938 წელს მოსკოვში მოწვეულ წარჩინებულ მსწერელებელთა თაობირზე შ. ო. კალინინმა თქვა: ჩვენში იქმნება სოციალისტური საზოგადოების ახალი დამიანი. ამ ახალ ადამიანს უნდა ჩავუნერგოთ ადამიანის საუკეთესო თვისებები... მერე და როგორი ადამიანური თვისებების ჩანერგვაა საჭირო? ეს, პირველ რიგში, სიყვარულია, სიყვარული თავისი ხალხისადმი.

სიყვარული მშრომელი მასეხობს ადამი. ადამიანს უნდა უყვარდეს ადამიანი... მეორეა — პატიოსნება. მიაჩიო ბავშვები პატიოსნებას, ამას მასწავლებელმა, ჩემი აზრით, თანმიმდევრულად უნდა მიადლოს ყოველგვარი პედაგოგიური ხერხებით, როგორც კი არსებობს, არ იტყოს, არ შოატყუოს, არამედ პატიოსნად მოიქცეს. მესამეა — გამბედაობა, სოციალისტური ადამიანი, — შრომის ადამიანი, — მას

სურს დაიპუროს მსოფლიო და არა მარტო ის მსოფლიო, რომელიც დედამიწის ზურგზე არსებობს, არამედ სამყაროც კი გააფართოოს ადამიანის გონებით.

შეოთხეა — ამხანაგური შესისხლბორცება. საქიროა, რომ ამხანაგური შესისხლბორცება არსებობდეს. იგი საჭიროა თუნდაც იმპროვიზირებული კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიყოფებით... შეხუთე — ეს არის ის, რომ უნდა გიყვარდეს შრომა. არა მარტო გიყვარდეს, არამედ პატიოსნად ეპყრობოდეს, თანაც მტკიცედ გახსოვდეს, რომ თუ დამიანი ცხოვრობს, იყვებება და არ მუშაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სხვის შრომას სჯამს... დისციპლინა ხომ თავისთავად გამოძინარობს იმ თვისებებიდან, რომელთა შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე“.

დიდი საბჭოთა ეპოქის მისწავლებლებისათვის მ. ი. კალინინის ეს სიტყვები ბევრთა სტალინური აღზრდის კონკრეტულ პროგრამას წარმოადგენს. ეს საპროგრამო დებულებები საბავშვო მწერლებსაც საშუალებას აძლევს მხატვრული ტილოების გაშლისა და ნორჩი თაობის ცხოვრების ასახვის, ტიპური სახეების გამოვლენების დროს მართალი და სწორი გზა მონახოს.

საბავშვო მწერალმა გ. ჩიკვაძემ თავის მოთხრობით „ბედნიერი ვარსკვლავი“ მოგვცა იდეურად და მხატვრულად გამართული ნაწარმოები საბჭოთა ბავშვების ცხოვრებიდან. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, პატიოსნება, გამბედაობა, ამხანაგური შესისხლბორცება — აი ის ძირითადი თვისებები, რომლითაც გამსჭვალული არიან ამ მოთხრობის გმირებამათ მოქმედებაში და ხასიათში შედგენდება ის დიდი მუშაობა, რომელსაც სკოლა აწარმოებს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

„ბედნიერი ვარსკვლავის“ სიუჟეტი არ არის რთული. თამარ ფიჭიაინი არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე საზღვაო ტექნიკუმში შედის. თავის ამხანაგებში ის სულ მალე ბეჯითი მოსწავლისა და გულისხმიერი მგვობრის სახელს იმსახურებს. მას, როგორც წარჩინებულ მოსწავლეს, ტექნიკუმის კომპაზიტორის ორგანიზაცია თავის რიგებში იღებს. ამის შემდეგ თამარი სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყიდვს უფრო მეტად ემშება. თამარი ტექნიკუმს წარმატებით ამთავრებს და თავისი სურვილით სამსახურს

სამხედრო-საზღვაო ფლოტში იწყებს, დედამ საშუალო იმპა ახალგაზრდა მზღვარის საქმედრო ზომალდის ვახტზე მოუწერო. ამ დღიდან იწყება თამარის ბოძოქარი ცხოვრება: მტერთან ბრძოლა და გამარჯვება.

იმის დღეებში თამარ ფიჭიაინი მეთაურთა სკოლაში იგზავნება. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას „დიდი საზღვაო მონადირეზე“ შტურმანად ნიშნავენ.

სამშობლოს ერთგულ შვილს, ნიჭიერ მზღვარს თამარ ფიჭიაინს მალე მეთაურად ნიშნავენ იმ ზომალდზე, სადაც მან პირველად დაიწყო სამსახური. აქ ის თავის ძველ მეგობრებს — გრიგოლ გაბუნიას და ალიოლა ნეშმაიას შეხვდება მეგობრების შეხვედრის სცენასა და მტერთან ბრძოლის გამომატველ ეპიზოდში ნათლად ჩანს ის ამხანაგური შესისხლბორცება, რის შესახებაც მ. ი. კალინინი თავის სიტყვაში ლაპარაკობდა.

სამხედრო ზომალდის კაპიტანმა თამარ ფიჭიაინმა სარდლობისაგან განსაკუთრებული დავალება მიიღო. ფიჭიაინმა და მისმა რაზმმა სარდლობის დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს. მეტად საპასუხისმგებლო დავალების შესრულების დროს იგი შიშივდ დაიჭრა და პოსპიტალში შიათავსეს. აქ ის გებულობს, რომ მას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

პოსპიტალში თამარი თანდათანობით გამოკეთდება, ორი თვის შევბუღებას იღებს და დედასთან ერთად შობლიურ ქალაქ ბათუმში მიემგზავრება. ასეთია ის გზა, რომელიც განვლო მოთხრობის მთავარმა გმირმა საზღვაო ტექნიკუმის პირველი კურსიდან — სამხედრო ზომალდის კაპიტანობამდე.

მოთხრობაში თამარის ხასიათისა და პატრიოტული შეგნების ჩამოყალიბების პროცესი ტექნიკუმის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. თამარისა და მისი მეგობრების (გრიგოლ გაბუნია, ძმები ლევემოები, არსენ მამაგვიშვილი და სხვები) ხასიათის ჩამოყალიბებაში, შათში ადამიანის საუცუეთესო თვისებების გამოვლენების საქმეში აქტიური როლის ასრულებს ტექნიკუმის პარტიული ორგანიზაცია და პედაგოგური კოლექტივი. ახალგაზრდა მზღვარებზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს პარტი-ორგანიზაციის მდივანი — გეოლოგიური გეოგრაფიის მასწავლებელი ნიკო დარახველიძე, რომლის მზრუნველობით თამარი და მისი მეგობრები ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები გახდნენ. დარახველიძე მოსწავლეებს ხიბლავს და იზიდავს თავის უბრალოებით. პრინციპულობა, ხასიათის სიმტკიცე, საგნისა და მოვლენების ღრმა ცოდნა, — აი ის თვისებები, რომლითაც დაჯილდოებულია დარახველიძე. დარახველიძის ხასიათი უმთავრესად მოქმედებაში შედგენდება. იგი უდიდეს სიხარულს

* გ. ჩიკვაძე, ბედნიერი ვარსკვლავი. საბლიტგამი, 1952 წ.

ზარმანული ანდაზები ქართული შესახვევისში



გერმანული ანდაზების გამოცემა, მეტადრე ქართული შესატყვისებით, როგორც თვითონ ავტორები წერენ წინასიტყვაობაში, ერთგვარ დახმარებას ვაუწყებს გერმანული ენის შემსწავლელთ, აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც თარგმნიან გერმანულიდან ქართულ ენაზე.

ანდაზების საგანძური ამოღწერაჲთა საერთოდ, ისევე როგორც ხალხური სიბრძნის ყველა სფერო სხვადასხვა ხარში გაერთკლებული ასობით ანდაზა ემთხვევა, ემსგავსება ან ავსებს ერთმანეთს. შესატყვისების ძიება ძნელია, ეს მოითხოვს დიდ დროსა და იღოს. კრებულის შემდგენელი ძირითადად აქ მესხიერებასა და ერთდროის უნდა დაეყრდნოს. მას საქმე ექნება მრავალ ნიუანსთან, სადაღო დეტალთან, ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ შეარჩიოს საუკეთესო შესატყვისები მრავალთა შორის. ანდაზების თარგმან, უფრო სწორად — შესატყვისების ძიება ლექსიკოლოგიური მუშაობის უძნელეს ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ ანდაზები ხალხის მიერ გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბებული უკვე და თავისუფალ ვადმოღებას არ ემორჩილებიან.

ნ. ქადაგიძის და ქ. დეკანოზიშვილის კრებულში ამაგვარი გამოცემის ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს ქართულ ენაზე. იგი მრავალ ღირსებასთან ერთად, როგორც ავტორებიც შენიშნავენ, არ არის დაზღვეული ზოგიერთი ნაკლისაგან და აგრეთვე შეესბამება სპირობებს.

პირველი, რაც თვალში გვეცემა „ანდაზების“ გადათვლიერებისას, არის ის, რომ საკუთრივ ანდაზების გარდა მასში შესულია მრავალი ხატოვანი თქმა, სიტყვის მასალა, უბრალო შედარებაჲ კი. ეს ყველაფერი კარგია, როგორც ენის სიმდიდრის ნიმუში, და დიდად დაეხმარება განსაკუთრებით მთარგმნელს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს აძლევს წიგნს ლექსიკონის ხასიათს. ავტორები თვითონვე აცხადებენ, რომ გერმანული ანდაზები ამოკრიბეს რუსულ-გერმანული და გერმანულ-რუსული ლექსიკონიდან, ეს კი უტყუარ წყაროდ ვერ გამოდგება. გერ ერთი, ლექსიკონებში ყველა ანდაზა ვერ შევა, მეორეც — ყველა ფიგურალური თქმა და იდიომი ხომ ანდაზა არაა. აქ ირდევია კრებულის მთავარი პრინციპი. ყოველ შემთხვევაში, წიგნი არ უნდა გადატვირთულიყო არც ისე აუცილებელი

თქმებით ცნობილი ანდაზების ხარჯზე. მაგალითად, მასში შეტანილია ისეთი ხატოვანი თქმება, როგორცაა: *Darüber muss eine Kuh lachen.* ამაზე ძროხასაც გაეცინებაო. *grob wie Bohnenstroh.* ლობიოს ჩენნივით უხეში და მრავალი სხვა. ამავე დროს კრებულში ადგილი ვერ ნახეს ისეთმა ანდაზებმა, როგორცაა *Furcht hat tausend Augen.* შიშს ათასი თვალი აქვს; *geduld überwindet alles.* მოთმინება ყველაფერს სძლევს; *Zeit ist der beste Ratgeber.* დრო საუკეთესო მრჩეველია; *Von einem Streiche fällt keine Eiche.* ერთი დარტყმით მუხა არ წაიქცევა (ესე იგი გაურჯულად ვერაფერს მაღლწეებს, და სხვა მრავალი.

მეორე მხრივ, კრებულში შესულ მრავალ ანდაზას ავლია სათანადო ქართული შესატყვისი. ვეულისხმობთ ყველაზე პოპულარულ ქართულ ანდაზებს, რომელთა შიგნება არც ისე ძნელი საქმეა. საინტერესოდ დაევიწყებთ რამდენიმე მაგალითს: *Den Mantel nach dem Winde hängen,* ასე ჩემო მანასო, ხან ისე და ხან ასეო; *Ein Anderes ist scheinen, ein Anderes ist sein,* ფიცო მუჰამს, ბოლო მაკვირვებსო; *Erst wägen, dan wagen* — ასეკერ ვაზომე, ერთხელ გამოსუერ: *Es kommt alles an den Tag* — აღდგომა და ხვალაო.

კრებულში შესული ზოგიერთი ქართული შესატყვისი ანდაზა და ხატოვანი თქმა საჭიროებს შესწორებას, დაწესტებას. მაგალითად: 1) რატომ „ათეკერ ვაზომე“ (გვ. 32) და არა „ასეკერ“? (ესე უფრო გაერთკლებულია); 2) „გამარკვეებულეს არ ასამართლებენ“ (70) და „წიწილებს შემოდგომაზე დაითვლიანო“ (72) არაა ქართული ანდაზები და ისინი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მართალია, ანდაზა მალე იქცევა ყველა ხალხის საკუთრებად, მაგრამ ქართული ანდაზები ისინი არაა (მდრ. რუს. *„Листья по осени сучаются“*); 3) ანდაზის *„Holz in Wald tragen“* (ტყეში შეშის მიტანა) შესატყვისებად აღებულია: „ეცო დათეს ხედედა და ევალს ექებდაო“, „თურამულის პატრონი ტყეში ექებდა კუნელსაო“. არ მოგვანია სწორ შესატყვისებად. აქ საერთო მშოლოდ ისაა, რომ გერმანულ ანდაზაში ტყეა ნახსენები და ქართული შესატყვისებით გამოხატული მოქმედებაჲ (დათეს ნახეა, კუნელს ტენა) ტყეში წარმოებს, მაგრამ აქ მთავარი აზრია და არა გამოხატვის საშუალება, სახელდობრ: სიუბვეს, რაიმე

ნ. ქადაგიძე და ქ. დეკანოზიშვილი, „გერმანული ანდაზები ქართული შესატყვისებით“.

სიჭარბეს ისევ უმატებენ. 4) ანდაზას „Hüte dich vor den Katzen, die vorne lecken und hinter kratzen“ სწორად შერჩეულ შესატყვისებთან ერთად აქვს ერთი შეუფერებელი ექვივალენტი: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. აქ სრულად საპირისპირო აზრია. ქართულ ანდაზაში ლაპარაკია მეგობრულ პირდაპირობაზე, გერმანულში — კატის ცბიერებაზე, ფარისევლურ ქცევაზე, რაც სიძულელს იწვევს; 5) შეუფერებლად მიგვანია გერმანული ანდაზას „ვისაც ყველასათვის პირში ბურთის ჩაჩრა უნდა, ბევრი ფქვილი დასჭირდა“ ქართული შესატყვისი: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“ (გვ. 86). აქაც საერთო მხოლოდ ის არის, რომ ორივე ანდაზაში ფქვილზეა ლაპარაკი. გამოდის არა შესატყვისი, არამედ რაღაც ანდაზა-დამატება, რომლის მიხედვითაც გერმანული ანდაზის გმირმა ყველაფრის მიუხედავად უნდა ფქვას, რათა ფქვილით ამოეტეროს პირი ყველას, ვის დანუშვასაც მოინდომებს. უფრო სწორი იქნებოდა: „ვინც სხვას საშარეს უთხრის, თვითვე ჩაერადება“, „სიკვე არვის შერჩება“; 6) საანდაზო თქმა „einen Stein im Brett haben“ (24) თარგმნილია, როგორც „ვისიმე წყალობაში ყოფნა“. ნამდვილად კი ეს ნიშნავს უფრო ვისიმე ღრმა პატივისცემის საგნად ყოფნას. მფარველობა და პატივისცემა ერთი არაა; 7) ანდაზა „Ein Mann, ein Wort“ უმჯობესი იქნებოდა ქართული ენის ბუნებისათვის დამახასიათებელი თქმებით წარმოდგენილიყო: „კაცია და სიტყვა“, „ეგ არის და გორის ციხე“, „კაცს ენით აბამენ“ და ა. შ.; 8) „Besser spät als gar nicht“ ანდაზისათვის „სჯობს გვიან,

ვიდრე არასოდეს“ თარგმნილია და სრული შესატყვისიც, მოტანილია კი, როგორც მხოლოდ თარგმანი; 9) „Ich wollte dir's wärst'ich Pfeffer wächst“ — არეულია თარგმანი და შესატყვისი; 10) „Torheit und Stolz wachsen auf einem Holz“ თარგმნილია „სიცივე და სიყოფილე ერთ ზეზე იზრდებაო“. „სიყოფილის“ ნაცვლად აქ საჭირო იყო დადებითი ცნება — „სიამავე“, მივიღებდით სწორ შესატყვისს: „ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიც“; 11) 62-ე გვერდზე „გულს მქონდა ხმალი ვაჩრილი, აწ შენზე დამადგერესო“ არაა ხალხური ანდაზა, საჭირო იყო ავტორის ჩვენება მაინც; 12) ანდაზა „Von Eulen kommen nicht Sperber“ თარგმნილია: „ბუსივან ბელურა არ გამოიჩეკება“. Sperber მიშინოდა არა ბელურა (Sperling).

ზოგან დარღვეულია ანბანური რიგი. მაგ. Aus der Mücke-ის მოსდევს Aus der Fern: 76-ე გვერდზე ასეთი მიმდევრობაა: viele Köche, viele Bäche, viele Hunde; 56 გვ. Mit Geduld-ის მოსდევს მრავალი ანდაზა man-ზე, მერე ისევ mit იწყება (58) და სხ. რაღაც კრებული ანბანურ პრინციპზეა აგებული, საჭირო იყო ამ პრინციპის დაცვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაკლოვანებანი არ ამტკიცებენ ამ სასარგებლო წიგნის მნიშვნელობას.

ამჟამად გამოცემულია ანალოგიური ხასიათის წიგნები — პ. წერეთლის (რუსული ანდაზები) და მ. ვეარჯალაძისა (ინგლისური ანდაზები).

სასურველი იქნებოდა ამ მიმართულებით მეზობის გაგრძელება.

ა. შ. შაქაძე.

